791
1889
ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ცდა"

(კრებული).

**I.**

Натела.
Венера

შინაარსი:

1. მეფე ერეკლე II როგორც სარდალი. (ისტორიული მონოგრაფია) ალ. გარსევანაშვილი.
2. სვანები ბარად. თავ. სვანი.
3. ქორწინება (სოციოლოგიური მოხილვა) დ. კ–შვილი.
4. და—ძმა. მოთხ. მირამონისა (ფრანგულიდგან) ჰ.—ყ-ნი.
5. პესტალოცის ცხოვრება. (თარგმანი). თ. მთავრიშვილი.
6. ქართული ალექსანდრიანი ბიბლიოგრაფიული მოხილვა. პოლიეკტო ყ--ძე.

გამოცემული ალ. გარსევანაშვილის მიერ.

ქუთაისი.
თავადის პეტრე წულუკიძის სტამბა.
1889

*Дозволено цензурою, 27 Мая 1889 г. Тифлисъ.*

Типографія Кн. П. Г. Цулукидзе

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეფე ერეკლე II როგორც სარდალი.

## (ისტორიული მონოგრაფია)

ერეკლე, მეფე ქართლ-კახეთისა, თვით ბუნებით იყო იმისთანა მაღალი ნიჭით შემკული მხედართ მთავარი, როგორიც არიან ძველი დროის კართაგენელთ სარდალი ჰანიბალი, კარლოს XII, გუსტავ-ადოლფი, შვეციის მეფენი, ლაფაიეტი, საფრანგეთის ნაციონალური გვარდიის წინამძღოლი, ჯუზეპე გარიბალდი, სახელ-გათქმული იტალიელი გმირი და ბევრი სხვა... კარგად მოგეხსენებათ, რომ ყოველი კაცის ნიჭი, ერთის მხრით მიემგზავსება მცენარის თესლსა; როგორც ეს უკანასკნელი მოიტანს ხოლმე ღირსეულ ნაყოფს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი დათესილია ნოყიერ და მდიდარ ნიადაგზე, ისე ადამიანის ნიჭიც მოითხოვს იმისთანა სარბიელს და სასპარეზო მოედანს, რომელზედაც შესაძლებელი იქნება მისი ვარჯიშობა, განვითარება, მისი დამწიფება და გადიდება. ყოველს კაცობრიობის გენიოსსა ჰქონია ამ გვარი სასპარეზო მოედანი; უმეტესად ყოველს მათგანს ისტორიული გარემოებანი თითქო საგანგებოდ აძლევდენ საშუალებას მათი ნიჭის განსავითარებლად. იგივე ითქმის სამხედრო გენიოსებზედ; ყოველს მათგანს ჰქონია თავისი სამხედრო სკოლა, რომლის შემწეობით იგინი სწავლობდნენ სამხედრო საქმის ავსა და კარგსა. მაგალითად ძველი დროის ჩინებული სარდალი ჰანიბალი სიყრმიდგანვე გადიქცა იმ დაუცხრომელ რომაელების მტრად, რომლის უმთავრესი მიზანი იყო რომაელთა მუდმივი დამონავება. იგი აღიზარდა ისპანიაში; მრა-

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

ვალ—გვარ ომებში და ბრძოლაში მისი სამხედრო ნიჭი სრუ-ლიად განვითარდა; იგი გახდა მთავრად დიდის ჯარისა და წინ წაუძღვა მას თავისი აღთქმითი მიზნის აღსასრულებლად . . .

თვითონ ნაპოლეონ I-ის სამხერდო სკოლა გახდა ეგვიპტეს ნიადაგი, რომელზედაც მას ჰქონდა დიდი და საშინელი ბრძოლა სელჯუკებთან. სწორედ ამ დროს ნაპოლეონმა შეისწავლა ზედ-მიწევნით სამხედრო საქმეების სხვა და სხვა ნაირი მანქანე-ბანი. საფრანგეთის პირველი რევოლიუციის სარდალმა ლაფა-იეტმა პირველად თავისი სამხედრო ნიჭი გამოიჩინა ჩრდილოეთ ამე-რიკის ნიადაგზე, იმ დროს, როცა შტატები ებრძოდნენ ინგლისსა თავის დამოუკიდებლობის დასაცველად . . .

როგორ განვითარდა მეფე ერეკლე II-ის სამხედრო ნიჭი, სად შეისწავლა მან სამხედრო ხელოვნება, სად იყო მისი სამ-ხედრო სკოლა,—პასუხი ყველა ამ გვარ კითხვებზე შეადგენს ჩემის ისტორიულის მონოგრაფიის შინაარსსა.

## I.

გადავავლოთ თვალი ცხოვრება მეფე ერეკლე II-ისა, რომ-ლის სახელს, ეჭვი არ არის, მსოფლიო ისტორია ჩასწერს ,, კა-ცობრიობის ნიჭიერ სარდალთ სიაში''. ერეკლე II იყო შვილი თეიმურაზ მეორისა, რომელსაც ცოლად ჰყავდა ვახტანგ VI-ის ქალი თამარი. ამ უკანასკნელმა, საფრანგეთის მოგზაურის პეი-სონელის სიტყვით, შესძინა საქართველოს ერეკლე—ის მეფე, რომლის ბედმა მე XVIII ს. მთელი ევროპა აალაპარაკა, ის გამოჩენილი გმირი, რომელიც შექმნილა თავის საყვარელ სამშობლოს განსადიდებლად. ყოველი იმ დროის ქართველი ფიქ-რობდა ერეკლეს მომავალს დიდებაზე. თვით მამა ერეკლესი

თეიმურაზი, მოხუცებული და დაგვირგვინებული ნიჭიერის სარდლის სახელით, უკანასკნელ წლებში გამოდიოდა ომში თავის შვილის წინამძღოლობით და არ ირცხვენდა იმის ხელ-ქვეით ყოფნას და მოადგილობას. მე-XVIII ს. საუკუნეში მყოფნი საქართველოში უცხოეთელნი, როგორც, მაგალითად, დოქტორი იაკოფ რაინექსი, რუსეთის პოლკოვნიკი ბურნაშევი სამართლიანად აგვიწერენ ერეკლეს გამოჩენილს სამხედრო თვისებას; ამ უკანასკნელების თქმით, ,, ერეკლე აკვირვებდა ადამიანს სულიერი მხნეობით, დიდი მამაცობით და გასაოცარი უშიშრობით,‘‘. მხოლოდ ეს მწერალ-მოგზაურნი შეცდომით ამტკიცებენ, ვითომ ამ გვარი თვისებანი შეადგენენ მხოლოდ აზიელის სარდლის სამკაულს. ამ ნაირი შეცდომის მიზეზი, ჩემის აზრით, არის დაუფიქრებლობა; მათგან დასახელებული სამხედრო თვისებანი ერეკლე II სანატრელია ყოველი სარდლისათვის, აზიაში იქნება იგი, თუ ევროპაში. რომ ეს მართალია, ამას გვიმტკიცებს ორიოდე ისტორიული მაგალითი. ერეკლე მეორეს, როგორც სამხედრო გენიოსსა, იცნობდა თვით ჩინებული სარდალი გერმანიის მეფე ფრიდრიკოს დიდი, რომელიც თავის ჯარს ბრძოლის ველზედ არა ერთხელ აგულადებდა ერეკლეს მამაცობის მაგალითებით. ,, იბრძოლეთ იმ გვარად, როგორც გიორგიანთ მეფე ერეკლეს ივერნიო.‘‘ საყურადღებოა აგრეთვე ფრიდრიკოს გულწრფელი აზრი, რომლით იგი აფასებს როგორც თავის სამხედრო სიდიადეს ისე ერეკლე მეორისას: ,,მე ვარ ევროპაში უძლეველი, აზიაში კი—ერეკლე, მეფე ივერიისაო‘‘.

წარსულის საუკუნის გამოჩენილს დრამატურგს და კრიტიკოსს ლესსინგს ერთს თავის დრამატიულს თხზულებაში გამოჰყავს გერმანელი ჯარის კაცი, სახელად ვერნერი; ეს ჯარის კაცი არ არის კმაყოფილი თავის მდგომარეობით და გულითა ჰსურს

იომოს ივერიელთა მეფე ერეკლეს დროშის ქვეშ. ეს დრამატი-ული თხზულება დაიბეჭდა 1763 წ. (Minna von Barnhelm oder der Soldatengluck. Lessings.) აი ფრიად საინტე-რესო სურათი ამ თხზულებისა: ერთი მოქმედი პირი ვერნერი ჰკითხავს მეგობარს იუსტს: ,,იუსტ.! შენ უეჭველად გაგონილი გექნება მეფე ერეკლეს სახელი.

იუსტი.—ერეკლესი? . . . მე არა გამიგიარა.

— დაიჯერო, რომ შენ არ იცნობ აღმოსავლეთის წარჩინე-ნებულ გმირსა?

— მე კარგად ვიცი, რომ აღმოსავლეთის მოგვნი ვარსკვლავს მისდევდნენ.

— ძმაო, მე მგონია, რომ შენ ძალიან ცოტას კითხულობ გაზეთებს, როგორათაც დაბადებას. ნუ თუ შენ არ იცი, ვინ არის მეფე ერეკლე? დაიჯერო შენთვის უცნობია ის მამაცი და გულადი გმირი, რომელმაც სპარსეთი დაიპყრო და დღეს თუ ხვალ კიდეც გაალებს ოტომანის იმპერიის ალაყაფის კარებსა . . . . მადლობა ღმერთსა, რომ კიდევ ყოფილა სადმე ომიანობა. მე დიდი იმედი მქონდა, რომ ჩვენ შორის, ევროპაში, მოხ-დებოდა ომი; მაგრამ ჩვენები მიყრუებულნი სხედან თავიანთ ქერქში. არა, მე ვიყავი ჯარის კაცად და ამ სახელს სიკვდილა-მდინ დავიცავ. ერთის სიტყვით . . . მე უეჭველად უნდა ვიომო მის დიდებულების მეფის ერეკლეს წინამძღოლობის ქვეშ.“

რა მოწიწებით და აღტაცებით იხსენიებს მეფე ერეკლეს სახელს გერმანელი ჯარის კაცი! ერეკლეს სამხედრო გენიოსო-ბის სხივმა მიაღწია ცხრა მთას იქით მდებიარე განათლებულს ქვეყანას და იქ გამოიწვია გულითადი თანაგრძნობა. ჩვენთვის

ადვილი წარმოსადგენია ის პატივისცემა, რომელიც ერეკლემ მოიხვეჭა თვით აზიაში. აქ, ყველანი ერეკლეს მოქმედებით და საქმით რწმუნდებოდენ მის სიდიადეში. ერეკლეს თანამედროვენი, როგორც მოწინააღმდეგენი, ისე თანამოზიარე მეგობრებიც, დიდად პატივს სცემდენ მის სამხედრო ბუნებრივს ნიჭსა. ეს დიდებული სარდალი თავის დროზე იყო სამართლიანად დაფასებული. საზოგადოდ ერეკლეს უწოდებდენ ,, მცირე აზიის ლომად.“ როდესაც ოტომანის იმპერიის ხვანთქარმა შემოსჩივლა სპარსეთის პატრონს ქარიმ-ხანს, რომ ,, ალგიშვია ერთი ლომი—საქართველოს ვალი ერეკლე, რომელიც აოხრებს სამფლობელოსა ჩემსა, რის გამო იხარჯვის არა მცირედი ხაზინანი და ამიტომაც უნდა დააყენოთ იგი ესე ვითარის ძლიერებისაგან“ —ერანის შაჰმა ასე შეამკო მეფე ერეკლე: ,, შეხედეთ მეფეს ერეკლეს, ახლა მე ის როგორ არ უნდა მიყვარდეს; რაც ჩემთვის უმსახურნია, იმას გარდა ეს უმეტესი ჩემი დიდება არის; ერეკლემ ხონთქარი დააჩოქა და ჩემთან აჩივლებს, ამისთანა კაცი დიდად პატივსაცემელი არის . . “

რა საშუალებით გაითქვა მეფე ერეკლემ დიდებული და ნიჭიერის სარდლის სახელი? — გასაოცარი გამბედაობა, არა ჩვეულებრივი თავგანწირულება, მტერზედ პირდაპირი მსვლელობა, ამასთანავე მოძრაობის და მოსაზრების სისწრაფე ომის დროს—აი, ჩემის აზრით, ერეკლეს უპირატესი სამხედრო თვისებანი. ერეკლე მეორე მიმაჩნია იმ პირველ-ხარისხოვან სარდლად, რომლის ბადალს ყოველი ისტორიული ერი ორიოდ-სამიოდეს წარმოგვიდგენს. მართლადაც, რითი მოიხვეჭეს სამხედრო სახელი კაცობრიობის გამოჩენილმა სარდლებმა, თუ არ თავიანთი სიმამაცით და იმ გულადობით, რომელიც უარყოფს ბრძოლის დროს მშიშარა ყოყმანობას და გაუბედაობას. ეს სარდალნი

პირდაპირის და უშიშარის თვალისა შესცქეროდნენ განძვინებულს მტერსა; საშინელი და თავზარ-დამცემი განსაცდელი... მათ არ უმღვრევდათ თვალებსა; შემკულნი სამხედრო მჭვრეტელობის ნიჭით, რის გამო მათ წინათვე ჰქონდათ ხოლმე აწონ-დაწონილი მტრის მდგომარეობა და მისი ძალღონე—ეს სახელგათქმული სარდლები გაჭირების დროს ხელმძღვანელობდენ თავისი გონიერი მოსაზრებით, რომელიც მახვილივით სჭრიდა ბრძოლის დახლართულს ნასკვსა. დასასრულ ეს მხედართ მთავარნი მომეტებულად იყვნენ ნამდვილნი მჭევრ-მეტყველნი, რომელნიც გულ-საკლავ და გრძნობით სავსე სიტყვით ჯარს გაიტაცებდნენ ხოლმე საომრად. საქართველოს მეფე ერეკლე თვით ბუნებამ შეამკო ამ დიდებული სარდლების თვისებებით; მხოლოდ ერეკლემ თავისი სამხედრო ნიჭი მრავალ-ხნოვან და ღრმა გამოცდილებით უმაღლეს წერტილამდე განავითარა.

საზოგადოდ გულ-კეთილი და მეტადრე საკუთარ ოჯახში ჩვილი ხასიათის მქონე კაცი—ერეკლე მეორე ბრძოლის ველზედ იყო ერთი რამ საკვირველება. ყოველი ბრძოლის დაწყების წინ, ერეკლე, როგორც ღვთის მოყვარე კაცი, ლოცვას შეუდგებოდა ხოლმე:—ჭეშმარიტო ღმერთო ძლიერო! შენ იხსენ საქართველოს ერი, მრავალჯერ წამებული მამულისათვის და იმედ-ჰყავ, რომ სამშობლო დანგრეული კვლავ აყვავდება.—ლოცვის გათავების უმალ ერეკლე შემოაფრინდებოდა ხოლმე ცხენს, აღჭურვილი მშვენიერი საბჯროთა იარაღითა და რომ გენახათ ერეკლე თანამედროვე მწერლის პაპუნა ორბელიანის სიტყვით, ბრძანებდით: ,, კაცისაგან ამას არა რა დაემგვარებაო''.

მეფე ერეკლე—ეს შუათანა ტანის კაცი, ერთობ ფიცხი ხასიათისა, არწივისებურის თვალებით, ომის დროს თავის ჯარი-

სათვის იყო სწორედ სული და გული. ამ შემთხვევაში იგი გადიქცევოდა ხოლმე იმ შესანიშნავ არსებად, რომლის სიტყვა საშინელი ელექტრონული ძალაა და რომელსაც განურჩევლად დიდი თუ პატარა, უფროსი თუ უმცროსი, მოხუცი თუ ახალგაზდა მონებენ. ბრძოლის ველზედ ერეკლე მეფე აკვირვებს ადამიანს თავისი უცები გონიერი მოსაზრებით; მას შეეძლო ერთ წამში ათას გვარი კომბინაცია მოეგონებინა; მისი, ეგრედ წოდებული, ‘‘impetus ingenii‘‘ იყო არა ჩვეულებრივი; მისი შემოქმედებითი ნიჭი ღირს შესანიშნავია. ქართველები ამბობდენ, რომ ერეკლე ომში დასწრებით ქართველს ჯარს ფრთებს შეასხამდა ხოლმეო: ,, ჩვენი ბატონი ერეკლე მოგვივიდა, ახლა იმის საკვირველს გონებას რა გაუმაგრდებაო ,,ამბობდა გათამამებული ჯარი. ბევრჯელ დახლართვიათ ქართველებს ბრძოლის კვანძი, მაგრამ მეფე ერეკლე მას ღირსეულად სჭრიდა თავისი ძლევა-მოსილი მახვილითა; ეს მახვილი—უცები და მოულოდნელი გონიერი მოსაზრებაა. ერეკლეს ზოგიერთი მოქმედება ბრძოლის ველზედ სწორედ რომ შთაგონებაა ზეციური გენიოსისა.

1770 წელს, ერეკლე მეფე, დაიმედოვნებული რუსეთის სამხედრო შემწეობით, ემზადებოდა ოსმალ—ლეკებთან საომრად. რუსეთის მთავრობამ საქართველოში გამოგზავნა 6,000 ჯარის კაცი გენერალ ტოტლებენის წინამძღოლობით. მეფე ერეკლე მიეგება რუსეთის ჯარსა კავკავის გზაზედ, სოფელ კობში. აქ, როგორც მოითხოვდა რიგი, ერეკლემ და ტოტლებენმა დასდვეს პირშეკრულობა, რომ ერთად ემოქმედნათ მტრის წინააღმდეგ. საასპარეზო მოედნად ახალციხის მაზრა იყო ამორჩეული. სხვათაშორის ერეკლეს დაჰპირდა 5,000 ჯარის კაცსა იმერეთის მეფე სოლომონ I. ამის გამო ერეკლე მეფეს წინადვე ჰქონდა

გადაწყვეტილი, რომ დიდი გამარჯვება დამრჩება და ოსმალნი დამარცხდებიანო. მაგრამ, დახეთ ერეკლეს ბედსა! სოლომონი სრულებით არ მოვიდა მტერთან საბრძოლად და თავის სიტყვას გადუდგა; ამასთანავე მოუვიდათ უსიამოვნობა მეფეს და ტოტლებენსა, რომელმაც ერეკლეს შესწამა აზრები რუსეთის წინაალმდეგ. ამ გენერალმა, აწყურთან ბრძოლის გათავების უმალ, მოულოდნელად თავი დაანება ქართველებს და საჩქაროდ იმერეთისაკენ გაემგზავრა. სხვათაშორის აი რას ეუბნებოდა მეფე ერეკლე გენერალსა: ,,რატომ არ შეგიძლიან დაბრუნება და ერთად სისხლის ღვრა, მაშინ როდესაც თქვენის გულისათვის არის ოსმალო ჩემი მოსისხლე მტერი, თორემ ოსმალოს ჩემთან რა მტრობა აქვს?—ვინც რუსეთიდგან მოდიან ეკატერინე ხელმწიფისაგან დიდის დაპირებით მეუბნებიან: დიდს წყალობას ელოდეთ ეკატერინესაგანო და ამასთან უთქვამთ, ქრისტიანობის და ჩვენის სარწმუნოების გულისათვის უნდა გავისარჯნეთო. აჰა, ესეცა ქრისტიანობის გულისთვის მოვსულვართ აქ და ხედავთ ჩემი ქართველები როგორს ომში არიან დღეს“

,,თქვენო დიდებულებავ—უპასუხა გენერალ ტოტლებენმა— მომიტევეთ, რომ ჩემის ხელმწიფის ბძანების ძალით ეხლავ უნდა გავტრიალდე და საჩქაროდ წავიდე; დაგვიანება არ შემიძლიან“

მამულის სიყვარულით გატაცებულმა ერეკლემ, რომელსაც თვალ-წინ წარმოუდგა საშინელი განსაცდელი ქვეყნისა, ვინიცობაა მტერი გაიმარჯვებდა, დაივიწყა თავისი მაღალი ღირსება ,,საქართველოს მეფისა“, დაიმცირა თავი და ერთის მუხლით დაუჩოქა უბრალო გენერალს და სთხოვდა მას დიდის ვედრებით დაბრუნებულიყო... მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. ჭირვეული გენერალი მხოლოდ ბოდიშს იხდიდა. ამ გვარ არა

სანატრელმა და უნუგეშო ბრძოლის დასაწყისმა ვერც წაართვა და ვერც შეარყია მეფის ზნეობრივი ძალა. ამ ცივი უარის უმალ ერეკლე ფიცხლავ დგება ფეხზე და ვეფხვის სიმარდით აჯირინდება თავის მარდს ცხენსა. მაშინვე მიუბრუნდება ქართველთა ჯარს ამ სიტყვებით: „ქართველებო, ჩემო განუყრელნო ძმანო! ეს იცოდეთ, რომ ჩვენი უკან დაბრუნება არ იქნება. უმჯობესია, აქ გავწყდეთ; თქვენ იცით და თქვენმა ვაჟკაცობამ, ქართველებო“! მეფე ერეკლემ გამარჯვების იმედი მხოლოდ თავის საკუთარ მშვენიერ ცხენოსან ჯარზედ დაამყარა.

პირველად, სხვა და სხვა სამხედრო მოსაზრების გამო, მეფემ უბრძანა ჯარს უკან დაბრუნებულიყო; ქართველი ჯარი სოფელ აწყურიდამ წამოვიდა და თორმეტი ვერსის მანძილი გამოიარა. ამით წაქეზებული მტერი უკან გამოედევნა ერეკლეს ჯარსა. მოხდა ბრძოლა და ამ ბრძოლაში მხოლოდ ქართველთა ჯარის ავანგარდმა ანუ მოწინავე რაზმებმა მიიღეს დიდი მონაწილეობა. მალე გააბნიეს ქართველებმა ოსმალ-ლეკნი. ამის შემდეგ ერეკლე გამარჯვებულად მიუახლოვდა ახალ-ქალაქსა და მერე ხერთვისსა. გაიგეს თუ არა ახალციხეში, რომ ერეკლე—ეს „ლომი მცირე აზიისა“ ახლო არისო, მაშინვე ნიამან-ფაშამ საჩქაროდ გამოგზავნა ახალი ჯარი ერეკლეს საწინააღმდეგოდ. ახალ-ქალაქის და ხერთვისის დამცველმა ჯარებმა ვერ გაუწიეს ერეკლეს დიდი წინააღმდეგობა. ამ ჯარს მოელოდა საშინელი დამარცხება ქართველებისაგან, მაგრამ სწორედ ამ დროს გამოჩნდა ახალციხიდამ გამოგზავნილი ჯარი. ერეკლე მეფემ სისწრაფით შეაგროვა თავისი მხედრობა და გაჰყო სამ ნაწილად: 1., მარჯვენა ფრთა ჩააბარა თავის უფროს შვილს გიორგი ბატონიშვილს; 2., მარცხენა კი—თავის სიძეს დავით ორბელიანს და

ბიბლიოთეკა

ზაალსა; 3., თვით მეფე ერეკლემ დაიჭირა შუა გული ამ ორ ფრთათა შორის.

პირველ დღეს ომი არ მოხდა, რადგან მტერს დიდი ჯარი ჰყავდა საბრძოლველად და იმედიც ჰქონდა, რომ გაჭირების დროს კიდევაც მოემატებოდა; ამიტომ ერეკლემ ხერხი იხმარა, რომ ამ ხერხით მტერს სხვა ჯარი კიდევ არ მომატებოდა. ბინდის დროს, მეფის ბძანებით, გაგზავნეს უკეთესი ჯარის კაცნი: ერისთვის შვილი ალაბაბა, სვიმონ მუხრან ბატონიშვილი ნასაღჩიბაში და ხუდია მორჩალოელი „ჩინებული და მამაცი ყოველსა საქართველოსა შინა," რომელთაც აჰყარეს ასპინძის ანუ დოსტენის ხიდის ისრები. . .

მალე დაღამდა კიდეც. ორთავე ჯარის ბანაკებში საშინელი, არა ჩვეულებრივი ფაცი-ფუცია; ჰაერში თითქო საზარელი სისხლის სული დატრიალდა. ყველა მხედარს უდგა თვალ-წინ დალესილი ხმლების ბრიალი; მას ყურს უჭედავს განუწყვეტელი თოფ-დამბაჩის ჭექა-ქუხილი . . . ელანდებათ ჭრილობანი და სასიკვდინე იარა-წყლულნი; გული შფოთავს, სული სწუხს; ყიჟინი, ღრიალი, გულ-საკლავი კვნესა და გმინვა ერთმანეთში ირევა: ყოველივე ეს მოსვენებას არ აძლევს არც ერთ მხედარს. მომავალი დღის სურათი ლანდსა და მოჩვენებასავით ძალა უნებურად თვალ-წინ უდგა გაშმაგებულს მხედარს, გამოცდილს თუ გამოუცდელსა. პირის-პირ შეყრილნი მტერნი ჰგრძნობენ ხვალინდელის დღის სიდიადეს, უნებურად მოელიან ზარ-დამცემს განსაცდელს. გულის ძგერით და დიდის აღშფოთებით ელოდება ჩვენი ჯარი. . . განთიადს. აგერ ირაჟრაჟა კიდეც. ქვეყნის მანათობელმა გაანათა არე-მარე; მისმა დიდებულმა და განმაცოცხლებელმა სხივებმა ჩაუდგეს სული დროებით მიძინებულს ბუნებას; გამხიარულდა მიდამო; გამხიარულდენ ჩვენი, წინა-

ღამის სიზრმებით აღელვებული და დატანჯული ქართველებიც, რომლესაც დაინახეს თავიანთი მჴედართ-მთავარი მეფე ერეკლე, ეს მართლაც რომ ერთი რამ „საკვირველება“ საომრად გამოსული. გათენდა ის დღე დიდებისა, რომელიც მეფე ერეკლეს მიაჩნდა „სიკვდილის ლხინად“.

— კარგად გაარჩიეთ, ერთი დაინახეთ, უშიშარნო ქართველნო, რა სიკვდილის ლხინი არის დღეს! - ამბობდა ერეკლე ამ სამაგალითო ომის დროს, როცა ერთხანად მოზვავდა სიმრავლე მტრისა და შედრკა მხედრობა ერეკლესი.

მოშუადღევდა და ბრძოლა ჯერ კიდევ არ დაწყებულიყო. მტერნი ათვალიერებდნენ, შორიდამ ზომავდნენ ერთმანეთის ძალ-ღონეს, ტოკავდენ.. მაგრამ საკმაო იყო ერთი გარემოება, რომ ასპინძის ომი გაჩაღებულიყო.

ქართველთა მოწინავე რაზმების ერთი ნაწილი წავიდა სურსათის საშოვნელად გარშემო სოფლებში. აი სწორედ ეს ჩაფაულის კაცნი დაამარცხეს ჩასაფრებულმა ოსმალ-ლეკებმა და მიჰყვნენ „ხოცითა მეფედმდე“. ამის მხილველნი მეფის კაცნი შეიძრნენ და დაეცნენ ოსმალ-ლეკებსა.

სწორედ **20** აპრილს **1770** წელსა, პირველს საათზე, ორთავ ჯარის მხრით მოისმოდა თოფების ჭექა-ქუხილი და თან-და-თან შეხურდა ბრძოლა, რომელმაც გასტანა სამი საათი. ქართველების ჯარი ერეკლეს წინამძღოლობით მედგრად დახვდა მტერსა და უმეტეს „სახელოვნად გაისარჯენ შვიდნი ხევსურნი“, რომელნიც სულ ერეკლე მეფეს გარს ერტყნენ. ბევრი ხოცეს და სჭრეს ქართველებმა ოსმალ-ლეკნი, მაგრამ მტრის ძლევა-მოსილს ჯარში ბევრი დასტა იყო ისეთი, რომელთაც ჯერ არ მიეღოთ ომში მონაწილეობა. მტრის ახალი დასტების შემოტევამ დიდად შეარყია ერეკლე მეფის შუაგული ჯარი. უცებ შე-

ჩერდა მეფე... გაიგო თუ არა საშიში ყოფა და განსაცდელი ერეკლესი და მისი ჯარისა, მარჯვენა ფრთამ ერთობ ძლიერად წინ წამოიწია დავით ორბელიანის წინამძღოლობით და მეფეს ამ გვარად ერთი მხარი კარგად გაუმაგრა. მხოლოდ მარცხენა ფრთამ ძალიან დაიგვიანა. საჩქაროდ გაგზავნა მეფემ ანტონ აქიმბაში ბატონიშვილ გიორგისთან და უბძანა, რომ ჯარი წინ წამოეყვანათ შუაგულის კორპუსის მისაშველებლად. გიორგი ბატონიშვილმა თავის ჯარით, რომელშიაც 900 კაცი იყო, გაამაგრა ერთი მაღლობი ადგილი. აქ დროებით დავანებოთ თავი ერეკლეს მხედრობას და გავყვეთ ანტონ აქიმბაშსა. ვნახოთ, რა პასუხი უთხრა გიორგი ბატონიშვილმა აქიმბაშსა. აი, როგორ მოგვითხრობს ამ ამბავს თვით მნახველი და დამსწრე ელიზბარ ფალავანდიშვილი; მეფის ბძანების უმალ ანტონა აქიმბაშმა საჩქაროდ გასწია გიორგისაკენ და მოახსენა:

— ბატონიშვილო — აღელვებულის ხმით ეუბნებოდა ანტონა აქიმბაში გიორგისა: — მეფე გთხოვს საჩქაროდ მოშველებას თქვენის ჯარისა... თქვენს მზეს ვფიცავ, მამა თქვენი მეფე და იქ მყოფი ქართველობა ძალიან დიდს გაჭირებაში იმყოფებიან.

— ანტონა აქიმბაშო, — უპასუხა გიორგიმ, დამიჯერე, შენც აქ იყავ ჩემთან. თუ ვინიცობაა ისინი დააბრუნონ, მას უკან ჩვენს ჯარს ჩვენ დავიჭერთ.

ამ დროს მოისმა აქედ-იქიდგან ხმა. გიორგის ზოგიერთმა სარდლებმა მიმართეს ანტონას ამ სიტყვებით: ,,აქიმბაშო, გაიგონე, ბატონიშვილი გიბრძანებს, უნდა დაუჯერო''. ანტონამ ამათ არა უპასუხა რა და ხელ-მეორედ მოახსენა გიორგის:

— შენი ჭირიმე, ბატონიშვილო, რას მიბრძანებთ! მეფე ერეკლე იქ რომ დაამარცხონ, აქ თქვენს თავს როგორღა დაი-

ჭერთ, მტერი სულ ფეხ-ქვეშ გაგქნისთ და ბოლო-დროს სულ ერთიანად საქართველოსაც გააოხრებს... ჩქარა წამობძანდით, შენი ჭირიმე.

— ანტონა აქიმბაშო, გირჩევ, შენც აქ, ჩემთან დარჩე. მაშინ მივეშველნეთ, თუ რომ ჩვენი ჯარი დაგვიბრუნონ. ასე ანუგეშებდა გიორგი აღშფოთებულ აქიმბაშსა. სხვებმაც ეს ბატონიშვილის რჩევა ხელმეორედ განიმეორეს, მაგრამ ანტონამ ყური არავის არ ათხოვა.

— თქვენს მზეს ვფიცავ, არ დავრჩები აქა... ღმერთი გადღეგრძელებს, წამობრძანდით

— ანტონა აქიმბაშო, დამიჯერე...

— ჩემო ბატონიშვილო, ვერა, ვერ დაგიჯერებ.. წავალ სწრაფლ ისევ ჩემს მეფესთან და ჩემს ქართველებთან ერთად სისხლს დავაქცევ სამშობლო მამულისათვის! — სთქვა რა ეს უკანასკნელი სიტყვა, აქიმბაშმა ღონივრად ჰკრა ცხენს ქუსლი და ელვის სისწრაფით მეფესთან მიიჭრა...

ამავე დროს მეფე ერეკლე და მამაცი სარდალი დავით ორბელიანი ქართველებს ამხნევებდნენ მამა-პაპათა ვაჟკაცობის გახსენებითა, იბრძოდენ თავ-დავიწყებამდე... ვიდრე ანტონა აქიმბაში დაბრუნდებოდა და გიორგის პასუხს მიიტანდა, ერეკლე მეფემ თავისის ჯარის წინაშე წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვა და ასე გაამხნევა თავისი მხედარნი: „გულოვანნო მხნენო, ქართველნო, ჩემო განუყრელნო ყოველ საშინელებაში, ჩემო ვულის ძმანო! ეს ამისთანა გაჭირებული ომი ჩვენ თავზედ პირველი არ არის. კარგად გაარჩიეთ, დაინახეთ, რა სიკვდილის ლხინი არის დღეს! ვიომოთ სიკვდილამდის, ასე სიკვდილამდის, რომ ჩვენი ზურგი მტერმა ვერ დაინახოს: ეს ჯაბანთა წესი

არის.. თქვენ წინ გადაწყვეტით ვაღიარებ, რომ დღეს უნდა გამოვესალმნეთ ჩვენს თავსა, აქ უნდა გავწყდეთ . . . ჩვენს ცოლშვილში, სირცხვილია, დამარცხებით მივიდეთ. მერე რა პირს დაგვინახვენ ის ჩვენი კარგი დედაკაცნი? — შავსა, დამარცხებულ პირსა და თან გვეტყვიან: აი თქვე ჯაბნებო, წადით, დაიკარგენით ჩვენგანო . . . აბა, ჩემო გულის ძმებო, მინამ იმათ წინ ამ სირცხვილით წარვსდგებოდეთ, გვიჯობს მამულისათვის ჩვენს წმინდა სიკვდილზე, ჩვენს დაქცეულს სისხლზე, თმები ვაწეწინოთ . . . გავწყდეთ, ქართველებო, მეც აქ თქვენში ვიმყოფები, ერეკლე!“

ამ მაღალ გრძნობით სავსე და ქუხილის ძალოვანმა სიტყვამ გაიტაცა აშფოთებული ჯარი, აუნთო სიყვარული მამულისა და აამაღლა იმ ზომამდე, როცა თავ-განწირვა და თავდადება ნეტარებად მიაჩნია ადამიანს . . . ჯარმა ერთხმად შესძახა პასუხად თავის სახელოვან გმირს: „გავწყდეთ, ერთიანად გავწყდეთ. დედა შეერთოს ცოლად, ვინც აქედგან უსიკვდილოდ დამარცხებული წავიდეს!“

სწორედ ამ დროს ქენებით მოფრინდა ანტონ აქიმბაშიცა და მოახსენა მეფეს:

— ჩემო ხელმწიფევ, ბატონიშვილი გიორგი იქიდგან ვერ დაეძარი.

ამ გვარად მტრის სიმრავლისაგან შეშინებულმა, ან თუ სხვა რამ მიზეზის გამო, გიორგი ბატონიშვილმა, ამ დიდად გაჭირვებულს და საშინელს წამსა მამას თავის დროზე ჯარი არ მიაშველა. მეფე ერეკლეს შვილის შემწეობის მაგივრად პასუხად ცივი უარი მოუვიდა. მეფის ბრძანება დარჩა შეუსრულებელი. ამ გარემოებით დიდად აღელვებულმა ერეკლემ არ იცოდა, რა ექნა.

— ღმერთო დიდებულო, საქართველოს დამცველო, — ამას და ფიქრობდა გულში დიდ სულოვანი მეფე, — შენ იხსენ გან-საცდელისაგან ქართველები! —

მტრის ჯარი თან-და-თან გათამამდა, ახალ-ახალი დასტები მოემატა.. გამარჯვების სასწორმა თითქოს იმათკენ გადიწია. დადგა ზარ-დამცემი წამი ქართველთათვის. ერეკლე იმ მდგომარეობაში ჩავარდა, რომელსაც ადამიანის ბუნების მცოდნენი ანუ ეგრედ წოდებულნი პსიხოლოგნი ,,ზნეობრივ ციებ-ცხელებას'' უწოდებენ... აგერ მეფე ერეკლე საშინელის გულის ძგერით და არა უბრალო მამაკვდავის სახით, რომელსაც ,,კაცისაგან არა რა დაევვარება-რა'' — გასცქერის ერთ შავად მოარულს წერ-ტილსა... ერეკლეს არწივისებურმა თვალებმა მალე იცნეს, რა ძალა იყო ეს შავად მოარული წერტილი. ის იყო ლეკების სა-ხელგათქმული ბელადი კოხტა, რომელიც ჭენებით მოაქრო-ლებდა ცხენსა და რომელსაც თან მოსდევდა გათამამებული და ხმალ-ამოღებული ლეკთა ჯარი. ამ სიკვდილ-სიცოცხლის წამს ერეკლემ იგრძნო თავისი დიდი მოვალეობა სამშობლოს წი-ნაშე და მის გულისათვის იხვერპლა თავისი სიცოცხლე. სის-წრაფით წინ გამოხტა მარდსა და ,,წითელ ტაიჭზე'' მჯდარი გმირი და მიზანში ამოიღო კოხტა ბელადი... კოხტას სიცო-ცხლე ძაფზედ ჩამოეკიდა და გაიწონა სასწორზე. საკვირველს მე-თოფურს ერეკლე კახ-ბატონს აქაც არ უმტყუნა გამოცდილმა ხელმა და გაწვრთნილმა თვალთა ხედვამა. უცებ იჭექა თოფმა და მის გრიალს ბანი მისცა მტკვრის ხეობამა. ზარი სიკვდილისა თან მიჰყვა თოფის გრიალს. კოხტას ბედი გაშავდა და იმისი მზე დაბნელდა საუკუნოდ. გაჭენებულ ცხენიდამ ლეკთა ბელა-დმა მიწაზე საშინელი ბრაგვანი მოიღო. ამის მნახველს ლეკთა ჯარს და ოსმალთა რაზმებს თავზარი დაეცათ; მტერი შიშმა შე-

იპყრო; ჯარი უსარდლოდ და უთაოდ დარჩა. გაქანებულს ადამიანს, რომ თავი მოულოდნელად მოჰკვეთოთ, იმისი სხეული ინერციის კანონის ძალით, ცოტას კიდევ გაირბენს, შემდეგ ერთბაშად შეჩერდება და კანკალ-ცახცახით ძირს დაეცემა, შინაგან ძალას მოკლებული. სწორედ ასე მოუვიდა ოსმალ-ლეკის ჯარსაც, როცა მეფე ერეკლემ მოუკლა წარჩინებული სარდალი კოხტა ბელადი. გათამამებულს და გამხნევებულს ლეკის ჯარს მოაკლდა უფროსი მხედართ მთავარი; ჯარი დარჩა უთაოდ. მტრის ჯარი შედრკა, დაუძლურდა და დამფრთხალი და თავზარდაცემული აპირებდა გაბნევასა და აქეთ-იქით გაქცევასა. აი სწორედ ამ დროს შესძახა ერეკლე მეფემ თავის ჯარს, ერთობ გამარჯვების იმედით სავსეს:

— ქართველებო, ჩემო გულის ძმებო, — ხმალი ამ წუნკალებს! —

ქართველებმა იშიშვლეს ხმლები და დაუშინეს ოსმალ-ლეკებსა, რომელთაც იბრუნეს პირი და მიმართეს ასპინძის ხიდსა. ეს ხიდი, როგორც ვიცით, წინათვე იყო დანგრეული და ისარ-აყრილი. ამიტომ ბევრნი გაქცევის დროს ჩაცვივდნენ ადიდებულს მტკვარში და დაირჩნენ.

ასე სამაგალითოდ დაამარცხეს ქართველებმა მტერი, რომლის მხარეზე იყო ძლევა-მოსილი ძალა· ასპინძის ომი ანუ 20 აპრილი 1770 წ. საქართველოს სამხედრო ისტორიაში, ჩვენის აზრით, არის უკეთესი ფურცელი. ერეკლე მეფის დროინდელთა აზრით ქართველების დამარცხება ამ ბრძოლაში შეუძლებელი იყო, რადგან იქ იბრძოდნენ, განურჩეველად წოდებისა, საქართველოს უკეთესი შვილნი; ამ დაუვიწყარ გმირთა დაქცეულის სისხლით ქართველებმა შეისყიდეს დიდი გამარჯვება. ბევრი

ტურფა ვარდი და თაიგული მოჰკლდა მაშინდელს ვაჟკაცთა კრებულსა და ახალგაზდობას, მაგრამ სამაგიეროდ თითოეულის გამოკლებულის სახელი უჭკნობელის ვარდის გვირგვინით შეამკო მაშინდელმა საქართველომ და, ჩვენდა სამწუხაროდ, მხოლოდ დღევანდელს აღარ ახსოვს არც იმ ომში თავ-დადებულნი და არც ძლეულნი და გამარჯვებულნი....

Თვით მეფე ერეკლე ამ მართლად საყურადღებო და გასაოცარ ასპინძის ომში მხნედ და ფიცხელად იბრძოდა უბრალო მხედარივით. Ერეკლე როგორც სახელგანქთმული კართაგინელთ სარდალი ამილკარ ჰანიბალი ომს იწყებდა პირველი და უკანასკნელი კი ათავებდა. Ამას გვიმოწმებენ საქართველოში მყოფნი მსოფლიო მოგზაური აბბატ დელაპორტი და რუსეთის მოხელე იაზიკოვი, რომელნიც ამ გვარად აგვიწერენ ერეკლეს სამხედრო თვისებას: ,,მეფე ნიჭიერი მხედართ-მთავარია და წარჩინებული მხედარი; ყოველთვის ფიშტოთი ან თოფით შეიარაღებული დადის; ომის დროს თვით ერეკლე აძლევს ქართველთ ჯარს გულადობის და მამაცობის მაგალითსა — იგი პირველი ხმალ-ამოღებული დაეცემა ხოლმე მტერსა''.

Ნუ დაივიწყებთ, რომ პირველი სამხედრო ასპარეზი ერეკლემ დაიწყო სწორედ იმ დროს, როცა 15 წლისა იყო. 1735 წელს მეფე თეიმურაზ მეორე თავის სახლობით იმყოფებოდა ფშავის სიმაგრეებში შიშიანობის გამო. Სწორედ ამ დროს მძინვარებდნენ და აოხრებდნენ საქართველოს ლეკები. Ამ არა სანატრელმა და დასალუპ მდგომარეობამ გამოიწვია ერეკლე ბატონიშვილი საასპარეზოდ. Პატარა კახი საჩქაროდ აგროვებს კახელებს; ამ მცირე რაზმით იგი დახვდა ლეკებსა ნეიშნის მინდორში. Პირველად ბატონიშვილმა მოკლა კაცი; ამ... ,,მხილველთა კახთა ერთ პი-

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

რად მიმართეს ყივილით და წინა-წარიქციეს ლეკის ჯარი". ამ გვარად სამხედრო ასპარეზზე ერეკლეს პირველი ნაბიჯი იყო გამარჯვება. ამ დროიდამ მან განითქვა გმირის სახელი, რომელზედაც ბევრი იმედი გადიტანეს. აი რას ამბობდა სხვათა შორის საქართველოს კათალიკოზი ანტონ პირველი. „უნდა გენახათ ჩემი ერეკლე პირველიდგანვე, როგორ საკვირველად გამოიჩინა თავი! თუ ერეკლე არ გაჩენილიყო ქვეყანაზე, დაგარწმუნებთ, საქართველო დაინთქმოდა მტრისაგან, მაგრამ ჩემმა უუსაყვარლესმა ძმა ერეკლემ მტრები შეაძრწუნა და მამული გამოიხსნა თავისის ძლიერის ქართველებით. აბა ვილა უდგებოდა იმათ წინ, დათანხმებულის ერთის აზრით მექონეს ქართველებსა და იმისთანა მოთავეს ერეკლეს?"

ყოველ ბრძოლაში მეფე ერეკლეს ჰქონდა თავი განწირული მამულისა და ერისათვის. ამ შემთხვევაში ერეკლე უნებლივ მაგონებს გამოჩენილს შვეციის მეფეს გუსტავ-ადოლფსა, რომელიც მამაცურად და უშიშრად ბრძოლაში ცხარ მონაწილეობას იღებდა უბრალო მხედარივით. ამის გამო გუსტავი ბევრს არ მოსწონდა. გუსტავს უსაყვედურებდნენ ხოლმე, რომ მისთვის განურჩეველია სარდლის და უბრალო მხედარის მოვალეობა; მხოლოდ თვით გუსტავი, როგორც ნამდვილი მხედართ მთავარი, დარწმუნებული იყო, რომ მისი ჯარი იმდენად იქნებოდა მამაცი და გულადი, რამდენად თვით სარდალი საქმით აჩვენებდა ვაჟკაცობის მაგალითსა. „რა არის უმშვენიერესი და უდიდესი მეფისათვის, თუ არ სიკვდილი მამულისა და ერისათვის", ასე ამბობდა გამოჩენილი ევროპიელი გმირი. სწორედ ამ გვარად ანუგეშებდა და ამამაცებდა ხოლმე მეფე ერეკლე თავის ჯარს, მომავალ განსაცდელისაგან შეშინებულს. „უნამუსოდ სიკვდილსა ნამუსიანი სიკვდილი სჯობია — ამბობდა მეფე ერეკლე. — ეს ყველამ

უწყით, რომ სიკვდილის შვილნი ვართ და ჩვენს გვარსა და სახელსა ნუ მოვაყივნებთ ორი დღის სიცოცხლისათვის.. დღეს ერთიანად გავწყდეთ, მეც აქ თქვენში ვიმყოფები, ერეკლე“! ბევრი ქართველების ისტორიული გამარჯვებანი აიხსნებიან მხოლოდ ერეკლე მეფის თავგანწირვით.

ერეკლეს კარგად ჰქონდა შეგნებული ეგრედ — წოდებული ,,ომიანობის ბუნება“; მას ცხადად ჰქონდა წარმოდგენილი დიდი მნიშვნელობა სარდლისა ჯარისათვის; ერეკლემ ნამდვილად იცოდა, რომ ბრძოლის მინდორზედ თოფების ჭექა-ქუხილის და ლაპლაპა ხმლების ტრიალის დროს, ჯარი უსარდლოდ არის ბრბო შეშინებულთა ბატკანთა, რომლის გაწყვეტა და გაჟლეტა ძალიან ადვილი საქმეა. ამიტომაც, როგორც მოითხოვდა ხოლმე გარემოება, ერეკლე თავს არ ზოგავდა და პირველად თავის ხელით ჰკლავდა მტრის წინამძღოლსა. ამით მეფე ერეკლემ დაგვიმტკიცა, რომ იგი არის, როგორც მაღალი ნიჭით შემკული სარდალი, ისე ნამდვილი მხედარიცა. მაგალითად, მან თავის ხელით, როგორც წინად ვთქვი, მოკლა ასპინძის ომში ლეკების ბელადი კოხტა. აგრეთვე ბედი ეწია ერეკლესაგან ბელადს მალაჩსა, რომელიც მოკლულ იქმნა მეფისაგან არაგვის ხეობის ბრძოლაში 1744 წელსა. ამ გვარადვე იყო მოკლული სპარსელთ წინამძღოლი ხანი მდინარე გარნიჩაიზე 1752 წელსა.

ჩვენ ვიცით, რომ მეფე ერეკლე ბევრს ბრძოლას დაიწყებდა ხოლმე ,,პირველი“. მისი თოფის გასროლა იყო ქართველ მხედართათვის სიგნალი—ის სამხედრო ნიშანი, რომლის შემდეგ ქართველნი გათამამებულნი მტერს ვაჟკაცურად და უშიშრად დაერეოდნენ ხოლმე. 1748 წელს მოხდა ბრძოლა დედოფლის წყაროზე. დიდძალი ლეკების ჯარი, რომლის წინამძღოლად იყო დაღესტნის ბელადი ყოჩაღი, უცებ და მოულოდნელად დაეცა

ერეკლეს მჴედრობას. საჩქაროდ მოაჴრინდა ერეკლე ცხენს და პირველმა თვით ესროლა თოფი და ,,ყოველთა უწინ მან მოკლა კაცი‘‘. შემდეგ უბრძანა ,,მჴნედ შეტევება‘‘ და გაცხარებული შეტაკების შედეგი იყო საშინელი დამარცხება და განდევნა ლეკებისა.

მეფე ერეკლე, თავდა-პირველად, იმ გვარი მჴედართ მთავარია, რომელსაც ბრძოლის ველზედ სწადს მტერთან პირ და-პირი შეტაკება; მას კარგად ესმოდა, რა განსხვავება სუფევს სამხედრო მანქანების და ავაზაკურად მოქცევის შორის. ერეკლეს სანატრელად მიაჩნდა მოკვლა და გაჟლეტა იმ მტრისა, რომელიც საქართველოს სჩაგრავდა, მიწასთან ასწორებდა და ჩვენ სამშობლო არე-მარეს აოხრებდა. ამ გვარ მტერს მოსაკვლელად ერეკლე ისე არ დაზოგავდა, როგორც გარეულ მხეცსა. საზოგადოდ ერეკლე ომში განურჩეველია; მხოლოდ ბრძოლის შემდეგ სულ სხვა ნაირად ექცევა იმ მოწინააღმდეგე ტყვეს, რომელიც ომობდა თავის მამულის დასაცველად. აღმოსავლეთის სამხედრო ჩვეულების ძალით ქართველები მომეტებულად ტყვეებს ხოცავდნენ და მათ თავებს წარუდგენდნენ ხოლმე გამარჯვებულ მეფესა. ამას გვიმოწმებს მე-XVIII საუკუნის მემატიანე პაპუნა ორბელიანი. ერეკლე მეფე ქართველებს ნებას არ აძლევდა მოეკლათ ის მოწინააღმდეგე ტყვე, რომელიც თავის სიცოცხლეს სამშობლოს სხვერპლად სწირავდა. ამ გვარ მოწინააღმდეგეში მეფე აფასებდა კაცის ღირსებასა, ნამდვილ ადამიანურ თვისებასა. ამიტომაც ადვილი გასაგებია ჩვენთვის ის საყვედური, რომელიც ერეკლემ გამოუცხადა ქართველებსა, როდესაც ეს უკანასკნელნი ავაზაკურად ჰკლავდნენ ინდოეთში დაჭერილ ტყვეს: ,,ქართველებო! თქვენ არ გეკადრებათ ავაზაკურად მოკვლა იმ კაცისა, რომელიც მამულისათვის სხვერპლად თავს სწირავსო‘‘.

მეფე ერეკლე შემკულია იმ გვარ თითქო ზეგარდამო ნაბოძი თვისებით, რომლის ძალით უბრალო მხედარს ამამაცებდა, აგულადებდა. საზოგადოდ სამხედრო ნიჭის უპირატესობა უფრო იმაში გამოიხატება, თუ რამდენად სარდალს აქვს ზნეობრივი ძალა მრავალ გვარი ჯარის კაცნი გახადოს ერთ სულად და გულად, — რამდენად წინამძღოლი მხედარს შთაუნერგავს გულში ერთ მაღალ წადილსა, რომლით გატაცებული მხედარი ბრძოლაში თავს არ დაინანებს, არ დაიზოგავს. ამ დაუფასებელი თვისების ქონებით მეფე ერეკლე ბევრს გამოჩენილს სარდალს არ დაუვარდება. ერეკლეს სიტყვა, წარმოთქმული ომში ქართველი ჯარის წინ, არის, ერთის მხრით, ის უძვირფასესი მარგალიტი, რომელიც გვიმტკიცებს მის ნამდვილ სახალხო ტრიბუნის ნიჭსა; — მეორეს მხრით, იგი სიტყვა წარმოადგენს იმ ქუხილის მზგავს ძალას, რომელიც ნაპერწკალივით ედება ადამიანის გულსა და სწვავს მას. ეს სიტყვა მსმენელს ერთბაშად გაიტაცებს და არც კი აძლევს დროს წინააღმდეგი რამე ათქმევინოს. ასეთი ძლიერია ნამდვილი მჭევრ-მეტყველის სიტყვა.

1747 წელს ნადირ-შაჰმა მოსთხოვა საქართველოს ნახევარი მილიონი ფული. ზარდახდა ამოდენა ხარკისა საქართველოსათვის ძალიან სამძიმო და თითქმის შეუძლებელი საქმეც იყო. ყველას ეგონა, რომ ნადირ-შაჰი სპარსეთში გადასახლებას გვიპირებსო. იყო დრტვინვა და ვაება საქართველოში . . . ყველა ეთხოვებოდა სამშობლოს საუკუნოდ. ამ დროს ორნივე მეფენი თეიმურაზ II და ერეკლე II შეკრბენ სათათბიროდ. თათბირზე დაესწრნენ საქართველოს დიდებულნი და წარჩინებულნი. აქ გადასწყვიტეს, გაეგზავნათ დესპანები და ეთხოვნათ ნადირ-შაჰისათვის ხარკის შემცირება. კერძოდ ერეკლე მეფე წინააღმდეგი იყო ამ წინადადებისა და აი რას ეუბნებოდა ამ გაჭირებულ

დროს მოთათბირეთა: ,,ჩემო ძმებო, უშიშარნო ქართველებო! რათ უნდა ვთხოვოთ ხარკის შემცირება იმ ნადირ-შაჰსა, რომელსაც ჩვენის მკლავის ძალა უნახავს და ჩვენი შეურყეველი ვაჟკაცობა უცდია. ამის შემდეგ, როგორ უნდა დავიმციროთ თავი და ვსთხოვოთ რამ უშიშარმა ქართველებმა, ვინ იცის, რამდენ ომების ცეცხლში გამოვლილებმა! ეს არ გვეკადრება ვაჟკაც ქართველებსა . . . იქნება თქვენი ძალ-გული დაკარგული იყოს ინდოეთსა? არა . . ამას ნუ მაქმევინებთ თქვენზედა, ნუ დაგიმცირებიათ ეგრე გული ჩვენი'ს მამა პაპისა. კიდევ შეირტყით სიმხნე და დანარჩენი ღმერთმან იზრუნოს''.

საქართველოს ხალხი დაეხიზნა სხვა-და სხვა სიმაგრეებში. თვით ერეკლემ გაამაგრა არაგვის ხეობა, სადაც მოელოდა განძვინებულს და ჭკუაზე შეშლილს ნადირ-შაჰსა. როცა ჯარი სულ ერთიანად მოგროვდა, ერეკლემ წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვა, რომელმაც დიდად გაამხნევა ქართველები. აი ეს სიტყვაც: ,,უშიშარნო ქართველებო! ეხლა არის თქვენი გამოჩენის დღე. ნამეტნავად იმ განძვინებულის ნადირის წინაშე, რომელსაც ჩვენი გაქრობა უნდა და ჩვენს ნაცვლად: სპარსელების დასახლება. სწორე მამულის შვილი მოითმენს განწირულს სიღარიბესა, მოითმენს ცეცხლსა და ყოველსა საშინელებასა, რასაც კი ვიტყვით, მაგრამ ჩვენს მამულზედ ჩვენს ნაცვლად სპარსელების დასახლება, რომელმა უნდა მოითმინოს, თუ არ დავრდომილმა ქალაჩუნამ ანუ გამყიდველმა ანგარმა? — ქართველებო! თქვენ ის არა ხართ, რომ სპარსეთი გაიარეთ და ინდოეთში შეხვედით, ის მომთმენნი ქართველები შორის გზისა? რისთვის შეიწყნარეთ ის შრომა, მწუხარება, თუ არ თქვენი მამულისათვის? . . . რისთვის ემსახურებოდით დიდრონს ომებშია ისე თავ-დადებით ნადირ-შაჰსა, რომელსაც აკვირვებდა თქვენი შეუ-

პოვარი მკლავის ძლიერება! ქართველებო! ინდოეთის ომებში მეგობრობით რომ აკვირვებდით ნადირსა, აბა აქ გმართებსთ თქვენ ადრე გაძლიერებულ მეგობრის წინაშე და ახლა კი განძვინებულის პირის-პირ მდგომთა ქართველებისა . . . აქ შინ აღარავინ უნდა დაგრჩეთ; დედაკაცებმაც იარაღი შემოირტყან და საერთო სისხლის ღვრა მოხდეს და იქ გადაწყდეს ჩვენი არსება ქართველებისა, მაშინ დაინახავს ის ნადირი, ჩვენი მეგობრობა რა არის იმისთვის და ან მტრობა“ . . .

მსოფლიო ისტორია ბევრს წარჩინებულს სარდლებს ჩამოსთვლის, მხოლოდ ერეკლესთანა მჭევრ-მეტყველი მხედართ მთავარი, პირუთვნელად ვიტყვი, სწორედ იშვიათი მოვლენაა. ბევრი ევროპიელი სარდალი, როგორც მაგალითად ევგენი სავოელი, ტიურენი, იყო მოკლებული ამ მეტყველების ნიჭსა. ყოველს ერეკლეს ჯარისადმი მიმართულ სიტყვაში ხელ-სამძლევან გრძნობის შინაარსა შეადგენს ქართველების მაღალი და კეთილშობილური ნაციონალური სიამაყე, რომელიც იყო შედეგი ჩვენი წარსული დრამატიზმით აღსავსე ცხოვრებისა. ეს იმ ქართველის სიამაყეა, რომელზედაც ჩვენი ნიჭიერი პოეტი გრიგოლ ორბელიანი სამართლიანად ამბობს:

„შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა,
იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე თავის მიწისა“.

## II.

სიყრმეშივე ერეკლე იმისთანა მდგომარეობაში იზრდებოდა, რომ მისი სამხედრო ნიჭი მწიფდებოდა არა წლობით, არამედ საათობით. ერთი ის ისტორიული გარემოება, რომელმაც ერეკლეზე იქონია დიდი გავლენა და რომლის საშუალებით მან

ბევრი რამ შეიძინა, იყო, რასაკვირველია, ერეკლეს ინდოეთში ყოფნა ნადირ-შაჰის დროს. ამ ინდოეთში ყოფნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ერეკლესათვის კერძოდ და საზოგადოდ იმ ქართველებისათვის, რომელნიც პატარა კახის დროშის ქვეშ იმყოფებოდნენ. თვით ერეკლე სპარსეთიდამ სწერდა თავის დას ანნას, რომ ინდოეთში დიდად გამოვიცადეო, ბევრი რამ ვნახეო, მხოლოდ შთაბეჭდილებების აღწერა კი მეძნელებაო.

მრავალ გვარი ბრძოლა, საშინელი ომები, შეუპოვარი შეტაკებანი ინდოეთის ნიადაგზე — აი სწორედ ერეკლეს სამხედრო სკოლა, რომელშიაც მისი ნიჭი ძალიან გაიწრთვნა.

რა მიზნით, ან როგორ მოხდა ერეკლეს ინდოეთში წასვლა? აი გარემოებანი ამ შესანიშნავი ისტორიული ფაქტისა. 1736 წ. თეიმურაზ მეორე მრავალი გამოჩენილი ქართველებითურთ სხვა და სხვა პოლიტიკური მიზეზების გამო დაიჭირეს და სწრაფლ გაგზავნეს სპარსეთს. მოიყვანეს თუ არა თეიმურაზი ისპაანში, იგი გაანთავისუფლეს პყრობილობისაგან და მიიღეს დიდის პატივით, როგორც შეჰფერის მეფის ღირსებასა. სწორედ ამავე დროს სპარსეთის შაჰი ნადირი ემზადებოდა ავლანეთში საომრად და თვით თეიმურაზიც ყანდაარს წაიყვანა. ნადირ შაჰი ძალიან აფასებდა ქართველების ვაჟკაცობას და მას ჰქონდა გულითადი წადილი დაებარებინა სამასი ახალგაზდა ქართლ-კახელი პატარა ერეკლეს წინამძღოლობით. მეფე თეიმურაზს ეს შაჰის წადილი მალე გამოუცხადეს ამ სიტყვებით: „რომელიმე შენი შვილი დაიბარე და რა ის შთამოვა, შენ მაშინ დაგითხოვთო“; ამასთანავე ნადირმა ერეკლესაც კერძოდ გაუგზავნა დაბარების წერილი. ჩვიდმეტი წლის ერეკლემ დიდის სიამოვნებით აასრულა შაჰის თხოვნა და მის მაგივრად 1737 წ. თებერვალს იახ-

ლა ნადირ-შაჰსა. როდესაც ერეკლე პირველად წარსდგა შაჰის წინაშე, ნადირმა საშინელის მრისხანებით და სასტიკად ჰკითხა: ,,არ მიიღებ მაჰმადის რჯულსაო?"—ერეკლემ, როგორც დიდად ღვთის მოყვარე ყრმამ უშიშრად მიუგო პასუხი:,, ჩემი სიკვდილი შესაძლებელი არის და სულისა ვერვისა ძალ-უძს და არც მე მივიღებ მაჰმადის სჯულსაო.,,—ამ გვარი ნამდვილი გმირული და პირდაპირი პასუხი ძალიან მოეწონა ნადირ-შაჰსა და ერეკლეს შემდეგი ნუგეში სცა:,, ნუ გეშინიან, მე აღარ გაიძულებო."

ამ ნაირად სახელოვანი სპარსეთის შაჰი შეიქმნა სამხედრო მასწავლებლად ერეკლე მეფისა. ნადირი ამბობდა, რომ ქართველი მცირე რაზმი ინდოეთში მხოლოდ იმიტომ მიმყავს, რომ სამხედრო საქმეებში გავწვრთნოვო; მაგრამ ჩვენკი ვფიქრობთ, რომ ჰკვიანს ნადირ-შაჰსა სხვა მოსაზრებაცა ჰქონდა. შაჰს არ უნდოდა მალე დაებრუნებინა თავის ქვეყნისათვის ისეთი გმირი და წარჩინებული სარდალი თავის რაზმით, როგორიც იყო ერეკლე ბატონიშვილი. თუმცა ეს ასეა, მაინც ჩვენ გვაქვს საბუთი ვთქვათ, რომ ნადირ-შაჰმა, როგორც ღვიძლი-შვილი, ისე გამოუზარდა საქართველოს პატარა ერეკლე, ეს ,,დიდება ივერიისა."

ვინ იყო ნადირ-შაჰი? როგორ გაითქვა გამოჩენილი სარდლის სახელი? არ იქნება უმნიშვნელო, რომ გავიცნოთ მისი ვინაობა; ეს მით უფრო საჭიროდ მიმაჩნია, რომ ნადირ-შაჰსა აქვს მნიშვნელობა მე-XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიაში. როდესაც ზოგიერთი დასავლეთ ევროპიის მწერალი, როგორც მაგალითად ბუგანვილი, ამტკიცებს თავის ისტორიულ ნაწერებში, რომ სპარსეთის გავლენა საქართველოზე უფრო საკეთილო და უფრო ნაყოფიერი იყო, ვიდრე ოსმალეთისაო,

ამისთანა მწერალს, ჩემის აზრით, სახეში აქვს ნადირ-შაჰის დრო, 1735 წლიდამ 1747 წლამდე. ამ დროს სპარსეთი მართლა მფარველი და მოსარჩლე იყო საქართველოსი.

წარსულ საუკუნეში კული-ხანმა დაიჭირა სპარსეთის ტახტი და დაირქვა სახელად ნადირ-შაჰი. ამ შაჰმა დაიპყრო ინდოეთი და ამის გამო დიდი სახელი გაითქვა. საზოგადოდ ნადირ-შაჰი მიაჩნდათ სპარსთა „ალექსანდრედ“. მაშინდელს ფულზე ამისთანა ზედწარწერას ამოიკითხავდით: „მსოფლიოს მეფედ დაბადებული, რომლის მზგავსი არავინ არის, წოდებული მეფედ-მეფედ, ვინ არს ესე?—ნადირ-შაჰი.“ დასავლეთ ევროპაში ვრცელდება სხვა და სხვა ენებზე მთელი ლიტერატურა, რომელიც შეეხება ნადირ-შაჰის მოქმედებას, იმის ცხოვრებას, იმის გმირულ სარდლობას. ამ საგანზედ სწერდნენ ფრანგები, ჰოლლანდიელები, ინგლისელები, გერმანელები და რუსებიც. საყურადღებოა, რომ ამ საუკუნის დამდეგშიაც რუსულს ენაზე მოიპოვებიან დრამატიული თხუზულებანი, რომელშიაც უმთავრეს მოქმედ პირად ნადირ-შაჰია. სხვათა შორის ერთი ამ გვარი დრამა დაწერილია პლავილშჩიკოვის მიერ. ეს დრამა დაბეჭდილი იყო ს.-პეტერბურგში 1816 წელსა. ამ პიესაში ჩართულია აგრეთვე ნადირ-შაჰის სურათიცა.

ნადირ-შაჰი იყო ლამაზი, წარმოსადეგი და ახოვანი კაცი; იმისი დიდებული და კეთილშობილური სახე კაცს ძალა-უნებურად მიიზიდავდა. ბუნებას უხვად დაესაჩუქრებინა ეს კაცი ნიჭით. თავისი ნიჭი მან მალე გამოიჩინა, როგორც სამხედრო საქმეებში, ისე ქვეყნის მართვას და გამგეობაში. აი სწორედ ამ თავის დროს სახელგათქმულს შაჰს ჰქონდა დიდი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში.

ნადირ-შაჰის ზოგიერთმა ქართველთათვის სასარგებლო განკარგულებამა ცოტა ხანს სული მოაბრუნებინა წარსულს საუკუნეში ჩვენს დასუსტებულს ქვეყანას. მაგრამ ვიდრე ამ საგანზედ ვიტყოდე რასმე, საჭიროდ ვრაცხ ორიოდე სიტყვა ვთქვა ნადირ-შაჰის შთამომავლობაზე. ევროპიელნი მწერალნი არ არიან ერთისა და იმავე აზრის სპარსეთის შაჰის ვინაობის თაობაზე. ზოგი ამტკიცებს, რომ ნადირი იყო ინგლისელი, ზოგს კიდევ ფრანცუზი ჰგონია. სხვათა შორის ერთი ჰოლანდიელი ავტორი, კაცი ფრიად მცოდნე და გაგებული, ამტკიცებდა, რომ ნადირ-შაჰი გოლლანდიელი ბერიაო. აგრეთვე შაჰის შთამომავლობის შესახებ მაშინდელ ევროპიელთ შორის ის აზრიც იყო გავრცელებული, ვითომ ნადირ-შაჰი შთამომავლობით ქართველი თავადიშვილი იყოვო. სახელს და გვარს ამ ქართველის თავადიშვილისას მემატიანენი, სამწუხაროდ, არ ასახელებენ. ჩვენ მაინც ვეცდებით გავრცელებით ვაცნობოთ მკითხველებს ეს აზრი მაშინდელის ევროპიელებისა.

ნადირ-შაჰი იყოვო, ამბობენ ევროპიის ზოგიერთი მწერალნი, კეთილშობილთა ჩამომავლობისა. იმისმა მამამ, თავის დროს დიახ გამოჩენილმა და მოწინავე ქართველმა თავადმა, თავისი სიცოცხლე სხვერპლად შესწირა სამშობლოს მტერთან ბრძოლის დროს. მამის სიკვდილის შემდეგ, იმისი შვილი კულიხანი, იმედ დაკარგული თავის სამშობლოში, წავიდა საზღვარ გარედ. რადგან ამ ახალგაზდა თავადიშვილმა მტრებთან ბრძოლაში დიდი მამულიშვილობა გამოიჩინა და ძლიერი წინააღმდეგობაც გაუწია მტერსა, ამიტომ ძალიან ეშინოდა, რომ მტერი უეჭველად ჯავრს ამოიყრიდა. ვიდრე სამშობლოდგან განიელტოდა, ყმაწვილმა კულიხანმა ქართველთა შორის ბევრი ამხანაგები შეაგროვა და შემდეგ მათთან ერთად გასწია საქარ-

თველოდგან. პირველად ლტოლვილნი შეეხიზნენ დაღისტნე-ლებს და იმათ სიახლოვეს შემწეობა. დიდ დროს არ გაუვლია ამის შემდეგ და ახალგაზდა თავადიშვილი პატარა ჯარის უფროსად დაინიშნა. ამ პატარა ჯარით ახალგაზდა სარდალი წავიდა საო-მრად ავღანელების წინააღმდეგ. ეს ომი კულიხანმა დიდის ხე-ლოვნებით აწარმოვა და მალე დაამარცხა ავღანელნი. ელ-ვის სისწრაფით გაუვარდა ხმა ამ ახალგაზდა თავადიშვილსა ნიჭიერის სარდლის სახელი და თან და თან ჯარიც გაუმრავლდა. ქულიხანის გასაოცარმა მამაცობამ, იმისმა შესანიშნავმა სამხე-დრო ნიჭმა დიდად გააკვირვა მთელი სპარსეთი. ეს ქვეყანა, როგორც უკვე მოგეხსენებათ, მე-XVIII საუკუნის დასაწყისში ძირეულად იყო შერყეული. ამ დროს სპარსეთში იშვიათი არ იყო არეულობა ტახტის მემკვიდრეობის გამო. ამით სარგებ-ლობდნენ სპარსეთის ქვეშევრდომნი ხალხნი, რომელნიც მალ-მალ აჯანყდებოდნენ ხოლმე. პირველად ავღანელთა შორის გამოჩნდა ის მრისხანე ღრუბელი, რომელმაც შეარყია მთელი სპარსეთი. 1721 წელსა სამოცი ათასი ჯარით ავღანელების წი-ნამძღოლმა მირ-მახმუდმა აიღო სპარსეთის სატახტო ქალაქი ისპაანი. სპარსეთის შაჰმა გუსეინმა უარჰყო გვირგვინი და გადასცა მეორე შვილს ტახმასსა. სწორედ ამავე დროს აჯანყდნენ ქართველებიც და რამდენსამე ბრძოლაში სპარსელების ჯარი განაბნიეს საქართველოდგან. 1730 წელს სპარსეთის შაჰი ტახმას დიდ გაჭირებაში ჩავარდა: ამ შაჰს მოაკლდა სამხედრო ძალა. აი სწორედ ამ დროს სახელგათქმული ქართველი თავადიშვილი კულიხანი გაძლიერდა თავის საკუთარის ჯარის წყალობით და სპარსეთის შაჰს ტახმასს შემწეობა აღმოუჩინა. ამ ამბავმა შაჰი ძალიან გაამხიარულა, მოიწოდა კული-ხანი და თავზე აკოცა პატივისცემის ნიშნად. შაჰმა მადლობა გამოუცხადა შემწეობი-

სათვის კულიხანს და დანიშნა სრულიად სპარსეთის ჯარის სპასალარად. ცოტაოდენის ხნის შემდეგ კულიხანი გახდა რეგენტად და მერე-კი 1735 წელს ავიდა სპარსეთის ტახტზედ ნადირ-შაჰის სახელით. ამავე წელს ქართველებმა სპარსელების დახმარებით გადევნეს ქართლ-კახეთიდგან ოსმალნი. მას უკან ქართ- [illegible] დირ-შაჰის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. 1747 [illegible] ქართლ-კახეთი მოქმედობს თითქმის ყოველთვის სპარსელებთან ერთად-

ავიდა თუ არა ნადირ-შაჰი სპარსეთის ტახტზე, მაშინათვე გამართა მიწერ-მოწერა ხონთქართან. სხვათა შორის გაუგზავნა ხონთქარს ერთი ფრიად საყურადღებო წინადადება, რომლის მესამე მუხლი ამბობს: „უნდა სამუდამოდ აღკრძალული იქმნას ქართველ ტყვეების გასყიდვაო“. ხონთქარმა უნდა შეისყიდოს ეს ტყვენი და ამ უკანასკნელთ მისცეს უფლება თავიანთ სამშობლოში დაბრუნებისაო. გარდა ამისა ნადირ-შაჰმა დააწესა ის კანონი, რომლის ძალით სპარსეთში მყოფ ქრისტიანებს მიენიჭათ დიდი თავისუფლება. ამ გვარი თავისუფლება ნადირ-შაჰმა მიანიჭა ყველა სარწმუნოების წარმომადგენელებსაც. მაგრამ ყველაზე შესანიშნავი ის არის, რომ ნადირ-შაჰმა სრულიად უარჰყო ერთი ბარბაროსული კანონი. აი რა კანონი იყო ეს კანონი: საქართველოს ისტორია გვიმოწმებს, რომ ბევრი ჩვენი მეფენი ძალაუნებურად გამამადიანებულან, მაგალითად: როსტომ I, ერეკლე I, თვით სჯულ-მდებელი საქართველოსი ვახტანგ VI და სხვანი .. ჭირვეული სპარსეთის შაჰები ამას არა კმაროდნენ და სტანჯავდნენ იმ ქრისტიანებს, რომელნიც მათ სამსახურში იყვნენ. აი სწორედ ეს კანონი, რომელიც ძალას ატანდა ქართველებს სპარსელების სამსახურში ყოფნის დროს უეჭველად მიეღოთ მაჰმადის რჯული, ნადირ-შაჰმა აღარ შეიწ-

ყნოა. აქედამ ცხადად სჩანს, რომ შედარებით ქართველებისა-
თვის ნადირ-შაჰი უფრო გულ-შემატკივარი იყო, ვიდრე სხვა
შაჰები. მან დაურიგა ქართველებს მრავალი მამულები და ფუ-
ლი ჯარის შესაკრებად. ამით შაჰმა ქართველები გაიერთგულა;
ამ წყალობის სამაგიეროდ ნადირ შაჰი ყოველთვის, როცა კი
მოისურვებდა, მოითხოვდა ქართველთ მშვენიერ ცხენოსან ჯარს.
ბევრი იმ დროის წარჩინებულ სპარსელთ სარდლებში [illegible]
ლებიც ერივნენ, როგორც მაგალითად, ბატონიშვილი ერეკლე,
რომელიც დიდს მონაწილეობას იღებდა ავღანელების და ინ-
დოეთის ომებში. როგორ მოხდა ინდოეთის ომი? რა მიზნით
გაილაშქრა ნადირ-შაჰმა ინდოელების წინააღმდეგ?

ნადირ-შაჰის დროს მეორედ აჯანყდნენ ყანდაარის ავღანე-
ლნი, რომელთაც დიდ შემწეობას უჩენდა ინდოელების მოგო-
ლი მამადი; ამ ინდოეთის მეფემ ნადირი არ შეიწყნარა სპარსე-
თის შაჰად. ამ დიდი შემწეობით დაიმედოვნებულმა ავღანე-
ლებმა ძალიან გაამაგრეს ყანდაარი. ამის გამო თავდაპირვე-
ლად აჯანყებულნი დაიმორჩილა და შემდეგ 1738 წელს ნადირ-
შაჰი ძლევა-მოსილი ჯარით წავიდა ინდოეთში საომრად. მამა-
ცურად გადაიარა ინდოეთის მთები და მიუახლოვდა ქაშემირსა;
ეს ქალაქი იყო სამაგალითო სამხედრო ალაგი და ამიტომ ძა-
ლიან გაამაგრა მოგოლმა, რათა დაიცვას სოლიმანის მთების
შესავალი; მაგრამ ეს გამაგრებული ციხე-ქალაქი ვერას გაუხდა
ნადირ-შაჰსა. ქალაქ ქაბულს ახლო სპარსელთ დახვდათ დიდძა-
ლი ინდოეთის ჯარი. აქ მოუვიდათ საშინელი შეტაკება და სის-
ხლის ღვრა, რომელშიაც საქმე წააგეს ინდოელებმა. ამ გვარივე
გაცხარებული ომი მოუვიდათ ქალაქ ლაჰურის ახლო. თანამედ-
როვე მწერალის სიტყვით, აქ სამაგალითოდ იბრძოლა ცხენო-
სანმა ჯარმა, რომელშიაც ჩვენი პატარა კახიც ერია. თვით

ბატონიშვილი ერთ წერილში აღტაცებით იხსენიებს ამ გამო-
ჩენილ ომსა და ქართველების სიმამაცეს. ამ გამარჯვებით გა-
თამამებულმა ნადირ-შაჰმა აიღო ქობულისტანი, მულთანი, ბუ-
ქორი და მიუახლოვდა სინდეთის სამეფოს, რომელიც შეად-
გენდა ნამდვილ ინდოეთსა.

ამბობენ, ვითომ სინდეთის საზღვარზე, სადაც სპარსეთის ჯარი დროებით შეჩერდა, ნადირ-შაჰი იყო დიდად გაკვირვებული და თანაც შეშინებული ერთი უცნაურის მოვლენისაგან: ერთ ალაგს დაინახეს ბოძი, რომელზედაც იყო დაწერილი შემდეგი სიტყვები: ,,ის, ვინც გადაივლის საზღვარს ამ სამეფოს დასაპყრობად, სიკვდილით იქნება დასჯილი და მის ხსენებას მოპავალში მოელის მუდმივი წყევლა‘‘. ამ სიტყვებმა საშინლად შეაშინეს გულადი ნადირ-შაჰი, რომელიც დიდხანს ღრმად ფიქრობდა. ბევრსა ჰკითხა დარიგება, მაგრამ ვერავინ დააკმაყოფილა სპარსელთ გმირი; მაშინ შაჰმა ჰკითხა ერეკლეს: ,,რას იტყვი შენ ამაზეო? წავიდეთ საომრად, თუ უკან დავბრუნდეთო? ეს ბოძი, სწორედ რომ, საშინელებააო!‘‘

— ბოძი, მშვიდობიანად უპასუხა ერეკლემ, საშიშარს არას წარმოადგენს; საჭიროა, მხოლოდ ავკიდოთ სპილოს ზურგზე და ასე ჩვენ წინ ვატაროთ, ვიდრე სამეფოს დავიპყრობდეთო. ეს მახვილი რჩევა ერეკლესი ძალიან მოეწონა ნადირ-შაჰსა და ამის შემდეგ მალეც აიღეს სინდეთის სამეფო. ამბობენ, ვითომ სპარსეთის შაჰმა 20,000 ოქროთი დაასაჩუქრა ერეკლე და დაუნიშნა უპირველესი ალაგი დიდებულთა შორის.

მრავალის ჯარით სპარსელნი გამარჯვებულად მიადგნენ სინდეთის სატახტო ქალაქ დელისსა, რომლის აღების დროს მოხდა შეუბრალებელი კაცთა ჟლეტა, გაუთავებელი ბრძოლა. ევრო-

ჰიელი არტილერიის ინჟინერებმა, რომელნიც შაჰის ჯარში იმყოფებოდნენ, ზარბაზნებით სრულიად დაანგრიეს ქალაქი დელისი. სპარსეთის ჯარმა, გაცოფიანებულმა სისხლის ღვრით, ააოხრა და მიწასთან გაასწორა ეს სატახტო ქალაქი. თუმცა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ინდოელებმა, თუმცა ბევრმა სხვერპლად შესწირა სიცოცხლე მამულის დასაცველად, მაგრამ ნადირ-შაჰის ძალას ვერა უყვეს რა და მოგოლი ინდოეთისა დაემორჩილა სპარსელთ. თვით ნადირ-შაჰმა მიიღო წოდება ,,ინდოეთის იმპერატრისა''.

ამ ინდოეთის ომებში დიდი სახელი განითქვეს, როგორც საზოგადოდ ქართველობამ, ისე კერძოდ ერეკლემ. პატარა ერეკლე ყოველს დიდს ბრძოლაში, ვაცხარებულ შეტაკებაში დაესწრებოდა ხოლმე და აქ იჩენდა თავის მხნეობას, შეუპოვარ გულადობას, ნამდვილ ვაჟკაცობას და სამაგალითო მამაცობას.

ინდოეთში ყოფნის დროს ერეკლემ სამხედრო ნიჭის გარდა, ბევრი ძვირფასი ადამიანური თვისებაც გამოიჩინა; მაგალითად, აი ერთი იმ დროის მშვენიერი სურათი: ერთ ინდოელების რაზმთან ქართველებს მოუვიდათ ცხარე და შეუპოვარი ბრძოლა. ქართველებმა მალე განაბნიეს ინდოელნი, მხოლოდ ამავე დროს ერთი ღონიერი და ახოვანი ინდოელი მხედარი ძალიან გაჭირვეულდა და მამაცურად იბრძოდა. ქართველებმა იგი მალე დაიჭირეს მწყერივითა და მაშინათვე წაართვეს იარაღი და გაბრაზებულებმა მოიწადინეს ინდოელის მოკვლა. სად იყო, სად არა ელვის სისწრაფით გაჩნდება პატარა კახი და ქართველებს შეჰყვირებს: ,,თუ თქვენ მაგ მხედარს მოჰკლავთ, მე დიდად მეწყინებაო''. ერეკლეს სიტყვამ მალე დაამშვიდა ქართველები და მათ ხმლები ქარქაშს მიაქციეს. ერეკლემ მაშინათვე ეს წართმეული იარაღი პატრონს გადასცა და ამ საქციელის

გამო დიდად უსაყვედურა ქართველებს ამ სიტყვებით: ,,ქართველებო! როგორ გეკადრებათ ნამდვილი მამულის შვილის მოკვლა ისე, როგორც უბრალო ავაზაკისა, ნუ დაივიწყებთ, რომ იგი გატაცებით იბრძოდა თავის მამულის დასაცველად''. შემდეგ ამისა ერეკლემ მიმართა ინდოელს ამ საიმედო სიტყვებით; ,,ინდოელო! მე დიდად მომწონს შენი მამულის ერთგულება; როგორც აქამდინ იბრძოდი მამულისათვის, ისევ ისე ემსახურე თავ-დადებით; დეე შენმა მოძმეებმა დაინახონ, რომ შენ სწორედ ნამდვილი მამულიშვილი ჰყოფილხარ. აჰა, ეს შენი იარაღი შენივე იყოს და შენი მამულის ერთგულება ისევ შენთვის მოგვიცია ჩვენ-ქართველებსა''.

ამ გვარი მოულოდნელი საქციელით განცვიფრებულმა ინდოელმა ერეკლეს დიდი მადლობა მოახსენა და თავისებისაკენ გასწია.

ნადირ-შაჰს, რომელიც იყო გაკვირვებული ერეკლეს სამხედრო ნიჭით, იგი შეუყვარდა შვილივით. ეს სიყვარულიც მალე დაამტკიცა მან. ერთის საშინელის ომის დროს შაჰი სწრაფლად ცხენიდგან გადმოხტა, მოუწოდა თავისთან ერეკლეს, მოიხსნა წელიდგან ხმალი და ერეკლეს შემოარტყა; ,,შენმა ქართველებმა და კერძოდ შენ ისე მომაწონეთ თავი, რომ ამ დიდს ომშივე მე მსურს დიდი მადლობა გადაგიხადოთ; ეს ხმალი იყოს ჩემი სახსოვარი; თქვენმა შვილის-შვილმან ნახოს ხოლმე ეს ხმალი და იტყოდეს: ,,ნადირ-შაჰი გააკვირვა იმ ქართველებმა, რომელნიც მის წინაშე ძლევა მოსილობდნენ დიდის მამაცობით და გულადობითაო''. ნადირ-შაჰმა ღირსეულად დააფასა ქართველთა შრომა. ინდოეთის ლაშქრობის გათავების უმალვე მან გამოუცხადა ბატონიშვილს ერეკლეს დიდი

მადლობა და ამასთანავე უბრძანა შემდეგი: ,,მეფის ძევ ერეკლე, შენ ეჭირვები სამშობლოს და ნება მომიცია შენს ქვეყანაში წასვლისა. Iყავ მარადის ჩვენი წყალობის მოიმედეო.“ ეს სიტყვა წყალობისა მალე საქმედ გადიქცა. 1744 წ. ნადირ-შაჰმა ერეკლე დაამტკიცა კახეთის მეფედ და თეიმურაზი კი— ქართლისად.

წინად ვთქვი, რომ ერეკლეს ინდოეთში ყოფნა იყო მისი სამხედრო შკოლა. თვით ერეკლეც დიდ მნიშვნელობას აძლევდა ამ გარემოებას. ამას გარდა ეს დრო შესანიშნავია მით, რომ მთელმა რაზმმა ახალგაზრდა ქართველთა აქ ინდოეთის ნიადაგზე შეისწავლა ყოველნაირი სამხედრო წესი, აზიური სამხედრო მანქანებანი. იქ მყოფნი ქართველნი შეიქმნენ ღონიერი მკლავების და შეურყეველი ვაჟკაცობის მქონენი. აი რას ამბობდა ერეკლე მეფე ამ ქართველების შესახებ: ,,ქართველებო! თქვენ ის არა ხართ, რომ უშიშრად შეხვედით ინდოეთში, ის მომთმენნი ქართველები შორის გზისა? რისთვის შეიწყნარეთ ის შრომა და მწუხარება, თუ არ თქვენი მამულისათვის? რისთვის იბრძოდით იმ დიდრონს ინდოეთის ომებში, სადაც ერთობ ყველა გაკვირვებული იყო თქვენის შეუპოვარის მკლავის ძლიერებით“.... აქ, ეჭვი არ არის, იგულისხმებიან ის ნამდვილნი ქართველნი, რომელნიც შეადგენდენ იმ დროის ახალგაზრდობის თაიგულსა; მათი პირველი და უკანასკნელი არსებობის მიზანი იყო სამშობლოს სიყვარული, მისი დაცვა შინაგან და გარეგან მტრებისაგან. ჩვენდა საუბედუროდ, რიცხვი ამგვარის მამულის შვილებისა თან და თან მცირდებოდა და 1795 წელს იმ საშინელს და დასაღუპავ დროს, როდესაც მტერმა გაგვიოხრა სამშობლო და დედა ქალაქი, თვით ერეკლე

წარმოადგენდა უფერულ ცაზე იმ მკრთალ სამხრეთის ვარსკვლავსა, რომლის შუქი ალარავის ალარც-კი ათბობდა . . ამისთანა მდგომარეობამ ბევრი დროც არ გასტანა. ეს სანატრელი და სანუგეშო მნათობიც უცებ ჩაქრა . . . და მოსცილდა სამუდამოდ ჩვენს საყვარელ სამშობლოს . . .

## III

წარსულს საუკუნეში საქართველოს ჯარი თავის სიმამაცით და გულადობით იყო დიდად გათქმული არა თუ აზიაში, სადაც იგი ასპარეზობდა, არამედ თვით დასავლეთ ევროპაშიაც. ევროპიელთ უფრო ძლიან მოსწონდათ ჩვენი ცხენოსანი ჯარი, რომელსაც იგინი უწოდებდენ ,,მშვენიერს.'' რუსეთის ღენერლებიც ჩვენი ჯარის შესახებ კარგი აზრისანი იყვნენ. მაგალითად, გენერალი ლაზარევი (*) ერთ თავის მოხსენებაში 1801 წელს დიდის აღტაცებით იხსენიებს ჩვენს ცხენოსანს ჯარს, თუმცა აქვე შენიშნავს, რომ ქართველთა მხედარნი ერთობ ღარიბია შეიარაღებით. ლაზარევს არ მოსწონდა ჩვენი ქვეითი ჯარი, ვარდა ფშავ-ხევსურებისა და თუშებისა. ,,ბევრიო—სწერს ლაზარევი—ქვეითი მხედარი იყო შეარაღებული შინდის კეტებით. მაინც და მაინც თუ ქართველ ცხენოსან ჯარს არა უჭირდა რა სწორედ იმ დროს, როცა საქართველოს შვილნი სულით და გულით დაეცნენ, ადვილი წარმოსადგენია, რა საშინელება უნდა ყოფილიყო ქართველთ ჯარი ერეკლეს დროში ქვეშ თბილისის ალებაზე''.

ერთი ევროპიელი მწერალი, სახელად ვგონებ-ბუგანვილი, რომელიც იმყოფებოდა ნადირ-შაჰის ჯარში და რომელმაც ზედ-

(*) Акты Археогр. Ком. (т. I, № 129, 186 ფ.

მიწევნით შეისწავლა მისი მხედრობის თვისებანი, ასე გვიხატავს ქართველ მხედრის ფიზიონომიას. „ქართველები მთელს აზიაში უკეთესნი მხედარნი არიან და სპარსეთის ჯარში შეადგენენ უკეთეს და ჩინებულს კორპუსსა. როდესაც ქართველებს დასაცველად აძლევენ რომელსამე ალაგს, ანუ ციხეს, იგინი მას ღირსეულად იცავენ და თითქმის არასოდეს არ დაანებებენ ხოლმე მტერსაო, ქართველებმა კარგად იციან შვილდ-ისრის ხმარება (?), რომელსაც უფრო მალ ხმარობენ, ვიდრე თოფ-დამბაჩსა; თუმცა—განაგრძნობს იგივე ავტორი, ცეცხლით სასროლი იარაღითაც ქართველები კარგად სარგებლობენ“.-შვილდ-ისრის ხმარება მე-XVIII საუკუნეში ცოტათი საეჭვო უნდა იყოს. ჩვენის აზრით, აქ ავტორის უნებლიეი შეცდომაა. ვინ არ იცის, რომ ქართველები არამც თუ ძველ დროში, ახალ საუკუნოებშიაც შვილდ ასარს ომშიც ხმარობდნენ; თვით მე-XVII საუკუნის მემატიანე ამასვე გვიმტკიცებს: „იხად მშვილდ-კაპარჭი მეფემან (არჩილმა) და მოსრნა მრავალნი „ (ქართლ. ცხოვრ. ნაწ. II, 214 ფ. ). მხოლოდ მე-XVIII საუკუნეში, თეიმურაზ II-ის და ერეკლეს დროს, პაპუნა ორბელიანის მოწმობით, ქართველები ამ იარაღსა ხმარობდნენ ნადირობის დროს. პირ იქით ნამდვილად ვიცით, რომ ერეკლეს დროს ომში ყოველი მხედარი ჯერ პირველად თოფს გაისროდა და მერე ხმლით დაერეოდა ხოლმე მტერსა. ასე იბრძოდნენ არაგვის ხეობაში 1744 წელს, ასე იბრძოდნენ 1752 წ. მდინარე გარნისაიაზე, აგრეთვე 1770 წ. ასპინძის ომში. არც ერთი მემატიანე აქ არ იხსენიებს შვილდ-ისრის ხმარებასა. მე-XVIII ს. ეჭვი არ არის, რომ ქართველების იარაღი იყო ხანჯალი, ხმალი, აგრეთვე შუბი. თავის სამხედრო შეიარაღებით ქართველი ჯარი უფრო წააგავს კლასიკურ ხალხების ჯარებსა, ვიდრე

დასავლეთ ევროპის ახლად შეწყობილ მხედრობას; თუმცა მე-XVIII ს. ჩვენშიაც შემოვიდა ხმარება თოფ-დამბაჩისა და ზარბაზნებისა, მაგრამ მაინც ხანჯალი და ხმალი რჩება ჩვეულებრივ ქართველ მხედრის დედა-იარაღად.

საყურადღებოა, ჩემის აზრით, ქართველ მხედრის თვისება. მუდმივი მტრული ურთიერთობა მაჰმადიან მეზობლებთან, დაუსრულებელი ბრძოლა ნაციონალურის დამოუკიდებლობისათვის, მრავალ გვარი ომი მამულის და რჯულის დასაცველად—აი ის გარემოებანი, რომელთაც იქონიეს დიდი ზედ-გავლენა, როგორც საზოგადოდ საქართველოს ხალხზე, ისე კერძოდ ყოველ ქართველზე. შეგნება თავის მაღალი მოვალეობისა, მამულისადმი სიყვარული, ძველი დროის სახელოვანი ტრადიციები, სარწმუნოებრივი გრძნობანი—აი ის ზნეობრივი ძალა, რომელიც ასულდგმულებდა წარსულ საუკუნეში ჩვენს მხედარს. ამ თვისებით განსჭვალული ქართველი მხედარი ადვილად იტანდა განსაცდელსა და ყოველთვის გამარჯვების მოიმედე იყო. ჩვენი მხედარი დამარცხებისაგან ისე არ იჩაგრებოდა, რომ სულით დაცემულიყო და უნუგეშო გამხდარიყო.

ამ ისტორიულ გარემოებათა ძალით ქართველ მხედრის ფიზიონომიამ თავისებური ხასიათი მიიღო. იგი ძალიან გულ-გრილად ეკიდებოდა თავის სიცოცხლეს; წუთი-სოფელი მას მომეტებულად ცოტა ნუგეშს აძლევდა; მისი ცხოვრება იყო სავსე მწუხარებით და ღელვარებით. ამის გამო ქართველი მხედარი, თავდა-პირველად, თვით ბუნებით ამაყია; მისი სიამაყე გაიზარდა თავისუფლების ძუძუთი . . . ქართველი მხედარი ამაყობს ყველგან და ყოველთვის; დამარცხებაში, როგოროთაც გამარჯვებაში, — იგი ამაყად იცავს თავის პიროვნებას; ამასთან დაუმატეთ მისი საკვირველი გულადობა, გასაოცარი შეუპოვრობა

და თავგანწირულება და ადვილად წარმოიდგენთ, იყო თუ არა შესაძლებელი, რომ ქართველი უშიშრად შევარდნილიყო ხოლმე მტრის ჯარში, თუ გინდ ეს უკანასკნელი რაოდენობით ათჯერ მეტი ყოფილიყო. ამის მაგალითები მრავალია; ბევრი რომ არა ვსთქვათ, მოვიგონოთ მხოლოდ ქალაქის აღების დროს 1795 წ. სამასი არაგველი გლეხი.

გამოჩენილი იტალიელი გმირი გარიბალდი ამბობდა, რომ ჩემ დიდ ხნოვან სამხედრო მოღვაწეობიდამ ის დასკვნა გამომყავს, რომ ნამდვილ მხედრად ჩაითვლება მხოლოდ ფანატიკოსი, ისეთი აღტაცებული კაცი, რომელიც ბრძოლის ველზედ მიემგზავსება ნამდვილ ლომსა. სწორედ ამგვარივე იყო ქართველი წარსულ საუკუნეში. იგი ბრძოლაში არ წააგავს არც ათინელთა, არც რომაელთა. ძველი მემატიანების აღწერით ათინელი მხედარი მტერს ებრძვის დიდის აღტაცებით და საშინელის გაბედვით; რომაელი კი ებრძვის მტერსა მხოლოდ სიამაყის გამო; მას მტერი თავის თავზე დაბლა მიაჩნდა; კაცურ ღირსებას მოწინააღმდეგეში რომაელი მხედარი არა ხედავდა. ამ სიამაყით გატაცებულს რომაელს მტრის გაჟლეტა ისე არაფრად მიაჩნია, როგორათაც ჭიანჭველისა. რო შევაერთოთ ეს ორი უპირატესი სამხედრო თვისებანი რომაელთა და ათინელთა, თვალ-წინ წარმოგვიდგება ქართველი მხედრის ფიზიონომია; ერთის მხრით სიამაყის გრძნობის ძალით მას მრავალ-გვარი მტერი, რომელიც სამშობლოს სჩაგრავდა, მიაჩნია ,,წუნკალებად'', მეორეს მხრით ქართველებისათვის ომი იყო მხოლოდ ,,სიკვდილის ლხინი'' ანუ ,,მამულის ქორწილი''. აი ეს სიტყვა ნათლად გვიხატავს, რომ ჩვენი მხედარი, გატაცებული მამულის სიყვარულით, ებრძოდა მტერს დიდის აღტაცებით თავის-დავიწყებამდე. რაც უნდა განსაცდელში ჩავარდნილიყო ქართველი მხედარი უფრო

ამჯობინებდა სახელოვან, ნამუსიან სიკვდილსა, ვიდრე ნაძრახ უკუქცევასა. — ერთი დაინახეთ, რა სიკვდილის ლხინის დღეს-ბევრჯელ ამბობდა გახურებულს ომის დროს მეფე ერეკლე — „ვიომოთ სიკვდილამდის, ასე სიკვდილამდის, რომ ჩვენი ზურგი მტერმა ვერ დაინახოსო . . სირცხვილია ჩვენს ცოლშვილთან დამარცხებით მისვლაო". — როგორც ძველი დროის სპარტანელებს, ისე ქართველ მხედარს ბრძოლა მამულის დასაცველად მიაჩნდა „ქორწილად." ვინ არ იცის, რომ სპარტანელთ უყვარდათ ომის წინად გვირგვინებით მორთვა? ვინ არ იცის, რომ მეხუთე საუკუნეში ქრისტეს წინად სპარსეთის მეფე ქსერქსი იყო დიდად გაკვირვებული ამ სპარტანელების ჩვეულებით? მხოლოდ გაკვირვებულს ქსერქსს სპარტანელთ მეფემ ლეონიდმა ასე აუხსნა ამ ჩვეულების მნიშვნელობა: „ჩვენი მორთვა იმას ნიშნავს, რომ გვსურს ან გამარჯვება, ან ერთიანად სახელოვანი სიკვდილი. ამისთანა დროს სპარტანელნი გვირგვინებით ვიმოსებით ხოლმე." — სწორედ ასე იყვნენ გაკვირვებულნი მე-XVIII ს. სპარსელთ ხანები. ზევით დასახელებულ ჩვეულებით ქართველი ჯარი უნებურად მაგონებს სპარტანელებსა. ბრძოლის დაწყების წინ ქართველს უყვარდა კარგად მორთვა; იგი იცვამდა უკეთეს ტანისამოსსა, აგრეთვე თავის ცხენს მშვენივრად შეჰკაზმავდა ხოლმე. ერთი სიტყვით ქართველი მხედარი ომს ისე მოელოდა, როგორც ქორწილსა. 1747 წელს, როგორც წინადა ვთქვი, ნადირ-შაჰი დიდად გარისხდა ქართველებზე. მეფე ერეკლეს ბძანებით ქართველებმა სიმაგრეები მკვიდრად გაამაგრეს და ვიწრო ადგილები შეჰკრეს. ერეკლემ დაითხოვა სპარსელები საქართველოდგან, მიმავალ სპარსელ ხანებმა ერთ ალაგას დაინახეს ქართველი ჯარი მეფე ერეკლეს წინამძღოლობით. ჯარი ისე მშვენივრად იყო დართული, ცხენები ისე მშვენივრად შე-

კაზმულნი, რომ სპარსელები ერთობ გაკვირვებულნი დარჩნენ. ერეკლემ პირველს ხანს დაბარა: „ნადირ-შაჰს მოახსენე, ჯერ პატივისცემა და მასუკან მზათ გახლავართ ქართველები—მობრძანდიო". ერთმა ხანმა ჰკითხა მიზეზი ასე მშვენივრად მორთვისა,—რადგან ამბობდა ხანი— „ომში მორთვა საჭირო არ არისო". მეფე ერეკლე გაჩუმდა და მისმა სარდლებმა უპასუხეს: „აქამდინ ნადირ-შაჰის დიდებისათვის და მეგობრობისათვის, ჩვენ ქართველებს თავი არ დაგვიზოგვია; ახლა კი მოხდება ომი ჩვენი მამულის დასაცველად; უნდა დავანახოთ, როგორი მამულის ქორწილია ჩვენთვის; ამ სადღესასწაულო ტანისამოსით უნდა გამოვიდეთ გამარჯვებული ან არა და ჩვენი ძვირფასი ავეჯულება ჩვენთან ერთად ამოიხოცნენ საქართველოდგან.. ეს ჩვენი მორთვა — ეს აზრია"...

აი სწორედ ამ მაღალის თვისებით შემკულის ჯარის წინამძღოლად გახდა მეფე ერეკლე იმ დროს, როცა იგი იყო 15 წლისა. 1752 წელს 25 ივლისსა, შესანიშნავ და სამაგალითო ომში მდინარე გარნიჩაიაზე, ქალაქ ერევნის მახლობლად ქართლ-კახეთის მხედრობამ დაამტკიცა, რომ იგი ღირსია იმისთანა მხედართ მთავრისა, როგორიც იყო მეფე ერეკლე — ეს „გმირთა შორის საკვირველება." მკითხველს მოვახსენებ დაწვრილებით საინტერესო ცნობებს ამ ბრძოლის შესახებ.

ერეკლეს შეებრძოლა ავღანელი ხანი აზატ, რომელმაც გამოჩენილ ნადირ-შაჰის დროს სახელი გაითქვა თავისმამაცობით. როდესაც ნადირის სიკვდილის შემდეგ სპარსეთი აირივ-დაირია, აზატ-ხანმა თავისის ავღანელთა ჯარის შემწეობით დაიპყრა თითქმის მთელი სპარსეთი და ადერბეიჯანი. ამის შემდეგ აზატ-ხანი საქართველოს საზღვრებზედაც გარდავიდა; მას წინ მიუძღოდა მოწინავე ჯარი, რომლის უფროსად იყო მუსახანი.

1752 წელს მკათათვის დასაწყისში ეს მუსახანი აპირობდა ქალაქ ერევნის აღებასა. ნუ დაივიწყებთ, რომ ამ დროს ერევანში მცხოვრებნი საქართველოს მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ; ერევანი ჩვენი მეფეების მეხარკე ქალაქად ითვლებოდა; მტრის ჯარისაგან დიდად შეწუხებულმა ერევნელებმა მიმართეს ერეკლეს და სთხოვეს შემწეობა: ,,ვინაიდგან მიიღებთ ხარკსა და ვართ მორჩილებასა ქვეშე თქვენსა, გაქვსთ ვალი და თანამდებობა, რათა განგვათავისუფლოთ ესე ვითარის მძლავრის ხელისაგან.'' ქართველებმა მაშინათვე უშველეს სიმშილისაგან გაჭირებულს მოქალაქეთა და ბევრი ხორაგი და სურსათი შეიტანეს ერევანში. მალე გაიგო ეს გარემოება აზატ-ხანმა; ,,აღბორგდა მხეცი ცოფოვანი — ამბობს პაპუნა — და განიძრახა საქმე ბოროტი.'' ქართველთა საომრად შემოეყარა 18,000 კაცი, რომელთ შორის 12,000 შუბოსანი ირიცხებოდა; ჯარს ჰქონდა 12 ზარბაზანი, მრავალი ზამბულაკი, თან მოსდევდნენ ჯორ-აქლემნი. მემატიანეს მოწმობით აზატ-ხანს განძრახვა ჰქონდა იდუმალ დარეოდა ქართველებსა და ისე ამოეჟლიტა. ერეკლე თავის რაზმით, რომლის რიცხვი 3,000 კაცი იყო, იდგა ყარაბულაღის მთაზე, სადაც აზატ-ხანი მოსვლას აპირობდა. სისწრაფით მოვიდნენ ყარაულნი და მოახსენეს მეფეს, რომ მტერი გვიახლოვდებაო. მაშინათვე ერეკლემ ამ გვარად ,,წესისაებრ'' განაწყო თავისი მცირედი რაზმი: მოწინავე და ქიზიყის ჯარს მიუძღვა ამირ სპასალარი რევაზ ორბელიანი; შემდეგ დამწკრივდა მემარცხენე და მემარჯვენე ჯარი ქართლ-კახეთისა. შუაგული დაიჭირა თვით ერეკლემ, რომელიც ამ ,,ჯარებს ზურგით უდგა''; სულ ბოლოს იმყოფებოდა პატარა დასი თათრების და ერევნელებისა. მეფემ გასცა ბძანება, რომ პირველად საომრად მისულიყო მოწინავე ჯარი. აგრეთვე მიემზადა საბრძოლველად

ქართლ-კახეთის მემარჯვენე და მემარცხენე ჯარი. ავღანელებმა წინ წამოიწიეს და პირველად დაეცნენ მემარცხენე ჯარსა. მოუვიდათ დიდი ომი, რომელშიაც ორგნითვე ბევრი დაიხოცა. თუმცა ჯერ ქართველებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ბოლოს ვეღარ გაუძლეს ავღანელებსა, რომელთაც მემარცხენე ქართველთ ჯარი გამოაქციეს. ამ გარამოების ძალით ერეკლემ თავის მხედრობით უკან დაიხია და გამაგრდა ერთობ მაღლობ ალაგას ნასოფლარში.

აზატ-ხანის ჯარი გუნდ-გუნდად წინ წამოვიდა ქართველებისაკენ. რა დაინახა შორიდამ უძლეველი მხედრობა მტრისა, ერეკლე ჩამოხტა ცხენიდამ და საჩქაროდ მოახდინა სამხედრო თათბირი, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა ყველა სარდლებმა. მოთათბირეთა მომეტებულს ნაწილსა ჰსურდა დაბრუნება, მხოლოდ მეფე ამ აზრს წინააღუდგა და სხვათა შორის წარმოსთქვა შემდეგი: ,, უშიშარნო ქართველებო! ვინა ხართ ვაჟკაცი! ეს არის წამი გულოვნობისა; თავი ჩემი დამიდვია საკვდავად და მე აქედამ ხმალ მოუქნეველი არ გავალ. იცოდეთ კარგად, რომ აზატ-ხანის შეუბმელი არ დავსდგები, ამაღამ რომ გავიქცეთ, ხვალ გზაზედ მოგვეწევიან . . . ამიტომ უნამუსოდ სიკვდილსა ნამუსიანი სიკვდილი სჯობია; ეს ყველამ უწყით, რომ სიკვდილის შვილნი ვართ და ჩვენს გვარსა და სახელსა ორის დღის სიცოცხლისათვის ნუ მოვაყივნებთ'' . . . ამ სიტყვით გატაცებულ მოთათბირეთა დაამტკიცეს ,, ომი პირის-პირ მძლავრისა აზატ-ხანისა ''.

ერეკლემ გასცა ბძანება, რომ ავათმყოფნი კაცნი, აგრეთვე ხუთასი თათარი დარჩენილიყვნენ სანგალში და თვით კი ორი ათასის ჯარის კაცით წავიდა აზატ-ხანის შესაბმელად. აქამდინ დას-დასად დაყოფილი ქართველთ ჯარი შეაერთა თავის წინამძღოლობით. ქართველები დადგნენ ერთ მაღლობ ალაგზე . . .

აგერ ძლევა მოსილი მტრის ჯარებიც აშკარად გამოჩნდნენ. აუძგერდა გული ყოველს იქ მყოფ ქართველს; საშინელმა ჟრიანტელმა დაუარა მთელ სხეულში. ჯარი ჰგრძნობს განსაცდელსა... მისი ყურადღება არის მიქცეული ერთად-ერთ ნუგეშზედ — დიდებულ მეფე ერეკლეზე. თვით ერეკლე ცოტათი აღელვებული ემხობა მიწას და ცხარის ცრემლით ევედრება ღმერთსა... ამის შემდეგ ერეკლემ პირდა-პირის თვალით, რომელშიაც იხატებოდა მხოლოდ გამარჯვების იმედი, მიმართა თავის საყვარელ ჯარსა: ,,ჩემო ძმანო და შვილნო! თქვენ ჩემის გულისათვის იხოცებით და მე ღმერთთან თქვენი დიდი მოვალე ვარ; დღეს რაც მე გითხრათ, ის დამიჯერეთ და სისხლსა თქვენსა მე ვინდობ.‘‘ აღტაცებულმა ჯარმა ერთ-პირად დაიგრიალა: ,,მეფეო და ჩვენო დიდებაო! სისხლი ჩვენი თქვენთვის შემოგვიწირავს, ბრძანებას თქვენსა ვერჩით და თქვენ ნებას აღვასრულებთ‘‘.

რა დარწმუნდა მეფე ერეკლე თავის ჯარის ერთგულებაში და მისდამი სიყვარულში, მაშინათვე გასცა შემდეგი ბძანება: ,,სანამ მე ცხენზედ არ შევჯდე, თქვენც ნურავინ შესხდებით და სანამ ჩემი თოფი არ გავარდეს, თქვენ თოფს ნურავინ ესვრით. ამის შემდეგ ერეკლემ დაიჩოქა და ქრისტეს ჯვარსა მხურვალედ თაყვანი სცა და აგრეთვე ყველანი მხედარნი ათაყვანა. გაუძღვა წინ მეფე ერეკლე ორი ათას დაქვეითებულ ცხენიდამ მხედარს. ბევრი დროც არ გასულა, რომ აზატ-ხანის ჯარმა ქართველებს ალყა შემოარტყა და ისე დაუახლოვდა, რომ მათ შორის შუბი ძლივს გაიმართებოდა. დაქვეითებული ქართველთ ცხენოსანი ჯარი, გარეგანის შეხედვით, საბრალო სურათს წარმოადგენდა; მტერს დიდი ნუგეში მიეცა, იგი აპირობდა უბრძოლოდ ერთობ ცოცხლად შეეპყრო ერეკლეს მხედრობა... სულ

სხვა ნაირი შინაგანი ზნეობრივი მდგომარეობაა ქართველებისა: ორი ათასი მხედარი, შემოზღუდული ოთხის მხრით 18,000 ჯარის კაცით, განსჭვალულია მხოლოდ ერთის წადილით. ჩვენი ჯარი დიდის მოწიწებით შესცქერის თავის წინამძღოლს მეფე ერეკლეს და აღშფოთებული ელოდება იმ წამს, როცა პირველად თვით მეფის თოფი დაიჭექავს . . . აი ის სანატრელი დროც. ერთმა აღანელმა ხანმა მოახსენა აზატსა: „ნება მომეცი მეფე ერეკლე ცოცხლად შეპყრობილი მოგართვა“. ნების მიღების უმალ ეს ხანი სისწრაფით მიიჭრა ცხენით ქართველებთან და მაღლა ხმით შეჰყვირა: „ჰამამან ჰანიერ ერეკლე ხან?“ (სად არის ერეკლე მეფეო). ზაუხტა მკვირცხლად და შესძახა: „მე გახლავარ ერეკლე ხანიო!“ — უცებ იჭექა მისმა თოფმა; ცხარე ტყვია მოხვდა მტერს გულში და საბრალო ცხენიდამ გადმოვარდა. ამავე წამს ერთბაშად დაიგრიალა ორი ათასმა თოფმა. მაღალ კლდოვან მთებმა განიმეორეს ეს საშინელი სიკვდილის მამასწავებელი გრიალი. ორი ათასი კაცი მტრისა იქვე მიწაზედ გაიშალა; აზატ-ხანის მხედრობას თავ-ზარი დაეცა; შიშისაგან ყველამ კანკალ-ცახცახი დაიწყო; ორი ათასი დაჭრილ-მკვდარი მხედარი საშინელებას წარმოადგენდა მტრისათვის; თვით აზატ-ხანის სარდლებსაც ამ განსაცდელში სრულად გონება დაებნათ; არსაიდამ შველა, არსაიდამ ნუგეში! მტრის 12 ზარბაზანი და მრავალი ზამბულაკი ვერ მოქმედობდნენ, რადგან ალყის გარედ დარჩნენ: ასე რომ, თუ ვინიცობაა გაესროლათ — ზარბაზნის ყუმბარა პირველად საკუთარს ჯარს მოხვდებოდა. ამ გვარ ყოვლად უნუგეშო და უიმედო დროს მტერს ყველაფერი დაავიწყა . . . სწორედ ამ წამს, გამარჯვების იმედით სავსე, ერეკლე სისწრაფით პირველი აფრინდება თავის მერანს და ხმა მაღლა ჯარს უბრძანებს, რომ მტერს ხმალ-და-ხმალ დაერიონ.

ქართველები მეფის ბძანებით საჩქაროდ სხდებიან ცხენებზედ და შეუბრალებლად ჟლეტენ მტერს.. გაიქცა ეს უზარ-მაზარი ჯარი; სიდიდისაგან, თანამედროვე კაცის მოწმობით, იგი ძლივს იძროდა. ქართლ-კახელებმა ჰკაფეს ხმალ-და-ხმალ დაბნეულნი სპარსელნი; თვით მეფე ერეკლე იბრძოდა, ვით ლომი დაუშრომელი. ამ ბრძოლაში ერეკლემ ხელოვნურად აწარმოვა ცხენოსანი ჯარის ძალა: დიდებულმა მეფემ კარგად იცოდა, რომ უმთავრესი ძალა ცხენოსან ჯარისა მდგომარეობს მოძრაობის სისწრაფეში. ამიტომ გამარჯვება შესაძლებელი იყო მხოლოდ მაშინ, როცა ეს ჯარი უცებ დაეცემოდა მტერსა და ხანჯალ-ხლმით იომებდა. შედეგი ერეკლეს განკარგულებისა ჩვენ უკვე ვიცით...

ქართველებმა სდიეს მტერს ორმოცი ვერსის მანძილზედ. ბრძოლის ალაგზე ქართველებს დარჩათ მთელი მტრის ბანაკი; ამასთანავე თოფხანა, ჯაბახანა, ზამბურაკები, 12 ზარბაზანი, ჯორ-აქლემნი, ბარგ-კარავნი, მეითარხანა. მტერს ცხენის მეტი არა გაჰყოლია რა.

ქართველებმა ბევრი თვალ-მარგალიტიც შეიძინეს ამ დროს; ძვირ-ფასს ქვებში ერეკლეს ერგო აზატ-ხანის მარგალიტიც; ეს ის მარგალიტია, რომელსაც სპარსეთის შაჰი აღა-მამადხანი 1795 წელს ერეკლეს სთხოვდა შესარიგებლად.

ამგვარი ისტორიული გამარჯვება ადვილად გასაგებია მისთვის, ვისაც კარგად აქვს შეგნებული მეფე ერეკლეს სამხედრო თვისებანი; 18,000 კაცის დამარცხება ორი ათასის მხედრითა შესაძლებელია მხოლოდ იმისთანა სარდლის შემწეობით და თანადასწრებით, როგორიც იყო მეფე ერეკლე. ამ ბრძოლაში ქართველ ჯარის სიმამაცესთან ერთად მოქმედებდნენ ერეკლეს

თავ-განწირულება, მისი ალტაცება, მისი მოსაზრების და მოძრაობის სისწრაფე. საქართველოს მეფე ერეკლე მეორის დიდ-ბუნებოვანობა და დიდ-სულოვნობა, როგორც სარდლისა, ცხადად გამოიხატა ამ დაუვიწყარ გარნიჩაის ომში; ეს ბრძოლა ანუ 25 იელის 1752 წ., როგორათაც ასპინძის ომი, არის ერთი უკეთესთაგანი ფურცელი საქართველოს სამხედრო ისტორიისა..

ალ. გარსევანაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სვანები ბარად

ჰვანოლ ლაქმათე ამჩიჲლი, ცუღ ეჩე ათსადა—
ჰვერნა საშოვარზე წასულა, ცყავი იქ დარჩენია.

სვანური ანდაზა.

სოფ. ქ-ნის ახლო თავისუფალ სვანეთში აშენებულია პატარა საყდარი; გარს ასამდე არყის ხეები არტყია, ზოგი დაბერებული და ზოგიც ახალ-გაზდა. ხეების შტოები საყდრის კედლებსა და სახურავს მიჰბჯენია, ასე რომ სახურავი იქა-აქ აშლილ-დაშლილია. ზოგი ხე წამოლუნულა გვერდზე და სხვა ხეს გადასწოლია, ზოგიც მიწაზე გათხლაშულა და ნახევრად დამპალა. ხეების ძირში მაღალი და გაყვითლებული ბალახი ამოსულა. ყოველს წელს დაბერებულ ხეებიდგან შტო-ფოთოლი ცვივა და ბალახს ძლიერა სჩაგრავს. ვერც ხეებს და ვერც ჩამოყრილ შტოებს ხალხი ხელს ვერ ახლებს და ვერ სარგებლობს; ეს ხეები ხალხს ისეთივე წმიდათ და ხელ უხლებლად მიაჩნიათ, როგორც თვით საყდარი და მისი ხატ-ჯვარი. საყდარი ქვისაა; შიგნით ათი კაცი ძლივს დაეტევა. შესანიშნავი ამ საყდარში არის მრავალი ძველი ისარი იმ დროისა, როდესაც ხალხს თოფი არა ჰქონია და ურიცხვი მძივები. საყდრის სამხრეთის კედელთან ,,ჯიხვირ‘‘—ი დგას. ჯიხვირიც ქვის შენობაა, ოთხ კუთხიანი, სიმაღლით ორი არშინამდე და კედლის სიგანე არშინი. ორი მხრით არის დახურული; ერთს მხარეს ჰხურავს ერთი ბტყელი ქვა და მეორეს—მეორე. დასავლეთის კედელში პატარა სარკმელი აქვს, ასე რომ მოზდრილი ხელი ძლივს შეეტევა. შიგნით რომ

ჩაიხედოთ, დაინახავთ, რომ ეს პატარა შენობა გამოტენილია მძივებით, ფარებით, ჭიქეულობის ნამტვრევებით და სხვა ამგვარი წვრილმანებით. რასაკვირველია, ხალხი ამ ჯიხვირსაც წმიდათ უყურებს. არყის ტყეს ირგვლივ სათიბი შემოუყვება. ამ სათიბს ყოველ წელს ჰთიბავს ერთი და იგივე მოსახლე თავისთვინ, რომელიც საყდრის მოსამსახურედ (ჰალსვან) (*) ითვლება. სამავიეროდ ამ მოსახლემ საყდარს თვალ-ყური უნდა უგდოს; უნდა ჩამოთოვოს ზამთარში, გააღოს საყდრის კარი, როდესაც პაპი სამწირველოდ მივა ანა და ხალხი ფიცის მისაღებად და მსხვერპლის შესაწირავად. ამ მოსახლემ უნდა მისცეს მძივი ყოველს სოფლელს, რომელსაც შვილი დაებადება. ამ მძივს ახლად შობილი ქალი იქმნება თუ ვაჟი ყელზე ატარებს 4—5 წლამდე და შემდეგ მშობლები ისევე საყდარში აბრუნებენ. ახალშობილის მამა, როგორც მძივის გამოტანის დროს, ისე უკან დაბრუნებისას, საყდარზე მიიტანს სამს წმ. ფქვილისაგან გამომცხვარს პურს და პატარა დოქით ან კვახით არაყს. შელოცვის შემდეგ ამ არაყსა და პურებს იქვე დალევენ და შესჭამენ ყმაწვილის მამა და საყდრის მოსამსახურე. 1867 წ. საღამოს ამ საყდრის კართან რვა კარგად ჩაცმული და შეთოფ-იარაღებული სვანი იდგა. ექვსი ამათგანი მედიატორები იყვნენ და ორი მომჩივან-მოპასუხე. ყმაწვილების გროვამ, რომელიც საყდრის ახლო მინდორში ვთამაშობდით, შევხედეთ ამ კაცებს და მივუახლოვდით. საყდრის დირეზე პაპი იდგა ხატით ხელში. პირდაპირ ქუდ-მოხდილი მედიატორები და მომჩივან-მოპასუხე უდგა. ერთი ხმაურობა და ყაყანი იყო. მახსოვს, იმ დროს პაპი გაჯავრდა და დაიძახა: „—მალე გაათავეთ, ხატს მორიდება უნდა, ამდენს ხანს ვერ ვაყურყუტებ ხელში!“—კაცები დაჩუმდნენ. ცოტა სიჩუმის შემდევ

(*) ჰალსვან—ხელოსანი,

მედიატორემ თავისი სთქვა, მომჩივანმა თავისი და მოპასუხემაც თავისი. ყველამ სთქვეს ის, რაც სათქმელად მიღებულია ფიცის მიღების დროს მოჩხუბართ შორის. მოპასუხემ ასე გაათავა თავისი „გარცამ“-ი: (გარდაცემა) „თუ ამიერიდგან გაუმ (მომჩივანის სახელი) მტრობა გამოიჩინოს ჩემსა და ჩემის შვილიშვილების შესახებ, მაშინ, უფალო, შენ იყავ იმისი მტერი და მწყრომელი.“ ამითი გათავდა ფიცი. ყველანი სახლებში წავიდენ . . . ამ სამი წლის წინათ ერთს უქმე-დღეს ჩემთან მოვიდა ეს მოპასუხე გიერგი და თან მოიყვანა თავისი შვილი, რომელსაც თვალები სტკიოდა. მამა-შვილი ღარიბად იყვნენ ჩაცმულნი. მეტყობოდათ სიღარიბე სტუმრებიათ. ვიცოდი კი, რომ ერთს დროს ეს გიერგი შეძლებული მოსახლე იყო და კარგად ჩაცმული გამოდიოდა სოფელ-ქვეყანაში. გიერგმა შაქრის ნატეხი მთხოვა შვილის თვალების წამლად. მის შვილს შაქრის ნატეხი მივეცი, რასაკვირველია, არა თვალების წამლად და შემდეგ დავეკითხე, თუ რამ დაალარიბა იგი და რა იყო ის ფიცი, რომელიც მან მიიღო 1867 წ. ზემოთ ჩვენ მიერ აღწერილს საყდრის ეზოში? ამაზე გიერგმა გრძელი პასუხი მომცა და კიდევაც მოვიყვან აქ.

—ჰაი, ჰაი, დაიწყო გიერგმა, რა კარგი იქმნება, რომ თავიდამ მომაყოლებდე ჩემს თავ-გადასავალს და მომისმენდე. თუმცა ამითი ჩემს საქმეს ვერას ვუშველი, მაგრამ სხვა არა იყოს რა გულს მაინც მიეცემა შალავათი. იმდონე ლხინი გამოიარე, რამდენი გაჭირებაც მე გამომივლია; ნათქვამია: „კაცი უწეროთ არ მოკვდებაო“. თორემ მე აქამდინ ათჯერ უნდა მომკვდარვიყავი. მამა ჩემი,—შეენდოს მის სულს, ქრისტეს ტაბაკზედამც ჰქონდეს მონაწილეობა (*)—ბევრი ნამგზავრი კაცი იყო და მეც მირჩევდა მოგზაურობას. მგზავრობის დროს—მეუბნებოდა ხში-

(*) შვენდბა მიჩა ლაქუნს, ქრისდეე ტაბაგდუვ ხოგად.

რად მამა,—ჩემო სიხარულო! სხვა არა-იყოს რა ქართულს შეისწავლი და კარგია; ვისაც სხვა ქვეყნებში არ უვლია და მუდამ სახლშია, ის რა კაცია, ნაცარ-ქექიაა, მეტი არაფერი. ჯერ ისევ მამის სიცოცხლეშივე მქონდა დავლილი რაჭა-ლეჩხუმი. ყოველთვის, როდესაც მგზავრობიდგან დავბრუნდებოდი, მამა პაპს აწირვინებდა და ერთ ცხვარს დაუკლავდა მგზავრის შემწე წმ. გიორგის, რომ სხომისაც მშვიდობით დამაბრუნოს მგზავრობიდგანო. მომიკვდა მამა. მგზავრობა მაინც არ მოვიშალე. ჰაი შენის სიცოცხლით, მარჯვენა მომტეხოდა და არ მოვსწრებოდი იმ უბედურებას, რომელიც მგზავრობაში გამოვიარე მამის სიკვდილის შემდეგ. იმდონე სალხინოთ გარონიოს ღმერთმა, რამდენიც შენს გიერგს უნებურათ უარია. რაჭა-ლეჩხუმს სიარულმა შემაგულიანა და გადავსწყვიტე ქუთაისს წასვლა, ამ დასაწვავ ქალაქს. ასე შორს მარტო მე ვერ გავბედავდი წასვლას და რამდენიმე ჩემი სოფლელი შევიამხანაგე. პირველად ქუთაისს წასვლაზე ყველამ უარი მითხრა, მაგრამ იმდენი ვეჩიჩინე, რომ ბოლოს ყველანი დავიყოლიე. აპა, ქაჯ-ეშმაკი რომ შეაცდენს კაცს, თორემ რა მსჯიდა, რას ჩავაცივდი! ის კი რა ვიცოდი მე საბრალომ, რომ ბევრს უბედურებას გადამკიდებდა მათი ამხანაგობა. მერე როდის დავაპირე ქუთაისს წასვლა? ,,ქვახში'' (იანვარი). ღმერთი რომ შეაცდენს ადამიანს, ჩემო სიკეთევ, თორემ იმ დროს როგორ უნდა გადადგას ფეხი სახლიდგან ჩვენებურმა? ერთი კვირის წინ გავუტყდი ჩემს სახლეულობას, რომ მე ქუთაისს უნდა წავსულვიყავი. ეს საჭირო იყო, რომ იმ კვირის განმავალობაში ოჯახობა ფრთხილად ყოფილიყო, დედათა წესში მყოფი ქალი სახლში არ დაეყენათ, არც სხვის ამ გვარ ქალს მიჰკარებოდენ, საციქველი არ გაეცათ სახლიდგან იმ დღეს, როდესაც ჩვენ სახლიდგან წავიდოდით და სხვა.

ამაების არ ასრულება, შენც გეცოდინება, მგზავრისათვის სა-შიშია. მთვარეც იმდონისა ავირჩიე, რამდენისაც საჭიროა მგზავ-რისათვის. ჰე, ნეტავი მაგგვარი მიზეზი რამე მქონოდეს, თორემ ან ღმერთს რათ დავემდურები და ან კაცს. სამშაბათს საღამოს, (მგზავრისათვის ოთხშაბათი დღეა კარგი წასასვლელად) ცოლს საგზლის ცხობა ვუთხარი. ასევე ექმნათ ჩემ ამხანაგებსაც. ნავახ-შმევს, როცა ჯალაბი დაწვა, რადგან ჯალაბთან აბარგება არ ჯობს, საგზალი პურები გუდაში ჩავიწყვე; იქვე ჩავდევი სამიოდე თოკის გრეხილი, გზაში დამჭირდებოდა და ერთი წყვილი ჯიხვის ფეხების ტყავისაგან (კვიცრახაგრარ) გაკეთებული ქალა-მნები; ვინიცობაა, ერთი წყვილი ქალამანი დამიცვეთებოდა, მა-შინ ამათ ჩავიცვამდი. კვეს-აბედი ქისაში ჩავიწყვე, ქალამნები, პაიჭები და ,,სამუხლეები'' (*) სკამზე დავიწყვე და დავსწევი. ცოლს ვუთხარი, ვინიცობაა, მე ვერ შევიტყობდი, მამლის ყივი-ლის დროს გამეღვიძე, თვითონაც ამდგარიყო და ცეცხლი დაენთო. როგორც კი იყივლა დილას მამალმა, მაშინვე ავაყენე ცოლი ცეცხლის დასანთებად და მეც ავდექი. საჩქაროთ შევუ-დექი ჩაცმა-დახურვას. ამ დროს ჩემი თანამოგზაურნიც მოვიდნენ ჩემთან. შემოვიდნენ შინ; სანამ მე ჩაცმას მოვუნდებოდი, იგინი ჩა-მოსხდნენ სკამებზე და თუთუნს დაუწყეს წევა. ბარგი არც ერთს არ ჩამოუხსნია. მოვრჩი აბარგვას. ცოლმა ნუგუზალი აიღო, წავიდა კარებთან, მარჯვენით დადგა, მოკიდებული ნუგუზალი ძირს დააგდო, რომელზედაც ჩვენ უნდა დაგვებიჯა; როცა გა-ვუარეთ, მგზავრობა დაგვილოცა და გზას გავუდექით. ჩემთან იყო ექვსი ამხანაგი: გაუ, თაისავი, ლომი, ბადრი, გუეა და ნაგუ.

---

(*) სამუხლარ—იგივე შალის პაიჭებია, იცვამენ პაიჭს გარეთ მუხლის ძირი-დგან ბარძაყისაკენ. სადაც სამუხლეს ბოლო პაიჭს შეერთდება, იქ იჭერენ ლევვერთხს, რომ პაიჭ-სამუხლემ ძირს არ დაიწიოს.

არც ერთს მათგანს არსად არ ევლოთ. დაიკუპროს ის დღე, რა დღესაც მათი წაყვანა მე გამახსენდა! იგინი მოდიოდენ ჩემის იმედით; ვეუბნებოდი, რომ ქუთაისს ფულს ვიშოვით მეთქი, ფულით ფართლეულობას, მარილს, ტყვია-გოგირდს ვიყიდით და ეს შეძენაათქო ოჯახისათვის. ასე შენი ჭირიმე; ჩვენ მივდიოდით ქუთაისს სამუშაოთ. მე სავაჭროცა მქონდა: ორი კვერნის ტყავი, ერთი მელისა, ოთხი შავი კრაველი, რამდენიმე შოლტი ხარის ტყავისა და სამი ხარის ნალველი, რომელსაც ბარის კაცებს დათვის ნალველად ვატყუებთ ხოლმე. ღმერთს რომ არ გავემეტე რა მიჭირდა! ქუთაისს რომ უზანთულიც ვერ მეშოვა, რა დამიშავდებოდა, განა რაცა მქონდა იმითი ვერ დავიკმაყოფილებდი ჩემს საჭიროებას? მაგრამ ღმერთი იყო ჩემზე მრისხანე და ყველა კარგი ავად შემიცვალა. სოფელი ჩუმად გავიარეთ, მგზავრისთვის კარგი არაა, როცა მის წასვლას სოფელი შეიტყობს. როგორც კი გავცილდით სოფელს, მაშინვე თხილამურები გავიკეთეთ. სოფლად რვა ტკაველი თოვლი იდვა, მთაზე, რასაკვირველია, ორი ამოდენა. გათენდა, მაგრამ ისეთი მოღრუბლული იყო ცა, რომ დღე დღეს არა ჰგავდა. თოვა კი არ დაეწყო, თუმცა მალე მოსალოდნელი იყო. ჩვენ თუ ამისთანა ტაროსს არ შევუშინდით, ეს იმიტომ, რომ ჩვენ მივდიოდით ნაკ-ზაგარის უღელ-ტეხილით, სადაც ზვავის შიში არ არის და არც გზის შეშლისა, თუ ნამეტანი ბური არ არის. არც ნამქერი იცის ამ უღელ-ტეხილზე. როგორც იცი, ჩვენ ვიყავით შვიდი კაცი და ყველას რიგ-რიგით უნდა გვეკვლია თოვლი; უკანა მავალნი წინ მიმავალის კაცის ფეხების ნადგამში ვადგამდით ფეხებს; ეს გვიადვილებდა სიარულს. მოღალდებოდა წინა მსვლელი, ვინმე ჩვენთაგანი გამოეცვლებოდა. კარგი მანძილი რომ გავიარეთ, თოვა დაიწყო, ცისთვინ რომ შეგეხედა ამდროს, იტყოდი: ცა და

დედა-მიწა ერთმანერთს შესდულებიაო. რაც მთას ვუახლოვდებოდით, მით მეტი დიდი თოვლი გვხვდებოდა, თოვლი გამაგრებული არ იყო და ამიტომ ხშირად თხილამურებიც ვერას გვშველოდენ, წელამდე ვვარდებოდით თოვლში. რამდენსამე საჟენს რომ გავივლიდით, დავისვენებდით, თუთუნს მოვსწევდით. ნაკ-ზაგარზე რომ მივედით, პური მოგვინდა. პური ამოვიღეთ გუდებიდგან, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ წყალს ვერ ვიშოვიდით. სადაც ჩვენ დავისვენეთ, იქ დიდი წყალი ჩამოდის ხევში, მაგრამ თოვლს ისე დაეფარა, რომ ვერსად ვერ ამოვაჩინეთ, თუმცა გრძელი ჯოხებით ბევრს ადგილას ვსცადეთ მონახვა. პურები საჩქაროთ შევსჭამეთ და გავსწიეთ. აქედამ გზა დაღმართს მიჰყვება და ეს სიარულს გვიადვილებდა. დაღამებამდე როგორც იყო ცენას ხეობაში მივედით. სულ გავივლიდით ამ დღეს 15 ვერს. აქ ღამე უნდა გავათიოთ, მაგრამ ბინის მონახვა არ გინდა? აქ მოგზაურებისთვის ორი ქვაბია სადგურად, ორივე ისე დაეფარა თოვლს, რომ რა არ ვეცადეთ, ვერცკი მოვიმხარით, სად იყვნენ ის ქვაბები. გადავსწყვიტეთ ტრიალს თოვლიანს მინდორში დადგომა. აქვე მახლობლად მაღალი ტყე იყო, მაგრამ დღეს თოვლისგან მარტო წვერები უჩანდენ. ჩვენთვის ამაღამ ყველაზე უფრო საჭირო იყო კარგი ცეცხლი და შეშა. შეშათ ხეები უნდა მოგვეჭრა. ხანჯლები კარგი გვქონდა და უშეშობის ფიქრი არა გვქონდა. მივსცვივდით ყველა ტყეს და საჩქაროთ ბლომა შეშა მოვჩეხეთ. გაუმ ცეცხლი დააკვესა. მოკიდებული აბედი ჭინჭებსა და ხმელს თომში გამოხვია, რომელიც სახლიდგან გვქონდა წამოღებული. რამდენიმე ხმელი წვრილი შტოები ვიშოვეთ. გაუმ თომ-ჭინჭებში გამოხვეული ცეცხლ-მოკიდებული აბედი ჰაერში გააქან-გამოაქანა და ალი გაუჩინა. უცებ ხმელი ფიჩხები მიაყარა, მაზე არყისხის კანი, ზედ

შეშა და გავაჩინეთ თოვლზე ცეცხლი. თან და თან უმატებდით შეშას და ბოლოს გაგანია ცეცხლი გაჩნდა. ბარგები ერთად დავაწყვეთ და ჩვენ თოვლზე დანთებულს ცეცხლს შემოვუსხედით ირგვლივ. სიცივისაგან დაკრუნჩხული ტანის ნაწილები გავითბეთ. ცეცხლი თან და თან ღუზდებოდა. მოვემზადეთ ვახშმის საჭმელად. მართალი უნდა გითხრა, სვანურ პირობაზე კარგი ვახშამი გვქონდა. ბადრის რგვლად მოხარშული სუქანი ბურაკი წამოეღო, ლომის ერთი მოზრდილი კვახი ნათაველი არაყი, ნაგუს ხაჭაპურები, მეტი რა უნდა მგზავრს! ვახშმის გარიგებაში ცეცხლი ძლიერ გაძლიერდა. რამდენადაც ძლიერდებოდა, იმდენათ ცეცხლი ძირს იწევდა. აბა როგორ იქმნებოდა! თოვლი და ცეცხლი ერთად როგორ მოთავსდებოდენ. გაჩაღებულს ცეცხლს ის ადგილი, რომელიც მას ეჭირა თოვლზე, ძირს მიჰქონდა; იწია ცეცხლმა ძირს, იწია და ბოლოს მიწამდი მიაღწია. ჩვენკი ზევით დავრჩით თოვლის ნაპირებზე და თავზე დავსცქეროდით ცეცხლის ალს, რომელიც ამ დროს ჩვენთვის სულ უსარგებლო იყო. უნდა გამოგიტყდე, რომ იმ დროს ჩვენ საცოდავიც ვიყავით და სასაცილოც. დავრჩით ტრიალ თოვლის მინდორზე, ბუქი თოვლს ცხვირ-პირში გვაყრიდა. ჩვენი ნაჯაფ-ნასეტყვი ცეცხლი კი დედა-მიწის ზურგიდამ გვიცქეროდა, თითქო დასცინოდა ჩვენს მოუხდომლობას. ძირს ჩასულმა ცეცხლმა თავისი სამყოფი ადგილი გააფართოვა, თოვლის კედლები მოალღო, ასე რომ ცოტახანს იქით გვარიანი ადგილი დასტოვა თავის გარშემო. ამ დროს აიწია ნაგუმ და ჩახტა თოვლის ორმოში. ამოგვძახა, რომ იგი მოკიდებულ ნიგუზლებს ამოჰყრის ზევით და ჩვენ ისევ თოვლის ზედაპირზე უნდა დაგვენთო. ყველანი დავთანხმდით. მუგუზლები სულ ამოვალაგეთ და ერთს ნაპირზე დავანთეთ, ნაგუმ ძირს ნაკვერც-

ხლები ორმოს ერთს კუთხეში მიხვეტა და მერე შემოგვძახა ჩვენც ჩავსულიყავით ძირს და ბარგიც ჩაგვეტანა. რასაკვირველია, ასე მოვიქეცით და რამდენსამე წამში ჩვენ, ბარგიანად თოვლის ორმოს ძირში ვისხედით; ცეცხლი კი ეხლა თავზე გვანათებდა ზემოდამ. ამ ჩვენს აჩირებულს ბინაში ჩასვლისათანავე შედარებით სითბო ვიგრძენით. თოვლის კედლები ირგვლივ გვერტყა და ზევითა ბუქი ჩვენ ვერ მოგვიდგებოდა და ვერას დაგვაკლებდა. ამასობაში ცეცხლი თან და თან გვიახლოვდებოდა, რადგან ძალზე ადნობდა მის ქვეშ მდებარე თოვლს. კიდევ ცოტახანი და ცეცხლმა ჩვენს ორმოს გვერდში ამოჰყო თავი. ეხლა კი სწორეთ კარგათ იყო ჩვენი საქმე. უცებ შევუდექით ვახშამს და მადიანადაც შევექეცით. ნავახშმევს თოვლისაგან დასველებული ქალამნები და პაიჭები გავაშრეთ ცეცხლზე. ზოგიერთის თხილამურებს ბაწრები გასწყვეტოდათ და ის გამოუცვალეს და შემდეგ დავიძინეთ. დაძინებისას ცეცხლზე ბლომად დავაყარეთ შეშა. ისე ტკბილად და თბილად გვეძინა, რომ მეორე დილამდე ფეხი არავის გაგვინძრევია. მეორე დღეს როგორღაც ღმერთმა იპრიანა და დარი გამოდგა. ჩვენი თოვლის ორმოს კედლები ისეთი მაღალი იყო, რომ ამოსვლის დროს ერთი მეორის მოხმარება დაგვჭირდა. პირველად ავაგდეთ ზევით გუგა, შემდეგ იგი ზევიდამ ხელს გვაძლევდა და ისე აგვიყვანა ყველანი. თოვლი დღესაც სამკვლევი გვქონდა. ვიარეთ ნელ-ნელა და სადილობისას მდ. ზესხურთან მივედით. ყველა მდინარე ზამთრობით ჩვენში გაყინულია; ასე დამართოდა ზესხურსაც. გაყინვის შემდეგ ზედ დიდი თოვლი დასდებოდა, ასე რომ მდინარე არსად სჩანდა. საუბედუროთ ყველანი ერთს დროს დავადექით ამ მდინარეს; თურმე ზემოთ დაყრილს თოვლს ყინვა მოელბო, ჩვენმა სიმძიმემ იმდენი ძალა დაატანა ყინულს,

რომ ჩატყდა. დავფაცურდით, ზოგი ერთს ნაპირას გადავხტით, ზოგი მეორეს. ყველანი გადავრჩით გაუს გარდა, რომელსაც უცებ გადუტრიალდა ყინულის კვერი და წყალში ჩავარდა წელამდი. ვეცით იქეთ-აქედამ და როგორც იყო გაუ გამოვიყვანეთ. იქვე ცეცხლი გავაჩინეთ და გაუ შესაწვავ ბატკანიეთ მიუშკირეთ; დასველებული ტანისამოსი გაუშრეთ, ქალამნებში მშრალი თომი ჩაიტენა და ისევ გავუდექით გზას. საღამოს, ბევრი ღოღიალის შემდეგ, როგორც იყო მივატანეთ სოფ. მახაშს, რომელიც ლაშხეთის საზოგადოების თავში ძევს. აქ ყველას თავ-თავისი ნაცნობები გვყავდა და იმათსა მივედით ღამის გასათევათ. თურმე ამ სოფელში ლომის მტერი ჰყავს. მის ბაბუას ვიღაც მახაშელი გაელახა ოდესმე და კმაყოფილება არ მიეცა. იმ მახაშელის ოჯახს როგორღაც გაეგო, რომ მისი გამლახველის შვილიშვილი აქ მოსულა. დაწოლას ვაპირებდი ჩემს მასპინძლისას, როდესაც სოფელში ერთი ალიაქოთი ასტყდა. ლომის მტრები მისდგომოდენ მის მასპინძელს და ჩხუბი აეტეხათ, — როგორ გაბედე და როგორ მიიღე სტუმრად ჩვენი მტერიო. მასპინძელს, რასაკვირველია, ლომისთან მტერი არ მიეშვა, ესხომ თავს-ლაფის დასხმა იქმნებოდა მისთვის, და ეს ორი მოსახლე მას მერმე ისე გადაემტერენ თურმე ერთმანერთს, რომ ბოლოს დროს, როგორც გავიგე, საქმე მკვლელობამდე მისულა. მეორე დილას პაემანი ერთ ადგილას გვქონდა დანიშნული. ყველამ აქ მოვიყარეთ თავი. ლომის აქამდე თავისი მასპინძელი გამოჰყვა, რომ მის სტუმარს მტერმა უსიამოვნება არა მიაყენოს რა. ვიარეთ იმ დღეს და ლენტეხის საზოგადოებაში მივედით. აქ ერთი წისქვილი მოვნახეთ და იქ დავბინავდით. მართალია, ლენტეხში მე ნაცნობი მყავდა, მაგრამ იმისას არ მივსულვარ, ამხანაგები მარტო ვერ მივატოვე. ისეც რომ არ იყოს, ლენ-

ტეხლები ერთობ პურშავი კაცები არიან. იგინი ხშირად დაიარებიან ბარად; უნახავთ ქალაქები და იმისი ბრალი უნდა იყოს, რომ ასე გალღუნწებულან. სასმელ-საჭმელი წონით მოაქვთ სტუმართან; სულ იმის ფიქრში არიან, ვაი თუ მეტი ხარჯი მოგვივიდესო. აბა შენ მითხარი, რა გემო აქვს იქ სმა-ჭამას, სადაც კაცს ლუკმას გითვლიან! წისქვილში ცუდი სამყოფი გვქონდა; ას წილად უფრო მოხერხებული იყო ჩვენი ცენის თოვლის ორმო. როგორც იყო გავათენეთ. მეორე დღეს გათენებული არ იყო, რომ გზას გავუდექით. აქედამ ლეჩხუმამდე ნამკვლევი გზა დაგვხდა, რადგან ლენტეხლები ლეჩხუმში მისვლა-მოსვლას არაოდეს არ შესწყვეტენ ხოლმე. ვიარეთ და საღამო-ადრიან ლეჩხუმს მივაღწიეთ. აი აქედამ იწყება ჩვენი გაწა-მაწია. ლეჩხუმში ნაცნობი არც მე მყავდა. ბარეთ დადგომა არ შეგვეძლო, ამიტომ რომ შეშას სოფლად ვერ ვიშოვიდით. ვიფიქრე, წავალ მოსახლესთან, ქირათ ერთ საქალამნეს მივსცემ და უკაცურს სახლში დაგვაყენებს. ეს ჩემი აზრი ამხანაგებსაც ვუთხარი. კარგიო, მითხრეს და გავსწიე სოფელში. ამხანაგებს დავუბარე, რომ ჩემს მოსვლამდე აქ მოეცადნათ. აქ ისიც უნდა გითხრა, რომ ჩემს ამხანაგებში არც ერთმა ქართული არ იცოდა. გზაში თუ რაიმე საქმე შეგვხვდებოდა, მე უნდა ვყოფილიყავი ყოველთვის თალმაჩად ქართულად მოლაპარაკესა და ჩემს ამხანებშუა. ამხანაგები იმიტომ არ წავიყვანე სოფლად, რომ — რაღაც ეშმაკად — ბარის კაცებს სვანები ტყუილ-უბრალოდ ვსძულვართ; ერთად რომ დაგვინახავდენ შვიდს სვანს — სახლში არავინ შეგვიშობდა: სვანები სისხლის მსმელები ხართო, სვანები ურჯულოები ხართო და ბევრს ამისთანა რამეებს გვეტყოდენ. აი ამიტომ წაველი მარტო სოფელში. მივადექი ერთს მოსახლეს, დავუძახე, კარზე გამოდგა უქალამნო, ფეხშიშველა ლეჩხუმელი. ქალამანი შევაძლიე სახლის ქირათ. ლეჩხუმელს

გაუხარდა, რომ ქალმანი იშოვნა და მაშინვე მიჩვენა უკაცური ხის ჯარგვალი; აი იმაში დადექითო. მაშინვე დავბრუნდი ჩემ ამხანაგებთან წამოსაყვანად, მაგრამ სადღა ვნახე ისინი! „ფუ ლალევ ახცხულანა ქაჯ-ჰაშმას (ფრთა დაეწვას ქაჯ-ეშმაკს — სვანური წყევლაა) უბედურება ყველგან უკან დაგვდევდა და აქაც ვერ ავსცილდით ჩივათს. თურმე იმ ადგილის ახლო, სადაც ამხანაგები დავსტოვე, სახლობდა ვიღაც „აზნაირ" (აზნაური - ამ სიტყვას ისე ვსწერ, როგორც სვანები ამბობენ). რაღაც საუბედუროთ ამ აზნაურს იმ დროს მისი ყმა გაელახა. ყმას ყვირილი შეექმნა, ამხანაგებს ეს გაეგონათ და ახლო მისულიყვნენ. შეეხედათ, რომ ბატონს ყმისათვის ეკრა ხელი და თავის ოდის ხარიხიდამ კისრით გადმოეგდო ძირს. ყმას ცხვირ-პირი სულ თოვლში ჩაფლოდა. ჩემს ამხანაგებს ჰგონოდათ, რომ აქ სწორეთ სვანური ჩხუბი გაიმართებოდა, იარაღით ერთმანერთს დახოცვენ მაჩხუბარნიო და რომ დროზე არ გავაშველოთ, ცოდვა იქმნებაო და მიცვინდნენ ხარიხის ახლო. სადაური ჩხუბი! ყმას თოვლში ამოსვრილი ცხვირ-პირი ვაერეკა და თავ-ჩაღუნული გაუდგა თურმე თავის გზას. ეჰ! ჩაუმატა აქ გიერგმა, ამბობენ აქაურ კაცს ღმერთი სწამსო და ისევ განაგრძო. ბატონმა ისევ დაუძახა თავის ყმას ხარიხაზე. ელაპარაკა გულ-მოსულათ ცოტა ხანს და ისევ გადმოაგდო ხარიხიდამ პალურის კვრით. ჩემს ამხანაგებს ძლიერ უკვირდათ, რომ ორი კაცი ჩხუბობს, ერთი სცემს მეორეს და მეორეს კი გულზე ხელი დაუკრებია და სამაგიეროს არ უხდის. აქ ველარ მოითმინეს და მივიდნენ გალახულ კაცთან. ახედეს, დახედეს, არ აკლია თვალი, არ აკლია ხელ-ფეხი და უკვირთ, რატომ თავის გამლახველს ხელი არ შეუბრუნა? ლომის თურმე გულმა ველარ მოუთმინა, იძრო თავისი ხანჯალი, ხელში მისცა გალახულს ყმას, პირი ბატონისკენ აქნევინა და მუნჯურად აჩვენა: წადი და ეს ხანჯალი დაჰკარი შენს გამლახველსო. ხარიხაზე

მდგომმა ბატონმა ამას თვალი მოჰკრა, დაინახა ექვსივე ჩემი ამხანაგები მის ეზოში, პირველად — ცოტა არ იყოს — შეეშინა, მაგრამ გაჯავრებულმა თავი ველარ შეიკავა, დაუყვირა სახლში მყოფ რამდენსამე ყმას, რომ კეტებით ეცემათ ურჯულო სვანებისათვის, რომელნიც მის ეზოში შემოსულან. ყმებმა კეტები ნახეს, ერთი თვითონ ბატონმა აიღო და გამოექანენ სვანებისკენ. ჩემმა ამხანაგებმა იფიქრეს, სწორეთ ჩვენც თავის ყმასავით გალახვას გვიპირებს და ერთი მეორეს უთხრეს თურმე, მარჯვეთ დავხვდეთ, არ დაგვიბრიყოს ამ კაცმა, თორემ სადღა უნდა გამოვჩნდეთ მავისი გალახული; თუ მართლა გასალახავად მოვიდეს, იმდენი ვსცემოთ, რომ ნაღველი წამოვარწყევინოთ. მოვიდნენ ბატონ-ყმები კეტებით და პირის-პირ დაუდგნენ სვასებს; ამათ ხანჯლები იშიშვლეს და დგანან გაჩერებული; ვერც ერთი მხარე ვერ ჰბედავს პირველად ჩხუბის დაწყებას. ამ დროს ლომიმ ველარ მოითმინა, გადახტა წინ და ხანჯლით თავი გაუპო ბატონს და ნიშიც უგო, — ეს შენა გქონდეს იმის მაგიერ, რომ ვიღაც კაცი ორჯერ გალახე ჩვენ წინო. დაჭრილი ბატონი იქვე დაეცა, დაჭრილ თავიდამ წყაროსავით გადმოდიოდა სისხლი. ყმები მაშინვე ბატონს მისცვინდნენ, შინ შეიყვანეს. ყმებმა ჩემს ამხანაგებს თავი დაანებეს. ამ დროს მეც მივაგენი ამხანაგებს. ეს ამბავი მთელს სოფელს უცებ მოედვა; ჰარიქა, სვანები გვლაშქრიან, ვინ ხარ კაცი, გამოდით! გაისმის ამნაირი ძახილი სოფელში. შეიქნა ერთი წივილ-კივილი სოფელში. მთელი სოფელი მოწყდა. წარმოიდგინეთ ქალებსაც კი კეტები აეღოთ, გეგონებოდათ, ხალხი მგელს დასდევნებიაო. ამასობაში თაისავ ერთ მოსახლისას შევარდნილიყო, სდომებოდა თოფის შოვნა და კიდევაც ეშოვნა, მაგრამ რათ გინდა! გამოდგა, რომ თოფი დაჟანგულია და უკაჟო. ბატენა და სროლა მოუხერხებელი იყო და — როგორც არაფრად

სახმარი—თაისავმა ეს თოფი თოვლში გადისროლა. დაღამდა. ჩვენ სოფლიდამ საჩქაროთ გამოვიქეცით. სოფლელების ყაყანი გვესმის, მაგრამ უკან გამოკიდებას ამ ღამე ვერავინ ვერ ბედავს. რასაკვირველია, იმ სოფელში ჩვენი დადგომა შეუძლებელი იყო და ღამე უნდა განგვეგრძო ჩვენი მგზავრობა. როდესაც სოფელს გვარიანს მანძილზე მოვშორდით, ასე რომ შიში აღარაფრისა გვქონდა, მაშინ ჩემი ამხანაგები მე მომცვივდენ და ათას ნაირი მუქარა დამიწყეს. სად წაიღებ ჩვენს სიკვდილს! თუ ამისთანა ოხერ ქვეყანაში ყოფნა შეგვხვდებოდა, რათ არ გაგვიტყდი სახლში და ჩვენს სახლებში დავრჩებოდით! დავბრუნდებით შინ და მაშინ ჩვენ ვიცით და შენ, იქ გავსწორდებით. ასე მემუქრებოდენ ჩემი ამხანაგები. მე სიტყვა ველარ შევუბრუნე, ყველაფერს ვითმენდი. ვიარეთ ამ ზამთრის ღამეში, სანამ დაღალულობით არ დავიქანცეთ და ბოლოს შარა გზამდე მივაღწიეთ. აქ უნდა გაგვეთენა ღამე. გზის იქით-აქეთ ნაპირებზე რამდენიმე წაქცეული ხეები ვნახეთ და შეშათ ვიხმარეთ. რას ვიფიქრებდი, რომ ჩვენი აქ დადგომა ვისთვისმე საწყენი იქმნებოდა. დავეყარეთ უვახშმოთ თოვლში და ცოტა გამოვიძინეთ. მალე გათენდა; ესეცაა ვებარგებით და ამ დროს ერთი ცხენოსანი წაგვადგა თავზე. „ახ, თქვე ურჯულო სვანებო! — დაიყვირა ცხენოსანმა — ვერ მოგსწრებიათ კარგი დღე, როგორ გაბედეთ ჩემს ადგილში ჩემი შეშის დაწვა? ეხლავე დაგიჭერ ყველას და ტყავს გაგაძრობ და სხვა-და-სხვა“. ვატყობდი, აქაც უსიამოვნობა შეგვიდგებოდა და ამის ასაცილებლად ხვეწნით დავუწყე ლაპარაკი ცხენოსანს. ვუთხარი, რომ რაც შეშაში ერგება მივართმევ და ვსთხოვე ხმა მაღლა და გულ-მოსული ლაპარაკი არ განეგრძო; ეს იმიტომ მსურდა, რომ ჩემი ამხანაგები, რომელნიც უიმისოდაც სიკვდილის გუნებაზე იყვნენ, საჩხუბრად არ გამოეწვია, თორემ არც მაგ ცხენო-

სანს დააყრიდენ ხეირს. რას მომცემო, მითხრა ცხენოსანმა? ჩემი შეშა ამ თოვლ-სიცივეში ერთი თუმანი ღირსო; ამბობენ აქაურს კაცს ღმერთი სწამსო. თუმანს საიდგან მივსცემდი, ავიღე, კვერნის ტყავი დავუტოვე. რასაკვირველია, შეშის ფასად ათჯერ მეტი მივეცი, ჩემი კვერნის ტყავი ხუთი მანეთი ღირდა, მაგრამ რას ვიზამდი! ჩემმა ამხანაგებმა კი მაშინვე მკითხეს, რათ უწყალობე ამ კაცს კვერნის ტყავიო. — ეს კაცი ცხონებული მამი ჩემის ნაცნობია მეთქი და იმიტომ მივეცი. ავდექით და გავსწიეთ. გზაზე, სადაც დუქანი შეგვხვდა, ყველგან არაყი დავალევიე ჩემს ამხანაგებს. არაყში საქალამნეს ვაძლევდით. იმ ღამეს ნამახვანს (*) მივედით. აქ მედუქნეს ვიცნობდი, ოტია ერქვა სახელად და იმისას შევუხვიე. ვსთხოვე სადგომი უქირაოთ მოეცა და სხვას რასაც დავხარჯავდით, იმაში გავუსწორდებოდით. ოტიამ სადგომი ტყუილა არ დაგვითმო; ახლა ზამთარიაო, ახლა თუ სადგომში ქირა არ ავიღე, აბა აგვისტოში ხომ სულ ვერაფერს ავიღებო. აქეთ მე, იქეთ ის და კაცზე შაურ ნაკლებ არ დათანხმდა. მეტი ღონე არ იყო, უნდა მიმეცა. დაგვინთო პატარა ცეცხლი გაცივებული დუქნის ერთ კუთხეში. ვახშმად პური ვსთხოვეთ, არა ჰქონდა, მჭადი — არც ის. სიმინდის ფაფის ... იამ ვერაფერს გიშოვიო, გვითხრა ოტიამ. დაგვიმზადა ...რდალა ფაფა ვახშმად და მოგვიტანა. ერთი ბოთლი ... ძოვითხოვეთ. არაყი გაცივებულს გულზე გვიამა, მოვითხოვეთ მეორე ბოთლიც. არაყმა შეგვახურა, სიცივეს სულ ვერა ვგრძნობდით. მეორე დილას ადრე ავდექით და მედუქნეს გავუსწორდით. ჩვენზე იანგარიშა სადვომ-ნახარჯიანად სამი მანეთი. ავიღე და მელას ტყავი და ერთი ხარის შოლტი იმას

(*) ნამახვანას დუქნები ქუთაისს შორავს 20 ვერსით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუტოვე. წავსწიეთ და ქუთაისს ადრე ჩავედით. ქუთაისის თავში რომ ბაღია (*) იქ დავისვენეთ. ქალამნები გამოვიცვალეთ; ბარგიდამ კრაველები და ხარის ნაღველები ამოვიღეთ. ამხანაგებს ვასწავლე, რომ, როცა ვინმე ვაჭრობას დაუწყებდათ ნაღველს, ასე ეთქვათ: ,,დათვის ნაღველი''. რომ მყიდველი უფრო დაგვეჯერებია, გაუს დათვის ქურქიდამ ბალანი მოგვლიჯეთ და ნაღველებს გარედამ როგორღაც მივაწებეთ. ამ ხერხმა გასჭრა, ხარის ნაღველი ყველამ დათვის ნაღველად მიიღო და თვითოში ორ-ორ აბაზს ვიღებდით. ქალაქი პირველად ენახათ ჩემს ამხანაგებს და, რასაკვირველია, ძლიერ მოეწონათ, მხოლოდ ერთობ შორს ეჩვენათ და წამ და უწუმ იმეორებდენ, როდის იქმნება შინ მშვიდობით დავბრუნდეთო. როგორც გითხარი ქუთაისს სამუშაოდ წამოვედით. ვეძიეთ სამუშაო, შეგხვდა ვიღაც ღვთის მიერ წყეული კაცი და აბაზად გაგვირიგდა დღეში კაცის სულზე. ის ქუთაისის ბოლოში სახლობდა, ყორე ჰქონდა ასაშენებელი. ქირას კვირის ბოლოს მოგცემო, გვითხრა მან. ხარჯი ჩვენი იყო. სამ კაპეიკიან მჭადს სადილად ვყიდულობდით და სამ კაპეიკიანს ვახშმად. ღამე ჩვენს ალასთან ვსდგებოდით. სამი დღე ვიმუშავეთ ყორე; მეოთხე დღეს, რაღაც საუბედუროდ უქმე იყო და ამხანაგებს მთელი ქალაქი დავარონიე. ვნახეთ ურ[illegible] აყროლებული უბანი, საიდგანაც მწვირე რიონში ჩად[illegible] ლომიმ რომ ამ მწვირეს შეხედა, თავში ხელი შემოირტყა, [illegible] ჩვენი ცოდვა! მოვწამლულვართ და ეს არის, ეს სამი დღეა, რაც ამ წუმპლიანს წყალსა ვსვამთ; ჩვენ ნაკურთხს მიწაში დამარხვის ღირსი არც კი ვართ. მონათლულმა კაცმა როგორ უნდა დალიოს რიონის წყალი ურიების უბანს ქვემოთ და კი-

(*) ფერმა.

დევაც დაიფიცა, რომ დღეიდგან რიონის წყალი ურიების ქვე-მოთ აღარ დალიოს. საღამომდი ქალაქის სხვა და სხვა უბნებში ვხეტიალობდით და მერე ჩვენს ბინაზე მივედით. მეორე დღეს შევუდექით ყორეს შენებას. როდესაც ლომის წყალი მოსწყურ-და, სთქვა, რომ მე წყალზე მივდივარო ქალაქის თავში, დოქს თუ გაათხოვებს ჩვენი აღა, თქვენც მოგიტან წყალსო. ბევრი ვუშალე — არ წასულიყო, რადგან შორს იყო, მაგრამ ვინ გა-ვიგონა! აიღო დოქი და გასწია. ამ დროს აღაც მოვიდა ჩვენ-თან. დაგვთვალა, ერთი გვაკლდა. იკითხა: ერთი რა იქმნაო? მე ვუთხარი, ეხლავე მოვა მეთქი. ეს აღას ეწყინა, თქვე მ . . . რო-გორ მატყუებთო, ფულები განა რიონში ყრია, რომ მუქთად გაძღიოთო; თქვენ დასეირნობთ და მე შვიდი აბაზი უნდა ვი-ხადო დღეში; არ მინდა თქვენი მუშაობა, წადით, გამეცალეთ, თორემ ეხლავე დავაჭერინებ რუსებს თქვენს თავს და სულ ყველას ნავბახში შეგამწყვდევენო. მე ვუთხარი—სამი დღის ქირა მოგვეცი და წავალთ მეთქი, რას გვერჩი? ხომ ვიმუშავეთ სამს დღეს, რათ გინდა ჩვენი არამი, ასე შორს მოვსულვართ ორი კაპეიკის საშოვრათ და რათ გინდა ჩვენი ნაცოდარი მეთქი. შენც არ მომიკვდე! არაფერი გაიგონა ჩემი; შეგვატყო, რომ ხამები ვიყავით. ამ დროს მოვიდა ლომიც. დოქით წყალი მო- ... ამხანაგებს მისცა, აბა ნახეთ, თუ ამას სხვა ნაირი გემო ...ო. ამხანაგები ისე დაეწაფენ ამ წყალს, თითქო უკვდავების ... იყო. ისევ დავუწყე მუდარა აღას, რომ სამი დღის ქირა— ...თხი მანეთი და ერთი აბაზი მოეცა, მაგრამ არაფერი გამივიდა. ბოლოს სამუშაო იარაღები წაგვართვა, უბრძანა თავის მოსამ-სახურეს სახლში შეეტანა, აიღო ერთი მანეთი და მომცა, ესეც შენის ხათრით, თორემ ამ მხეცებს კაპეიკს არ მივსცემო. ჩემმა ამხანაგებმა რომ დაინახეს, იარაღი სახლში წაიღეს, იკითხეს, ეს

რა ამბავიაო? მე ვუთხარი, რომ მუშაობა აღარ უნდა ამ კაცს მეთქი. მაშ ქირა სად არის სამი დღისაო? მე ვუთხარი, რომ ქირის მოცემას საღამოს დაგვპირდა, მოვალ და მე გამოვართმევ მეთქი. დამიჯერეს. საღამოს ჩუმათ ორ მანეთად მელის ტყავი გავყიდე, თითო მანეთად ორი შოლტი, მანეთიც აღამ მომცა, ესეც ხუთი მანეთი მაქვს. ავიღე აქიდამ და სამ — სამი აბაზი დავურიგე ჩემს ამხანაგებს, ვითომ აღის მოცემული ფულია. აღამ ქირა არ მოგვცა მეთქი, ველარ გავუმხილე, რადგან მაშინ ჩხუბს დაუწყებდნენ ჩემი ამხანაგები და ეს მე არ მინდოდა. მეორე დღეს ბევრი ვეძიეთ სამუშაო, მაგრამ ვერაფერი ვიშოვეთ. ცუდმა სმა-ჭამამ, ბინამ ერთობ შეგვაწუხა და გადავსწყვიტეთ შინ დაბრუნება. რაც რამე სავაჭროები მქონდა — გავყიდე და ფულად ვიქონიე, ვიფიქრე გზაში დაგვჭირდება მეთქი. არაფერი მიყიდია იმ გზავრობას შილაიას გარდა ჩემი ცოლის საპერანგეთ და ტყვია-გოგირდისა ჩემთვის. როდესაც მე ურიების დუქანში წაველი შილაიას საყიდლათ, ჩემი ამხანაგები სამიკიტნოს წინ დავტოვე. სამიკიტნო გამოტენილი იყო სხვა და სხვა სასმელ-საჭმელებით. მშრალად მოხარშული ცივი დედლები, შემწვარი და მოხარშული ხორცი, პურები, ღომი, ერთი სიტყვით ყველაფერი ბლომად იყო. ჩემი ამხანაგები, რომელნიც—რაც სახლიდგან გადმოვიდნენ—ხეირიანად ერთხელაც არ გამა[illegible] გაშტერებით უცქეროდნენ ამ საჭმელებს. მიკიტანმა შეამჩ[illegible] და მიპატიჟება დაუწყო სვანებს; მობრძანდით, მიირთვით რაც გნებავთ, ყველაფერი ბევრი მაქვს. ჩემს ამხანაგებსაც ეს უნდოდათ. მაშინვე შევიდნენ სამიკიტნოში და რაკი არჩევა იმათი საქმე იყო, მოგვცა სიცოცხლე, იმათ სასმელ-საჭმელი მოითხოვეს. როდესაც ღვინო თავში გაუჯდათ, დაიწყეს ლოცვა მიკიტნისა. ერთი ამბობს, რომ სწორეთ ეს კაცი ვიღაც ღვთის კაცი უნდა იყოს,

თორემ ამდენს ხარჯს რათ გასწევდა ჩვენთვის, მეორე—ალბათ ვინმე მაგისიანი სვანეთში ნამყოფია და იცის, რომ სტუმარს პატივისცემა უნდა; მესამე—გავიგოთ კარგად მაგისი ვინაობა და თუ ღმერთმა მაგ, ან მაგისი ნათესავი ვინმე გვაჩვენა სვანეთში, გლახა კაცები ვიქმნებით, თუ მაგიერს პატივის ცემას ვერ გად ვუხდით და სხვა. როდესაც ჩემი ამხანაგები გაძღენ-გამოთვრენ, წასვლა დააპირეს, მივიდენ იქვე მიკიტანთან და, რასაკვირველია, სვანურად მადლობა გადუხადეს. მიკიტანი კარებთან გადაეღობა და ანიშნა ხელით: ფულები ჩამითვალეთ ხელშიო. სწორეთ ამ დროს მოვედი მეც. მოვარდა ჩემთან გაუ, რომელსაც სხვაზ მეტი უყვარდა გადაკვრა და მითხრა,—მადლობა გადუხადე ამ მღვთის კაცს, ძალიან კარგი მასპინძელი დაგვიხვდა, ეტყობა ამ კაცმა იცის, რომ შორებელს პატივისცემა უნდა; ჩვენც როდისმე გადვუხდით, მთა მთას შეხვდება, არათუ კაცი კაცს, ჩვენც კაცურად დავუხვდებით თუ სადმე ხელში ჩავიგდეთ. მე მაშინვე მიკიტანს მივუბრუნდი, რა გიქმნია მეთქი ეს? რათ მიგიტყუებია ესენი? გროში-კაპეიკი არა აქვთ და რა უნდა მოგცენ მეთქი. რას ლაპარაკობო, დაიყვირა მიკიტანმა, ამათ სვეს და შენ დათვერიო? ერთი ნამცეცი საჭმელი დუქანში არ დამიტოვეს და ფული კი არ უნდა მომცენ? დავბერდი მიკიტნათ, ბევრ ნაირი ჯურის ხალხი შემოსულა ჩემს სამიკიტნოში და ამათთანა გაუმაძღარი ხალხის მნახველი არა ვარო. რაც ამათ აქ შემიჭამეს, მაგას ერთ კვირას ვერ გავასაღებდიო. მიკიტანი დგას კარებში და მელაპარაკება. ამხანაგებმა მკითხეს, რას ვეზირობთ ამდენ ხანსო. მე გადავეცი, ეს კაცი ფულს თხოულობს ნახარჯში, მისი ანგარიშით შვიდი მანეთი ერგება. უჰ! წამოიძახეს ამხანაგებმა, ღმერთი იმას უშველის, ჩვენ იმას შვიდი მანეთი მივსცეთ! ეს ჩვენი საცილოდ აგდებაა, თქვა გაუმ, არ დაგვიბრიყვოს ე ვილაც კაცმა,

მარჯვეთ იყავით! წასძახა თავის ამხანაგებს და თვითონ ჩემსა და მიკიტანს შუა დადგა. მომკიდა ხელი და მეუბნება: ჰკითხე ამ კაცს, აქ სტუმრობა იციან თუ არა? ჩვენ ხომ ძალით არ შევსულვართ მაგასთან, ილაჯი არ მოგვეცა, სანამ არ მიგვიპატიჟა და ახლა ფულსა გვთხოვს? როცა ეს მიკიტანს გადუთარგმნე, გაბრაზდა, გულმოსულმა მიიწია გაუსთან და ხელი ზედ ცხვირთან მიიტანა, ხომ არ გადარეულაო, სადაური სტუმარი, სადაური დაპატიჟება, ჩემთვის ვერ გამომიმეტებია კარგი საჭმელები და მე ამ სვავებს ჩავუყრიდი მუცელშიო! გაუს ხელის ცხვირთან მიტანა ეწყინა, სტაცა ხელში ხელი და პანჩურით გამოაგდო კარში. ამხანაგებს დაუძახა, თუ ვინმემ რამე გაკადროთ, მაშინვე ხანჯალს წაისვით ხელიო. ამ აყალ-მაყალში რომ ვიყავით, სამიკიტნოს წინ ბაზრის ხალხი შეიკრიბა. მიკიტანმა შველა სთხოვა იმათ. მათ სვანებს გზა შეუკრეს და კარში არ უშობდენ. იძვრეს ამ დროს ამხანაგებმა ხანჯლები, ზოგი დაზგაზე შეხტა, ზოგმა შუშაბანდი (ჭიქის კედელი) გამოამტვრია, ზოგმა თაროებიდამ სასმელებით სავსე ბოთლები ჩამოყარა, ისეთი ამბავი ატყდა სამიკიტნოში, რომ ჯოჯოხეთი გეგონებოდა. როდესაც ჩემმა ამხანაგებმა დუქანში ყველაფერი მილეწ-მოლეწეს, კარში გამოვიდენ. ბაზრის ხალხმა რომ ამოღებული ხანჯლები დაინახა, იქეთ-აქეთ დაიფანტა. ამ დროს რუსებიც (პოლიციელები) მოვიდენ ჩვენ დასაჭერად. ჩემი ამხანაგები ამათთანაც ჩხუბს აპირებდენ, მაგრამ ვურჩიე ხელი არ ეხლოთ, თორემ სუყველას ციმბირში დაგვკარგენ მეთქი. ციმბირის შეეშინდათ და დამორჩილდენ. მოგვხვიეს ხელი და ერთს კოშკში შეგვიყვანეს (პოლიციის შენობა). მთელი ბაზარი უკან მოგვდევდა. აქ ერთი ჩინიანი კაცი მოვიდა და წყრომა დაგვიწყო. აქ მოვიდა ჩვენი მასპინძელიც. ის მუხლებზე დაეცა, ფეხებს

ჰკოცნიდა ჩინიანს კაცს და ისე განაცხადა ჩვენზე საჩივარი. ჩინიანმა ყველაფერი გაიგო. მეც ვუთხარი, როგორც იყო საქმე და ბოლოს დავუმატე, რომ ამათ—ჩემს ამხანაგებს ერთი კაპეიკი არ აბადიათ და რას მისცემენ მიკიტანს. ღმერთმა გრძელი დღე მისცეს იმ ჩინიანს კაცს, იმან ჩვენი მხარე მიიღო, მედუქნეს უთხრა, რომ რატომ ვერ შეატყვე, რომ ამათ ფული არ ექმნებოდათო და რაღა ძალით ეპატიჟებოდიო, გაუწყრა და კარში გააგდო. ჩვენ გვითხრა, რომ ხვალ ჩვენი სული აქ არ ენახა, თორემ დაგიჭერ და სულ ყველას ნავბახში შეგამწყვდეო. თავი დავუკარი და გამოვედით. იმ ღამეს ფურნეში დავდექით. მთელი ღამე ჩემს ყვედრებაში იყვნენ ჩემი ამხანაგები: რას გვემართლებოდი, რა ჯინი გჭირდა ჩვენი, რომ აქ წამოგვიყვანეო. აქ ვერაფერს გეტყვით და სახლში კი გაგისწორდებითო. ერთი სიტყვით სული შემიწუხეს. რომ თავი შემებრალებინა იმათთვის ვუთხარი, რომ მე უარესად ვსწუხვარ იმათ აქმოყვანას, რადგანაც გზაზე ცხენოსანს კაცს მათ მაგიერ შეშაში კვერნის ტყავი ჩემი საკუთრება მივეცი და ყორეს რომ ვაშენებდით, იმის მაგიერ ქირა მე მოგეცი თქვენ მეთქი. ამან ცოტათი მოარბილა ჩემი ამხანაგები. ღომი და თაისავი ღამე ამდგარიყვნენ, მისულიყვნენ თურმე ჩვენს ნაშენ ყორესთან და ძირიანად დაენგრიათ. ეს მარტო მაშინ მითხრეს, როდესაც მეორე დღეს ქუთაისს გამოვსცილდით. ამხანაგებს არ უნდოდათ იმ ცხენოსან კაცისთვინაც შეერჩინათ ტყუილად წაღებული ჩემი კვერნის ტყავი, რომელიც შეშაში გამომართვა. ცხენოსან კაცის ადგილში რომ მივედით, მას ყანა შეღობილი ჰქონდა. მისცვივდნენ ამ ღობეს, ჯერ მიამტვრ-მოამტვრიეს და შემდეგ ცეცხლი მისცეს. ჩვენ კი გზაზე გავსწიეთ და, შეიძლება, ეხლაც არ იცის პატრონმა, ვინ დაუწვა იმას ღობე. ქუთაისიდამ წამოსულები მეხუთე დღეს მოვედით ცენას ხეობაში, სწორედ

იმ ადგილას, სადაც იქითობას თოვლის ორმოში ღამე გავა-ტარეთ. ჩვენი ბინა თოვლს ამოევსო, მაგრამ დადგომა მაინც იქ მოვახერხეთ. რამდენი ლხინიც იქეთობას ვნახეთ გზაზე, იმდენი აქეთობას გამოვიარეთ, მაგრამ იმას დაწვრილე-ბით არ აგიწერ, მეშინია თავი არ გატკინო. ერთ უბედურებაზე კი კიდევ უნდა გითხრა და ამასაც იმიტომ, რომ კარგად მიხვდე, თუ რამდენად ძნელია სვანებისათვის სხვა ქვეყნებში წასვლა და ყველას ის ეჯობინება, ჩვენ ისევ ჩვენს სახლებში ვიყოთ და არსად არ დავდიოდეთ. მეორე დღეს მთა ნაკ-ზაგარი უნდა გა-დაგვევლო. გათენდა თუ არა, მაშინვე მთას შევუდექით. ცა ღრუბლებით იყო გადაკრული. ბუქი იყო და ბნელოდა, ისე რომ თითს თვალში ვერ მიიტანდი. მარტო ბედნიერი კაცი უნდა, რომ ამ გვარს დღეში მთას გადააბიჯოს მშვიდობით. ჩვენ მეტი ღონე აღარ დაგვრჩენოდა, უნდა გაგვეგრძო გზა, ამიტომ რომ საგზალი არა გვქონდა და გინდ სიმშილს მოვე-კალით, გინდ ნამქერს დავერჩეთ, სულ ერთი იყო. შემოვიკა-რით ფეხებზე თხილამურები და გავსწიეთ. ისეთი დიდი თოვ-ლი გვქონდა სამკვლევად, რომ ყანის სიფართოე მანძილს რომ გავივლიდით, მოვიღალებოდით და უნდა დაგვესვენა. ბუქმა სულ საქმე გაგვიჭირა. ამ წამს გაიღიმებს ცა, მოვიმხრობთ გზას, გავუ-დგებით, იმ წამს დაბნელდება, თოვლი და ქარი ერთმანერთში აირევა და ერთი ბიჯის სიშორეზე ერთმანერთს ვერა ვხედავთ. ამ ნაირ წვალებაში დავაღამეთ დღე და კიდევაც მივაღწიეთ მთის წვერზე. ჩვენკი აზრად სოფლად მისვლა გვქონდა ამა-ღამ. მწვერვალზე ბუქმა უფრო გაშალა ფრთები, ასტყდა კო-რიანთელი და სიცოცხლის იმედი დაგვეკარგა. ყველას თვალ-წინ გვედგა აღსასრულის დღე. გამოვიტირეთ ცოცხლად ჩვენი თავი, ცოლ-შვილი, ოჯახობა. უნდა ვსთქვა, რომ ყველაზე

გულ-გაუტეხლად იყო ამ დროს თაისავი. მარტო—იმან არ დაჰკარგა სიცოცხლის იმედი. სხვები რომ იმედ-დაკარგულები ვართ, თაისავმა წამოიძახა: მოდით, დავიჩოქოთ ყველამ, მგზავრის გაჭირებაში მშველელ წმ. გიორგის შევეხვეწოთ და ეგებ იმან გადაგვარჩინოს სიკვდილს; რათ ინებებს ის შვიდი ადამიანის დაღუპვას. ყველანი ერთად მოვგროვდით, დავიჩოქეთ, შევსთხოვეთ წმ. გიორგის შველა და თუ გადაგვარჩენს სიკვდილს, ყველანი სათვითეულოდ დავპირდით, რომ—მივალთ თუ არა სახლში—თვითო უღელ ხარს მის სახელობაზე მთაში გავუშვებთ სასუქად და შემოდგომაზე მას დავუკლავთ მსხვერპლად. არც ერთს უარი არ გვითქვამს თაისავის რჩევაზე. როდესაც ამას მოვრჩით, თაისავმა გვირჩია ყველას თავისთვის გაეთხარა თოვლის ორმო და შიგ ჩასულიყო; მე გამიგონიაო, რომ ამ ნაირ ორმოში სიცივე არ არის და კაცი არ მოკვდებაო და კიდევაც რომ მოვკვდეთ, განაგრძო თაისავმა, სხვა ქვეყანაში ხომ არა ვკვდებით, იმისთვისაც მადლობელი ვიყოთ ღვთისა, რომ მან ჩვენი ძვლები სხვა ქვეყანაში არ დასტოვა, ვაი-და-ვაი ისაა, რომ გაზაფხულზე ადრე ვერ მოგვაგნებენ და, შეიძლება, ჩვენი მძორი ორბებმა შესჭამონ, მაგრამ არც აქამდე მიიყვანს ჩვენს საქმეს წმ. გიორგი, გამაგრდით, გულს ნუ გაიტეხთ, ვაჟკაცები ვართ, სხვა არა იყოს რა სირცხვილია და სხვა-და-სხვა. ერთი სიტყვით თაისავს რომ რუსთაველი სცოდნოდა —დავუმატებთ ჩვენ—მისის სიტყვებით გამოხატავდა თავის აზრს: ,,ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა ვით ქვით-კირსა . . . . შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა.“ განვაგრძოთ ისევ სვანის ნაამბობი. გავითხარეთ ყველამ თოვლის საფლავი და შიგ ჩავედით. თოვლის ერთი კედელი გამოვთხარეთ და თავი იმაში შევდევით. თავის პირ-და-პირ ზემოთ ყველამ თავ-თავისი ჯოხი დავასვეთ, ეს იმიტომ, რომ ვინიცობაა ამალამ აქ დავიხოცე-

ბოდით, თუ ცოტა ხანში ვინმე გამოივლიდა, აქ ჯოხებს დაინახავდა და იმით მიხვდებოდა, რომ ჯოხს ქვეშ მისი პატრონი უსულოთა ძევს, მოგვენახავდენ და მკვდარს მაინც დროით წაგვიღებდენ შინ. ეს ჩვეულება ახალი არ არის ჩვენში. ამას ჩადის ყველა ჩვენსავით გაჭირებული. თოვდა ისე, რომ ქუდებსავით გვაყრიდა და მალე დაგვფარა. რაც რამე მებადა სულ ყველა ფეხებზე შემოვიხვიე. საკვირველია, რომ რაც მეტი დაგვაყარა თოვლი, მით უფრო თბილოდა თოვლის თხრილში. ის კი არა და ჩემი პირის პირ-და-პირ, სადაც თოვლს პირიდამ ამოსული ორთქლი ეკარებოდა, თოვლი მოლბა და წვეთები გაჩნდა. ვართ ამნაირად მთელი ღამე. რითი გავიგოთ გათენება? დრო გამოშვებით ავიღებ ხანჯალს, ვსჩხვლეტ ჩემ თავზე მდებარე თოვლის სარქველს, მინდა გავხვრიტო, ეგება სინათლე დავინახო, მაგრამ სამჯერ ვერა ფერი გავიგე. მეოთხედ კი დავრწმუნდი, რომ ახლა უთუოდ გათენებული უნდა იყოს მეთქი. ვხვრიტე ხანჯლით თოვლის სარქველი, ვხვრიტე და კიდევაც დავინახე სინათლე. წარმოიდგინეთ—რა გამიხარდებოდა! დავუწყე თოვლს ხელებით პოტნა, ვსთხარე ზედა კანი და როგორც იყო ამოველი. გავიხედე, ცა მოწმენდილია. ჩემი ამხანაგების ექვსი ჯოხი ყველანი გაჩერებული არიან და თოვლიდამ მარტო თავები უჩანან, იმდენი მოეტანა იმ ღამეს თოვლი. მივედი ერთ ჯოხთან, დავაჭირე ხელი, მოხვდა კაცის თავს, გაინძრ-გამოინძრა, ამოვიდა ლოძი. მივედი მეორესთან, მესამესთან და ამ ნაირად ამოვიყვანე ყველანი. სამზღვარი არა ჰქონდა ჩვენს სიხარულს. სულ დაგვავიწყდა გამოვლილი გაჭირება და ტანჯვა. საღამოს ყველანი ჩვენს სახლებში ვიყავით. ყველას უკვირდა ჩვენი გადარჩენა. იმ წვალებამ და ტანჯვამ, რომელიც ჩვენ ამ დაწყევლილ მგზავრობაში გამოვიარეთ, შემდეგში გაგვიხსენა და

ყველანი ლოგინად ჩავვარდით. ზოგი ერთ წელიწადს ვიყავით ავად, ზოგი ნახევარ წელიწადს, ასე რომ წლის განმავალობაში ჩვენს ოჯახში სარჩენად გავხდით, ვერაფერი ვიმუშავეთ. ოთხმა ჩემმა ამხანაგმა, როგორც კი მოვრჩით, მაშინვე დავა დამიწყეს, რომ შენის გამოიობით გზაშიაც ბევრი წვალება გამოვიარეთ, ავადაც გავხდით და ერთის წლით სახლსაც მოვცდითო. ავირჩიეთ ოთხჯერ მედიატორები, ოთხჯერ გაგვასამართლეს და ბოლოს სამი დღიური მიწა მიუსაჯეს ჩემგან. მედიატორების ხარჯი, იმათი გასამჯელოდ მისაცემი კიდევ სხვა იყო, ასე რომ უწინდელი შეძლებული მოსახლე დღეს დავღარიბდი. ორმა არ მიჩივლა, არ გამომიმეტეს, რადგან ჩემი სახლი-კაცები არიან, თორემ იმათაც რომ ეჩივლათ, სულ დავიღუპებოდი. შენ რომ ფიცი გახსოვს „უფლის“ ეზოში, აი ის ფიციც ამის თაობაზე იყო. იმითი გავათავე დავა ყველა ჩემს ამხანაგებთან. რაც მომივიდა, მომივიდა, ეხლა ვერაფერს ვუშველი. ჩემს შვილებს კი იმას დავუბარებ სიკვდილის დროს, რომ იგინი არასოდეს სხვა ქვეყანაში სამუშაოდ არ წავიდენ, ისხდენ სახლში, რაც უნდა გაჭირება ჰქონდეთ, მოითმინონ, რადგან მგზავრობამ მე დამღუპა და არც სხვას ვისმე დააყრის ხეირს. ამითი გაათავა გიერგმა თავისი ამბავი და რაღაც კმაყოფილება იგრძნო, თითქო უნდა გაემართლებინა შოთას სიტყვები:

„დიდი ლხინია ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუნდებოდეს.“

თაჲ. ხვანი.

1889 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქ ო რ წ ი ნ ე ბ ა

## (სოციოლოგიური მოხილვა)

ქორწინება არის ისეთი წესი, რომელიც მართავს სქესთა შორის კავშირს სქესებრივის ვნების და გვარის გავრცელების დასაკმაყოფილებლად. ამ მიზნით სქესთა დაკავშირება, სხვა-და-სხვა ქვეყანაში ერთნაირის წესით არა ხდება. დროსა და ქვეყნის მიხედვით ქორწინება სხვა-და-სხვა-ნაირია. ჩვენ შეგვიძლიან ავნიშნოთ ქორწინების შემდეგი ხუთი უმთავრესი სახე: 1-° შერევა, 2-° დროებითი და პირობითი კავშირი, 3-° მრავალ-ქმრიანობა, 4-° მრავალ-ცოლიანობა და 5-° ერთ-ცოლ-ქმრობა.

## I.

შერევა, როგორც ქორწინების წესი, მდგომარეობს იმაში, რომ ტომში თვითოეული ვაჟი ყველა ქალების ქმრად ითვლება, როგორადაც თვითოეული ქალი ყველა ვაჟების ცოლად. ქალი და ვაჟი უკავშირდებიან ერთმანერთს წუთიერის ვნებისა და სურვილის მოსაკვლელად ყოველის წესისა და რიგის დაუცველად. ამგვარი სქესებრივი ურთიერთობა არის ქორწინების პირვანდელი წესი, რომელიც, როგორც საფიქრებელია, ყველგან ყოფილა გავრცელებული. შერევა ზოგან ახლაც არსებობს, ზოგან კი მართალია, მოსპობილა, მაგრამ დაუტოვებია თავის ნაკვალევები.

ჩინელების გადმოცემითგან სჩანს, რომ ძველის-ძველს დროს იმათში შერევა ყოფილა გავრცელებული. ინდოურის წიგნის ,,მაჰაბჰარატის'' მოწმობით, შერევა არიელებშიაც ყოფილა. გადმოცემა ამტკიცებს, რომ საბერძნეთშიაც კეკროფსის დრომდე (XVII ს. ქ. წინ) ბერძნები შერევას მისდევდნენ.

ავსტრალიაში ქალები ათის წლიდგან და ვაჟები ცამეტ-თოთხმეტის წლითგან თავისუფლად ცხოვრებენ ერთად. აგრეთვე ყოვლის დაუბრკოლებლად კალიფორნიაში ინდიელები უკავშირდებიან ერთმანერთს და არა აქვთ სიტყვა ,,ქორწინება''. ქალები ეკუთვნიან თავის თემის ყველა ვაჟებს. ამ უკანასკნელებში შური მარტო მაშინ იბადება, როცა ქალი უცხო თემში იჩენს საყვარელს. ანდამანიტებშიაც ქალები თემის ყველა წევრებს ეკუთვნიან და არ-დანებება ქალის მხრით დიდს დანაშაულად ითვლება და მკაცრადაც ისჯება.

მოვიყვანთ ორს მაგალითს, რომლებშიაც ჩვენ ცხადად დავინახავთ შერევისგან დარჩენილს კვალს. ინდოეთის ზოგიერთს ტომებში, სახელდობრ სანტალებში, სადაც წელიწადში ერთხელ ერთად იხდიან ქორწილს ყველა საქორწინოები, ქორწინებას წინ მიუძღვის ექვსი დღის განმავლობაში შერევა საქორწინოთა შორის. დიოდორ სიცილიელის მოწმობით, ბალეარის კუნძულებზე პატარძალი ერთის ღამის განმავლობაში ყველა მიწვეულს სტუმრებს ეკუთვნოდა, მერე კი ქმრის საკუთრება ხდებოდა.

შერევასთან ახლო ესრედ წოდებული დროებითი და პირობითი ქორწინება. აქ ვაჟი და ქალი რამდენისამე ხნით ერთმანერთთან ცხოვრებენ და ერთმანერთში გასაზღვრულს პირობას იცავენ. სტრაბონი მოგვითხრობს, რომ ტაპირებში (პართებში)

ქალი ქმარს იცვლიდა, როცა ერთის კაცისაგან ორი ან სამი შვილი ჰყავდა. უკანასკნელს საუკუნეში სპარსელები კიდევ ახდენდენ დროებითს ქორწინებას. ისინი სდებდენ ცოლ-ქმრობის ვადას, რომლის შემდეგ პირშემკვრელები თავისუფლები ხდებოდენ. თუ ამ დროს ცოლი დამძიმდებოდა, დროებითი ქმარი ვალდებული იყო ერთის წლის განმავლობაში სარჩო ეძლია იმისთვის. ამ მოკლე კავშირითგან წამომდგარი შვილი ეკუთვნოდა მამას ან დედას სქესის მიხედვით.

ცეილანში იციან დროებით საცდელად დაკავშირება თხუთმეტის დღის განმავლობაში. ამ ვადის შემდეგ ქორწინება შეიძლება ჩაიფუშოს ან დამტკიცდეს. მაროკოში ურიები ხშირად ირთვენ ცოლს სამის ან ექვსის თვით. ვაჟი ვალდებულია შვილი თვისად იცნოს, თუ გაჩნდა. ნუბიაში მიღებულია სამს მეოთხედად დაქორწინება ასე, რომ სამი დღე ქმრისაა, ერთი ცოლისაა. თეთრის ნილოსის არაბებშიც იმ პირობით ირთვენ ქმარს ქალები, რომ კვირაში რამდენიმე დღე მათ ეკუთვნოდეს. ამ საკუთარს დღეებში ისინი ისე იქცევიან, როგორც მათი სურვილი და ქეიფია.

მესამე-გვარი ქორწინება, მრავალ-ქმრიანობა, მდგომარეობს იმაში, რომ ერთს ქალს რამდენიმე ქმარი ჰყავს. ჩვეულებრივ უფრო ნათესავები და კერძოდ, ძმები ირთავენ ერთს ქალს საზოგადო ცოლად. იულიუს კეისარი მოგვითხრობს, რომ მის დროს ბრეტანებში ძმები ერთს საზოგადო ცოლს ირთავდენ. სტრაბონის თქმით, ლიდიაში და არმენიაში ქურუმს ქალებს საგანგებო პრივილეგიად ჰქონდათ მინიჭებული, რომ რამდენიმე ქმარი ჰყოლოდათ. მიდიის ზოგიერთს მაზრებში დედაკაცისთვის დიდი სახელი იყო ხუთის ქმრის ყოლა.

მალაბარის შავს ტომებში ქალს ჩვეულებრივ 5—6 ქმარი ჰყავს. მაგრამ შეუძლიან 10—15—ც შეირთოს. ხანდახან ისინი ცხოვრებენ იმდენთან, რამდენიც უნდათ. როცა ქმრების რიცხვი გასაზღვრულია, ცოლი ყველა იმათგანთან რიგრიგად ცხოვრებს თორმეტის დღის განმავლობაში. ტიბეთში, მართალია, მრავალ-ცოლიანობა არ არის აკრძალული, მაგრამ მრავალ-ქმრიანობა მფლობელობს. ტვირთის შესამსუბუქებლად რამდენიმე ვაჟი შეერთდება ხოლმე ერთის ცოლის შესართავად. ინდოეთის ტოტირებში საერთო ცოლს ირთავენ ძმები, ბიძები და დისწულები, ყველანი ერთად. ტოდასებში ერთის კაცის ცოლი ქმრის ყველა უმცროსის ძმების ცოლად ხდება, როცა ისინი ასაკში მოდიან. ესენიც ქალის ყველა უმცროსის დების ქმრებად ხდებიან, როცა ისინიც ასაკში მოდიან. ძმურის ქორწინებითგან წამომდგარი შვილები ხან მარტო უფროსს ეკუთნვიან, როგორც ჰავაის კუნძულზე, ხან რიგრიგად: უფროსი შვილი უფროსს ძმას, უმცროსი უმცროსს, ხან კი შვილები ყველა ძმების კუთნვილებას შეადგენენ, როგორც მაგ. ცეილანის სინგალებში.

ზოგან ცოლი ცხოვრებს თავის ქმრების სახლში, ზოგან კი ქმრები ცხოვრებენ მათ ცოლის სახლში. უკანასკნელს შემთხვევაში ქალი ჰფლობს ქონებას და შვილებიც მის საკუთრებას შეადგენენ.

მაკლენანის მოწმობით მრავალ-ქმრიანობა არსებობს შემდეგს ქვეყნებში: ტიბეთში, ქიშმირში, ჰიმალაის არე-მარეში, ინდოეთში, ცეილანში, ახალზელანდში და ზოგან აფრიკაში.

შეიძლება კაცმა შენიშნოს, რომ იმ ქვეყანაში, სადაც მრავალ-ქმრიანობაა მიღებული, ბევრი ქალი უნდა რჩებოდეს უქმროდ, რადგან თითქმის ყოველთვის ქალებისა და ვა-

ქების რიცხვი თანასწორია. ამ საბუთიანს შენიშვნაზე უნდა ითქვას, რომ ჯერ ერთი, მრავალქმრიანობა არ არის უთუოდ სავალდებულო ყველასთვის. იმას მისდევენ უფრო ღარიბები, რომელთაც არ შეუძლიანთ ცოლის რჩენა ცალ-ცალკე. შეძლებულები კი იმავე ქვეყანაში მრავალ-ცოლიანობასაც მისდევენ. მეორეც ეს, რომ ამ ქვეყნებში ქალების ხოცვა იციან პატარაობითვე, რითაც მათ რიცხვს ამცირებენ შესამჩნევად.

მეოთხე-გვარი ქორწინება, მრავალ-ცოლიანობა, ყველაზე მეტად არის გავრცელებული. სემიტებში ის პირვანდელი ჩვეულებაა. სოლომონ ბრძენს 700 ცოლი და 300 ხასა ჰყავდა და ებრაელებიც, რაც შეეძლოთ, ჰბაძავდენ ამ დიდებულს მაგალითს. არაბები იქცეოდენ და იქცევიან, როგორც მათი ისრაელი ბიძები. ძველი სლავიანებიც კარგა ხნობამდის მრავალ-ცოლიანები იყვნენ. რუსის მთავარს ვლადიმირს, მის გაქრისტიანებამდის, რვა ასი ხასა უჯდა სხვა და სხვა ალაგას. აგრეთვე იყო ძველს აღმოსავლეთის სახელმწიფოებში: მექსიკაში, პერუში და შუაგულს ამერიკაში.

მუსულმანებში, რაღა თქმა უნდა, რომ მრავალ-ცოლიანობას სრული მეფობა აქვს. სიღარიბე თუ შეუშლის მუსულმანს ბევრის ცოლის ყოლას. მრავალ-ცოლიანობა ჩვეულებრივი წესია აფრიკაში და აზიისა და ავსტრალიის მომეტებულს ნაწილში.

მრავალ-ცოლიანობის შესახებაც ისეთი შენიშვნა შეიძლება, როგორც მრავალ-ქმრიანობის შესახებ. თუ პირველს შემთხვევაში ქალები დარჩებიან უქმროდ, მეორეში ბევრი ვაჟი უნდა რჩებოდეს უცოლოდ. აქაც ისევე აიხსნება კითხვა. ბევრს ცოლს ირთავენ მარტო შეძლებულები, ხოლო ღარიბები რჩებიან ან ერთის ცოლის ამარა, ან სულ უცოლოდ. ამ ქვეყნე-

ბში ხშირად ქალთა რიცხვი აჭარბებს ვაჟთა რიცხვს, ამასთან ქალებს ძალიან პატარებს ირთავენ, ან არა და იტაცებენ სხვა ტომისაგან. ეს გარემოებები რამდენადმე იცავენ ქვეყანას ცოლების გამოლევისაგან.

მეხუთე-გვარი ქორწინება, ერთ-ცოლ-ქმრობა ქრისტიანულის ქვეყნების გარდა მოიპოვება ძველადაც და ახლაც ზოგიერთს გაუნათლებელს და ველურს ქვეყნებში. ძველი ეგვიპტელები, ბერძნები, რომაელები, გერმანები, პერუელები, მექსიკელები ერთ-ცოლიანები იყვნენ საზოგადოდ, თუმცა მდიდრებს შეეძლოთ ხასების ყოლა, რამდენიც უნდოდათ.

ჩინელები და მონგოლები ერთ-ცოლიანობას მისდევენ, მაგრამ მდიდრები მაინც კიდევ ირთავენ „პატარა ცოლებსაც“; აგრეთვე სჩადიან იაპონელები, რომლებიც ერთის ცოლის გარდა, შეძლების დაგვარად, ირთავენ იმდენს ხასას, რამდენიც უნდათ.

აზიაში ლუჩუს კუნძულის მცხოვრებლებში და ცეილონის ველდახებში, ამერიკაში ჟოლოს, კოლორადოს და მექსიკის ტომებში წმინდა ერთ-ცოლიანობა სუფევს.

ჩვენ ჩამოვთვალეთ სხვა და სხვა ქორწინება, მათ, განვითარებისა და ღირსების რიგზე. სულ პირვანდებული და უმდარესი წესი ქორწინებისა შერევა არის, მას მოსდევს დროებითი და პირობითი დაკავშირება, რომელიც ყოველს შემთხვევაში შერევას სჯობია. მერმე მოდის მრავალ-ქმრიანობა, რომელსაც, რაც უნდა იყვეს, მრავალ-ცოლიანობა სჯობია. ერთ-ცოლ-ქმრობა ქორწინების განვითარები საუკანასკნელი ფორმაა. როგორ მოხდა ეს განვითარება, ქორწინების წესის ცვლილება? რასაკვირველია გონების განვითარებას იმაზე დიდი გავლენა ჰქონდა, მაგრამ უფრო დიდი გავლენა ქორწინების წესზე თვით ისტო-

რიულს, გეოგრაფიულს, ეკონომიურს და სხვა გვარს პირობებს ეკუთნვის. ამას ადვილად მივხვდებით იქითგან, როცა მოვიგონებთ, რომ ქორწინების უკეთესის წესის მქონე ხალხი არ არის ყოველთვის უკეთესის გონებრივის ვანვითარების მქონე. მაგალითად ავიღოთ ცეილანის ვედდარები, რომლებიც, თუმცა წმინდა ერთ-ცოლიანობას მისდევენ, გონების განვითარებით მცირედა დგანან ცხოველებზე მაღლა და თქმა არ უნდა, რომ ბევრით ჩამოურჩებიან იმ ხალხებს, რომლებიც შერევას ან მრავალ-ქმრიანობას მისდევენ.

## II.

ველურსა და გაუნათლებელს ხალხებში ქორწინება ორნაირი არის იმის მიხედვით, ქალი და ვაჟი, რომელნიც უღლდებიან, ერთის ტომისა ან თემისა არიან, თუ სხვა და სხვისანი. ზოგან ჩვეულება მოითხოვს, რომ ქალიცა და ვაჟიც ერთსა და იმავე ტომსა ან თემს ეკუთნვოდენ, ზოგან კი საჭიროდ მიაჩნიათ ქალის და ვაჟის სხვა და სხვა ტომის ან თემის კუთვნილება. პირველ-გვარს ქორწინებას მეცნიერებმა უწოდეს ენდოგამია (შინ-ქორწინება), მეორე-გვარს ექსოგამია (გარე-ქორწინება).

ახალ-ზელანდში უცხო თემის ქალის შერთვა მკაცრად იყო აკრძალული. მარტო დიდს პოლიტიკურს მიზეზს შეეძლო ეს წესი დაერღვევინებინა. იავის კალანგებში ვაჟს დაქორწინებამდე უნდა დაემტკიცებინა, რომ ქალის თემს ეკუთნვოდა. პერუში მკაცრად იყო აკრძალული დაქორწინება იმ ადმინისტრატიულის მაზრის გარედ, რომელსაც კაცი ეკუთნვოდა. ჩვეულებრივ იმ ქვეყნებში, სადაც ამნაირს ენდოგამიას მისდევენ, ნათესაობა არ აბრკოლებს ქორწინებას. ავსტრალიაში, სადაც შერევა არსებობს, მშობლები ხშირად უკავშირდებიან თავის შვილებს.

ჩიპეუებში (ამერიკაში) ხშირად ირთავენ თავის დებს, შვილებს და ზოგჯერ დედასთანაც ცხოვრებენ. ძმასა და დას შორის ქორწინება ძალიან ჩვეულებრივია ჰავაის კუნძულებზე. ძველს ეგვიპტეში დედოფლები ხშირად იდიდდებოდენ „მეფის დობით და მეუღლეობით." დარფურშიაც, სადაც ეგვიპტის გავლენაა დარჩენილი, დებს ირთავენ ცოლად. ფედდახები ირთავენ მარტო უმცროსს დას, ხოლო უფროსს დას ან მამიდას—არა.

ამნაირი დაახლოვებული კავშირი შედარებით იშვიათია: უფრო ხშირია კავშირი ნახევარ-დაძმათა შორის, ძმისწულთან, ბიძაშვილთან დედინაცვალთან, მამინაცვალთან, მაზლსა და რძალს შორის და სხ.

ექსოგამია მკაცრად არის დაცული ჩინელებში, ინდოელებში (არიებში), წითელ კანიანებში და სხ. ამათში არამც თუ ნათესაობის დარღვევა ეკრძალებათ, იმავე თემის ქალის შერთვაც კი არ შეიძლება.

ბევრგან ეს ორივე ჩვეულება ერთმანერთში არის არეული, ასე კი რომ ერთ-ერთი მათგანი კანონიერად ითვლება, მეორე კი უკანონოდ. აქ ჩვენ ვხედავთ, რომ ორსავე ჩვეულებას საფუძველი ეფუშებათ. მათ ერთმანერთთან დაჯახებით ჩნდება ახალი მესამე ჩვეულება, რომელიც უარს ჰყოფს ქორწინებას მარტო ნათესავთა შორის და აღარ არჩევს თვის ტომობას და თვისთემობას უცხო ტომობის და თემობისავან. ეს განვითარებული ჩვეულება არის ის ჩვეულება, რომელიც განვითარებულს და განათლებულს ხალხებს აქვთ მიღებული.

ენდოგამიასთან დაახლოვებულია ის ჩვეულება, რომლის ძალითაც წოდებათა შორის შერევა აკრძალული და გაკიცხულია. თვით განვითარებულს და ქრისტიანულს ქვეყნებშიაც აქამდის

სამარცხვინოთ მიაჩნიათ, რომ კეთილშობილმა უბრალო კაცის ქალი შეირთოს, ან უბრალო კაცის შვილმა კეთილშობილის ქალი შეირთოს. ამნაირადვე ერიდებიან და სჯიან კიდეც წოდებათა შერევას ველური ხალხები. პოლინეზიაში მაღალის წოდების ქალთან მჭიდრო კავშირის დაჭერა სიკვდილით ისჯებოდა. ჩერქეზეთში კლაპროთის დროს ქორწინება მარტო ერთგვარის წოდების შორის იყო ნება-დართული. მანუს კანონით ვაჟს შეუძლიან დაბალის წოდების ქალის შერთვა, ხოლო მაღალის წოდების ქალის შერთვა ძალიან ეკრძალება.

რა საფუძველზე არიან დამყარებულნი ენდოგამია და ექსოგამია? რა არის მიზეზი მათი გაჩენისა? ენდოგამიის ახსნა უფრო ადვილი უნდა იყოს. ყოველს ხალხს თავმოყვარეობა და თავმომწონეობა აქვს. სხვა თემის ქალს ყოველთვის თავის თემის ქალს არჩევდა, მარტო იმიტომ რომ ის თავის თემისა იყო. ჯერ ეხლაც განათლებულს ქვეყნებში ასე დიდია ეს ეროვნული თავ-მომწონეობა და, რაღა თქმა უნდა, გაუნათლებელს და ველურს ხალხში უფრო დიდი იქნება. ამისათვის ჩვენ ძალიან ბუნებრივად უნდა მივაჩნდეს ენდოგამიის ჩვეულება. ექსოგამიის ახსნა ძნელი იქნებოდა ქორწინების წესების საფუძვლიანად გამოუკვლევლად. საქმე იმაში არის, რომ იმ ხალხებში სადაც შერევა არსებობდა, უცხო ტომის ქალების მოტაცება ერთად-ერთი საშუალება იყო საკუთარის ცოლისყოლისა. თავის ტომის ქალს, რომელიც ყველას კუთვნილებად ითვლებოდა საკუთარს ცოლად არავინ დაანებებდა. ამიტომაც საკუთარის ცოლების მსურველებმა დაიწყეს ტაცება უცხო ქალებისა, რომლებთან სხვებს ხელი აღარა ჰქონდათ, მის თემის წევრებს, რადგან ტყვე, მოტაცებული უცხო ხალხისგან, სრულს საკუთრებად ეთვლება მომტაცებელს, დამტყვევებელს. მოტაცება, ჯერ იშვიათი, მერე გახშირდა, ჩვეუ-

ლებად გადაიქცა და ბოლოს, როგორც დიდის ხნის ჩვეულება, წესადაც გახდა. მოტაცება ყიდვაზე შეიცვალა ბოლოს და ამნაირად დამყარდა ექსოგამია.

ჩვენ აქ ვახსენეთ მოტაცება. მართლაცა და პირვანდელს დროს და ეხლაც ველურს ხალხებში სქესებრივს ურთიერთობაში დიდს მონაწილეობას იღებდა ძალა. ქალსა და ვაჟს შორის ძალის მეტი სხვა დამაახლოვებელი, დამაკავშირებელი საშუალება არ მოიპოვება. იმ ქვეყნებში, სადაც შერევა არსებობს, ვაჟკაცი ჩვეულებრივ ძალით იმორჩილებს ქალს. აქ ქალს იმნაირადვე არა სთხოვენ თანხმობას, როგორც იმ ქვეყნებში, სადაც მრავალ-ქმრიანობა, მრავალ-ცოლიანობა, ან ბარბაროსული ერთ-ცოლიანობა არსებობს მოტაცების საშუალებით. აი ცოლის მოტაცების ერთი მაგალითი: ავსტრალიაში მამაკაცი რომ უცხოტომის ქალს შეხვდება, უწყებს ცემას და გულს უწუხებს. მერე თმებით მიათრევს დაფარულს ალაგს, მაგ. ტყეში, და იქითგან, დროს რომ ჩაიგდებს, მიჰყავს თავის თემში.

მოტაცებით ქორწინება ძველად ევროპაში იყო გავრცელებული ბერძნებში, რომაელებში, სლავიანებში და სხ. ევროპის გარედ უწინაც იყო და ეხლაც გავრცელებულია შემდეგს ქვეყნებში: ავსტრალიაში, მალეზიაში, ინდოსტანში, შუა-აზიაში, ციმბირში, კამჩატკაში, საესკიმოსოში, ჩინეთში, ბრაზილიაში, არაბებში, ნეგრებში, ჩერქეზებში და სხ.

მეორე საშუალება უფრო მშვიდობიანია. ვაჟი აძლევს საფასეს თავის საცოლოში მის მშობლებს. ჰოტენტოტები ცოლებს ყიდულობენ მშობლებისაგან ხარებზე, ფურებზე. ხშირად პატარაობითვე ყიდულობენ ქალებს და თითონ ზრდიან. ტიმანები ცოლებს ყიდულობენ ღვინოზე, ფარჩეულზე და სხვა ნივთებზე.

ზოგგან, როგორც ამერიკის წითელკანიანებში, ვაჟს თუ საფასე არა აქვს რა, ის მოსამსახურედ უდგება ქალის მამას რამდენისამე ხნით, რომლის შემდეგ ჯილდოდ ქალი მიჰყავს. ამნაირი მაგალითი ებრაელების ცხოვრებითგანაც ხომ ვიცით: იაკობი თავის სიმამრს უდგა მოჯამაგირედ თავის ცოლების ლიასა და რაქელის გულისთვის.

ყიდულობენ აგრეთვე ცოლებს მყუდრო ოკეანის მონგოლოიდები და ავღანელები. ამ უკანასკნელებს „ქალი" ფულის რაოდენობის აღმნიშვნელს სიტყვად გაუხდიათ, როგორც ჩვენში სიტყვა ძროხა ან ფურეში. ავღანელები იტყვიან ესა-და-ეს ნივთი ამდენსა-და-ამდენს ქალად ღირსო, ისე როგორც ჩვენში იტყოდენ და ახლაც იტყვიან: ამდენსა-და-ამდენს ძროხად (თუშ-ფშავ-ხევსურეთში), ან ფურეშად (სვანეთში) ღირსო.

მომეტებულს ნაწილად ცოლის ყიდვასთან დაცული აქვთ მოტაცების ცერემონია. მაგ. ამერიკის ესკიმოსებში და გრენლანდელებში ჯერ მშობლებისაგან ყიდულობენ ქალს, მერმე მართვენ ტყუილს მოტაცებას, რომლის დროსაც ქალი უძალიანდება, ჩვეულებრივ, აგრეთვე ტყუილად. ტასმანიაში ხანდახან ქალს წინდაწინვე ჰქონდა ცნობილი, რომ მას მოიტაცებდენ. მოტაცების შემდეგ მომტაცებელი მართავდა მოლაპარაკებას ქალის მშობლებთან და რამე საფასით ან ძღვნით სულ ყველაფერი მშვიდობიანად გათავდებოდა. არაკვანებში, რომლებიც ცოლებს ტყუილად იტაცებენ, დედაკაცები ქალს იცვავენ ქვებით და კეტებით, ასე რომ ხანდახან მომტაცებელი მეგობრებს მიიშველიებს ხოლმე. მოტაცების შემდეგ ვაჟი გადასახადს იხდის ქალის მშობლების სასარგებლოდ.

ქალს იტაცებენ თუ ყიდულობენ, სულ ერთია, მის სურვილსა

და თანხმობას არ დასდევენ. მისი მშობლები და საქმრო არიგებენ მის ბედსა და იღბალს. Cოტაოდენს პროგრესად, წარმატებად ქალის უფლებისა უნდა ჩაითვალოს ერთგვარი ტყუილის მოტაცების ჩვეულება, რომელიც თვით ქალზე, ანუ მის ძალ-ღონეზე, ამყარებს მის ბედსა. Aი ამ ჩვეულების მაგალითები: ბურიენის თქმით, მალაის ნახევარ-კუნძულის ველურს ხალხებს ჩვეულებად აქვთ, ვაჟსა და ქალს არბევინებენ წრეზე, ისე რომ ქალი რამდენისამე ნაბიჯით წინ იწყებს რბენას. Vაჟი თუ მოეწია ქალს, ხომ ირთავს მას, თუ არა და ქალი თავისუფალია. Kლარკის თქმით, კალმუხებს აქვთ ჩვეულებად, რომ საქმრო ცხენით უნდა გამოეკიდოს ცხენოსანს საცოლოს. თუ დაეწია, ქალი მისია, თუ არა და—არა. Cხადია რომ ამისთანა შემთხვევაში ქალი ბევრს არ აბედვინებს ვაჟს, თუ სურვილი აქვს, თუ არა და შეიძლება თავის ბუნებრივის სიმარდის და ხელოვნების წყალობით თავიდგან აიცილოს არა სასურველი საქმრო.

მოტაცებისა და ყიდვის შემდეგ უნდა ავნიშნოთ ქორწინება ქრთამით ანუ მზითვით. Vელურსა და გაუნათლებელს ხალხში მზითევს ქალი შოულობს თავის გარყვნილობით. Aსე იყო სულ ძველად საბერძნეთსა და რომში, ასეა ახლაც იაპონიაში, სადაც ქალი გათხოვებამდის მიდის დიდს ქალაქებში და უნამუსობით შოულობს ფულებს. რასაკვირველია, ამგვარად მონაგების მზითვისგან შორს არის ჩვენს დროში მიღებული მზითვის გატანება, რომელიც ყველა განათლებულს ქვეყნებშია გავრცელებული. ჩვენებურადვე მზითვის გატანება იცოდენ ძველმა ეგვიპტელებმა და ბოლოს დროს შემოიღეს თვით ბერძნებმა და რომაელებმაც.

ქორწინება, დამყარებული უბრალო ურთიერთობრივს სურ-

ვილზე და მისწრაფებაზე, ჩვენს დროს ჩვეულებრივი და ხშირი განათლებულს ქვეყნებში, მოიპოვება აქა-იქ ველურსა და გაუნათლებელს ქვეყნებშიაც. მაგ. ინდოეთში სრულებით გაუნათლებელს დაიაკებში და პუებლოსებში ქალები თავის ნებით ირთავენ ქმრებს და არავის შეუძლიან მათ ძალა დაატანოს გათხოვების დროს. აგრეთვეა აბისინიაში, სადაც ქორწინება ხდება ვაჟისა და ქალის საზოგადო სურვილით.

თქმა არ უნდა, რომ ყველაზე განვითარებული ქორწინება მაშინ არის, როცა ის ხდება ორისავე მხრის სურვილით, რომელიც გამოწვეულია ერთმანერთისადმი სიყვარულით. მარტო ამ შემთხვევაში ხდება ქალი ვაჟის თანასწორად, ხოლო თანასწორობა სქესთა შორის განვითარების დედა მიზანია. საზოგადოდ ქორწინების საქმეში, როგორც სხვებში, კაცობრიობას წარჩინებულება ვაჟისთვის მიუცია, მაგრამ არის ერთი-ორი მაგალითი, სადაც წარჩინებულება ქალსა აქვს დაჩემებული. თითქოს ამნაირი მაგალითები იმას გვასწავლიან, რომ ქალსა და ვაჟს შორის ბუნებას თავისით არ დაუდვია ისეთი განსხვავება, რომელიც ამართლებდეს ერთის სქესის მეორისგან დამორჩილებას. მართლაც და თუ იმას არა, მაშ რას უნდა გვასწავლიდეს ის ამბავი, რომ სუმატრაში ცოლი ყიდულობს ქმარს, რომელიც მის სახლში ცხოვრებს და მუშაობს მის გულისთვის. იმას შეუძლიან დაიხსნას თავი, როცა ცოლს ჩააბარებს იმდენს, რამდენადაც ის უყიდნია.

## III.

ქორწინების ასაკი, რასაკვირველია, მაშინა დგება, როცა ადამიანის აგებულება მომწიფდება სქესებრივ და იგრძნობს სრულს მოთხოვნილებას. უფრო ხშირად ამას არ დასდევენ ველურს და გაუნათლებელს ხალხებში და ძალიან ადრე ქორწინ-

დებიან. ქამბოჯში შვიდის-ცხრა-წლის ქალები თხოვდებიან. ავსტრალიაში ქალები 10 წლითგან და ვაჟები 13—14 იწყებენ ერთად ცხოვრებას. წითელკანიანები ცოლად 10—12 წლის ქალებს თხოულობენ. რომში ქალი კანონიერს ცოლად ხდებოდა 12 წლისა. (*) პერუში, პირიქით, საქორწინო წლოვანობა ძალიან დაშორებული იყო. ქალისთვის დაწესებული იყო 18—20 წ., ვაჟისთვის 24—26. შესანიშნავია ის გარემოება, რომ ზოგან შეუფერებელი ქორწინება იციან. ბავშვობაში ხან ვაჟსა რთვენ მოწიფულს ქალს, ხან ქალსა რთვენ მოწიფულს ვაჟს. რედიებში 5—6 წლის ვაჟს რთავენ 16—20 წლის ქალს. ამნაირად გათხოვილი ქალი ხდება ნამდვილს ცოლად ბავშვის ბიძისა, ან ბიძაშვილისა და ხანდახან მამისაც. პატარა ქმარი თავის ცოლის შვილების კანონიერს მამად ითვლება და როცა იზდება, ისიც ისე ექცევა თავის შვილებს. ამის წინააღმდეგ, ინდოეთში (არიებში) ხშირად შეხვდებით, რომ სამოცის წლის ბრამინი ირთავს, ანუ უკეთ ყიდულობს ცოლებად ხუთის—შვიდის წლის ბავშვებს.

ბევრგან დაქორწინების წინ დანიშნა იციან. ჩინეთში ხშირად დაბადებამდის ნიშნავენ ბავშებს (დაბადებამდისვე იყვნენ დანიშნულები ვისი და რამინი). ჰოტენტოტები ხშირად საცოლეებად სულ პატარებს ყიდულობენ და თითონ ზდიან.

ქორწინების დროს ქალის უმანკოებას ზოგან დიდს მნიშვნელობას აძლევენ, ზოგან კი არაფრად მიაჩნიათ და ხანდახან გარყვნილობას და გახრწნილობას უფრო პატივსა სცემენ.

ცოლის ქალწულობას დიდად აფასებდენ და კიდევაც აფასებენ ურიები და არაბები. ურიები იმ ქალს, რომელსაც ქმარი დაბრალებ-

(*) უწინ ჩვენშიც ხშირად ათხოვებდენ ათი წლისას.

და არა ქალწულად მითხოვებას, აქვავებდენ, თუ მშობლები არ დაამტკიცებდენ მოხუცებულების წინაშე დაბრალების სიმტყუნეს. არაბები კი უშვებდენ ცოლს, თუ ქალწული არ გამოდგებოდა. ჭაარტაში (აფრიკაში) ქორწინების მეორე დღეს დილით დედაკაცები იკრიბებიან საქორწინო ლოგინის გასანშინჯად, (*) რამაც უნდა ცხადად დაუმტკიცოს მათ ქალის უმანკოება. თუ უმანკოების ნიშანს ვერ ჰპოვებენ, ქორწინება უნდა დაიშალოს. აგრეთვე იშლება ქორწინება პოლინეზიის ზოგს კუნძულებზე, თუ ცოლი ქალწული არ გამოდგა. ჩერქეზებში ქმარს შეეძლო გაეშვა თავის ცოლი, თუ ქალწული არ გამოდგებოდა. ამ შემთხვევაში მშობლები ქალს ჰყიდდენ ან ჰკლავდენ.

პირიქით, მადაგასკარის საკალავებში ქალწული ქალები ქორწინების წინად თითონვე იხრწნიან თავის თავს, თუ ნათესავებს წინადვე არ უფიქრიათ ამ საქმის შესრულება. თითქმის ყველგან პოლინეზიაში გასათხოვარი ქალები თავისუფლები იყვენ, ვისაც უნდა მისცემოდენ. აგრეთვეა სამხრეთ ამერიკაში და ტიბეთში. ნანდოვერებში (ამერიკაში) გასათხოვარი ქალები, რომლებიც გამოჩენილს მეომრებს დანებდებიან, დიდს პატივში არიან და კარგს ქმარსაც შოულობენ. საჰარის ზოგიერთს ტომებში ქალი გათხოვებამდის ვალდებულია მოიგოს გარყვნილობით ფასი, რაც თავის სახლობისათვის ღირს. მას მით უფრო ბევრი მთხოვნელი ჰყავს, რაც უფრო მეტი წარმატება უქნია ამ ვაჭრობაში. იაპონიაში ქალი გათხოვებამდის ძალიან თავისუფალია. ღარიბი მშობლები აქირავებენ თავის ქალებს რამდენისამე წლით როსკიპობის ხელობისათვის დიდს ქალაქებში. ამათგან ზოგიერთები, რომლებიც კეკლუცობის ხელობას და სხვებს სწავლობენ, ძა-

---

(*) ჩვენშიაც აქვთ ჩვეულებად მეჯვე დედოფლის ლოგინის გაშინჯვა.

ლიან პატივცემულები არიან, რელიგიურს ცერემონიებში იღებენ მონაწილეობას და სიკვდილის შემდეგ მათ უდგმენ ძეგლებს. სულ ძველად საბერძნეთსა და რომშიაც ქალები გარყვნილობით შოულობდენ სამზითვო ფულებს. ბაბილონში ქალები მოვალენი იყვენ ერთხელ მაინც თავიანთ სიცოცხლეში შესულიყვენ დედა-ღმერთის მილიტის ტაძარში უცხოელებთან უნამუსობის გასაწევად. კვიპროსში ახალგაზდა ქალწული ქალები დანიშნულს დღეებში უნდა გასულიყვენ ზღვის პირად ვენერისთვის თავის უმანკოების საძღვნელად. ინდოეთში ტაძრები სავსეები არიან როსკიპის ქალებით, რომელთაც სხვერპლი მოაქვთ ღმერთების გულისთვის. კუცკოში და კვიტოში, სადაც გათხოვილის ქალის მრუშობას სიკვდილით სჯიდენ, გასათხოვრების როსკიპობას ითმენდენ.

თავდაპირველად ქორწინება სულ უბრალო საქმეა. კაცი ცოლს იტაცებს, როგორც ნადირმა რამე სხვერპლი მოიტაცოს, ან ყიდულობს, როგორც ვაჭარმა რამე ნივთი იყიდოს. ქორწინება რომ ვითარდება, მაშინ იბადება ცერემონია. ჩვეულებრივ საქორწინო ცერემონიაში იფარება უწინდელი ქორწინების წესი. მაგალითად წინანდელი შერევა ცერემონიად გადაქცეულია იქ, სადაც ქორწინების წინად მიღებულია ქალების გახრწნა. კამბოჯში ქორწინებამდის ქალი უნდა კანონით დადგენილის წესით გახრწნილიყო. ყოველს წელს მოხელისაგან ერთი დღე იყო დანიშნული, როდესაც მშობლებს უნდა გამოეცხადებინათ, რომ მათ გასათხოვარი ქალი ჰყავთ. მაშინ სასულიერო პირს fo-ს ან taosse-ს უნდა ეს ქალები გაეხრწნა. გახრწნისთვის ის სასყიდელს იღებდა და ამ გარემოების ბრალი იყო, რომ ბედნიერებას ყველაზე ადრე მდიდრის ქალები იგემებდენ ხოლმე. ღარი-

ბები კი ხანდიხან შეუძლებლობის გამო, რამდენსამე წელიწადს ისხდენ გაუხრწნელები და მაშასადამე გაუთხოვრები, ვიდრე საშუალებას იშოვიდენ, ან ვინმე მადლიანი კაცი არ იკისრებდა გახრწნის ხარჯსა. რაკი ჯილდოზე ურიგდებოდენ მშობლები გამხრწნელს, დანიშნულს დღეს საღამოთი მიიწვევდენ მას სადღესასწაულო სახლში, საითგანაც მეორე დღეს უკანვე მიჰყავდათ ბალდახინით, ქოლგით, დალაბანდით და საკრავით. შერევისავე ნაშთია ის ცერემონია, რომ ბალეარის კუნძულებზე პატარძალი ყველა მაყრებს ეკუთნოდა პირველს ღამეს.

მოტაცების ცერემონია უფრო ხშირად არის დაცული ქორწინების დროს. კამჩადალებში ქალის მამა ეტყვის თავის სასიძოს: ხელი ახლე მაგას (ქალს), თუ შეგიძლიან. მაშინ ვაჟი ქალის უმანკოებას უნდა შეეხოს. ქალს, გამაგრებულს პერანგით, პერანგის ამხანაგით და სარტყლით, ეშველებიან სხვა დედაკაცები. ვაჟს ბევრი ბრძოლა დასჭირდებოდა ხოლმე ქალის დასამორჩილებლად. ის იმარჯვებს მაშინ, როცა ქალს მკიდროდ ეხვევა და ეს უკანასკნელი იწყებს მომჩივანის ხმით კნავილს. კანადის ინდიელებში, როცა უფროსი გამოუცხადებს ქალსა და ვაჟსა, რომ ისინი შეუღლებულები არიან, ვაჟი ერთს შემოპროწიალდება, მერე ზურგზე წამოიკიდებს თავის ცოლს და ამნაირად მიჰყავს თავის კარავში. ზოგან მეფე-პატარძალი რომ მივა კარებში შესასვლელად, ვაჟი სტაცებს ხელს ქალსა, იყვანს და ისე შეჰყავს სახლში.

სხვაგან მიღებული აქვთ უბრალო პირობის მიცემა, სხვა ცერემონიის უქონელად, ან იმისთანა სიმბოლიურის ცერემონიით, როგორც არის ზეთში დასველებულის ჩაის ფურცლების წუწვნა, მიღებული ბირმანიაში. ასეთივეა საქორწინო ცერემონია ბევრს

ინდოეთის ხალხებში, სადაც ქალი და ვაჟი ერთმანეთის სისხლით ნიშანსა სდებენ ერთი მეორეს.

ქორწინებას მაშინ ეძლევა მნიშვნელობა, როცა მაში მონაწილეობას იღებს სარწმუნოება. ქრისტიანობამ ქორწინება საიდუმლოდ აღიარა. აგრეთვე უცქერიან სხვა განვითარებული რელიგიანი. რომშიაც და მექსიკაშიაც ქორწინებაში რელიგია ერეოდა. პირველში მთავარ-ქურუმი აძლევდა სასიძოს ნაკურთხს ქადას, რომელსაც ის შუაზე გასტეხდა და ნახევარს თავის საცოლოს მისცემდა. მეორეში ქალს რომ ვაჟის სახლში მიიყვანდენ, უკმევდენ სხვა და სხვა სუნელებს და ჭილობზე დასვამდენ საქორწინო ქალსა და ვაჟსა. ქურუმი ქალის კაბას ვაჟის ტანისამოსზე გადააკერებდა და ამით აუღლებდა.

ბევრგან ქორწინება ითვლება წმინდა საზოგადოებრივს საქმედ, რომელსაც ხელმწიფება არიგებს. პერუში ქორწინება ადმინისტრატიული საქმე იყო. ქალაქებისა და სოფლების მეიდნებზე თვით ინკა (მეფე) და მისი მოხელეები აუღლებდენ საქორწინო ასაკში მოსულებს. წითელკანიანებში თემის უფროსი სცემს ქორწინების დასტურს. მადაგასკარშიაც სახელმწიფო მოხელეების დასწრებით ხდება ქორწინება. კოჩინჩინეთში მარკო პოლოს დროს ქალს არ შეეძლო გათხოვება, მინამ მეფე არ ინახულებდა და, თუ მოეწონებოდა, ჯერ თითონ მოსწვნევდა.

დასავლეთ-ევროპაშიაც ქორწინებას საზოგადოებრივს საქმედ სთვლიან და ყოველი ქორწინება, გინდაც საყდარში ნაკურთხიც იყვეს, სახელმწიფო მოხელისგან უნდა დადასტურდეს.

## IV.

პირვანდელსა და ველურს ხალხში ცოლი ითვლება ქმრის

საქონლად, რომლის დანიშნულება არის ქმრის სქესებრივის სურვილის დაკმაყოფილება და მუშაობა მის გულისათვის. სიყვარული ცოლსა და ქმარს შორის ამ შემთხვევაში წარმოუდგენელია.

მანდინგებში ქმარი და ცოლი ერთმანერთში თავის დღეში არ იცინიან და არ ხუმრობენ. ფუტაში, დასავლეთ-ამერიკაში, ქმარს ნება არა აქვს თავის ცოლის სახე ნახოს სამის წლის განმავლობაში ქორწინებითგან. საბერძნეთში ახლად დაქორწინებულს არ შეეძლო თავის ცოლი ენახა, თუ მალულად არა (*). სიყვარულის უქონლობის და დამონავების შედეგია, რომ ველურის ხალხის ქალებმა ეჭვი არ იციან. პირიქით, კაფრის ქალებს კიდეც უხარიანთ, როცა მათი ქმრები სხვა ცოლებს ყიდულობენ, რადგან ამით შრომა უმსუბუქდებათ მათ.

ავსტრალიაში, სადაც შერევის გარდა უცხო თემის ქალებსაც იტაცებენ, მოტაცებული ცოლები ნამდვილი მუშა პირუტყვები არიან. ქმარს შეუძლიან ცოლს სცემოს, მოკლას და, თუ დასჭირდება, შეჭამოს კიდეც. ტასმანიაში ქმარი სრულს თავის ქეიფზე ექცევა ცოლს, შეუძლიან ათხოვოს სხვას, გააქირავოს ვიზედაც უნდა. ზამნები ყველა საქმეს თავის ცოლებს აკეთებინებენ, მიწას ამუშავებინებენ, საჭმელს ამზადებინებენ. თითონ კი უსაქმურად არიან და ცემა-ტყეპის მეტს არას აკეთებენ. აშანტიებს თავიანთ ცოლებზე სრული სიკვდილ-სიცოცხლის უფლება აქვთ. ქმარი მოსჭრის ტუჩს თავის ცოლს, თუ მან მისი საიდუმლო გასცა, ან ყურს—თუ ყურის გდებაზე მიასწრო. ყველგან სანეგრო აფრიკაში ცოლს ისე ამუშავებენ, როგორც ხარებს. ,,მე ვიყიდე ჩემი ცოლი, მაშასადამე, მოვალეა იმუ-

(*) ჩვენში უწინ ხშირად ვაჟიც და ქალიც ერთმანერთის უნახავნი და უცნობნი იწერდენ ჯვარს.

შაოს“, უთხრა ერთხელ ერთმა კაფრმა ერთს ევროპიელს მოგზაურს. აღმოსავლეთ-აფრიკაში ქმარს შეუძლიან გაყიდოს თავისი ცოლი; ან, თუ ვინმე წაართვა, იმას შეუძლიან მოითხოვოს წამგვრელისგან იმდენი, რამდენადაც ბაზარში გაიყიდებოდა წართმეული ცოლი.

ამერიკაში მოქსოებს შეეძლოთ ცოლის მოკვლა მეცლის წახდენისათვის. იუკატანში უშვილო ცოლს ქმარი ჰყიდდა, თუ მისი მამა არ წაიყვანდა უკან საფასის დაბრუნების შემდეგ. წითელ-კანიანები, რომლებიც თავის ცოლებისგან მკაცრად ითხოვენ ერთგულებას, თავის ნებით ვისაც უნდათ ათხოვებენ და აქირავებენ. ნუტაკომბელებში უფროსებს ჩვეულებად ჰქონდათ ცოლების გაცვლა. გრელანდელებში ცოლების თხოვება საქებურს საქმედ ითვლება, კეთილშობილური ხასიათის ნიშნად მიაჩნიათ. ესკიმოსებში ცოლის თხოვება რამდენისამე თვითაც შეიძლება. მთხოვნელმა ნათხოვარი ცოლი უნდა თავის დროზე დააბრუნოს, თუ პატიოსანი კაცია. პერუში სუყველა ძნელს საქმეებს ცოლებს აკეთებინებდენ.

ახალ-ზელანდში როცა კაცი ათხოვებდა თავის ქალს ან დას, სიძეს ეუბნებოდა: „თუ უკმაყოფილო იქნები, გაყიდე, მოკალ, შეჭამე, შენ მისი ხელშეუვალი ბატონი ხარ“.

ჩინელები ხანდახან თავიანთ ცოლებს გუთანში შეაბმენ ხოლმე. ქალები მოვალენი არიან ქმარს თაყვანსა სცემდენ. ქმრის სიკვდილის შემდეგ თავის მოკვლა ცოლს საქებურს საქმედ ეთვლება. ინდოეთის არიებში ქმარს უფლება აქვს ცოლი გაანაყოფიერებინოს თავის ძმას ან ნათესავს. საზოგადოდ ინდოს ცოლი საპატიო მონაა, რომელსაც ქმართან პურის ჭამის ნებაც არა აქვს.

საბერძნეთში და რომში ქალი გათხოვილიც მამის უფლების ქვეშ რჩებოდა და ქმარს მაზედ ჰქონდა უფლება იმდენად, რამოდენადაც ეს მამის უფლებას არა ჰხუთავდა. ქმარს შეეძლო ცოლი ეანდერძებინა მეგობრისათვის, ან ეთხოვებინა დროებით. ლიკურგოსის სჯულით ხანში შესული ქმარი საქებურს საქმეს იქმოდა, თუ თავის ახალგაზდა ცოლს უშოვიდა ლამაზსა და ღონიერს ვაჟკაცს. სოკრატ ფილოსოფოსმა თავის ცოლი ქსანტიპე ალკიბიადესს ათხოვა. აგრეთვე ქნა კატონმა, რომელმაც თავის ცოლი მარცია თავის მეგობარს ჰორტენზიუსს ათხოვა და, როცა მეგობარი მოკვდა, უკანვე წაიყვანა. ცოლებს ათხოვებდენ სხვათა შორის შვილების გასაჩენადაც.

უწინ ევროპის სხვა ხალხებშიაც დედაკაცს ისე ეპყრობოდენ, როგორც სხვა ველურს ხალხებში. გერმანებში ქმარს შეეძლო თავის ცოლისთვის ეცემა ურჩობისთვის, მოტყუებისათვის, ანჩხლობისთვის. სლავიანებში ცოლი პირუტყვივით მუშაობდა და ცემა-ტყეპაც, რასაკვირველია, არ აკლდა.

ამისთანა მაგალითები, რომ ველურსა და ძველს ხალხებში ცოლები, თუ ქმრის თანასწორად არა, მის მორჩილს თანაშემწედ და უფლების მქონე ადამიანად ითვლებოდენ, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც კი მოიპოვებიან. ეგვიპტეში ცოლქმარნი სიყვარულით ცხოვრებდენ, ქალები საზოგადო ყრილობაში მონაწილეობას იღებენ, და დიდის პატივის ცემით და თავაზით ეპყრობოდენ ვაჟები მათ. დამალების ცოლები მარტო ოჯახში მუშაობენ, ქმრები მათ სიყვარულით და ნდობით ეკიდებიან. აგრეთვეა დაიაკებში. ჩიპევეებში ცოლი თუმცა ქმარს ემორჩილება, მაგრამ ოჯახის საქმეების მართვაში ისიც დიდს მონაწილეობას იღებს. ძლატსონებს და ჩინუკებში (ამერიკის

ინდიელები არიან) ქალებს უფლება აქვთ ვაჟებთან ერთად იბაასონ და იდავონ. ზოგან, როგორადაც დაგომელებში და კუებელებში ქალებიც ვაჟებთან ერთად ომობენ მტრებთან და ხანდისხან კიდეც წინამძღვრობენ ჯარსა.

ახლანდელს განათლებულს ხალხებშიც ცოლი საზოგადოდ არ გათანასწორებულა ქმართან. ქმარს მაზედ მეტი უფლება აქვს და თუმცა ხანდახან ზნეობრივისა, გონებრივის და მეტადრე ქონებრივის განვითარების წყალობით, ცოლი რაღაც პრივილეგიით მინიჭებულს არსებას წარმოადგენს, რადგან ქმარი მუშაობს, ზრუნავს ოჯახისათვის, ცოლი კი ზის სახლში და სარგებლობს ქმრის მონაგებით. ეს, რასაკვირველია, იქ არის ასე, სადაც ქმრის შრომა საკმაოდ ნაყოფიერია. ხოლო იქ, სადაც ზნეობრივისა და გონებრივის განვითარების უქონელობასთან ქმრის შრომა არ ჰყოფნის ოჯახს საზრდო-სარჩენის მოსაპოებლად, ცოლიც იმნაირადვე მუშაობს, როგორც ქმარი.

აქამდის ჩვენ მოვიყვანეთ ისეთი მაგალითები, სადაც ცოლი ქმრის ან მორჩილია ან თანასწორი. ცხოვრებაში მოიპოვება ერთი ორი იმისთანა მაგალითიც, სადაც ქმარია ცოლის მორჩილებაში. აშანტიებში, რომლებშიაც საზოგადოდ ცოლი ქმრის მონაა, მეფის ქალს აქვს მინიჭებული უფლება ქმრად ან საყვარლად აირჩიოს ის, ვინც მოსწონს.. ქმარი ამ შემთხვევაში სრული მონაა ცოლისა და ვალდებულია მის სიკვდილზე იმანაც თავი მოიკლას. დარფურში სულთნის ქალები განუსაზღვრელი ბატონები არიან იმ კაცებისა, რომლებსაც თავის საწოლის გაზიარებით გააბედნიერებენ, თუმცა მრავალ-ცოლიანობა და ქალების მონობა იმ ქვეყანას ზნედა სჭირს. იშვიათი არ არის აგრეთვე, რომ ქალები გაუნათლებელსა და ველურს ხალხებში

მეფეებად არიან და განუსაზღვრელის უფლებით ექცევიან ქვე-შევრდომს ვაჟკაცებს.

## V.

რაკი ცოლი ქმრის საკუთრებად ითვლება, საკვირველი არ არის, რომ, მრუშობაც, როგორც ქმრის უფლების დარღვევა, მის საკუთრების ნება-დაურთველად ხმარება, აკრძალულია. მალეზიაში მრუშობას სძრახავენ და სჯიან, როგორც საკუთრების წინაამდეგს დანაშაულს. ავსტრალიაში ცოლს დიდს დანაშაულად ეთვლება ქმრისგან ნებადაურთველი მრუშობა. ახალ-კალედონიაში ქმარს ნება აქვს მოკლას ცოლი მრუშობისათვის, მაგრამ ჩვეულებრივ მის შეტუქსვით ან გაგდებით კმაყოფილდება. ახალ-ზელანდში ყოველი პირი, რომელსაც მრუშობაზე მოასწრებენ, ისამართლება მოხუცებულების ბჭობით, უფროსის თავჯდომარეობით, და ჩვეულებრივ მაშინვე ისჯება სიკვდილით. ზაბონებში მკაცრად ისჯება მოღალატე ცოლიც და კუროც. აშანტიებში ქმარს შეუძლიან მოღალატე ცოლი მოჰკლას, ცხვირი მოსჭრას, ან მონას მიათხოვოს. ძველი ეგვიპტელები მოღალატე ცოლს ცხვირს სჭრიდენ, მის კუროს კი ათასს წკეპლას დაჰკრავდენ. ქრიტოში ცოლსაც და მის კუროსაც ცოცხლად მარხავდენ მიწაში. ჩინეთში ქმარს შეუძლიან თავისი ცოლი ღალატისთვის გაყიდოს ან გააყიდვინოს მოსამართლეს. ზედ-წასწრების დროს კი ნება აქვს დამნაშავენი მოკლას. იაპონიაში ქმარს შეუძლიან მოკლას ცოლიც და მისი კუროც, უთუოდ ორივე, მარტო ერთისა კი არ შეუძლიან. მანუს კანონი მრუშობისთვის მკაცრს სასჯელს უწესს. მეფემ უნდა ძაღლებს შეაჭმევინოს იმ მოედანზე, სადაც ბევრი ხალხი ირევა. ბრამინის მოღალატე ცოლი და მისი კურო, თუ ბრამინი არ

არის, უნდა ცეცხლში გახურებულს რკინის საწოლზე დააწვინონ. ბრამინი კი ძალიან სუბუქად ისჯება თავის შეცოდებისათვის. ძველს ბერძენს შეეძლო ცოლი მრუშობისთვის მოეკლა ზედშესწრებისას მოწმების დასწრებით. რომში მოღალატე ცოლს სჯიდა თვით ქმრის ნათესაობა და შეეძლო მოეკლათ კიდეც. ჩერქეზები მოღალატე ცოლს ან ჳკლავდენ ან აგდებდენ სახლითგან თავმოპარსულს და ყურებ დაჭრილს. მონგოლებში ქმარს შეუძლიან მოკლას მოღალატე ცოლი, კუროს კი ახდევინებენ ჯარიმას უფროსების სასარგებლოდ. კაროლინის კუნძულზე შეურაცხყოფილი ქმარი შესაფერის ძღვნის მიღებით კმაყოფილდება. გერმანებში მოღალატე ცოლს და მის კუროს ტიტვლებს დაატარებდენ სოფელ-სოფელ. ზოგს კელტის ტომებში ქმარი თავის პირმშოშვილის კანონიერებაში მით, რწმუნდებოდა, რომ ფარზე დასმულს ბავშვს მდინარეს მისცემდა; თუ ჩაიძირებოდა, ეს ნიშნავდა, რომ ცოლს დაურღვევია მეუღლებრივი პირობა და უნდა მოეკლათ. საშუალო საუკუნოებში ევროპელები სამუდამოდ ამწყვდევდენ მოღალატე ცოლს მონასტერში და ზედმისწრებისას კი ქმარს შეეძლო მისი მოკვლა, თუ დასჭირდებოდა შვილსაც მიიშველებდა. ჩვენში ვახტანგის სჯულის ძალით ქმარს შეეძლო გაეშვა მოღალატე ცოლი, კუროსთვის კი გადაეხდევინებინა სისხლი; ან, თუ მოჳკლავდა ქმარი თავის ცოლს ზედ-შესწრებისას, სისხლს არ იხდიდა. აგრეთვე ყველა განათლებულს ქვეყნებში ცოლის მოღალატობა გაყრის საბუთად ითვლება და თუმცა მოღალატე ცოლისა და კუროს მოკვლა ნება დართული არ არის, მაგრამ მაინც საზოგადოებაც და სამართალიც უცხო ქვეყნებში ამართლებს ცოლისა და მის კუროს მკვლელობას ზედ-შესწრების დროს.

ცოტაა იმის მაგალითები, რომ მრუშობისთვის ქმარი არა სჯიდეს ცოლს და მის კუროს. ბერბერის ქალები ქმრის ხელშიც დიდის თავისუფლებით სარგებლობენ და ქმრებს ხელი არა აქვთ მათ საქციელთან. კამბოჯში მეუღლებრივი ერთგულება არაფრად მიაჩნიათ. ერთის ჩინელის მგზავრის თქმით, იქ ცოლები ათის ღამის მეტს ვერ ითმენენ ცალკე წოლას. საჰარაში ქალებს დიდს სახელად მიაჩნიათ საყვარლების ყოლა. რომში დიდის მზითევის პატრონი ცოლები ისე იქცეოდნენ, როგორც მათი ქეიფი იყო.

მრუშობის გარდა სხვა-და-სხვა ხალხში ბევრის სხვა მიზეზის გამო ხდება გაყრა ცოლქმარს შორის. გაუნათლებელსა და ველურს ხალხში ჩვეულებრივ მარტო ქმარს აქვს ნება ცოლზე ხელი აიღოს. ბევრგან გაყრის საბუთად საკმარისია ქმრის სურვილი, ქეიფი. წითელკანიანები ცოლთან ცხოვრებენ იმდენს ხანს, რამდენიც იმათ უნდათ. როცა უნდათ გაუშვებენ ცოლს მიზეზით თუ უმიზეზოთ. მონგოლებში კაცს არა სჭირია მიზეზი ან საბაბი, რომ თავის ცოლს გაეყაროს. ის ჰკარგავს მარტო ფასს, რომელიც მაში მიუცია. ავღანელი, როცა უნდა, ცოლს მაშინ აგდებს. ნორვეგიაშიაც ძველად ქმრის ნება იყო გაყრა.

ჩინეთში ქმარს შეუძლიან გაეყაროს ცოლს, თუ ის უზნეურია, ჭორიანია, ავხელია, ეჭვიანია, ან თუ ქმარისა და მის დედის მოძულეა, ან კიდევ თუ გამუდმებით ავადმყოფობს. ინდოელს (არიას) შეუძლიან გაუშვას ცოლი, თუ ის ავის ხასიათისაა, ლოთია, თუ რომ რვა წლის გამაელობაში შვილი არ ეყოლა, ან თუ თერთმეტის წლის განმავალობაში ვაჟი არ ეყოლა.

ზოგან ცოლსაც შეეძლო თავის ნებით გაჰყროდა ქმარს, ან თუ ქმარი იქნებოდა გაყრის მიზეზი, უნდა დაეკმაყოფილებინა

მისაცემელით. მადაგასკარში ქმარმა უნდა გაშვებულს ცოლს ნამწუნებრო მისცეს. ამ შემთხვევაში ქმარს უფლება აქვს თორმეტის დღის გამავლობაში უკანვე დაიბრუნოს ცოლი, ამ ვადის შემდეგ კი ქალი თავისუფალია. მონგოლებში თავის ნებით ქმრის მიმტოვებელი ქალი მშობლებმა უნდა უკანვე მიუყვანონ ქმარს. თუ მეორედ დანება თავი ქალმა, მეორედაც უნდა დაუბრუნონ. მშობლები მოვალენი არიან მესამედაც დაუბრუნონ ქალი სიძეს, ხოლო, თუ მეოთხე ჯერ დასტოვა ქალმა ქმარი, მაშინ გაყრა მომხდარია. მშობლები ქალის სამაგიეროთ სიძეს უბრუნებენ ნაწილს იმ ფასისგან, რომელიც მისგან მიუღიათ. სულიმებში ქალს შეუძლიან თავის ქმარს თავი დაანებოს და სხვა კაცი შეირთოს იმ პირობით, რომ დატოვებულს ქმარს გადაუხადოს ის ფასი, რომელიც მას ქორწინების დროს მიუცია ქალის მშობლებისთვის. ზეინეული ქალები მოვალენი არიან საქორწინო ფასის დაბრუნების გარდა დატოვებულის ქმრისგან შეისყიდონ უფლება იმ შვილებისთვის, რომელთ გაჩენაზედაც ის გარჯილა. სუმატრაში, სადაც ქონება, საზოგადო შრომით შენაძენი, ცოლისა და ქმრის საერთო საკუთრება იყო, თანხმობით გაყრის დროს, ყველაფერს შუაზე იყოფდენ. ზაყრა თუ მარტო ქმრის სურვილით მოხდებოდა, ქონების ნახევარს წილს ცოლს აძლევდა და ამასთან ჰკარგავდა მიცემულს საქორწინოს. თუ ცოლი თავს ანებებდა ქმარს თავის ნებით, ის ჰკარგავდა თავის წილს ქონებას და უბრუნებდა უკან საქორწინოს, ხოლო თავის საკუთარი ნივთები თითონ მიჰქონდა.

ზევრგან ცოლისა და ქმარის საზოგადო თანხმობა, ან ერთ ერთის სურვილი საკმარისია, რომ ცოლ-ქმრობა დაიშალოს. პოლინეზიაში ქორწინება ხშირად ერთმანერთის უბრალო სურ-

ჭილით იშლება, მეტადრე როცა შვილები არა ჰყავთ. თუ შვილები ჰყავთ, ისინი ან დედას მისდევენ ან მამას, როგორც მორიგდებიან. ბირმანიაში ცოლ-ქმარი ერთმანერთს თავს ანებებენ სრულიად უბრალო საბაბით. ტიბეთელები, კამჩადალები და ტუნგუზები ნებაყოფლობით არღვევენ მეუღლებრივს კავშირს. აბისინიაში და პარაგვაიში ცოლი და ქმარი ერთმანერთზე ხელს იღებენ, რა კი ერთად ცხოვრება აღარ მოსწონთ.

ქრისტიანულის წესით მეუღლებრივი კავშირი დაურღვეველია, მაგრამ გაყრა სამძიმო მიზეზების გამო მაინც ხდება ყველა ქრისტიანულს ქვეყნებში. ვახტანგის სჯულში 66 მუხლში სწერია: ცოლსა და ქმარს, რაც უნდა ეჯავრებოდეთ ერთმანერთი, გაყრის ნება არა აქვთ. ხოლო ამ მუხლის შემდეგ 67-ში სწერია: ქმარს ნება აქვს მრუშობისთვის ცოლზე ხელი აიღოს. მექსიკაშიაც ქორწინება წესით სიკვდილამდის უნდა დაცულიყო, მაგრამ გაყრა მაინც შეიძლებოდა. დაწესებული იყო ცალკე სამჯავრო, რომელიც საცოლქმრო საქმეებს არჩევდა. მეუღლეები რომ გაყრას ითხოვდენ, სამჯავრო დაწესილებით სინჯავდა საქმეს, სამჯერ აძლევდა წინადადებას შერიგებულიყვენ და უარის მიღების შემდეგ ითხოვდა მათ უგანაჩენოდ. ამის შემდეგ ცოლი და ქმარი გაყრილებად ითვლებოდენ. კანონს არ უნდოდა გაყრილობის განაჩენის ცხადად დადგენა, ის უთმენდა მარტო გაყრას.

## VI.

საცა ბევრი ცოლები ჰყავთ, იქ ხანდახან ცოლთა შორის უმცროს-უფროსობა არის. ჩინეთში, როგორადაც ავსტრალიაში, უფროსებს ბევრჯერ რამდენიმე ასი ცოლი ჰყავთ. მათ შორის ცოტანი ითვლებიან კანონიერებად, რომელთა შვილებიც მემ-

კვიდრეობას იღებენ. სხვები ითვლებიან ხასებად, რომლებსაც ქმარი მოსამსახურეებისა და მეომრებისათვის ინახავს მათ ერთგულების წასაქეზებლად. გაბონებში პირველად შერთული ცოლი უფროსად ითვლება. თუმცა მათში მრუშობისთვის საზოგადოდ ცოლებიც ისჯებიან და მათი საყვარლებიც, მაგრამ უფრო დიდს სასჯელს პირველის ცოლის საყვარელს აჰყრობენ. მისი სულ მცირე სასჯელი მონად გაყიდვაა. შარუარებშიაც (ამერიკაში) პირველს ცოლს სხვებზე უფროსობა ჰქონდა. მექსიკაში დიდებულების მარტო ერთი ცოლი ითვლებოდა კანონიერად და მარტო მის შვილებზე გადადიოდა მამის ხარისხი და შეძლება. მეცამეტე საუკუნეში, რემუზას გამოკვლევით, კამბოჯის მეფეს რამდენისამე ათასის ხასის გარდა ხუთი კანონიერი ცოლი ჰყავდა, რომელთაგან ერთი უფროსი იყო. მონგოლებს ერთი კანონიერი ცოლი ჰყავთ, რომელიც მართავს სახლს და რომელსაც ექვემდებარებიან სხვა ,,პატარა ცოლები". მარტო მის შვილებს აქვთ მემკვიდრეობის უფლება. აგრეთვე ჩინეთში ერთს კანონიერს ცოლთან ბევრი ,,პატარა ცოლები" ჰყავთ. პირველი ცოლი ყველა შვილების დედად ითვლება. იმის სიკვდილს გლოვობენ ისინი, ნამდვილი დედისას კი არა.

ზოგიერთს ტომებში ნათესაობა დედით მომდინარეობს და არა მამით, შვილი იღებს დედის გვარს. თავდაპირველად უთუოდ აგრეც უნდა ყოფილიყო, რადგან სადაც შერევა და მრავალქმრიანობა იყო გავრცელებული, ძნელი იყო შვილის მამის გამოცნობა, დედა კი ყველასთვის ცხადი იყო და ამიტომ შვილი დედისად ითვლებოდა და არა მამისად. ეს პირვანდელი ბუნებრივი წესი ბევრგან შემდეგშიაც დარჩა მიჩვევის გამო. ამ პრინციპის ბრალია, რომ მემკვიდრეობა ზოგან შვილზე კი არ გადადის, არამედ დისწულზე. ამითივე აიხსნება ის მოვლენა,

რომ ნახევარ-ძაძმანი, რომელნიც მამით არიან ერთნი, ნათესავებად არ ითვლებიან და მეუღლებრივს კავშირს იქერენ.

ქვრივის მდგომარეობა არაფრით განსხვავდება იმ მდგომარეობიდგან, რომელშიაც ის ქმრის ხელში არის. ცოლი თუ ქმარს ეკუთნის, ქვრივი შვილს ეკუთნის, როგორც ყოველივე მამის ნაქონები. შვილები მამის ქვრივს თავის ხასად იხდიან, თუ ის მათი დედა არ არის. თუ დედაა, შეუძლიანთ მისცენ ვისმე ნათესავს. ხშირად მამის ცოლებს შვილები ბაზარში ჰყიდიან. ზოგგან ქვრივები მოვალენი არიან წესით ქმრებს დააკლან თავი.

საქსონებში, ბურგუნდებში, გერმანებში და სხვაგან ქვრივი თავისს უფროსს შვილს ექვემდებარებოდა. ის ვერც გათხოვდებოდა, ვერც მონასტერში შევიდოდა იმის დაუთანხმებლად თავის ქონების დაკარგვის შიშით. მანუს კანონით ქვრივის ქალის გათხოვება ძალიან საძრახისია.

ზოვრგან კანონი და ჩვეულება კაცს ვალდებულად ხდის, რომ თავის ძმის ქვრივი შეირთოს. ეს ჩვეულება, მიღებული ებრაელებში, არსებობს ახალკალედონიაში, მექსიკაში, წითელკანიანებში, ახალზელანდში და სხვ., სადაც ძმამ, თუნდაც ცოლიანიც იყვეს, უნდა უთუოდ შეირთოს ძმის ქვრივი. ავღანისტანშიაც ქვრივი წესით მაზლს ეკუთნის, მაგრამ თუ სხვაზე გათხოვდება, ახალმა ქმარმა უნდა ის უწინდელის ქმრის სახლობისგან დაიხსნას.

ღ. კარიჭაშვილი.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# და-ძმა

ლუი მირამონის მოთხრობა.

(ფრანგულიდგან)

ორივე ავეირონის ერთს პატარა სოფელში იყვნენ დაბადებულნი.

მათი მამა, მარტინ გრუკიერი, სუსტი და ავადმყოფი კაცი იყო. დედა-კი, რომელიც მეტად სუსტი ქალი იყო, ვაჟის ყოლის შემდეგ, გულის ავადმყოფობით მოკვდა.

და-ძმა დედას და ერთმანერთს ჰგვანდენ, თუმცა შარლი ლამაზი იყო, ჰერმანსი—უშნო. მართალია ძმა დაზე ათის წლით უმცროსი იყო, მაგრამ ის დას მედიდურად უყურებდა, იმის მიუხედველად, რომ შარლი სუყველაფრით დავალებული იყო დისაგან—ტანსაცმელითგან დაწყებული აღზრდამდის.

როცა ყმაწვილი ათის წლისა გახდა, ქალმა მამას გააბედვინა მისი როდეზის გიმნაზიაში მიცემა; მამა ჯერ უარზე იყო, მაგრამ ქალმა მას გადასახადის ფულის ნახევარი გაუმჟღავნა და ამით დაითანხმა გაჯიუტებული ბერი კაცი; დანარჩენის ფულის ძლევა თითონ გადასწყვიტა; ფულს ქალი ეკლესიის სხვა-და-სხვა ნივთების კერვაში შოულობდა.

ყმაწვილი პირველში კარგად სწავლობდა და რამდენიმე საჩუქარიც მიიღო; შემდეგში კი უკლო და მთელს თავის იმედებს

ეგზამენებზე ამყარებდა; ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ ატესტატი არ მისცეს და ისევ თავის სასოწარკვეთილობაში ჩავარდნილს დას დაუბრუნდა, რომელიც სრულებით არ ელოდა ამ ნაირს ბოლოს:—მე დარწმუნებული ვარ, ეუბნებოდა ხოლმე ის თავის ბიძას დე ჩვეულობრივს მობაასეს ანტუანს, რომ ყმაწვილისგან რამე გამოვა!

— ეხლა რას აპირობ? ეუბნებოდა ის უარარაოდ დაბრუნებულს ძმას, რა ხელობას გინდა დაადგე?

თითონაც არ იცოდა რა ხელობას დადსგომოდა, თუმცა, რაც-კი ურჩიეს, ყველაფერზე უარი სთქვა—მას უფრო კარგი ჩაცმა-დახურვა და ქეიფი ჰხიბლავდა, ვიდრე რამე ხელობა. საქეიფო ფულს და აძლევდა, რომელიც უდიერად შრომობდა, თავის თავს ჩაცმა-დახურვას და ჭამა-სმას აკლებდა და ძმას ანებივრებდა;—ის მისი ბედნიერება იყო.

საწყალს ქალს თავის დღეში არ უფიქრია თავის თავზე; სიყმაწვილე თავის ანჩხლის მამის მოვლაში გაატარა და გათხოვების აზრს ერთხელაც არ გაურბენია მის თავში; ეხლა მთელი მისი იმედი დამყარებული იყო ძმაზე, რომელსაც დიდს არტისტიულს ნიჭს ამჩნევდა და დარწმუნებულიც იყო, რომ ამისთანა ხელობაში გაიმარჯვებდა, მაგრამ როგორ დაეყენებინა გზაზე? შარლი ზარმაცობდა და არაფრის გაკეთებას აპირობდა, მამა მთელი დღე ჯავრობდა, რომ ტყუილად არჩენდა მოწიფულს ვაჟ-კაცს და დრო ერთ-გვარად მოწყენილად მიდიოდა. ყველაფერი, რასაკვირველია, იმას ჰბრალდებოდა, რომ ჰერმანს უთუოთ უნდოდა ძმა გიმნაზიაში გამოეზარდა.

***

ამ მდგომარეობას ისიც დაუმატეთ, რომ ამ ხანებში ანტუანიც

მოკვდა, რომელიც ჰერმანსის გარდა ყველასაგან მიტოვებული იყო და ამის გამო ბიძას ძრიელ უყვარდა თავის მმისწული. ანტუანმა ანდერძით დაუტოვა ჰერმანსს 1000 ფრანკი, იმ პირობით, რომ ეს ფული ბანკში შეეტანა თავის სახელზე და მამისთვის არა მიეცა—რა. მამას მეტად ეწყინა ეს და ქალს ყვედრება და ლანძღვა დაუწყო:

— შენ სუყველაფერს მპარავდი, პირითგან ლუკმას მაცლიდი, რომ ბიძა შენისთვის მიგეტანა! შენს მიზანს ხომ მიაღწიე! ეხლა რა-ღა გიჭერს! ის-ღა გაკლია, რომ სრულებით მომშორდე და და მე უპატრონოთ სული დაელიო!

ამ ცილის წამებით გაკვირვებული ჰერმანსი ტიროდა:

— ღმერთია მოწამე, არაფერი განზრახვა მქონია! და თუ ეჭვი გაქვთ რამე, წაიღეთ ფული და რაც გინდათ ის უყავით!

ქალის ტირილმა და ფიცმა მამა ცოტა არ იყო დააშოშმინა.

— შენთვის შეინახე, მე ნურაში გამირევ! ეს-ცაა რომ მაგგვარის ქცევისთვის ღმერთი სიკეთეს არ დაგაყრის!

ამის შემდეგ ფულზე ხმა აღარ ამოუღია; ჰერმანსი-კი ყოველის ღონით ცდილობდა მამისათვის ესიამოვნებინა და მის ყოველს სურვილს ასრულებდა, საჭირო იყო მხოლოდ რამე მონდომოდა.

შარლს ფულის შესახებ კრინტიც არ დაუძრავს და საწყალს ჰერმანსს ეს უფრო აწუხებდა, რადგანაც სიჩუმე სამდურავის ნიშანი ეგონა. ნამდვილად-კი შარლი მეტად გულ-ნაკლულად იყო, რომ ბიძამ არა დაუტოვა-რა: „რომ არაფერი დამიშავებია რა, რას მერჩოდა! ეუბნებოდა ის თავის თავს. დისთვის-კი ამ ფულზე არაფერი უთქვამს, თუმცა ერთხელ, როცა დას ფული

სთხოვა და შეამჩნია, რომ მოცემა ეძნელებოდა, თხოვნას დაუმატა.

— ახლა ფულის თხოვნა აღარ მერიდება!... შენ მდიდარი..... დამ ძმას პირზე ხელი დაადო გასაჩუმებლად და ფული მისცა.

გავიდა ხანი, ფული გამოელია და შარლს და მის მამას-კი ეგონათ, რომ ანტუანის ნაანდერძევი ფული ხელ-უხლებელი იყო და ხშირად მიმართავდენ ხოლმე ჰერმანსს.

* * *

ახალ-გაზდა შარლი დის იმედებს ვერ ასრულებდა—როცა სახლში იყო, მთელი დღე ზურგზე იწვა და ამთქნარებდა და საღამოზე, ჩაიდებდა თუ არა რამდენსამე ფულს, ყავახანაში გარბოდა, სადა ქაღალდს თამაშობდა და წაგებით-კი იშვიათად აგებდა. ფული უფრო ტანისამოსში ეხარჯებოდა, რადგანაც კარგად ჩაცმა უყვარდა.

ჰერმანმა არ იცოდა, რა ექნა. შარლი არაფერს ჰკიდებდა ხელს და მამა მუდამ აყვედრებდა შვილს უსაქმურობას.

ერთხელ, როცა ქალაქითგან სახლში მოდიოდა ამ თავის საჭირბოროტო კითხვას ჩაუფიქრდა; ნელ-ნელა მიდიოდა ქვით მოფენილს ბილიკზე, რომელსაც მის სახლისკენ მიჰყავდა; მზე ბრწყინვალედ ჩადიოდა; მთის კალთები ლურჯ ფერად იკარგებოდენ ცის სივრცეში; ამ უნაყოფო ადგილში აქა-იქა ობლად მოჩანდენ მცენარენი და თავის სუნოვანებას გარშემო ჰფენდენ; თავ-დამძიმებული და დაღალული ქალი დაჯდა.

— იქნება კიდევაც ვცდებოდი! დაეკითხა ის თავის თავს.

ამ ამომწვარს ადგილში საშინელი სიჩუმე იყო; ჭრიჭინები, რომლებისაგან შუა დღისას ყურთა სმენა არ იყო, ეხლა სულ გაჩუმებული იყვნენ.

შორს, გზის სიმაღლითგან სიმღერის ხმა მოისმა. მომღერალს სასიამოვნო ბარიტონი ჰქონდა; უმაღლესს ხმებს სუფთად, ტკბილად და გრძნობით იღებდა; გულ-გადაყრილი ჰერმანსი ყურს უგდებდა; მას მოაგონდა, რომ დედა მისიც კარგად მღეროდა, გრძნობით, სავსე ხმით პროვანსულს სიმღერებს და რომ მისი ხმა, თუმცა ამაზე სუსტი იყო, მაგრამ ამას წაჰგავდა. ჰერმანსს მუსიკა უყვარდა და ამ ჩინებულმა სიმღერამ ცრემლი მოჰგვარა.

ხმა უახლოვდებოდა; მომღერალმა, რომელსაც ქუდი მოხდილი ჰქონდა და რომლის ხუჭუჭს თმას ჩამავალის მზის სხივები ეალერსებოდენ, ნელის ნაბიჯით შემოუხვია გზითგან—ის შარლი იყო; ჰერმანსი სიხარულისაგან არ იცოდა, რას ჩადიოდა.

— შენა მღეროდი? . . . . შენა? . . . .

და ქვითინით ძმას ხელში ჩაუვარდა.

* * *

მეორე დღეს და-ძმა ქალაქისაკენ მიეშურებოდენ; ჰერმანსს ძმა სენტ-ეტიენის ღვდელთან მიჰყავდა, რომ მისთვის ძმის ხმა გაეგონებინა. ამ ღვდელს მუსიკის ცოდნის სახელი ჰქონდა გათქმული.

გული უკანკალებდა ჰერმანსს, როცა თავის ძმა თითქმის ძალით შეიყვანა ეკლესიაში, როცა ჯერ წირვა უნდა მოესმინათ და მერე ღვდელი ენახათ. კვირა დღე იყო; ეკლესია ხალხით

იყო სავსე; ერთი მგალობელთაგანი შერუბინის Ave Maria-ს გალობდა; ჰერმანსი გულ-მხურვალედ ლოცულობდა და შარლი-კი გულ-ხელ-დაკრეფილი წირვის გამოსვლას უცდიდა.

გათავდა თუ არა წირვა, ღვდელთან შევიდენ.

აღელვებული ჰერმანსი ჯერ სხვა საგნებზე ელაპარაკებოდა და თავის მოსვლის მიზეზზე-კი ხმის ამოღებას ვერ ბედავდა, მაგრამ, როცა შარლს მოუთმენლობა შეამჩნია, უცებ მიმართა ღვდელს:

— ჩემს ძმას ჩინებული ხმა აქვს და თუ მოისმენთ კარგი იქნება.

— ამ ყმაწვილს აქვს კარგი ხმა? იკითხა ღვდელმა, რომელსაც შარლი არ მოსწონდა. მუსიკა უსწავლია?

— არა, მორცხვად უპასუხა დამ.

აქ-კი თითონ შარლმა აიღო სიტყვა:

— ეგ არა ფერია; რამდენიმე საგალობელი ვიცი და, თუ არ შეწუხდებით, ვიგალობებ.

— რის გალობა გეცოდინებათ, რომ მუსიკა არ გისწავლიათ?

— თუ გინდათ თქვენს პიანოზე აიღეთ აკკორდი და დღეს რომ ეკლესიაში Ave Maria იგალობეს იმას გაგიმეორებ.

Ave Maria ერთის გაგონებით ზეპირად ესწავლა.

ღვდელი ჯერ გაკვირვებით და მერე აღტაცებით ყურს უგდებდა.

კარგი ხმა საფრანგეთის სამხრეთის მხარეში იშვიათი არ არის, მაგრამ შარლის შესანიშნავმა ხმამ და ინსტიკტით მუსიკის

ცოდნამ ღვდელი აღტაცებაში მოიყვანა, და წელანდელი გულცივობა ეხლა ალერსზე შესცვალა.

ღვდელი მით უფრო იყო გაკვირვებული, რომ შარლს პირველად მის ეკლესიაში გაეგონა ეს ხმა.

— მოდით, უთუოთ მოდით, ეუბნებოდა ღვდელი შარლს, და ორგანისტთან ერთად იმუშავეთ! მეც ხელს შეგიწყობთ! თუ გინდათ კვირას წირვაზე იგალობეთ.

ბედნიერებისაგან გაწითლებული ჰერმანსი თანხმობის განცხადებას აპირობდა, მაგრამ შარლმა დას კალთა ჩამოსწია, ღვდელს მადლობა გადაუხადა და უპასუხა, რომ ვიფიქრებო.

რა-კი დაინახა ღვდლის აღტაცება, შარლმა ქცევა გამოიცვალა—ის თამამად იყურებოდა, ცდილობდა, როგორმე ვიზიტი შეემოკლებინა და გამოვიდა თუ არა სახლითგან, დას მოსცილდა.

***

საღამოზე შარლი დაღალული და გამტვერიანებული მოვიდა და გარეთ გაიხმო და და უთხრა:

— შეგიძლია უთხრა ღვდელს, რომ მის ეკლესიაში არ ვიგალობებ; ერთის არტისტის შემწეობით კონსერვატორიაში მინდა შევიდე.

ჰერმანსი თვალებ გაჰყეტილი შესცქეროდა: კონსერვატორიაში! ეს სიტყვა მას არ ესმოდა, მაგრამ აშინებდა.

— ჰო, და რა არის? კონსერვატორიაში! ეს იმისთანა ადგილია, საცა სწავლის შემდეგ აკტორებად ხდებიან; იქ ვისწავლი და მერე სატახტო ქალაქის რომელსამე დიდს თეატრში შევალ.

— შენ, აკტორი? არა, ეგ შეუძლებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შარლმა მოუთმენლად ხელი გაიქნია.

— ეჰ, სულელი ხარ და რა გიყო! მაშ ჩემს ხმას რა ვუყო? იქნება შენა გგონია, რომ ეკლესიაში გალობით ათასობით და ათი ათასობით მოვიგებ? ან არა და რა მომავალი აქვს ეკლესიაში მგალობელს? . . . . ერთი ეს მითხარი რა არის აქტორი?

მართლაც არ იცოდა რა იყო, თუმცა თითონაც იცოდა რისთვის აქტორის ხელობას კარგად ვერ უყურებდა.

შარლმა-კი მცოდნეთ დაიწყო მისი ლაპარაკი, რაც იმავე საღამოს ყავახანაში გაიგონა: „არტისტი! საზოგადების მეფეა! ფული, პატივის ცემა, დიდება იმისია“! ვინ არის არტისტებში, თუ არ აქტორი, რომელსაც საზოგადოება მღელვარობაში მოჰყავს? . . . .

ჰერმანსი შეშინებულის სახით უყურებდა შარლს და ამას უფრო მოთმინებითგან გამოჰყავდა გატაცებული ახალგაზდა.

— არა, დაიცა, შენ იმიტომ არ გიხაროდა ჩემი კარგის ხმის ქონა, რომ გეგონა ოდესმე ცნობილი მომღერალი გავხდებოდი? ცნობილს მომღერლად კაცი შეიძლება მხოლოდ პარისში გახდეს.

პარისი! . . . . ეს სიტყვა ჰერმანსზე მოქმედობდა. ის ერთსა და იმავე დროს ასიამოვნებდა და აშინებდა.

— პარისი! . . . გაიმეორა ქალმა; კარგი, მაგრამ განა პარისში ცოტაა იმისთანა მომღერალი, რომლებიც აქტორებად არ ხდებიან?

შარლმა მხრები აიწია.

— ჰი, როგორ არა, ბრმებიც მღერიან ქუჩებში! მაგრამ რა

გელაპარაკო, ჩემო საწყალო ჰერმან! შენ ცხოვრებისა არა იცი-რა.

მართლაც და ცხოვრებაში გამოუცდელი იყო ჰერმანი, მაგრამ დაფიქრების შემდეგ, გონიერებით მიხვდა, რომ კაცი იმ გზას უნდა დაადგეს, საცა გული მიუწევს; მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლიან კაცს, ფიქრობდა ის, თავის ნიჭი გამოიჩინოს. თითქმის მთელი ღამე იფიქრა ამ საგანზე და მეორე დღეს რომ ადგა, გახარებულიც იყო, რომ მისმა ძმამ გასაკვლევი გზა ამოირჩია.

— ჩემი იმედი გქონდეს, უთხრა მან შარლსა, მოგეხმარები.

განზრახვის ასრულებაში მოყვანა ადვილი არ იყო.

მამამ რომ გაიგო შვილის გადაწყვეტილობა, გაჯავრდა და თქვა, რომ თუ მისი შვილი აკტორობას მოინდომებს, მის მამამობაზე ხელს აიღებს; ამ ნაირს ქცევას ორი მიზანი ჰქონდა:— ერთი მხრით შვილს აღარ შეეძლო ფულის თხოვა, თუ ამ საქმეს დაადგებოდა და მეორე მხრით მართლა დარწმუნებული იყო, რომ შარლი არაფერში გამოდგებოდა.

უფულობა მეტად აჩერებდა საქმეს; ჰერმანსს აღარა ფერი ჰქონდა და საჭირო იყო სამუშაოში წინადვე ფული გამოერთმია, რომ გზის ფული შეგროვილიყო. ფულის შეკრების ცდაში, შარლი დროს არ ჰკარგავდა; ცდილობდა იმისთანა ხალხი გაეცნო, რომლებსაც რაიმე რჩევის მიცემა შესძლებოდათ; ერთის თავის ნაცნობის საშუალებით ავეირონის ტრუპის დირექტორს გაეცნო, რჩევა ჰკითხა, წერილები გამოართვა პარისისათვის; ერთის სიტყვით ახალგაზდა კაცი ერთხელვე ამორჩეულის მიზნისაკენ მიილწეოდა.

ჰერმანსმა-კი მუშაობას და ოცნებას უმატა: ,,რა იქნება მისი ხმა, როცა კარგის მასწავლებელის ხელში გამოივლის! რა კარგი იქნება მისი გაგონება''! შარლმა ხშირად დაიწყო თეატრში სიარული და ცდილობდა რამე გამოეტანა აკტორების ყურებითგან; ამაობაში ჰერმანმა დიდის ვაი-ვაგლახით შეკრიბა გზის ფული და შარლი პარისისაკენ გაემგზავრა 1874 წ. მაისში, დილის 4 საათზე.

როცა ჰერმანსი ძმის არეულ—დარეულს ოთახში შევიდა, გაუკვირდა, რომ მისმა წასვლამ უფრო გულ-საკლავად არ იმოქმედა: საწყალს ქალს თავის დღეში არ ჰქონია არც იმედი და ხან-და-ხან არც სურვილი, რომ ძმა მუდამ მასთან ყოფილიყო; მას შარლისათვის უფრო მეტი ჰსურდა; მთელი მისი ბედნიერება ის იყო, რომ შარლი ყოფილიყო ბედნიერი, კმაყოფილი, გამარჯვებული.

***

გამარჯვებას ცდა მოუნდა, ორის წლის ცდა. შარლმა გაიგო რანი არიან ,,გავლენიანი პირები'', რომლებიც ალტაცებაში მოდიან, ჰპირდებიან, და მერე . . . . მერე ივიწყებენ. წაღებული ფული მალე გამოეცალა ხელითგან; სარჩოს მოპოვება აუცილებელი საჭირო იყო, საჭირო იყო აგრეთვე მუსიკის ცოტადი მაინც შესწავლა, რომლის უცოდინარობა ხშირად ბორკილად ედებოდა—ოპერაში ხორისტად არ მიიღეს, რადგანაც ნოტებისა არა გაეგებოდა-რა; მისთვის, რომ მუდამ თეატრში ყოფილიყო, ფიგურანტობის ხელობას მოკიდა ხელი.

ერთი ღარიბი მემუსიკე, რომელიც მასთან ერთად სადილობდა ერთს ღარიბს რესტორანში, დათანხმდა მუსიკის გაკვეთილები

მიეცა და მთელი ზამთარი ახალგაზდა კაცმა მეცადინობაში და შრომაში გაატარა.

რა-კი მუსიკის დასაბამი შეიგნო, საქმე უფრო ადვილად წავიდა; საღამ-საღამოებით, როცა მოცლილი იყო, თეატრებში დადიოდა და დიდის გულ-მოდგინებით სწავლობდა თეატრის საქმეს—აკტორების თამაშობას ყურს უგდებდა, კრიტიკებს კითხულობდა და სხ.

შრომამ და ცდამ ტყუილად არ ჩაუარა—შემთხვევა მიეცა ოპერის ხოროს დირექტორი ენახა, რომელიც თავის ხმით, ცოდნით და ნიჭით გააკვირვა; დირექტორმა წერილები მისცა, ყურადღება მიაქცია და 1876 წ. შემოდგომაზე ჩინებულად დაიჭირა ეგზამენი კონსერვატორიაში და საგალობო განყოფილებაში მიიღეს.

ამავე დროს ჰერმანის ნემსი თავისას არ იშლიდა; საწყალი ქალი გულით, სიხარულით, იმედით მუშაობდა; ერთი მეტად დიდი სამუშავო აიღო და როცა გაათავა და შარლს 100 ფრანკი გაუგზავნა, იმაზე ბედნიერი და კმაყოფილი არა ვინ იყო. პატარა ხანს უკან შარლის წერილიც მიიღო, რომელშიაც ფულისათვის მადლობას ეუბნებოდა და სხვათა შორის სწერდა, რომ ,,ეხლა ლუკმა პური მაქვს და შენმა უდიერად შრომამ ბოლო უნდა მოიღოსო. ისეც დიდად დავალებული ვარ შენგანაო“.

ეს სიტყვები ლახვრად მოხვდა გულზე ჰერმანსს, თუმცა თავის თავსვე არწმუნებდა, რომ ამ სიტყვების მოწერის მიზეზი შარლის გულკეთილობააო.

ამ წერილის მიღების შემდეგ შარლი კონსერვატორიაში მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილეს და დამ იცოდა, რომ შარლს ფიგურანტობისთვის თავი უნდა დაენებებინა და მაშასადამე ცხოვრების წყაროც უნდა მოსპობოდა; ფულის გაგზავნას ძმასთან ზევით მოყვანილის სიტყვების შემდეგ ველარ ბედავდა და თავის სიცოცხლეში პირველად ტყუილს მიჰმართა:

— მე მუდამ მამას ველაპარაკები, სწერდა ის შარლს, და ძლივს დავიყოლიე; შენის მასწავლებელის ქების წერილები წავუკითხე, რომლებმაც ცოტა არ არის მოარბილეს; წრეულს რიგიანი მოსავალი გვქონდა და ვიდრე რომელსამე თეატრში მიგიღებდენ, თვეში 50 ფრანკს გამოგიგზავნის. როგორც ხედავ, უმატებდა ის, მამა ისეთი უგულო არ არის, როგორც შენ გგონია და ამიტომ საჭიროა, როცა საქმეს დაადგები და პატარა ფულს მოიგებ, მოხვიდე და ნახო.

შარლმა მამას მადლობის წერილი მოსწერა, რომელიც ჰერმანსმა არ უჩვენა; შემდეგში, როცა შარლი დას სწერდა წერილებს, მამას მოკითხვას უთვლიდა, რაც მას მაინცა და მაინც არ ახარებდა, ეს-კი იყო, რომ წინანდელივით აღარ კაპასობდა.

კონკურსის დღემაც მოატანა; შარლის თამაშობა მოეწონათ, მაგრამ ხმაში, მის სიკეთის მიუხედველად, უსწორ-მასწორობა შეამჩნიეს. ამის შემდევ კონსერვატორიას თავი დაანება და ერთს საზღვარ-გარეთ მიმავალს ტრუპპაში შევიდა მეორე ხარისხის როლების შესასრულებლად.

ჯამაგირი ცოტა ჰქონდა, ტანისამოსი თავისი უნდა ჰქონოდა და ამის გამო დიდს გაჭირებაში იყო, მაგრამ ის თავისას არ იშლიდა და რაც შეეძლო მუშაობდა, რასაც ხშირად მაყურებელის ხალხის ალტაცება აჯილდოებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

ტრუპპამ ნეაპოლში გაიარა რვა დღით; აქაც შარლი დღით მუშაობდა და საღამოებით, როცა თითონ სცენაზე არა თამაშობდა, თეატრში დადიოდა. ერთს საღამოს, როცა აფიშებზე საინტერესო ვერა ნახა-რა, უგზო-უკვლოდ ქუჩებზე სიარულის დროს ერთს პატარა ოდნავ-განათებულს თეატრს მიაწყდა.

აფიშაზე წაიკითხა რომ Scuffiara-ს თამაშობდენ, რომლის დამწერის სახელი, წარსულის საუკუნის კომპოზიტორი, პირველად ესმოდა.

შარლი უნებურად შევიდა და თითქმის ნახევრად ცარიელს პარტერში დაიჭირა ადგილი; დეკორაციონები სრულებით დასძველებოდა თეატრს და თითონ მტვერის სუნი უდიოდა. ამ ყველასგან მოძულებულს თეატრში მომხიბლავის მუსიკის ხმა გაისმოდა.

საზოგადოთ აკტორები ჩინებულად და თანხმად ასრულებდენ თავ-თავის როლებს, მაგრამ სუყველაში კასსანდრი ერჩევოდა.

ეს ხანში შესული, წმინდა და მოძრავის სახის კაცი იყო; ის მხიარულად ასრულებდა თავის როლს და ხშირად ხალხში გულ-წრფელს სიცილს იწვევდა, მაგრამ საცა საჭირო იყო ხმის გამოჩენა, გრძნობის გამოხატვა, ხანში შესული კომიკი სრულებით იცვლებოდა და სრულებით ეძლეოდა მუსიკის ძალას.

გაკვირვებული შარლი ისმენდა და ბოლოს თითქო შურით წარმოსთქვა: ,,ისე რო ვიცოდე მუსიკა როგორც იმან, ჩემი ხმა ქვეყანას გააკვირებდა“.

აკტი გათავდა; შარლმა კულისებში შესვლა გადასწყვიტა, გზაც იკითხა და გძელს და ძველს დერეფანს გაჰყვა.

ბარბაცით მიდიოდა და არ იცოდა სად შესულიყო, როცა ერთი პატარა კარი გამოიღო და კასანდრი გამოვიდა; კომიკი ისევ სცენის ტანისამოსში იყო და პარიკი-კი ხელში ეჭირა. ის თავის მოტვლეპილის თავით, დაღალულის და მოწყენილის სახით, ცქვიტის და მოძრავის თვალებით კაცში უნებურად სიცილს იწვევდა.

შარლი მიუახლოვდა და დაბლად თავი დაუკრა.

— რა გნებავთ? ჰკითხა თვალის ხამხამით მოხუცმა ლამაზს ახალგაზდა კაცს.

— თუ თქვენი სურვილიც იქნება, ბატონო, თქვენი გაკვეთილების აღება მინდა.

მოხუცმა ჯერ ხმა არ გასცა, მერე, როცა შეატყო, რომ ყმაწვილი კაცი პატივის ცემით უყურებდა, პარიკი დინჯად დაიხურა, ერთი ფეხი უკან წადგა და დამტვრეულის ფრანგულით უთხრა:

— ურიგო მასწავლებელი არ ამოგირჩევიათ! ერთხელ რუბინის მასწავლებელიც ვიყავი.

შარლმა თავის ტრუპპას თავი დაანება, იმ პირობით, რომ ჯარიმა უნდა გადაეხადა ორის წლის შემდეგ პირობის დარღვევისათვის; თითონ ნეაპოლში დაბინავდა და დღეში ერთხელ მოხუცის ზუჩის გაკვეთილს იღებდა; როცა თავის მოსწავლის ხმა გაიგონა პირველად, მასწავლებელი დათანხმდა, უფასოდ ესწავლებინა მუსიკა, იმ პირობით, რომ პირველს ორის წლის შემოსავლის ნახევარი უნდა დაეთმო.

შარლმა ერთი წელიწადი ნეაპოლში გაატარა შრომაში და

დღიურის საზღოს ძებნაში, რომელსაც ნოტების გადაწერით შოულობდა; მასწავლებელიც თავის ჟინიანის, ამპარტავანის და მეტის მეტის თავ-მოყვარე ხასიათით საქმეს უჭირებდა, მაგრამ ითმენდა, ითმენდა იმიტომ, რომ ამაზე იყო დამყარებული მთელი მისი მომავალი. ერთის წლის განმავალობაში შარლის ხმა შემუშავდა, დაიწმინდა და შეეძლო ეთქვა, რომ მე ჩემის ხმის ბატონი ვარო.

სახლითგან წამოსვლის სწორედ ოთხის წლის შემდეგ შარლი ანუ უკეთესად კარლო ბრუჩიერი (ამ ნაირი სახელი დაირქვა) პირველად გამოვიდა რომის სცენაზე ჯერ „ფიგაროს ქორწინებაში“ და მერე „რიგოლეტოში“.

მოცარტის პიესების როლებში ყველგან გამარჯვებული გამოდიოდა, ხოლო ვერდისაში ცოტა ნაკლები იყო.

ბოლოს დონ ჯიოვანი ითამაშა; შეერთებული ხმის სიკეთე, ჩინებული მიხვრა-მოხვრა და სილამაზე მის თამაშობას შეუდარებლად ხდიდენ; სამს კვირაში სამი ათასს რომაელს ქალს შეაყვარა თავი.

გაზეთებში შარლის შესახებ ხმა გავარდა და პარისელები რომში მიდიოდენ მის სანახავად; თეატრების პატრონები ერთ-მანერთს გლეჯდენ ხელითგან სახელ-გათქმულს კარლოს; თითონ კარლომ ოპერა ირჩია, მის დირექტორებს გაურიგდა და სამის თვის შემდეგ, სწორედ სეზონის დასაწყისში პარისში მივიდა.

შარლთან ერთად პარისში ზუჩიც დაბინავდა.

* * *

შარლს „გაპარისელება“ არ გაუჭირდა; მონსოში სახლი

დაიქირავა, კარგად მოაწყო, ცხენები და ეტლი გაიჩინა და ხანდახან მის სტუმრიანობაზე გაზეთებმაც დაიწყეს ლაპარაკი.

ქცევა მეტად დარბაისლური და ზდილობიანი ჰქონდა; სასიარულოდ უფრო მდიდარი ოჯახები ამოირჩია, საცა მალე სასიამოვნო და ჩინებულის კაცის სახელი დაიმსახურა.

პირველში ფულის საქმემ ცოტა არ იყო შეავიწროვა: წინანდელმა დირეკტორმა ფულის თხოვა დაუწყო; ზუჩიც თავის კერძს ფულს ითხოვდა; ბევრი ეხვეწა შარლი თავის მასწავლებელს დაეცადა, მაგრამ ის პასუხად მუდამ ამას ეუბნებოდა: ,,ხმა რო წაგიხდეს''?

ზუჩიმ სხვა ნაირადაც ისარგებლა თავის მდგომარეობით: საკმაო იყო გამოეცხადებინა გაკვეთილების ძლევის სურვილი რომ მოკლე ხანში აუარებელი მსურველი გასჩენოდა: მოხუცი, ყმაწვილი, ქალი და ვაჟი. სუყველა ზუჩისთან მიეშურებოდა.

ლამაზი კარლო-კი, რაც უფრო სახელი უვარდებოდა, მით უფრო თავს იდებდა. ესეც-კი იყო, რომ საზოგადოება დიდს ყურადღებას აქცევდა, ოპერის სცენაზე კარლოს გამოსვლის გაგება და ბილეთების დატაცება ერთი იყო ხოლმე. კარლომ კომპოზიციონსაც მოჰკიდა ხელი და შეთხზა ,,საარშიყო რომანსები'', რომლებსაც გამომცემლები ერთ-მანერთს სტაცებდენ ხელიდგან.

***

პირისში დაბინავების სამის თვის შემდეგ შარლის მშვიდობიანობა ერთმა უცნობის ხელით დაწერილმა წერილმა შეარყია;

წერილის ბოლოზე ,,მარტინ გრუკიერი'' ეწერა; მამა სხვათა შორის სწერდა:

,,მე კმაყოფილი ვარ, რომ ბევრს ფულს გებულობ, თუმცა უმჯობესი იქნებოდა სხვა ხელობით გეშოვა; ყოველს შემთხვევაში ფულის რიგება ურიგო არ არის: დარწმუნებული ვარ, რომ არ დაივიწყებ ხანში შესულს მამას, რომელსაც წვითა და დაგვით შეჰქონდა შენი გადასახადი ფული; მე ვფიქრობ, რომ იმ 40000 ფრანკითგან, რომელსაც პარისის თეატრი გაძლევს წელიწადში, მეტი არ იქნება ყოველს თვეს 500 ფრანკი გამოგზავნო ხოლმე, რაც მეც და შენს დასაც ცხოვრებას შეგვიმსუბუქებს . . . . ხომ იცი რა გაჭირვება გამოუვლია შენს დას შენთვის'' . . . .

შარლმა გაჯავრებით გადააგდო წერილი; ის ყოველ დღე მოელოდა ამ ნაირს წერილს, მაგრამ წინა დღით ჰერმანსისგან წერილი მოუვიდა და ფულის შესახებ არაფერს სწერდა; ფულის თხოვნა მით უფრო უსიამოვნო იყო, რომ პირველს მოსაწყობად ვალი ისესხა და ცოტა შევიწროებულს მდგომარეობაში იყო. აი რასა სწერდა ძმა დისგან მიღებულის, სიყვარულით სავსე წერილის პასუხად:

,,შენ შეგეძლო, ჩემო ძვირფასო ჰერმანს, პირდაპირ გეთხოვა ფული და სხვისთვის არ მიგენდო იმ გაჭირვების გახსენება, რომელიც ჩემთვის გამოგივლია და რომელიც არ დამვიწყებია. მე სუყოველთვის სახეში მქონდა როგორმე გადამეხადა ეს ვალი და არც მჭიროდა გახსენება, რომელიც მით უფრო უსიამოვნოა, რომ მესამე პირის საშუალებით მოახერხე.

ჩემი საქმის მდგომარეობა ჩემის წერილებითგან გაგებული გექნება და ამიტომ იმედიც მაქვს არ დამემდურები, რომ ამ ჟა-

მად ფულს არ გიგზავნი, თუმცა ჩემს თავს ვალად ვიდებ შენი დავალება გადავიხადო“.

ამ წერილის პასუხი მალე მოვიდა. ნაწერს ეტყობოდა, რომ წერის დროს დამწერი აღელვებულს მდგომარეობაში იყო.

„შენ ვერ მიმხვდარხარ, ჩემო საყვარელო ძმაო, რომ წერილი ჩემს გაუგებრად არის დაწერილი და გამოგზავნილი და რო გამეგო, სიკვდილს ვარჩევდი მაგის მანდ წამოსვლას. შენის წერილითგან სჩანს, რომ შენს საწყალს დას არ იცნობ; არ მეგონა-თუ მაგისთანა ცილს შემომწამებდი . . . მაგრამ რა-კი ეჭვი მომიტანე და გგონია, რომ ჩემის დახარჯულის ფულის მოთხოვა შემიძლია, გეფიცები რაც უნდა გამიჭირდეს საქმე ერთს სანტიმსაც არა გთხოვ. ღმერთო! როგორ წარმოვიდგენდი, რომ შენ შეგეძლო მაგისთანა ფიქრების თავში გავლება! საქმე, რო გამჭირებოდა, პირდაპირ მოგმართავდი და გეტყოდი: „ძმაო შემეწიე“ და იმ საშვალებას-კი არ მივმართავდი, რომელიც მე შენ დამწამე! ეხლა, ძმაო, მამის წერილს ყურს ნუ უგდებ; ჩემი შრომა იმასაც და მეც კარგად გვარჩენს. ფულის გამოგზავნას შენს დღეში ნუ იფიქრებ, თორემ უკანვე დაგიბრუნებ“ . . . .

წერილი სიყვარულის სიტყვებით თავდებოდა.

მამას რომ შვილის პასუხი არ მოუვიდა ჯავრობა დაიწყო და ქალს დაუწყო კითხვა; ქალმა აუხსნა, რომ შარლს არ შეუძლია ფულის გზავნა, რადგანაც დიდი ხარჯი აქვსო; მამამ, რასაკვირველია, არ დაუჯერა და ბოლოს უთხრა შენ მოგდის ფული და არ მიჩვენებო; როცა ამის უარიცა თქვა ჰერმანსმა, მოხუცმა შარლის წერილები მოიკითხა.

საწყალი ქალი გაჭირებაში ჩავარდა;—ერთს წერილში შარლი

სწერდა; რომ თქვენს ვალს ერთად გადავიხდით და ეს რომ გაეგო მოხუცს მეტიც არ უნდოდა, მაგრამ, საბედნიეროდ; მოხუცს თვალს აკლდა და ისევ ჰერმანსს უნდა წაეკითხა წერილები, რომლებშიაც უარი გამოიყვანა. მოხუცი გაცეცხლდა და ფიცი დაიწყო, რომ ოპერის დირექტორს შევატყობინებო, რომ შვილი ასე ურიგოთ მექცევაო.—ქალს შეეშინდა და მამის დასამშვიდებლად შემდეგი სიტყვები წაიკითხა, ვითომ შარლისა ყოფილიყვნენ: ,,თუმცა მეტად შევიწროვებული ვარ, მაგრამ ვეცდები ყოველს თვეში 150 ფრანკი გამოგიგზავნოთო‘‘.

***

ყოველს თვის თავზე ჰერმანსს კონცერტელთკან თავის ნაშოვარი 150ფრანკი გამოჰქონდა და მამას ვითომ-და შარლის მოწერილს წერილს უკითხავდა; მამა მაინც კიდე ყმაყოფილი არ იყო და შვილს ძუნწს უძახდა; ქალი იმითი ამშვიდებდა, რომ შემდეგში მეტს გამოგიგზავნისო. მთელის თვის განმავლობაში საწყალის ქალის ციებ-ცხელება ის იყო, რომ როგორმე ეშოვნა ეს ფული; დღე და ღამე მუშაობდა, თავის თავს სუყველაფერს აკლებდა და ერთს ზამთარში საქმე იქამდის მივიდა, რომ უცეცხლობის გამო გაცივდა და ავადგახდა, თუმცა მუშაობაზე ხელი არ აუღია.

სამაგიეროთ იმით ნუგეშობდა და მხიარულობდა, რომ შარლის წერილები ხშირად მოდიოდა: ხანდახან ძმა იმ გაზეთების ნუმრებს უგზავნიდა, სადა მაზე ლაპარაკობდენ და როცა მისი ,,საარშიყო რომანსები‘‘ გამოსცეს, ისიც გაუგზავნა დას. ერთხელ კიდევაც სწერდა, რომ მარსელში მივდივარო და გავლით გნახავთო, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა და შარლი არსად

ჩანდა; ჯერ იმედით გახალისებულმა ქალმა მოიწყინა და თავის თავზე უბედური არავინ ეგონა; ბოლოს ბედმა გაუღიმა და 1880 წ. შარლმა მოსვლა მოსწერა. ქალი სიხარულით აღარ იყო; მას შეეძლო თავის თვალით ენახა შარლი სცენაზე, სადაც მას მთელი საზოგადოება აღმერთებდა! ამაზე მეტს ბედნიერებას ის არ ინატრებდა.

შარლის მოსვლაც მოახლოვდა; როდეზში ერთი წარმოდგენა უნდა მიეცა; პატარა ქალაქის გაზეთებმა ერთ-ხმად შეჰქნეს დიდს არტისტზე ლაპარაკი; ჰერმანსს მოსვენება აღარ ჰქონდა; მრავალი ხალხი მიდიოდა მასთან და შარლის შესახებ ცნობებს კითხულობდა; ქალმა არ იცოდა პასუხად რა მიეცა და იყო ერთს გაჭირებაში.

შარლი საღამოს ხუთს საათზე მოვიდა და დილის 1 საათზე წავიდა, ისე რომ საწყალმა ქალმა ვერც-კი მოასწრო ძმის რიგიანად ნახვა, თუმცა ამ მოკლე ხანში შეამჩია, რომ შარლი გამოცვლილიყო და იმნაირად აღარ ეკიდებოდა მას, როგორც წინად.

სუყველა ეს დაიკარგა მაშინ, როცა საღამოს დამ თავის საყვარელი ძმა სცენაზე დაინახა: შარლი შეუდარებელი იყო—ხალხის აღტაცებამ და სიამოვნებამ თითონ არტისტიც შეიყვანა როლში და პარისის დიდს ოპერაში გადაჩვეულს არტისტს აქ უხვად აჯილდოებდნენ მის თამაშობას ტაშის ცემით და ბრავოთი. ჰერმანსი პატარა ლოჟაში მიმალული გამოუთქმელს სიხარულს და გულის ძგერას გრძნობდა; მის არტისტისტის ბუნებაზე ძალუმად მოქმედობდა მოცარტის მუსიკა; მოთამაშის ყოველი მიხვრა-მოხვრა, სახის მეტყველობის შეცვლა, მის სახეზე იხატებოდა.

საღამოს ჰერმანსის შეუმჩნეველად გაიარა და ძმა მოსული რომ არ ეგონა, ის წასვლას აპირებდა; ეს-კი იყო, რომ დაჰპირდა ერთის თვის შემდეგ კიდევ მოვალო და ორი დღე დავრჩებიო.

ამ თვეში ბევრი რამ შესანიშნავი მოხდა.

***

ჰერმანსს ორმა საქმროს მიუგზავნა მაჭიალი, მაგრამ ეს მას სიცილად არ ეყო: „ეს შენი როდეზში მოსვლის შედეგიაო“ სწერდა ის ძმას.

პირველი მთხოვნელი სულ ახალგაზდა კაცი იყო, რომლის დედას ეგონა თუ ჰერმანსს ფული ჰქონდა და ამის გამო შვილსაც აგულიანებდა; ჰერმანსმა მაჭიალს აუხსნა, რომ ფული არა აქვს და ამასთანავე დაუმატა, რომ ტყუილად ჰგონია შენს გამომგზავნელს, რომ ჩემი მზითევი სახლს ფეხზე წამოაყენებსო.

მეორე მთხოვნელი, ქერმენ პერნადი, კარგი კაცი იყო; ეს ჰერმანსის მეზობლად ცხოვრობდა, წვრიმალით ვაჭრობდა; მისი ცოლი მუცელს გარდაჰყვა და ჰერმანსი დედასავით უვლიდა ქერმენის დაობლებულს შვილს; თითონ ქერმენს ძმასავით უყურებდა და როცა გაიგო მის სურვილი ასე უპასუხა:

— მე გათხოვებას არ ვაპირობ, ბატონო ქერმენ, მაგრამ იმედი მაქვს ეს ჩვენს მეგობრობას არ დაარღვევს:

ამ ამბავის რამდენიმე დღის შემდეგ, შარლის მოსვლის წინა დღით, ჰერმანსის მამა მოკვდა; ქალმა მამის სიანჩხლე და სიკაპასე დაივიწყა და მთელის თავის არსებით მწუხარებას მიეცა; დამარხვამდის შარლიც მოვიდა და მდიდრულად გაასვენა.

როცა მიცვალებული მიწას მიაბარეს და და-ძმა სახლში დაბრუნდენ, შარლმა უცებ მიმართა თავის დას:

— Დიდს ხანს დარჩენა არ შემიძლია და ამიტომ საჭიროა მომავალზე მოვილაპარაკოთ. შენ მე მითხარი, რომ ორმა კაცმა მოგიგზავნა მაშუალი და რად უთხარი უარი?

ქალმა გაკვირვებით შეხედა.

— Კი, განაგრძო ძმამ, მოხერხებული დრო ვერ ამოვირჩიე სალაპარაკოდ, მაგრამ შენ თითონ იცი, რომ სხვა დროს ამორჩევა არ შემეძლო. რას ფიქრობ შენს მომავალზე?

ქალმა უკმაყოფილოდ მხრები აიწია: ,,ახირებული დრო-კი ამოირჩიე სახუმროდ-და?

— მე არა ვხუმრობ, უპასუხა ძმამ, შენ იმდენის ხნისა არა ხარ, რომ გათხოვებას დაგვიანებულიყო! . . . . მზითევს მე მოგცემ. Ახლა მარტო რა გაგაძლებინებს, თუ ქმარი არ გეყოლება!

ქალი ხმას არ იღებდა და ისევ შარლმა გააგრძელა ლაპარაკი:

— Დიდი სიამოვნებით გეტყოდი ჩემთან წამოსვლას, მაგრამ მე იმისთანა ცხოვრებას ვატარებ, რომ შეუძლებელია შენ იმას შეეჩვიო . . . . . საზოგადოება სულ სხვაა.

ჰერმანსმა უცებ გააწყვეტინა:

— Ტყუილად რად იმართლებ თავს; მე შენ არაფერსა გთხოვ: ნუ მათქმევინებ იმას, რაც ერთხელ უკვე მითქვამს: ვიდრე ცოცხალი ვიქნები და ჩემის შრომით შემეძლება თავის რჩენა, შენგან არაფერს ვითხოვ.

— როცა დაბერდები? მოუთმენლად ჰკითხა ძმამ .

ქალი შეჩერდა და უცებ თვალებში შეაჩერდა ძმას.

— შენ გეშინია, რომ როცა დავბერდები და დავუძლურდები შენი ტვირთი შევიქნები და ამიტომ მირჩევ გათხოვებას?

შარლმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— გაჩუმდი! უთხრა ძმას, შენი ქცევა კარგად მესმის! გეცილები ჩემს დღეში არ მოგმართავ და ჩემთვის ლუკმა პურს სუყველთვის ვიშოვნი . . . . ნულარა ფერს იტყვი . . . . სამუდამოთ გულს მომიკლავ . . . .

იმ საღამოს ჰერმანსი გულ-ჩათუთქული შევიდა თავის ოთახში; სახე უწითლდებოდა, რცხვენოდა, როცა ძმის ქცევა მოაგონდებოდა ხოლმე; უნდოდა რითიმე მოეხადა ბოდიში თავის კერპისათვის, მაგრამ ამაოდ! სიმართლე სიმართლეთ რჩებოდა და მის ძმისადმი განუსაღვრელი სიყვარული იჩაგრებოდა; უბედური ქალი მიხვდა, რომ საკმაო იყო ძმის ტვირთად გამხდარიყო, რომ შარლს ის შეეძულებინა.

***

საჭირო იყო ეს არ მომხდარიყო და თითონ ჰერმანსს შეძლებოდა თავის თავის რჩენა და იმედიც ჰქონდა: მამამ თითქმის 1200 ფრ. დასტოვა, სახლის და ბაღის გაყიდვამ ცოტა ფული მიუმატა მამის დატოვილს და ამით ჰერმანსი ქალაქში გადასახლდა და მუშაობას მოჰყო ხელი იმ აზრით, რომ რამოდენიმე ფული შეეგროვებინა შავის დღისათვის და გაჭირებაში ძმისთვის არ მიემართა.

მაგრამ მარტოობამ მეტის მეტად შეაწუხა, მით უფრო რომ შარლის წერილებიც უგვიანდებოდა; წასულის წლების დაღალულობამ თავი იჩინა და ქალი რაც დღე გადიოდა სუსტდებოდა; მალე ხველებაც დააწყებინა, რომელსაც ჯერ ყური არ

უგდო; მერე გაცივდა და ლოგინად ჩავარდა; მუშაობისთვის თავი უნდა დაენებებინა, მომვლელი დედა-კაცი უნდა დაექი-რავებინა, ექიმი გაესტუმრებინა და ათასს სხვა ხარჯს გაძლო-ლოდა; ფულის შემცირება ისეც ავადმყოფს ქალს გულს უხე-თქავდა. რა ექნა? ჰოსპიტალში წასვლას ვერ ბედავდა, რად-განაც სხვები შეიტყობდენ და შარლს დაძრახავდენ და ფულის თხოვნას ისევ სიკვდილს არჩევდა.

როცა შენახული ფული მიიფურცა, ქალს გული შეუწუხდა; მომვლელმა დედა-კაცმაც შენიშნა ფულის სისუსტე და ავად-მყოფს თავი მიანება და მის ადგილი სხვამ, ძველმა მოკეთემ დაიჭირა; ეს იყო ქერმენ ბირნადი.

ზაიგო თუ არა ქერმენმა ჰერმანსის ავადმყოფობა, სანახავად წავიდა; ამან ცოტა არ იყო ასიამოვნა ყველასგან მიტოვებული ჰერმანსი. პირველის ნახვის შემდეგ ხშირად დაიწყო სიარული.

ერთხელ, როცა ქერმენს ავადმყოფი მეტად მოწყენილი დახვდა ასე უთხრა!

— მე ვხედავ, რომ მარტოობა ავადმყოფობის დროს მაინც და მაინც სანატრელი არ არის . . . . უკეთესი იქნებოდა ჩემს ექიმობაზე უარი არ გეთქვათ და ჩვენი უკანასკნელი დრო ერთ-მანერთის მოვლაში და ნუგეშში გაგვეტარებინა.

ჰერმანსი გაჩუმდა. მის შემდეგ რაც ქერმენმა მასთან სიარული დაიწყო, ხშირად შემდეგი აზრი მოსდიოდა: უპატრონო ქალისა-თვის ცოტა რამ საკმაოა, რომ უკიდურესს მდგომარეობაში ჩა-ვარდეს, ამიტომ საჭიროა მას, ძმის გარდა, სხვა პატრონიც ჰყავ-დეს. ქერმენი მას პატიოსან კაცად მიაჩნდა და უცებ შემდეგის კითხვით მიმართა:

— თქვენ რომ იცოდეთ, რომ არაფერი მაქვს, შემირთავდით?

— როგორ? . . . . ჰკითხა მან გაკვირვებით.

და ქალმა სუყველაფერი უთხრა: „რომ მას ძმისაგან არა უნდოდა-რა, რომ ქმარს მზითევად არაფერს მიუტანდა რომ ის ქმარს მოსთხოვდა ფიცს, რომ შარლისათვის არაფერი ეთხოვა" . . . . .

ლაპარაკის დროს ქალი ხშირად ჩერდებოდა, სიტყვებს ეძებდა, რომ ძმის შესახებ არაფერი მის დამამცირებელი არ წამოსცდომოდა: „ამის მიზეზის თქმა, ამბობდა ის ძმის ბოდიშის მოსახდელად, არ შემიძლია . . . ძმას-კი ვერაფერს ვუსაყვედურებ . . . . და ვერ მოვითმენ თუ ვინმე მას რითიმე შეურაცყოფს" . . . . და ქერმენი ყურს უგდებდა ამისთვის გაუგებარს ალსარებას, რომელიც ვნებით და წინაალმდეგ-მეტყველობით იყო სავსე.

ქალი არ ჩუმდებოდა.

— მოიფიქრეთ, პასუხს ეხლავე ნუ მეტყვით; მე ვიცი, რომ ჩემს საქმროს ჩემის ხნით და სილარიბით არაფერს შესანიშნავს მიუტან . . . . მაგრამ იცოდეთ, რაც გითხარით ჩემის მდგომარეობის შესახებ წმინდა მართალია; აუცილებელი საჭირო და პირობაა, რომ ჩემმა შემრთველმა კაცმა დაივიწყოს, რომ მე მდიდარის კაცის და ვარ! მე ჩემის ორის ხელის მეტი არაფერი მაბადია რა. თქვენ იცით, რომ მუშაობა შემიძლიან და კარგს ძალს ფულს ვიგებდი და იმედიც მაქვს მოვიგებ, მაგრამ თქვენ პირობა უნდა დამიდოთ, რომ რაც უნდა გაჭირება დაგვადგეს, შარლს არ უნდა მივმართოთ, თითქო ის ქვეყანაზე არ არსებობდეს . . . .

თუ კაცი იმ პირობას მომცემს და არ შეასრულებს მისი მხრით უპატიოსნება იქნება და მერე გეფიცებით, ბატონო ქერმენ, მეც მომკლავს.

კაცმა როგორც იყო დააშოშმინა ქალი და სუყველაფერს სიცხეს აწერდა. შემდეგ-კი დაფიქრდა და ქალის მოსაზრებას დაეთანხმა, თუმცა მომღერალს რაც უარესი იყო ის შეუთვალა, რომ დას ყურს არ უგდებდა . .

ამ ნაირს პირობებში ჰერმანსის შერთვა მაინცა და მაინც ხელის მოსათბობი საქმე არ იყო, მაგრამ ქერმენს მობეზრებული ჰქონდა მარტოობა; ყმაწვილი ქალი იმას არ შეირთავდა და კიდევაც რო შეერთო, მის შვილს რიგიანად ვერ მოუვლიდა და ჰერმანსს-კი კეთილს, მუშა და მეოჯახე ქალად იცნობდა . . . ამის გარდა თითონ ჰერმანსსაც მოსწონდა . . . საქმე ისე ურიგოდ არ ჰქონდა დაყენებული რომ ორივეს არ შეძლებოდათ მონაგების ფულით ცხოვრება. მერე ვინ იცოდა, რომ ჰერმანსი თითონვე არ უმტყუნებდა თავის პირობებს!? . . . .

* * *

ქერმენმა გადაწყვიტა და ისინი დაქორწინდენ მარტში 1881.

ოჯახი რიგიანად მოაწყეს. ჰერმანსი რაც ძალა და ღონე ჰქონდა მუშაობდა და თავის ქმრის მასიამოვნებელი იყო, მაგრამ, საუბედუროდ, ამ მეტად კეთილს და პატიოსანს ქალს ვაჭრობის უნარი არ ჰქონდა; ქმარი არ მოელოდა ამას—მას წარმოდგენილი ჰქონდა, რომ ჰერმანი კარგად წაიყვანდა სავაჭრო საქმეს და როცა შეამჩნია, რომ საქმე სასურველად არ მიჰყავდა, ცოტა არ იყო ცოლზე აზრი შეიცვალა და რაღაც

ნაირის საცოდაობით უყურებდა მას. ერთხელ ლაპარაკში შემდეგი სიტყვები უთხრა.

— დამეთანხმე, რომ შენი ძმა უპატიოსნოდ და საძაგლად გეპყრობა!

ქალმა მუდარით შეაჩერა: „შენ აკი დამპირდი მაგაზე ხმას არ ამოვიღებო?

მართლაც და ამის შესახებ რამდენიმე უსიამოვნო სიტყვა იყო წამოთქმული.

ჯერ ქერმენს მეზობლები აყვედრიდენ, რომ სიმდიდრისათვის შეირთო ცოლი: მერე დაქორწინების შემდეგ, ჰერმანსი ხშირად ლაპარაკობდა ხოლმე შარლზე; დას უნდოდა, რომ მისი ძმა ყველასაგან სათაყვანო ყოფილიყო, ქერმენს-კი ეს ბევრად არ აინტერესებდა და რაც დრო გადიოდა მით უფრო უსიამოვნოდ რჩებოდა ამ ნაირი ლაპარაკი; ქერმენმა იცოდა, რომ მისი ცოლის-ძმა მდიდარი იყო და მისი საქმეები უკანასკნელს ხანებში სასურველად არ მიდიოდენ და ჰერმასი-კი მუდამ თავის ძმის ქებაში და ღმერთებაში იყო და ფულის შესახებ ლაპარაკს არ იტანდა. საქმე ბოლოს იქამდის მივიდა, რომ ქერმენი დაცინვით იხსენიებდა შარლს, ისე რომ საბრალო ქალი იძულებული შეიქნა თავის სიყვარული თავისვე გულში ჩაემარხა.

მამის დამარხვის შემდეგ ძმას აღარ ენახა და; დის ქორწილზე არ დასწრებია და როდეზში მისვლას არ აპირობდა; ან არა და რა სასახელო იყო განთქმული მომღერალისათვის ღარიბს მეწვრიმალესთან მისვლა!

წერილების მიწერ-მოწერა დისა და ძმის შორის არ შეწყვე-

ტილა; დას სიყვარული აწერინებდა წერილებს და ძმას-კი მარტო ის, რომ უნდოდა მისი სახელის დიდება მარტო პარისში არ დარჩენილიყო და სხვას არ სცოდნოდა; მთელი ბედნიერება იყო ჰერმანისათვის ძმის წერილის მიღება და საღამოობით, როცა ჟერმენი დაწვებოდა ხოლმე, ის ათჯერ და ასჯერ კითხულობდა მათ.

ჟერმენის ვაჭრობა ნელ-ნელა მიჩანჩალობდა; შემოსავალი არც მატულობდა, არც კლებულობდა, მაგრამ ის ვაჭრობის გადიდებაზე ოცნებობდა, რადგანაც ეხლანდელი შენობა მეტად პატარა და ბნელი იყო და მუშტარს უფთხობდა. ჟერმენი შემთხვევას ელოდა.

* * *

შემთხვევამაც მალე იჩინა თავი: ერთი სავაჭრო სახლი, რომელიც ბერნადის პირ-და-პირ იყო, გაკოტრდა და ბერნადმა მოინდომა ამ სახლის და თავის შეერთება, რადგანაც ადგილი და დრო კარგი იყო.

დუქნის ფასის გაგებაზე თითქო ცივი წყალი დაესხა თავზე— 10000 ფრანკი: მას მარტო 5000 ჰქონდა; წინად, როცა იმედი არა ჰქონდა, ამ საქმეებში შეტოპას ვერ გაჰბედავდა და ეხლა-კი სულ სხვა იყო—ფულის შოვნა უთუოთ მოინდომა; საამხანაგო კაცი ვერ იშოვნა, რადგანაც ყველა იმ აზრისა იყო, რომ ამ საქმეში ფეხს მოიტეხდა; სასესხებლად ფული არა ვინ ანდო; საღამოს სიანჩხლით უამბო ეს ჰერმანსს. დრო არ იცდიდა.

— რა არის, თქვა ერთს საღამოს იმან, 5000 ფრანკი შეძლებულის კაცისათვის! და ცოლს დაუწყო ცქერა. თავ-დახრილმა ჰერმანსმა ეს არ შეიმჩნია.

— შეიძლება, მაგ საქმემ ვერც-კი გაიმარჯოს, უთხრა პასუხად ცოლმა.

— რას ლაპარაკობ! ხამი ხომ არა ვარ! მუშტარი შეჩვეული მყავს და საქმის წინ ძლოლა ვიცი.

ქალი გაჩუმდა; ჟერმენმა სკამი იქით მიაგდო და ცოლს ხელზე ხელი მოკიდა:—მაშ ხელითგან უნდა წაგვივიდეს საქმე? ხმა უკანკალებდა და ეტყობოდა თავის თავს აღარ ეკუთვნოდა.

— აბა რა ექნათ? დაეკითხა თავის მხრით შეშინებული ჰერმანსი.

უცებ ხელი გაუშვა, გინება დაიწყო და გაბრაზებულსავით კარში გავარდა.

ქალი გაკვირვებული და ენა ჩავარდნილი დარჩა; უცებ ეჭვმა გაურბინა თავში, რომელიც ლახვარივით ეტაკა გულზე.... დაჯერება არ უნდოდა და თავის ქმარს ბოდიშს ხდიდა და ყოველის ღონის ძიებით ცდილობდა მისი სასიამოვნო ყოფილიყო, მაგრამ იმას სრულებით გამოეცვალა ხასიათი და მუდამ ჩხუბის გუნებაზე იყო. საქმე მით უფრო გამწვავდა, როცა იმ ვაჭრის საქმე, რომელიც ჟერმენის პირდაპირ დამყარდა, კარგად წავიდა. იმ დღეს, რა დღესაც ვაჭარი ეწყობოდა, ცოლს ყვედრება დაუწყო იმის შესახებ, რომ ერთი სუ არ მოგყოლიაო. უსამართლობას მიჩვეულმა ქალმა ცრემლები ჩაყლაპა. მის ბედნიერების ხანა (სუყველაფერი შედარებით ითქმის) გათავდა.

პირდაპირ ვაჭრობა კარგად მიდიოდა; ვაჭარს ფული საკმოდ ჰქონდა, საქონელი ლამაზად გამოაწყო სარკმელებში, რეკლამის ფული გადიხადა მოკლე ხანში, ჟერმენზე იაფად ჰყიდდა ერთსა და იგივე საქონელს. ჟერმენი ცდილობდა რითიმე გამკლავებოდა თავის მოჯიბრეს, მაგრამ ამაოდ! და ყოველს დამარცხებაზე

ჰერმანსს გადაჰკრავდა ხოლმე სიტყვას იმ იმედით, რომ მიხვდე-ბოდა და ძმას მიმართავდა, მაგრამ ჰერმანსს თითქო არ ესმოდა.

სხვა კაცი რო ყოფილიყო, სხვაგან გადაიტანდა თავის ვაჭ-რობას და იქ ეცდებოდა საქმის გამობრუნებას, მაგრამ ქერმენს იმედი ჰქონდა, რომ ცოლს დასძლევდა ან არა და როგორ შე-რიგებოდა თავის მდგომარეობას? მის ცოლის-ძმას ერთი პირის გაღება სჭიროდა, რომ ფული ათასობით აელო! მის ცოლსა და ცოლის-ძმას მუდმივი მიწერ-მოწერა აქვთ გამართული, და მას-კი უფულობით საქმე უფუჭდებოდა! კი, სიტყვა მიცემული ჰქონდა, მაგრამ რა ეშმაკად უნდოდა ეს სიტყვა ჰერმანსს!

წლის ანგარიშითგან ამოჩნდა, რომ შემოსავალმა მესამედით იკლო.

იდაყვზე დაბჯენილი ქერმენი ფიქრობდა; ჰერმანსი ფეხზე იდგა და ჰგრძნობდა, რამე არა ჩვეულებრივი უნდა მომხდარიყო, რომ ქერმენი უცებ წამოხტა.

— მაშ ასე? გინდა შიმშილით დავიხოცოთ? გაკოტრება, სი-რცხვილი, ქვეყანაში თავის მოჭრა თავზე გვადგია და შენთვის კი სულ ერთია? იმ დროს როცა საკმაოა მხოლოდ აილო კა-ლამი და შენს ძმას ორი სიტყვა მისწერო.

ჰერმანსი ყურს უგდებდა და უკანასკნელს სიტყვებზე დაიკვლო და გულ-შეწუხებული სკამზე დაეცა.

— ქერმენ, ქერმენ, აკი შემომფიცე!

კი, შეჰფიცა, მაგრამ განა თითონ ჰერმანსის მოვალეობა არ იყო თითონვე გაეტეხა ფიცი, რომ ოჯახი უბედურობისაგან გამოეხსნა? ან თითონ ჰერმანსმა არ იცოდა, რად გამოართვა ეს ფიცი ქმარსა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რადა? რადა? თქვი! ჰკითხამდა ქმარი.

ქერმენი თან-და-თან ცხარდებოდა და თითქო ამ ერთს დღეში უნდოდა ამოეყარა ცოლის და ცოლის-ძმის ჯავრი.

დაჩარგული და მიწასთან გასწორებული ქალი ყურს აღარ უგდებდა. რისაც თავითგან აცილებას ცდილობდა, ვერ აიცილა და ფულის საქმემ, მისმა მუდმივმა სავაგლახომ, კიდევ თავი წამოჰყო.

ჯერ ბაასი და თავის გამართლება დააპირა; ქმარს ეუბნებოდა, რომ საქმე უკიდურესს მდგომარეობაში არ არის, რომ საჭიროა ბინის გამოცვლა და ჯიბრობის მოცილება და სხ., მაგრამ ქერმენი ყურს არ უგდებდა და მოღუშული და გაბრაზებული იყო. ის აზრი, რომ მცირე კაპიტალი, რომელიც მისი ცოლისთვის ადვილი საშოვარი იყო, მის საქმეს მოკლე ხანში ფეხზე წამოაყენებდა, მოსვენებას არ აძლევდა და ბრაზსა ჰგვრიდა. ხშირად მის, სიბრაზე იმ ზომამდე მიდიოდა რომ იმისთანა ნივთებს ყიდულობდა სავაჭროთ, რომლებიც, დარწმუნებული იყო, არ გაიყიდებოდა.

ჰერმანსი კარგს რჩევებს აძლევდა ქმარს, თითონ უდიერად მუშაობდა, რომ იმით მაინც გამოებრუნებინა უკან წასული საქმე, მაგრამ იმას აღარა ეშველებოდა-რა! აპრილში 1882 ქერმენმა გამოაცხადა, რომ ერთ-ერთს ჩემს 3000 ფრანკიანს თამასუქს ვადა გაუვიდაო და სახლში სულ 800 ფრანკიაო.

ამის გამოცხადებაზე ჰერმანსი ჯერ გაშრა, მერე მდუღარე ცრემლები წამოყარა და იგრძნო, რომ დამარცხებული იყო, რადგანაც გაკოტრებისათვის ხელი უნდა მოეშალა და ეს მარტო იმით შეიძლებოდა, რომ ძმისათვის უნდა მიემართა. ეხლა ნა-

ნობდა ვათხოვებას, სწყევლიდა ამდღეს, მაგრამ გვიანღა იყო . . . .

— წერილი შენ უნდა მისწერო, თქვა ჟერმენმა; ქალმა სცადა, მაგრამ ხელი უჩერდებოდა და განუსაღვრელად სწუხდა. სუყველა-ფერი თვალ-წინ წამოუდგა: შარლის ლანძღვის წერილი, მისი სურვილი და შიში ჰერმანსის გათხოვების შესახებ და სხ. საცო-დავს ქალს სიმხურვალე მოსდიოდა სახეში და გული უკვდე-ბოდა. ბოლოს ველარ მოითმინა, კალამი ხელითგან გააგდო და მწარედ დაიწყო ქვითინი. წინად ღვთისნიერი ჰერმანსი, ეხლა ღმერთს და თავის-გაჩენის დღეს ჰგმობდა.

— არ შემიძლიან! შენ თითონ მისწერე, უთხრა თავის ქმარს.

იცოდა, რომ თითონ უფრო რბილს და მოხერხებულს წე-რილს მისწერდა ვიდრე ქმარი, მაგრამ ვერ ახერხებდა და ასე გაშინჯეთ არც-კი წაიკითხა ჟერმენის დაწერილი წერილი.

მომღერლის პასუხი მალე მოვიდა, რომელშიაც კაცი და-ცინვას შეამჩნევდა:

„. . . . . მე სუყოველთვის შენახული მქონდა ჰერმანსის სამზითვო ფული და უკეთესი იქნებოდა დროზე აგელოთ. სხვა ფულის გამოგზავნა ამ ჟამად არ შემიძლია, რადგანაც თავისუ-ფალი ფული არა მაქვს; თუ საქმე რიგიანად წავა წელიწადში 2400 ფრანკს დაგინიშნავთ.“

***

შარლმა მზითევად სულ 8000 ფრანკი გამოგზანა. 5000 ფრ. ვალებს მოუნდა, დანარჩენით ახალის საქმის დაწყება შეუძლე-

ბელი იყო და ამიტომ ქალაქში გადასახლდენ. ჟერმენი დახლი-დრად დადგა, ჰერმანსმა საკერავს მოკიდა ხელი და ბავშვი სო-ფელში გაგზავნეს.

რამოდენიმე ხანი ამ მდგომარეობაში გაატარეს. ფულის მი-ღების შემდეგ ჰერმანსი ძმასთან წერილის მიწერას ვერ ბედავდა, მაგრამ ბოლოს ველარ მოითმინა და მისწერა.

პასუხი, რომელიც შარლმა ერთი თვე დააგვიანა, მეტად მოკლე იყო. შარლი იწერებოდა, რომ ოპერაში მღერის ვადა გაუ-თავდა და რამდენიმე თვით ამერიკაში მიდის. ,,ნუ-იორკში ბრიტანიის სასტუმროში ჩამოვხტები: იქ პატარა ხანს დავრჩები და მერე თითქმის ყოველს დღეს მომიხდება მოგზაურობა და ამიტომ ჩემსს ადრესს სხვა წერილში შეგატყობინებ.‘‘ ამან უფრო მოაწყინა ისეც დაღონებული ქალი.

წერილის მიღებისგან ერთის კვირის შემდეგ, ჟერმენი ერთს საღამოს მხიარულად შემოვიდა:

— ერთს კარგს საქმეს მოვკიდე ხელი, თქვა მან შემოსვლი-სათანავე.

მას ერთი თავის მეგობართაგანი ენახა, რომელიც პარისის ერთის დიდის მაღაზიის უფროსი იყო. ეს დაჰპირებოდა მაღა-ზიაში შეგიყვან და კარგს ჯამაგირს დაგინიშნავო. ამ შემთხვე-ვაში ჰერმანსს საკერავი უნდა ეშოვა. ჟერმენს წასვლა გადა-წყვეტილი ჰქონდა.

ჰერმანსი მეტად შეაწუხა ამ ამბავმა; მას უჭირდა სხვა ცხოვ-რების დაწყება, ეძნელებოდა იმ ქვეყნის დატოვება, საცა სი-ცოცხლე გაეტარებინა და ესეც რომ არ ყოფილიყო, ნამდვი-ლად იცოდა, რომ ეს გადასახლება შარლს არ ასიამოვნებდა. ყვე-

დრების ასაცილებლად ძმას ნუ-იორკში მისწერა წერილი. ჰერმენს ისე მოუთმენლად უნდოდა წასვლა, რომ წერილი არც-კი იქნებოდა მისული, როცა იმათ როდეზი დასტოვეს.

პარიზში მისვლისას ადგილის შოვნა გაუჭირდათ და ფული უნდა ეხარჯათ; 6 კვირის შემდეგ ქერმენმა ლუვრში დახლიდრის ადგილი იშოვა; ჰერმანსს ძრიელ გაუჭირდა ადგილის პოვნა. სამკერვალო სახლების პატრონებს არ მოსწონდათ მისი მორცხვობა, მოუხერხებელი მიხვრა-მოხვრა; ადგილის ძებნაში კარგმა ხანმა გაიარა და ბოლოს ერთის სამკერვალო სახლითგან მოუვიდა წერილი და მოსალაპარაკებლად იბარებდენ. ჰერმანსი წავიდა და მეტის მეტად გაუკვირდა, როცა მიიღეს და კარგი ჯამაგირიც დაუნიშნეს.

იმ სახლის პატრონი, სადაც ჰერმანსი მიიღეს, იმისთანა კაცი იყო, რომელიც სუყველაფერს თავის სასარგებლოთ ხმარობდა; როცა ჰერმანსი პირველად მივიდა მასთან ადგილისთვის, ის მეტად გააკვირვა ჰერმანსის და ცნობილის მომღერალის გვანებამ; ცნობები შეკრიბა და სინამდვილე შეიტყო. პირველად რომ დაელაპარაკა ჰერმანსს, მან შეატყო რომ ქალი თავის ვინაობას ჰმალავდა და ამიტომ თითონაც გაჩუმდა, მაგრამ, როცა ჰერმანს პირველად გაატანა საიაჭრო ერთს თავის მუშტართან, ამასაც შეემჩნია და-ძმას გვანება; მუშტარი სამკერვალოს პატრონს დაეკითხა და რა-კი სინამდვილე შეიტყო, უცებ მოჰფინა მთელს პარიზში ეს ამბავი და საზოგადოება ერთ-ხმად ლანძღავდა სახელ-გათქმულს ბრუჩიერს, რომელიც დიდ-ძალს ფულს იგებდა, სახლებს იძენდა და და-კი შიმშილით უკვდებოდა.

იმ სახლს, სადაც ჰერმანსი მუშაობდა, მუშტარი მოემატა—ყვე-

ლას უნდოდა ენახა ცნობილის არტისტის და და მის შეკერილი კაბა სცმოდა, რომ საზოგადოებაში დაეტრაბახა.

ჰერმანსმა შეამჩნია, რომ ხშირად მასზე უჩვენებდენ და ჩურჩულებდენ, მაგრამ ეგონა თუ მის მიხვრა-მოხვრას დასცინოდენ; ამიტომ ყურადღებას არ აქცევდა და თავისას აკეთებდა.

ამაობაში ზამთარმაც მოატანა; ჰერმანს ხელები დააწყებინა და გულიც სტკიოდა. არც ქერმენის მდგომარეობა იყო სანატრელი; რასაც მოკიდა ხელი, ვერაფერში გაიმარჯვა და რო უყურებდა იმ სიმდიდრეს, რომელიც ისე უხვად არის გამოყენებული პარისის მაღაზიების სარკმელებში, საღერღელი ეშლებოდა და უნდოდა გამდიდრებულიყო და რო ვერ ასრულებდა თავის წადილს, ხასიათი უფუჭდებოდა და მუდამ თავის ცოლის ძმის ლანძღვაში იყო.

ჰერმანსის თხოვნის მიუხედველად, ქერმენმა ვერ შეინახა ცოლის საიდუმლო და გაუტყდა ჰერმანსის პატრონს, რომელმაც თუმცა უკვე იცოდა ეს ამბავი, მაინც გაიკვირვა:

— როგორ წარმოიდგინო, რომ დისათვის 8000 ფრანკის მეტი არ მიუცია? შეუძლებელია! ქერმენი გააკვირვა ოდონორის დიდმა ფრაზებმა.

— ამ საუკუნეში, ჩემო ძვირფასო, ეუბნებოდა ის ქერმენს სუყველაფერი ფულია. ერთს თქვენს ნათესავთაგანს თქვენი ფეხზე დაყენება შეუძლიან და თქვენ სულელი იქნებით თუ არ ისარგებლებთ! . . . .

— უარი რომ მითხრას? ამბობდა ქერმენი.

— ეჰ, ღმერთო ჩემო! თქვენ იმისთანა მდგომარეობაში ხართ, რომ ის უარს ვერ იტყვის.

ამისთანა ბაასს მოთმინებითგან გამოჰყავდა ჟერმენი; პატარა ხანს კიდევ ითმინა და როცა გაზეთებითგან შეიტყო, რომ შარლი მოკლე ხანში უნდა დაბრუნებულიყო ცოლს ოდონორის თან დასწრებით თავის განზრახვები შეატყობინა; ცოლსა უხსნა, რომ მას ადგილითგან ითხოვენ და ამასთანავე ერთი მეგობარი კაცი მზად იყო ჟერმენში ამხანაგად შეეყვანა ვაჭრობაში, თუ 12000 ფრანკს შეიტანდა. ჟერმენმა ცოლს მოაგონა ის დრო, როცა მის ახირებულის თავმოყვარეობის მიზეზით კინაღამ გაკოტრდა და ეხლა ძმასთან ეუბნებოდა წასვლას, რომ ფული ვამოერთმია.

ჰერმანსი უარს ამბობდა და ქმარს საყვედურს ეუბნებოდა. ჟერმენი იმან უფრო გააცხარა და ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ დაემუქრა გაზეთებში გამოვაცხადებო იმას თუ, რა უსვინიდისოდ ეკიდება სახელ-გათქმული არტისტი თავის ამზრდელს დას. ქალი შეშინდა, ტირილი მორთო, და ქმარს ხვეწნა დაუწყო; ქმარს არაფრის გაგონება უნდოდა:

— წახვალ თუ არა ხვალა? . . . თქვი წავალ-თქო, თორემ ეს არის გამოსაცხადებლად მივდივარ.

ქალმა შეამჩნია, რომ მეტი გზა არა ჰქონდა და დაეთანხმა.

როცა ქალი მარტო დარჩა, თავის თავს იმედი მისცა; იმან გადაწყვიტა, რომ შარლს უამბობდა, რა ცეცხლში იყო ჩავარდნილი და დარწმუნებული იყო ის მიხვდებოდა რაში მდგომარეობდა საქმე, მაგრამ ამასთანავე ისიც აწუხებდა, რომ ვაი თუ მორცხვობამ გულის პასუხის თქმა დამიშალოსო.

მეორე დღეს წავიდა ძმასთაან; მონსოს პარკი სიჩქარით გაიარა, ერთს ქუჩას გაჰყვა და ერთს კართან დარეკა. ძარი გაუღეს

და შვენივრად მოჩუქურთმებულს კიბეზე აიყვანეს; კარი გაუღეს და შარლი ოთახში მოსიარულე დაინახა.

— ჰო, შენა ხარ! თქვა მან გაბრაზებულის ხმით; კარგად ქენი რო მოხვედი; კაცის გამოგზავნა მინდოდა შენთან.

დაკარგული ქალი ძმას შესჩერებოდა.

— კარგი ანგარიში გქონია! როცა მე თითონ მოგთარჯე ფული, შენ უარი სთქვი და ვითომ კიდევაც გწყინდა და ეხლა მთელი ალიაქოთი მოახდინე იმ მოსაზრებით, რომ უფრო მეტის მიღების იმედი გაქვს.

ჰერმანსი კედელს მიეყუდა რომ არ წაქცეულიყო.

შარლმა გააგძელა:

— მე შენ კიდევ როდეზში მეგონე და შენ-კი თურმე აგერ სამი თვეა მობრძანებულხარ და მთელის პარისისთვის შეგეტყობინებინა, რომ მილიონერის ბრუჰიერის და თხოვრობით ცხოვრობს; ერთს გაზეთში წავიკითხე ჩემზე დაწერილი წერილი, რომელიც მთელს პარისში თავსა მჭრის. ეს-კი რა ჰქვიან შენს მოქმედებას? შანტაჟი და სხვა არაფერი. თქვენ რამდენი გინდა მოგცე, რომ ჩემზე ლაპარაკს თავი დაანებო?

ქალი ხმას არ იღებდა; მხოლოდ მის აჩქროლებული სუნთქვა ისმოდა.

— ეგება ეხლაც რამე მიზეზის მოგონება გინდა, რომ შემდეგში უფრო მეტი ფული გამომტყუო? არა, ისევ მირჩევნია თავითგან მოგიცილო. რამდენი გეყოფა, 50000 ფრანკი?

ჰერმანსი ჩუმად იყო. აქ-კი შარლმა თავის სიბრაზეს მოხსნა თავი.

— მილოდი, რანი არიან ღარიბი ნათესავები: მე დარწმუნებული ვიყავი, რომ თქვენ მიხ.დით და ჩემს ქონებას ისე დაუწყებდით გარშემო ფრენას, როგორც ფარვანა სანთელს! ეს ასე ყოფილა და ასე იქნება . . . . მაგრამ საზიზღარი ის არის, რომ ჯერ 8000 ფრანკის აღებასაც არ აპირობდით და ეხლა მთელს ქვეყანაში თავსა მჭრით და მარცხვენთ, რომ ფული გამომტყუოთ. ერთის სიტყვით ურიგო ანგარიში არა გქონიათ! თუ გინდა შენის გაჩუმებისათვის 100000 ფრანკს მოგცემ! თუ ოდესმე თითო სუობით გიძლევია ჩემთვის; ეხლა ასი ათასობით იგებ! რა ურიგო მოგებაა?

შეურაცყოფილმა ჰერმანსმა ერთი ნაბიჯი წინ წადგა. მთელი მისი თავ-განწირულობით სავსე სიცოცხლე, დღე და ღამის შრომა ძმისათვის თვალ-წინ წამოუდგა და ხმაც ამოიღო . . . .

ძმამ ზურგი შეუბრუნა, ყუთი გამოსწია და ერთი ბღუჯი ბანკის ბილეთები ამოიღო.

— გეყოფა? გეყოფა? მოჰკიდე ხელი! ეხლა ხომ გაჩუმდები!

ჰერმანსმა ძმას შეხედა; მისი ლამაზი სახე შეშლილი იყო, ხმა გახრინწიანებული. ქალი დარწმუნდა რომ არაფერს შეუძლია შარლის გადაჯერება და პასუხად არა უთხრა-რა; ძალით ხელში ჩადებული ბანკის ბილეთები ტაბლაზე დასდო და ძლივს შეჩვეულის ხმით წარმოსთქვა.

— აწი ხელს აღარ შეგიშლი . . . . შენს დღეში ველარ მნახავ.

ამის შემდეგ ბარბაცით გამოვიდა და ღონე რო აღარ ჰქონდა კედელს ეკვროდა.

როცა ჰაერმა შემოჰკრა, ხელი შუბლზე მოისვა და ცდილობდა

გონს მოსულიყო, მაგრამ ვერ მოახერხა. საფეთქლები საშინლად უფეთქავდენ, თვალებზე ბინდი დაეკრა და ცდილობდა რაც შეიძლება მალე წასულიყო სადმე, რომ გამვლელ-გამომვლელს ასცილებოდა; თოვლი სხვილად ცვიოდა და ტალახიანს ქუჩაზე დნებოდა. ტანისამოსი და ფეხსაცმელი დაუსველდა და საშინელი სიცივე იგრძნო, მაგრამ ის კიდევ მიდიოდა თითონაც არ იცოდა, სადა, ორის საათის შემდეგ იგრძნო, რომ მუხლები ეკეცებოდა და სკამზე დაჯდა.

ის სენის ნაპირას იყო Jardin des plantes-თან; ჰერმანსს თვალწინ წამოუდგა მთელი თავის წარსული და მოაგონდა ის დრო, როცა ის როდეზითგან სოფელში მიდიოდა და პირველად თავის ძმის ჩინებული ხმა გაიგონა....

ერთის მიმავალის გინებამ ჰერმანსი გამოაფხიზლა და ის წამი მოაგონა, როცა შარლი ლანძღავდა მას. წინანდელის ლამაზის და მოცინარის შარლის მაგივრად, ის გაბრაზებულს და სახიდგან შეცვლილს შარლს ხედავდა, რომელიც მას უშვერის ენით ლანძღავდა.... ეს მოგონება ისეთი სამწუხარო და გულ საკლავი იყო ჰერმანსისათვის, რომ ორი ნაბიჯი მდინარისაკენ გადადგა:

— ოჰ, სიკვდილი, სიკვდილი!

აქეთ იქით მიიხედა. გამვლელი მრავალი იყო და თა თავირო დაერჩო შეიძლებოდა გადაერჩინათ და ესეც რომ არ ყოფილიყო ამ ნაირი სიკვდილი შარლს ავნებდა და ის სიკვდილის შემდეგაც დაწყევლიდა დას. მაგრამ სიცოცხლე შეუძლებელი იყო.... ქალს მდუღარე ცრემლები ჩამოსცვივდა: ,,დამიხსენი, ღმერთო, დამიხსენი!''....

საშინელმა ხველებამ ხმა გააწყვეტინა და ქალს ღიმილი მოუვიდა.

— რა საჭიროა სიკვდილის ძებნა?... კვდარი არა ვარ?

ღამემდა; საქმეში გართულნი გამვლელ-გამომვლელნი ყურადღებას არ აქცევდენ კუთხეში მიგდებულს ქალს; ჰერმანსმა ქუდი და წამოსასხმელი მოიხადა და სკამზე დადო; მის კაბას თეთრად დაედო თოვლი; რაც უფრო დრო გავიდა, მით მეტად შესცივდა და ააკანკალა; მერე კანკალმა ხელი უშვა და რაღაც ნაირს უგრძნობელს მდგომარეობაში ჩავარდა. პატარა ხანს უკან ჩაეძინა; ხანდახან ხველა გაუფთხობდა ხოლმე ძილს.

ათს საათზე პოლიციელმა მხარზე ხელი დაადო; ჰერმანსი მიხვდა რას ეკითხებოდენ და სამკერვალო სახლის ადრესი წაიმოილულუღლა. მტლში ჩააწვინეს და წაიყვანეს.

სამის დღის შემდეგ ფილტვების ანთებამ გადაიტანა.

დამარხვის ხარჯისათვის კიდევ შარლს მიმართეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პესტალოცის ცხოვრება.

(ნათარგმნი)

„თუ მართალია, — ამბობს პესტალოცის ბიოგრაფი პროფესორი ნოაკი, — რომ ჩვენს დროში სხვა გმირები არაა, გარდა იმ გმირებისა, რომელთაც ნაყოფიერი შრომა დაუტოვებიათ კაცობრიობისათვის; თუ ადამიანს განუწყვეტელი, დაუღალავი, უანგარო შრომა კაცობრიობის სიკეთისათვის აძლევს გმირის სახელს, მაშინ, უეჭველია, პესტალოცს უკანასკნელი ადგილი არ ეჭირება ამ გმირთა შორის. ამ მხრით ის, როგორც მწერალი, როგორც განმანათლებელი კაცობრიობისა, როგორც აღმზრდელი ხალხისა, სწორეთ რომ გმირია.

მისი დაუთრგუნველი სიმამაცე და მხნეობა უკეთილშობილესს მიზნისადმი, საკვირველი მოთმინების ძალა, თავდადებული სიყვარული მოძმისა, სიმშვიდე, შეურყეველი რწმენა, რომ კაცობრიობის ზნეობის გასწორება შესაძლებელია, რაც გინდ იგი უმდაბლეს ზნეობის ხარისხზე იდგეს: აი უეჭველი უფლებანი, რომელნიც პესტალოცს გმირის სახელს აძლევენ. მისმა აზრებმა და მოქმედებამ, მისმა სიყვარულმა და ტანჯვამ, მისმა ქადაგებამ, ბეჭდვითმა სიტყვამ უდიდესი სარგებლობა მოუტანეს ოჯახს, სასწავლებელს და ხალხს. სამოცი წლის შრომის განმავლობაში იმას ძვირად შეხვედრია იმისთანა წუთები, როდესაც იგი დამტკბარიყო გამარჯვების სრულის და შეურყეველის სიხარულითა. მის

არსებაში საკვირველად თავსდებოდენ: ერთის მხრით უდიდესი გონება და უკეთილშობილესი გული და მეორეს მხრით ოცნებური წარმოდგენა და თითქმის განუსჯელობაც კი. პესტალოცს ძვირად დაუჯდა საყოველთაო მისი ნაკლულევანობანი მიუხედავად იმისა, რომ მთელი მისი არსება, ყოველი მისი მოქმედება მტკიცედ იყვნენ მოცულნი მხურვალე სიყვარულით და ლტოლვილებით ჭეშმარიტებისა და სიკეთესაკენ, რომელნიც მზის ბრწყინვალე სხივებივით ნათელს ჰფენდნენ მის სულსა და გულსა.“

ჰეინრიხ პესტალოცი დაიბადა ცურიხში, 12 იანვარს 1746 წ. მამა მისი იყო საუკეთესო ჯარა ექიმი და ეკუთვნოდა კეთილშობილთა გვარის კაცს. ხუთი წლისა ძლივს იყო ჰეინრიხი, როდესაც მამა მოუკვდა, დარჩა მხოლოდ დედის სინაზარას, რომელსაც ძალიან მცირედი საშუალება ჰქონდა ქმრიდან დატოვებული; ამ საშუალებით იმას უნდა გამოეზარდა სამი მცირე წლოვანი ყმაწვილი; შვილების ზრდაში მას ეხმარებოდა ერთგული და თავდადებული გამდელი ბაბელი. მალე დაიხოცნენ დანარჩენნი შვილები, დარჩა დედის და გამდლის ნუგეშად მხოლოდ ჰეინრიხი. დედას და გამდელს განუსაზღვრელად უყვარდათ პატარა ჰეინრიხი. სიყრმეში იგი სუსტსა და ავათმყოფს ყმაწვილსა ჰგვანდა, შემდეგ მალე დაეტყო, რომ ის დიდი ნიჭის და მხურვალე და კეთილი გულის პატრონი იქნებოდა; გული მისი ფრიად მგრძნობიერი იყო. ყოველი შთაბეჭდილება რაკი მოხვდებოდა მის სულსა და გულს, ღრმად ჩაენერგებოდა და აძლევდა მის ოცნებურს წარმოდგენას ახალ-ახალს საზრდოსა. უნდა ვსთქვათ, რომ პესტალოცი საზოგადოთ, უგრძნობლად და გულ-გრილად ეკიდებოდა ყველაფერს, რაც მის გულს არ

ექიდებოდა და რასაც ცხოველი კავშირი არა ჰქონდა მის მიდრეკილებასთან და საყვარელ საგნებთან.

Თავის მოქმედებაში და ლტოლვილებაში ყმაწვილი მხოლოდ გულის მოთხოვნილებას ემორჩილებოდა და ამიტომ ხშირად დიდი შეცთომები მოსდიოდა, თუმცა ამ შეცთომებს ისევ მალე ივიწყებდა.

Ამ ნაირად ქალების ნაზმა აღზრდამ ერთ-მხრივად განუვითარა და გაუძლიერა მხოლოდ ის ნიჭნი, რომელთაც განსაკუთრებითი ბეჭედი დაასვეს მის აზრების ხასიათსა.

Იგი თავის სიცოცხლეში იყო მორცხვი, მოუხერხებელი და მოუხეშავი; გული მისი სიკეთით იყო ალვსილი და ისე ადვილად ენდობოდა კაცს, რომ ყველას, ვისთანაც კი რამე საქმე ჰქონდა, შეეძლო მოეტყუებინა; კაცს ცუდს თვისებას მხოლოდ მაშინ შენიშნავდა, როცა იგი ძვირად დაუსვამდა ამ ნდობას.

Სხვა მიზეზის გამო, თუ სიღარიბის, რომელიც განუშორებლივ სდევნიდა, ყმაწვილი არაოდეს ყურადღებას არ აქცევდა თავის ტანისამოსის ავ-კარგიანობას და გემოზე ჩაცმას; გატაცებული მხოლოდ გონიერულის აზრებით, იგი ბევრს არას ჰფიქრობდა იმაზე, სუფთად და გემოზე არის ჩაცმული, თუ არა, დავარცხნილი აქვს თმა, თუ დაუვარცხნელი; ხშირად ნახავდა კაცი, რომ მას ხელები მელნით ჰქონდა გასვრილი, ტანისამოსზე და ფეხ-საცმელზე კიდევ ლაქები, მაგრამ ყველას ამას ის ყურადღებას არ აქცევდა; ამნაირი იყო ის მთელს თავის სიცოცხლეში.

Როცა სწავლას ათავებდა, პატარა პესტალოცი დროს გასატარებლად მიდიოდა თავის პაპასთან, სოფლის მღვდელთან, რომელიც სცხოვრებდა სოფელ გენგში. Ეს სოფელი ერთი საა-

თის მანძილზე იყო ცურიხიდან. ღვთის მოყვარე პაპის მოქმედება და ცხოვრება ისე მოეწონა ჩვენს პატარა პესტალოცს, რომ მან განიზრახა მომავალში მღვდლად კურთხებულიყო; აქვე იმას გულში ღრმად ჩაენერგა სიყვარული საწყალი სოფლელი ხალხისა და თანაგრძნობა მისი ჭეშმარიტის მოთხოვნილებისა.

პენგის და მახლობელ სოფლების მცხოვრებნი ფაბრიკებზე მუშაობდენ. ბნელსა და ნოტიო ფაბრიკებში სხვათაშორის მუშაობდენ სულით და ხორცით სუსტნი საწყალნი, ფერ-მიხდილნი, უზომო მუშაობისაგან და შიმშილისაგან მიხრწნილნი ყმაწვილებიც.

სწორეთ აქ, როცა პესტალოცი მოიზარდა და ჭკუაში ჩავარდა, მიხვდა იმ აზრს, რომ ფაბრიკები, რომელნიც მხოლოდ თავის პირად სარგებლობას მისდევენ და სხვას არაფერს, არიან ბუდენი ხალხის ზნეობის დაცემისა. ამ გვარი შთაბეჭდილებანი ღარიბი და ტანჯული ხალხის ცხოვრებიდან, პესტალოცის გულს ძლიერ ექიდებოდენ და სამუდამოთ რჩებოდნენ მის სულისა და გულის კუთვნილებად; ამ შთაბეჭდილებათა წყალობით განისაზღვრა პესტალოცის მომავალი ფილანტროპიულ-პედაგოგიური მოქმედება.

ცურიხის გიმნაზიაში პესტალოცი საუკეთესო მოსწავლე იყო; განსაკუთრებითს წარმატებას იჩენდა ძველის ენების სწავლაში. ნიჭიერ გიმნაზიელის მიერ გადათარგმნილი პოლიტიკური სიტყვა დემოსთენისა დაბეჭდილი იქმნა. წიგნის კითხვა პესტალოცის ბუნებრივი მოთხოვნილება იყო. თექვსმეტი წლისა იყო პესტალოცი, როცა საფრანგეთში დაიბეჭდა რუსოს „ემილი, ანუ აღზრდა.“ ამ წიგნმა დიდი შთაბეჭდილება და გავლენა მოახდინა

ჭაბუკს ჰეინრიხზე. ამ წიგნიდან იმან ამოიკითხა ბევრი რამ იმისთანა, რაც მის გულის პასუხს ეხებოდა და ბევრი აზრი ამ წიგნიდან გახდა შემდეგში მის მოწამებრივის ცხოვრების გზის მაჩვენებელი . . . . პესტალოცმა პირველად გარდასწყვიტა [illegible] მქადაგებელის ასპარეზი. ამ მიზნით ის შევიდა ცურიხის უმაღლესს სასწავლებელში—Humanitats—Collegium. ებრაული ენა, საეკლესიო ისტორია და თეოლოგია გახდნენ მის საყვარელ საგნებად. მაგრამ ამბიონი მისი მოქმედების ასპარეზად არ გამოდგა: ქადაგების დროს იგი ხშირად ბორძიკობდა, შეკრთებოდა ხოლმე და ერთხელ „მამაო ჩვენოშიც" კი შეცთომა მოუვიდა! მეორე ჯერ კიდევ შუა ქადაგებაში რაღაც მიზეზის გამო ისეთ-ნაირად გაიხარხარა, რომ ყველა მაყურებელნი გააოცა. ერთის სიტყვით იგი იყო საოცარი გატაცებული, ვულ მავიწყი კაცი; ამ დამარცხების შემდეგ, რომელსაც ის კარგად ხედავდა, აზრად მოუვიდა ვექილად გამხდარიყო. ახალგაზდა ვექილი ბლუნჩლი გახდა მის დაახლოვებულ ხელ მძღვანელად და მეგობრად; ის ხშირად უკვეცავდა ფრთებს პესტალოცის ოცნებურ აღმაფრენას და მის დიდებულს განზრახვებსა. უდროვოდ გარდაცვლილი ბლუნჩლი არიგებდა პესტალოცს ამ გვარად: „პესტალოცო! ნუ ჰკიდებ ხელს იმისთანა ასპარეზს, რომელიც შენთვის, შეიძლება, საშიშარი და დიდათ მავნებელი შეიქნეს; შენ კეთილი გულისა და ადვილად მისანდობი კაცი ხარ; უფროთხილდი, არ დაგღუპონ ამ თვისებათა. მოძებნე შენ მშვიდი ასპარეზი და ისარგებლე იმისთანა ჭკვიან და კეთილ სინიდისიან კაცის რჩევით, რომელსაც დამჯდარის ჭკუით და გამოცდილებით შეუსწავლია ხალხის ხასიათი და მისი მოქმედება; არ მოჰკიდო ხელი დიდს საქმეს!" მეგობრის დაკარგვამ ისეთი ზედმოქმედება იქონია პესტალოცზე, რომ იგი ჯავრით მძიმე ავათ,

მყოფი შეიქმნა; მაგრამ სიჭაბუკემ და წამალმა იხსნა ის სიკვდილისაგან. მორჩა თუ არა ავათმყოფობას, პესტალოცციმ გამოიცვალა აზრი შესახებ თავის მოქმედების ასპარეზისა; ამან სამუდამოდ მიატოვა მეცნიერება და მოეკიდა ახლა შინაურ სოფლურ საქმეს: ხვნა-თესვას, ვაჭრობას და სხ. . . ამ დროს იმას შეუყვარდა ერთი მდიდარი ვაჭრის ქალი, სახელად ანნა, რომელმაც თანაგრძნობითვე უპასუხა სიყვარულზე და რომელსაც დაუფარავად აღუწერა ყველა თავისი ღირსება და ნაკლულევანება. აი რასა სწერს იგი თავის სატრფოს: ,,ჩემი მოვალეობანი მეუღლისადმი უნდა დავუმორჩილო ჩემს სამშობლოს მოვალეობათა; მე ვიქმნები ფრიად მოსიყვარულე მეუღლე, ხოლო თუ ჩემმა ცოლმა დამიშალა ჩემი სამშობლოისადმი მოვალეობის აღსრულება, მე არ შევიბრალებ მას და გულ-ცივად დავხედები მის ცრემლთა დენას. ცოლი იქნება ჩემი გულის პასუხების მესაიდუმლე და თანამოზიარე საიდუმლო განზრახულებათა. გულ-წრფელობას და სიმართლეს ექმნებათ მეფობა ჩემს ოჯახში ერთი კიდევ: ჩემი ცხოვრება წავა საშიშარის და დიდებულის ნაბიჯით. მე არავისი არ შემეშინდება და არაოდეს გავჩუვდები თუ კი დავინახამ, რომ ჩემის სამშობლოს სარგებლობა ამას მოითხოვს. მთელი ჩემი არსება ეკუთვნის ჩემს სამშობლოს, მე მზადა ვარ ყოველნაირი მსხვერპლი შევსწირო მას, თუ კი ეს მსხვერპლი შეამცირებს მის სიღარიბეს და გაჭირვებას. ახლა დარდასწყვიტე, შეგიძლიან გახდე მეუღლედ ამისთანა ნაკლულევანებით სავსე კაცისა და იქნები თუ არა ბედნიერი მასთან? მე ვშიშობ, ვაი თუ დაგკარგო, ჩემო ძვირფასო, როცა მიცნობ იმ კაცად, რაცა ვარ. მე ხანდისხან მიფიქრია, არ გამომეცხადებინა შენთვის რომელიმე ჩემი ნაკლი, მაგრამ მე დავძლიე ჩემს თავს. სინიდისი ჩემი სხვას ღაღადებდა: იგი მეუბნებოდა, რომ მე ვიქნე-

გოდი მხოლოდ შეურაცხმყოფელი შენი და არა მეუღლე, თუ კი რომელსამე ცუდს ხისიათს ანუ გარემოებას დაგიფარავდი და ამით შენ, ჩემს სატრფოს, გაგაუბედურებდი და დაგირღვევდი მშვიდობიანს ცხოვრებას. ახლა სინიდისი ჩემი წმინდაა და მე მახარებს ამ მგვარი ჩემი საქციელი." ქალმა სრული თანხმობა გამოუცხადა; ის, რასაკვირველია, ვერ წარმოიდგენდა, რა ძნელი ცხოვრება ექნებოდა ამ გვარ დაუდევარს, მაგრამ კეთილშობილს და ოცნებით გატაცებულ კაცთან. პესტალოცს ჰსურდა ბედნიერად ეცხოვრა ცოლ-შვილით სოფელში. ამ მიზეზით იმან ამოირჩია საცხოვრებლად საუცხოვო ადგილი კანტონ არგაუში, გააშენა აქ მშვენიერი აგარაკი, რომელსაც დაარქვა ნეიჰოფი, და შემდეგ, 1769 წელს, ცოლიც შეირთო. პირველ წელიწადს საქმე კარგად წავიდა, მაგრამ მეორე წელიწადს საშინელი შიმშილობა ჩამოვარდა იმ ქვეყანაში. ახალგაზდა პესტალოცმა არ იცოდა რიგიანად არც ფულის მოხმარება, არც მამულისა, ამიტომ შინაური საქმეები აერივ-დაერივა და ოჯახს ვერ გაუძლვა. მთელი წლები ისე გადიოდა, რომ პესტალოცი ხელს არ ჰკიდებდა წიგნებს, ის ივიწყებდა თავის შევიწროებულ მდგომარეობას, დაჰყავდა თავისი პატარა შვილი იაკობი მინდვრებსა და ტყეებში და ბუნების ქებაში ატარებდა დროს. ბედზე, ბაზელში პესტალოცი შეხვდა თავის მამის მეგობარს, ისაკ იზელინს, რომელმაც მოუწონა პესტალოცს მისი ახალი განზრახულება, ე. ი.—იმისთანა სასწავლებლის დაარსება, სადაც სწავლას მიიღებდნენ მხოლოდ ღარიბის შვილები, განსაკუთრებით მუშა ხალხისა. პესტალოცი დარწმუნებული იყო, რომ სიღატაკე არ მოისპობა იმ ზომით, რომლითაც სხვანი ჰფიქრობდენ, ე. ი. მოწყალების მიცემით. ის დაჯერებული იყო, რომ ამ ნაირის საშუალებით ბოროტება უფრო იმატებს, და

ფესვებს ღრმად გაიდგამს, რომ ერთად-ერთი საშუალება სიღატაკის შემცირებისა არის განვითარება და გაძლიერება ადამიანის იმ თანა დაყოლილ ნიჭთა, რომლების შემწეობით თითონ ადამიანი იკმაყოფილებს თავის გონიერულს მოთხოვნილებათა; ამასთანავე ადამიანს აღზრდის შემწეობით უნდა გაეღვიძოს ფიზიკური, ზნეობითი და გონებითი ნიჭი. იმას ვერ აეტანა ის აზრი, რომ მდიდრები ცდილობდენ, უცოდინარი ხალხი დაემდაბლებინათ უკანასკნელ ხარისხამდე, ზრუნავდენ მხოლოდ მათს პირუტყვულს მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე და სრულიად ყურადღებას არ აქცევდენ იმას, რომ საწყალნი მათი მოძმენი გულით და სულითაც განსპეტაკებულიყვნენ, რომ მათში გაღვიძებულიყო ადამიანური აზრები და გრძნობანი, რომ მათაც თავიანთ თავი ადამიანებად ეცნოთ და შესძლებოდათ საკუთარის ცოდნით და შრომით, მდიდრების დაუხმარებლივ, მოეპოვათ ლუკმა პური.

ამ ნაირად პესტალოცმა განიზრახა მიეცა ბინა თავის სახლში უბინაო და უპატრონო ყმაწვილებისათვის; იმას უნდოდა ეს პატარა ყმაწვილები, რომელნიც პირუტყვებს უფრო ჰგვანდნენ, ვიდრე ადამიანებს, გამოეყვანა პირუტყვულის მდგომარეობიდან და დაეყენებია სწორე ადამიანურს გზაზე.

ადამიანის ნიჭთა განვითაებით პესტალოცს უნდოდა აღედგინა ძველი ოჯახური ბედნიერება.—

ხვნა-თესვა, შინაური საქმე და ვაჭრობა, აი ესენი იყვნენ პესტალოცის აზრით ერთად-ერთნი საშუალებანი, რითაც შეიძლებოდა სოფლის ხალხს ეცხოვრა ადამიანურის ცხოვრებით. ამ სარგებლობის გარდა პესტალოცი ჰხედავდა სხვას, უფრო კიდევ ძვირფასს სარგებლობას: იმას ჰსურდა ისეთი გონიერული

ზედ-მოქმედება ეხმარა მის მიერ შვილად აყვანილ ყრმებზედ, რომ განენათლებინა მათი გონება და გაესპეტაკებინა მათი გული, ერთის სიტყვით გაეღვიძებინა მათში კაცობრიული შინაგანი ღირსებანი. შკოლა და მუშაობა იყვნენ ერთად-ერთნი საშუალებანი ამ გვარად მათი აღზრდისა. საუბედუროთ თვითონ პესტალოცს აკლდა შესაფერი სიდინჯე, გონიერული შეხედულობა და ნათლად წარმოდგენა იმ სხვა-და-სხვა მრავალ გვარ გარემოებათა და დაბრკოლებათა, რომელნიც მას მოელოდნენ ამ საქმეში. ამას გარდა პესტალოცს არა ჰყვანდნენ რიგიანი თანამშრომელნი, რომელთაც შეგნებულნი ჰქონოდათ მიზანი მისი მიმართულებისა. პესტალოცმა გამოაცხადა საქვეყნოდ ვრცელი პლანი სასწავლებლისა, რომელსაც აარსებდა ის ღარიბთათვის; ამ პლანმა საზოგადოთ დიდი ყურადღება მიიქცია და ყველასაგან მოწონებულ იქმნა.

მალე გამოჩნდნენ იმისთანა მოწყალე პირნი, რომელთაც აღუთქვეს პესტალოცს ფულით დახმარება. ბევრმა განაცხადა სურვილი, რომ იგი კისრულობს თავის ხარჯით გაზარდოს ნეიჰოფის სასწავლებელში რამოდენიმე ღარიბის შვილი. 1775 წელს ეს შკოლა გაიხსნა. მის არსებობის საშუალებას შეადგენდნენ: ზაფხულში-შინაური საქმე და ხვნა-თესვა, ზამთარში დართვა, ქსოვა და სხ. ხელობა. ამავე დროს, რასაკვირველია, სწავლაც რიგზე სწარმოებდა.

საუბედუროთ პესტალოცს ცუდად მიჰყავდა შინაურული ვაჭრული საქმე; ხშირად ანგარიშში შეცთომები მოსდიოდა, ასე რომ შემოსავალი ვერ ჰფარავდა ხარჯს. მოსწავლეების მშობლებმა ასტეხეს ერთი ვაი-ვაგლახი; მათს ჩივილს, საყვედურს და ბრალის დებას საზღვარი არა ჰქონდა.

უმაწვილების ნამუშავარმა ცილობა ვერ გაუწია ფაბრიკებსა და ქარხანებში მომზადებულს ნამუშავარს, და მარტო შემოწირული ფულით შკოლის არსებობა შორს ვერ წავიდოდა. პესტალოცის მდგომარეობა ამ დროს უკიდურესი იყო. ხშირად იგი თვითონ იკვებებოდა დამპალის კარტოფილით და სალს კარტოფილს მოსწავლეებს აჭმევდა, რომ იგინი არ შეწუხებულიყვნენ და არ მიეტოვებინათ სასწავლებელი იგი თვითონ ცხოვრობდა მთხოვარსავით, რომ მთხოვრებისათვის ესწავლებინა ადამიანურად ცხოვრება! ამის მიუხედველად ნეიჰოფის სასწავლებელი ხუთი წლის არსებობის შემდეგ სამუდამოთ დაიხურა და პესტალოცის დაღუპვა აუცდენელი გახდა. ცოლმა დიდხანს თავგანწირულად ითმინა ამ გვარი გაჭირვება და სისაწყლე, მაგრამ ბოლოს ველარ აიტანა და ავათ გახდა. ახლა კი ყველამ ცუდის თვალით დაუწყო ცქერა ნეიჰოფის პედაგოგს: ყველას ეგონა, რომ იგი მოუაზრებელი, თავქარიანი, სულელი და ოცნების მოყვარე კაციაო. პესტალოცი იმდენად თავმოყვარე და ამპარტავანი გულის პატრონი იყო, რომ ყური არ ათხოვა ამ გვარ ლაქ-ლაქა გამკიცხავთა, რომელნიც საქმეს სულ არ უკვირდებოდნენ და ხედავდნენ მხოლოდ მის გარეგანს სახეს; მაგრამ იყო იმისთანა წამებიც, როცა თვითონ პესტალოციც ეცემოდა სულით და სასოწარკვეთილებას ეძლეოდა. ამ დროს მხოლოდ ერთად-ერთმა კეთილშობილმა კაცმა, მის მამის მეგობარმა-იზელინმა გაუწოდა საშველად ხელი; როცა ის-ის იყო პესტალოცი ეძლეოდა სრულს სასოწარკვეთილებას, იზელინმა ხელ-მეორედ გაუღვიძა ამ საცარ კაცს სიმამაცე, ვაჟკაცობა და ამ გვარად გამარჯვებული გამოიყვანა ის ამ უბედურებიდან.

პესტალოცმა განაგრძო ხალხის სიღარიბისა და მის წყაროს

შესწავლა. ,,მე ვიტანჯებოდი ისე, სწერდა ის, როგორც იტანჯებოდა თვითონ ხალხი, და ხალხი მეჩვენა მე იმ სახით, რა სახითაც იგი არსებობდა და რა სახითაც იგი სხვას არ ეჩვენებოდა. მრავალი წელი ისე გავატარე ხალხში, როგორც ბუ ატარებს ფრინველთა შორის.

თუმცა ყველანი ვესლიანად დამცინოდენ და მდევნიდნენ, თუმცა ცხადად ვკითხულობდი მათს სახეზედ ჩემზედ მომართულ სიტყვებს: ,,უბადრუკო! შენ,ვის ვერ მოგიპოვებია დღიური ლუკმა პური და ოცნებობ ხალხი დაიხსნა სისაწყლისა და უბედურებისაგან!" თუმცა ამ გვარ შხამიან დაცინებას ვკითხულობდი ყველას სახეზე, მაგრამ ჩემი აღშფოთებული გული არ მშვიდდებოდა და მიისწრაფებოდა იმ მიზნისაკენ, რომ მომესპო წყარო სისაწყლისა, რომლითაც ასე უწყალოდ იჩაგრებოდა ხალხი. ,,რაშიაც არავინ ტყუვდებოდა, ის მე ყოველთვის მატყუებდა, ხოლო რაშიაც ყველა მოტყუებული იყო, იმაში მე არ ვიყავი მოტყუებული".

პესტალოცმა ხელ-ახლად მოიკრიფა უწინდელი ვაჟკაცური ძალა და გადასწყვიტა არ შეუშინდეს არავითარ დაბრკოლებას. თავისი ოცნებური პლანები პესტალოცმა წარმოსთქვა ბეჭდით ,,განდეგილის სამწუხრო ლოცვა"-ში, რომელიც გამოსცა იზელინმა 1780 წელსა. მეგობრები ხშირად ურჩევდენ პესტალოცს მწერლობისათვის მოეკიდა ხელი, თუმცა ისე გადაეჩვია წერას, რომ სულ უბრალო გრამმატიკული შეცთომები მოსდიოდა ხოლმე წერის დროს. ,,თუ ერთხელ მაინც მივიღებ შენგან ისეთს სტრიქონს, რომელშიაც შეცთომა არ იქნება, სწერდა პესტალოცს მისი მეგობარი ლაფატერი, მაშინ მე დავრწმუნდები, რომ შენ კიდევ ბევრი, ძრიელ ბევრი რამ კარგის და სასარგებლო საქ-

მისათვის გამოსადეგი კაცი ხარ“ ,,საქმე თავია, თავი,“ უპასუხა გულდამწვარმა პესტალოციმ, ,,თორემ ფერ-უმარილო ყოველს მეწვრიმალესთან იშოვება.“!

დაბრუნდა თუ არა ნეიჰოფში, მაშინათვე მოჰკიდა ხელი მირმონტელის კითხვას, ცდილობდა თავის ნაწერებში წაებაძნა მისთვის, მაგრამ ამ ნაწერების კმაყოფილი არ იყო. აგერ მის გონებას წარმოუდგა ისტორია შვეიცარიის ერთი სოფლისა. ეს ისტორია იმან განაცხოველა თავისი სიყვარულით ხალხის სიკეთისადმი, შემოსა იგი მარტივის ტანისამოსით და გულწრფელობით. რამოდენიმე კვირის შემდეგ ჩვენ ვხედავთ მთელს მოთხრობას. ავტორმა თვითონ არ იცის როგორ მოუხდა ეს, მაგრამ ჰგრძნობს კი, რომ მარჯვეთაა საქმე. ცურიხში მეგობრები ურჩევდნენ პესტალოცს გადაეკეთებინა ეს მოთხრობა, გაემშვენიერებინა იგი მაღალ-კილოიან სიტყვებით, მაგრამ თვითონ პესტალოცს ეცოდებოდა გადასხვაფერება და გადაკეთება იმ თხუზულებისა, რომელიც ასე მარტივად და ყველასათვის გასაგების ენით იყო გამოხატული.

პესტალოცი გაემგზავრა ბაზელისაკენ იზელინთან; ამ გულშემატკივარმა მეგობარმა ძალიან მოუწონა ეს მოთხრობა: ურჩია შეუცვლელად დაებეჭდა; ამასთანავე განუცხადა სურვილი, რომ ის მზათაა თავის ხარჯით გამოსცეს ეს მოთხრობა. ეს შესანიშნავი სახალხო წიგნი იყო—,,ლინჰარდტი და გერტრუდა.“

ამ წიგნს დიდის აღტაცებით შეეგება როგორც შვეიცარიის, ისე გერმანიის მწერლობა. ყველა დრო-გამოშვებითმა გამოცემამ აქო და ადიდა ეს მოთხრობა. მალე ეს წიგნი გახდა ყოველი ოჯახის საყვარელ წიგნად ყველა სოფლებსა და ქალაქებში. წიგნის ვაჭრები აძლევდნენ ავტორს თვითეულ ფურცელში

თითო ლუიდორს, ოღონდ მას მიეცა ნება ამ წიგნის გამოცემისა. ქალაქ ბერნის „საზოგადო სარგებლობის ამხანაგობამ“ გამოუგზავნა პესტალოცს სამადლობო ადრესი და დიდი ოქროს მენდალი. ის პირნი, რომელნიც აქამდის პესტალოცს დასცინოდენ და თავ-ქარიანს ეძახოდნენ, შერცხვენილნი აღიარებდენ, რომ სცდებოდნენ და ვერ იცნეს ეს საოცარი კაცი; ცდილობდენ უწინდელი თავიანთი შეცთომა რითიმე გამოესყიდათ. გრაფმა ცინცენდორფმა, რომელიც ძალიან დაახლოვებული პირი იყო იმპერატორ იოსებ მეორესთან, წაიკითხა რა „ლინჰარდტი და გერტრუდა,“ საკუთარის ხელით დაწერილ ბარათით მოიწვია პესტალოცი ვენაში; მაგრამ პესტალოცი არ დათანხმდა: ის ასე ადვილად ვერ გამოეთხოვებოდა თავის ოჯახობას და საყვარელ ნეიჰოფს, სადაც ამდენი ტანჯვა, გაჭირვება და ვაი — ვაგლახი გამოიარა.

დედა აზრი ამ მოთხრობისა, რომელსაც ალტაცებით კითხულობდა დიდი და პატარა, განათლებული და ვაუნათლებელი, მდგომარეობდა იმაში, რომ ერთად-ერთი საშუალება ზნეობის დაცემის და სისაწყლის მოსასპობად არის განახლება ოჯახური აღზრდისა; მაგრამ ავტორის აზრს ყველა ვერ მიხვდა; ამიტომ იმან სცადა იგივე აზრი გაეგებინებინა ხალხისათვის მეორე მოთხრობით „ქრისტოფი და ელზათი,“ მაგრამ ამ წიგნმა არაფერი გავლენა იქონია მკითხველებზე: ის თითქმის სრულიად არ გაიყიდა, 1782 წელს პესტალოცმა დაიწყო გაზეთი „შვეიცარიის ფურცლის“ გამოცემა, სადაც ჰბეჭდავდა პატარ-პატარა მოთხრობებს სოფლელების ცხოვრებიდან.

ამ დროს ნეიჰოფში შინაური საქმეები ისევ ისე ცუდად მიდიოდა, როგორც წინათ. რადგანაც მისი თხზულების გამომ-

ცემელნი მარტო თავიანთ ჯიბისათვისა ზრუნავდნენ, ამიტომ პესტალოცს მისი ნაწერები მაგდენად არ აჯილდოვებდნენ.

იმან ხელ მეორედ მიატოვა მწერლობა და ახლა მხატვრობას მოჰკიდა ხელი; მაგრამ მის მიერ დახატული სურათები (რიცხვით 240) გამოიცა მხოლოდ 1795 წელსა მის თვალსაჩინო ანბანთან ერთად. რადგან ცხოვრების საშუალება აღარა ჰქონდა, იმას ეს-ღა დარჩა ნუგეშად, რომ მისცემოდა ოცნებობას—სასწავლებელზე და ხალხის აღზრდის გაუმჯობესობაზე და ეს ოცნებანი გამოეთქვა წერით. ამ გარემოებამ ისევ მოაკიდებინა ხელი კალამს; იმან დაწერა გაგრძობა „ლინჰარდტი და გერტრუდა"-სი, მაგრამ ეს გაგრძობა სიმარტივით და ხელოვნებით ბევრად ჩამოუვარდებოდა დასაწყისს.

რას უწუნებდა პესტალოცი თანამედროვე აღზრდას?

აღზრდის დროს საზოგადოების დიდს უმრავლესობას თითქმის ავიწყდებოდა ის გარემოება, რომ თვითონ ადამიანს და მის ბუნების განვითარებას უნდა მიექცეს უპირველესი ყურადღება. წიგნები და სასწავლებლები ითვლებოდნენ იმ დროს ერთად-ერთ ღონისძიებად ადამიანის აღზრდისა და განათლებისათვის; არავითარი ყურადღება არ იყო მიქცეული ოჯახისა და საზოგადოების ერთმანეთთან დამოკიდებულებაზე, რომლის წყალობით ადამიანი იძენს ხასიათებს, მცნებას და ჭეშმარიტს ცხოვრების მოთხოვნილებათა. ამ დროს გერმანიის ქალაქები და სოფლები სავსე იყო სხვა და სხვა „ახალ—მოდურის" საყმაწვილო წიგნებითა და სასწავლებლებითა, რომელნიც დაფუძნებული იყვნენ რუსოს უკიდურესს დედა—აზრებზე. ზოგიერთნი ამ გვარი სასწავლებლები უნერგავდნენ ყმაწვილებს მხოლოდ მედიდურებას, ზოგნი კიდევ ცდილობდნენ ძველებური

ფრანგული წესი აღზრდისა სრულიად გადაეკეთებინათ ან სრულიად მოესპოთ: პოეტურის ნაწარმოების კითხვა გულის განათლებისათვის სრულიად უსარგებლო საქმედ ჩასთვალეს, ასე რომ თვით სართავის მომგონი ღირსებით პოეტზე მაღლა დააყენეს.

რუსოს აზრებმა ერთ მხრივად გაიტაცა საზოგადოების ყურადღება; გენიოსი პესტალოცი არ აჰყვა ხალხის ფეხის ხმას: ამას თავისი საკუთარი შეხედულება ჰქონდა აღზრდის წესზე. ეს ახალი აღზრდის უმჯობესი წესი მწიფდებოდა მის გონებაში; უცდიდა მხოლოდ მარჯვე დროს და გარემოებას, რომ სიკეთე ამ წესისა ცხოვრებაში განეხორციელებინა.

1798 წელს იმან კიდევ გამოსცა ღვაწლი სამის წლის შრომისა: ,,ჩემი დაკვირვებანი შესახებ იმისა, თუ როგორ მოქმედობს ბუნება ადამიანის აღზრდაზე.'' ეს თხუზულება პესტალოცმა დასწერა წიგნების დაუხმარებლივ, ამიტომ ეს თხზულებაც ისეთი მიმზიდველი და სასიამოვნო საკითხავი იყო, როგორც ,,ლინჰარდტი და გერტრუდა.'' აქ პესტალოცი ცდილობდა შეეთანხმებინა აღზრდის სიმარტივე და ბუნებრიობა ზნეობის ცნებასა და სამოქალაქო უფლებასთან, რასაც რუსო უარჰყოფდა; იგი ცდილობდა მიეცა ახალ მოზარდის აღზრდისათვის შესაფერი მნიშვნელობა ხალხისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში. რუსოს ,,ემილი'' კი თავდაპირველად იყო გამოწყვეტილი და შემდეგ მტრულად დაყენებული საზოგადო ცხოვრების პირობებთან; მის აღმზრდელს მთელი ევროპიის ცივილიზაცია მიაჩნდა ბოროტებად და კაცობრიობის ბუნების დამახინჯებად.

ბოლოს, 1798 წელს, ბედმა დააყენა პესტალოცი პრაქტი-

ქულ სამოქმედო გზაზე . . . საფრანგეთის რევოლიუციის წყალობით შვეიცარია გახდა ერთ განუყოფელ სახელმწიფოდ და ამ სახელმწიფოს შუაგულად არჩეულ იქმნა დროებით პატარა ქალაქი არჰაუ, რომელიც მდებარეობდა ნეიჰოფის მახლობლად.

,,მე მინდა მასწავლებლობა ვიტვირთო,‘‘ უთხრა ერთხელ პესტალოცმა თავის მეგობრებს, რომელთ შორის იყვნენ მრავალნი განათლებულნი და გავლენიანნი პირნი, მაგალ. კეთილშობილი ლეგრანდი. საფრანგეთის რევოლიუციის შემდეგ შვეიცარიაში აღმოჩნდა მრავალი დაობლებული და უპატრონო ყმაწვილი, მეტადრე აკლებულს უნტერვალდენში. აი აქ მიეცა ფართო მოედან პესტალოცის გმირულს გულსა; თვითონ მართებლობა იწვევდა იმას სამოქმედო ასპარეზზე და ჰპირდებოდა დახმარებას. მართებლობამ დაუთმო მას სტანციაში მონასტრის ახალი სახლი, რომელიც განმარტოვებული იდგა ნანგრევთა შორის. ამ ნანგრევებში დაწიოკებული დედაკაცები და მათი ბავშები ცდილობდენ ეპოვნათ რამე უწინდელის დაკარგულის ქონებიდან. აი აქ უნდა გამართულიყო სასწავლებელი ღარიბ მოსწავლეთათვის; მაგრამ მათი მშობლები ცუდის შეხედულებით დახედნენ მასწავლებელს: ისინი ამ უკანასკნელს უყურებდნენ როგორც მწვალებელს, რომელიც წასწყმენდავდა ბავშების სულსა და არასფერს სიკეთეს არ მოუტანდა მათ: პესტალოცი რეფორმატი იყო. მის ინსტიტუტში შემოსული მოსწავლენი საცოდავს სურათს წარმოადგენდნენ: ზოგი მათგანი მუნიანი იყო, ზოგს მუწუკებითა ჰქონდა თავი და ტანი დაფარული, ზოგი კიდევ შიმშილისაგან და სიტიტვლისაგინ იყო საცოდავად მიხრწნილი; ერთის სიტყვით ისინი რაღაც ცოცხალს ჩონჩხებს მოაგონებდნენ კაცს; ზნეობა ხომ მათთვის არ არსებობდა: ისინი მოაგონებდნენ ადამიანს ცრუ, გარყვნილ და სულით

დაცემულ მათხოვრების გროვას; სწორეთ მშიერ, მტაცებელ მხეცებსა ჰგვანდნენ. ხნოვანობა მათი სხვა-და-სხვა ნაირი იყო: ზოგი ერთობ დიდი, ზოგი პატარა და ეს გარემოება საშინლად აძნელებდა მათის აღზრდის საქმეს; ერთი და იგივე ზომა ყველაზედ ერთნაირად არ მოქმედობდა.

მათი სწავლება და წურთვნა მარტო პესტალოცს დაატყდა თავზე: ერთსა და იმავე დროს იგი იყო სასწავლებლის უფროსიც, ხაზინადარიც, ბატონიც და მოსამსახურეც. ყოველ ნაირი დახმარება გაჭირვების დროს, ყოველნაირი დარიგება, ყოველნაირი გამამხნევებელი ანუ გამკიცხავი სიტყვა პირ-და-პირ ითქმოდა პესტალოცის გულის სიღრმიდან. მისი ხელი, როგორც თვითონ მოგვითხრობს, არ შორდებოდა მათს ხელს; მისი თვალები უცქეროდნენ მხოლოდ მათს თვალებს; მისი ცრემლები უერთდებოდა მათ ცრემლებს; ის მხიარულებდა, როცა ისინი მხიარულებდნენ; მათი სასმელ—საჭმელი იყო აგრეთვე მისი სასმელ—საჭმელი; ისინი არ სცილდებოდნენ მას და არც იგი სცილდებოდა მათ. თუ ისინი კარგათ იყვნენ და არ ავათმყოფობდენ, მაშინ ისიც მათ შორის გამხნევებული იყო; როცა ისინი ავათ იყვნენ, იგი არშორდებოდა მათს საწოლს. ცოლშვილი პესტალოცისა იმყოფებოდა ნეიჰოფში და სასწავლებელში მარტოდ—მარტო ის იყო ყურის მგდებელი; მოსწავლეების წვირიანი ტანისამოსის მრეცხავი და მათი ტანის დამბანელი მის მეტი არავინ იყო. ცუდმა ტაროსმა და ნოტიო მონასტრის კედლებმა ცუდად იმოქმედეს ყმაწვილების ჯანმრთელობაზე, ბევრი მათგანი ავათ გახდა; საუბედუროთ იმ დროს ახლო-მახლო სოფლებში შავი სახადიც გაჩნდა, მაგრამ არც ერთი ყმაწვილი არ მომკვდარა, პირ იქით გაზაფხულისაკენ ყველა კარგად შეიქნა და თურაშაულ ვაშლივით ყველას უქლი-

ქონდა ლოყები. ყმაწვილების მშობლები, რომელნიც მათხოვრობით ირჩენდნენ თავსა, ცდილობდნენ ყოველის ღონისძიებით როგორმე გამოეყვანათ თავიანთი შვილები პესტალოცის სასწავლებლიდგან და მიეჩვიათ ისინი მათხოვრობას, რომ ამით ყმაწვილებს თავიანთი თავიც ერჩინათ და მშობლებისაც. ისე კვირა არ გაივლიდა, რომ ორ—სამს არ მოეტყუებინა თავისი შვილი და არ გაეპარებინა სასწავლებლიდგან. რასაკვირველია პესტალოცს დიდი დრო და შრომა დასჭირდა, სანამდის მშობლები მიხვდებოდნენ მის განზრახულებას და მადლობით და ლოცვა—კურთხევით მოიხსენიებდნენ მის სახელს. სასწავლებელი თან-და-თან იზდებოდა და უმჯობესდებოდა; 1799 წლის გაზაფხულზე სასწავლებელში ოთხმოცამდის მოსწავლე ითვლებოდა. როდესაც ამ კანტონის ერთი სოფელი ცეცხლმა გაანადგურა, პესტალოცის მოსწავლეებმა თავისით ისურვეს მიეღოთ ოცამდის თავიანთი უბედური ამხანაგი; იმათ სიტყვა მისცეს პესტალოცს, რომ მეტს დროს იმუშავებენ და თავიანთ მცირედს სასმელ-საჭმელს გაუყოფენ ამ უბედურთა, ოღონდ მან მიიღოს ისინი. ამ დროს თავდადებულის პესტალოცის სიხარული განუსაზღვრელი იყო: იმან ცხადათ დაინახა, რომ მისი მიზანი—განვითარება და გაკეთილშობილება ადამიანის ზნეობისა—უბრალო ოცნება არა ყოფილა!

პესტალოცი საოცარი ცხარე და ფიცხელი კაცი იყო, ამიტომ ხშირად სილაქსა და როზგს მიჰმართავდა ხოლმე, რომ გაესწორებინა მოსწავლეების მახინჯი ზნეობა და ხასიათი; მაგრამ ამ ნაირმა მისმა მოპყრობამ იოტის ოდენად არ შეამცირა სიყვარული მოსწავლეებისა მისდამი; პირ-იქით მათ აეიწყდებოდათ

მასწავლებლის სიფიცხე და ახსოვდათ მხოლოდ მისი სიკეთით აღვსილი გული და თავგანწირულება მათის სიკეთისათვის. პესტალოცს, რასაკვირველია, მიღებული ყმაწვილები უნდა აღეზარდნა კიდეცა და ამასთანავე გონებითაც განევითარებინა ისინი ე. ი. სწავლა დაეწყებინებია. ამ ძნელ საქმეს „მან თამამად მოჰკიდა ხელი და დაარსა სწავლების პირველი საფუძველნი იმ მარტივის და ბუნებრივის მეთოდისა, რომელსაც შემდეგ დაერქვა მისი სახელი. ეს წესი ანუ მეთოდა შემდეგ პესტალოცისა მიმბაძველთა წყალობით და მეცადინეობით განვითარდა, გაფართოვდა და გავრცელდა ყველა განათლებულ ქვეყნებში. სწავლება მიმდინარეობდა სიტყვიერად, თითქმის უწიგნოდ: გაკვეთილების შესწავლა მიდიოდა ცოცხლად, ზეპირად, ასე რომ სწავლაში ერთსა და იგივე დროს მთელი კლასი იღებდა მონაწილეობას. ყმაწვილებში მალე იღვიძებდა შეგნება მათის საკუთარის ძალღონისა, რასაც ისინი აქამდის ვერა ჰგრძნობდნენ.

აი რასა სწერს პესტალოცი იმის შესახებ, თუ როგორ ექცეოდა იგი მოსწავლეებს კლასში: „როცა ისინი ხმა-მაღლა მოჰყვებიან ქივილ-ხივილს ან ყვირილს, მე მივმართავ ხოლმე მათს საკუთარს გრძნობათ და შევნიშნავ, რომ ასე მათი სწავლება შეუძლებელია—და მაშინ ისეთი სიწყნარე ჩამოვარდება კლასში, რომ გესმის თვითეულის სუნთქვა. ხშირად ივინი მეხვევიან კისერზე, მკოცნიან და მამას მეძახიან; მაშინ მე ვკითხავ ხოლმე მათ: შვილებო? ნუ თუ თქვენ მამის წინაშეც ორგულობთ და ფარისევლობთ! თქვენ მე მკოცნით, მეხვევით და ზურგს უკან კი იმას სჩადიხართ, რაც მე არ მესიამოვნება.—

როცა იმ სოფელში შიმშილობა ჩამოვარდა, მე ვკითხამდი ხოლმე ყმაწვილებს: ნუ თუ ისინი არისურვებენ, რომ იმ ფულით, რითაც მე ვინახამ 30—40 ყმაწვილს და რითაც მეტის შენახვა შეიძლებოდა, არ შემენახა 70—80 ყმაწვილი? ხომ კარგი იქნებოდა ეს? ხანდისხან მე ვკითხამდი ხოლმე უკეთესს მოსწავლეთა, როცა ისინი გულში ჩამეხუტებოდნენ: გინდათ, იცხოვროთ ჩემსავით საწყლებსა და უბედურთა შორის, გაანათლოთ და კეთილ ადამიანებად აქციოთ ისინი? ოჰ! ღმერთო ჩემო! რანაირის კეთილშობილურის გრძნობით, რა ნაირის გულ ჩვილობით მიპასუხებდა თვითეული მათგანი: ღმერთმან ინებოს და მოგვცეს შეძლება, რომ ეგ შევიძლოთ! ყველაზე მეტად ამათ ის აზრი ანუგეშებდათ და ამაღლებდათ, რომ ყოველთვისინ არ იქმნებიან ამ გვარ სიღარიბეში და გაჭირვებაში, რომ მოვა დრო, როცა ისინიც განათლდებიან, მეცნიერებას და ხელოვნებას შეიძენენ და ამ გვარად სასარგებლო შვილები იქნებიან თავიანთის სამშობლოსი.“

საუბედუროთ ომმა კიდევ შეუშალა ხელი პესტალოცს: ცხრა თვის არსებობის შემდეგ ეს შკოლა ფრანგებმა გადააქციეს სალდათების საავათმყოფოდ; ამ გვარად პესტალოცის მოსწავლენი უნდა დაფანტულიყვნენ აქეთ-იქით; მათი აღმზრდელი და განუშორებელი მეგობარი, ნერვებ აშლილი, დაუძლურებული, მწუხარებით მოცული იძულებული იყო ივნისს 1799 წელს წასულიყო ლუცერნში. აი ამ დროს რასა სწერდა პესტალოცი თავის მდგომარეობაზე: „როდესაც ზღვაში მოხიარულე ადამიანმა გამოსცადა საზარელი ღელვა, და აგერ დაქანცული და ღონე მიხდილი ხედავს ხმელეთს, იმედი ეძლევა: ახლა კი გადავრჩები სიკვდილსაო, მაგრამ ამ დროს ხელმეორედ უცებ დაჰ-

ქროლავს სასტიკი ქარიშხალი და შესტყორცნის მას ისევ შუა-გულ უფრსკულში—მაშინ ის თავზარ—დაცემული ხთას ჯერ იტყვის: ღმერთო! რატომ აქამდისინ ბოლო არ მომიღეო? მაგრამ ის მაინც არ ვარდება უფსკრულში, სცდილობს კიდევ როგორმე მოძებნოს ზღვის კიდე და თავი გადირჩინოს. აი სწორეთ ამ მდგომარეობაში ვიყავი მე". ლუცერნიდან პესტა-ლოცი წავიდა ბერნში, სადაც ზოგიერთმა მეგობრებმა აი-თვალწუნეს და აგრძნობინეს, რომ იმას არა აქვს ნიჭი თავისი ოცნებანი განახორციელოს და დაწყებული საქმე დაამთავროს. ამ დროს მხოლოდ ერთმა მისმა მეგობარმა მიიღო იგი ავათ-მყოფი, გულდამწვარი და ტანჯული კაცი; ამ მეგობრის დახმა-რებით ის მალე მორჩა. განთავისუფლდა თუ არა ავათმყოფო-ბისაგან, მაშინათვე მიიღო მასწავლებლის ადგილი ბერგდორფის სასწავლებელში. ბერგდორფი სულ ორი საათის მანძილზე იყო ქალაქ ბერნიდგან, რომელიც შვეიცარიის ცენტრად ითვლე-ბოდა.

როცა პატარა ბურგდორფის სასწავლებელში ადგილს თხო-ულობდა, პესტალოცი ისეთს უკიდურეს მდგომარეობაში იყო, რომ გარეგნობით იგი მოაგონდება კაცს მაწანწალა მთხოვარას. მართლაც, იგი ამ დროს ლუკმა პურის საშოვნელად დაძრწოდა, და მისი სახლობა ნეიგოფს განსაცდელში იყო ჩავარდნილი.

ამ პატარა სასწავლებელში იმას დახვდა ძველი დროის მას-წავლებელი, რომელმაც ძალიან ავის თვალით შეხედა პესტა-ლოცს, რადგან პესტალოცი მას მიაჩნდა თავის მეტოქედ: იმან მცხოვრებნი დაარწმუნა, რომ პესტალოცი მწვალებელია; ხმა გააერცელეს ხალხში, რომ ახალი მასწავლებელი არც კითხვას ასწავლის, არც წერას: ეს მართალიც იყო იმ მხრით, რომ პესტალოცმა მხარი აუქცია ძველს სწავლების წესს და ახალი

შემოილო. ასე იყო თუ ისე, ეს ადგილიც მალე დაეკარგა; ის იძულებული იყოგადას ულიყო ამ ქალაქის მეორე სასწავლებელში, და ეშინოდა რომ ამ უკანასკნელიდანაც არ გამოეგდოთ.

აქაც ის სწავლების იმ წესს დაადგა, რა წესსაც ადგა სტანცში. პესტალოცი ცდილობდა, რომ სწავლების მეთოდა, რაც შეიძლებოდა მარტივი, უბრალო ყოფილიყო, რომ ყმაწვილების გონებრივი განვითარება წინ წაწეულიყო ნელ ნელა, პატარ-პატარა ნაბიჯით, მაგრამ იგი განვითარება ყოფილიყო მტკიცე და ნამდვილი. პესტალოცი უმეტესად იმას აქცევდა ყურადღებას, რომ სწავლების მეთოდა ყოფილიყო ერთობრივი, თანხმობრივი, ცხოველი და ფერად-ფერადი, ცდილობდა ყმაწვილების ყურადღება ყოველთვის მიქცეული ყოფილიყო სასწავლო საგნისაკენ, რომ ისინი არ შესჩვეოდნენ გულმავიწყობას და გაფანტულობას; ამას გარდა პესტალოცს არ ავიწყდება ის გარემოებაც, რომ ყმაწვილებს ყოველთვისინ ჰქონოდათ სხეულის გასაძლიერებლად ფიზიკური სავარჯიშონი. სანამდის კითხვას დააწყებინებდა, პესტალოცი ცდილობდა გაეცნობინებინა მრავალი საგნები და სიტყვები; ამით ის უმდიდრებდა ყმაწვილებს წარმოდგენას, ცნებას, და სიმტკიცეს ჰმატებდა მათს მსჯელობას. აი რასა სწერს იგი გესნერს ამის შესახებ: „ხუთს წლამდის ყმაწვილები იმყოფებიან ბუნების სრულ გავლენის ქვეშ: ამ დროს გრძნობადი ბუნება მოქმედობს ყმაწვილის აღზრდაზე ყოველ-ნაირად, ხოლო შემდეგ უცებ იხშობა მათთვის ბუნება; შეუბრალებრივ ერეკებიან მათ, როგორც ცხვრის ფარას, დახშულ ოთახში; აქ ისინი დღეებს, თვეებს და წლიწადებს ატარებენ საცოდავად: მათი ყურადღება და სურვილი მიქცეული უნდა იყვეს მხოლოდ ასოებისაკენ, რომელნიც მათთვის რაღაც ტანჯვას და წვალებას წარმოადგენენ; ერთი სიტყვით ბუნების მზრუნველობა ყმაწვი-

ლებისადმი სრულიად იხშობა; განა ეს სამართლიანობაა?“ ...
ბოლოს გამოჩნდნენ იმისთანა პირნი, რომელთაც წაეკითხათ პესტალოცის ყველა თხუზულებანი და მიხვედრილიყვნენ მისს იმ აზრს, თუ როგორ უნდა აღიზარდოს ადამიანი, რომ სულიც ძლიერი ჰქონდეს და სხეულიც მაგარი შერჩეს.

ბურგდორფის სასწავლებლის ნახვა ახლა ყველასთვის სანატრელი შეიქმნა; იგი ამ დროს ინახულა ფილოსოფოსმა ჰერბარტმა. ჰერბარტი ამ შკოლის მასწავლებელმა, როგორც გარეგნობის შეხედულობით, აგრეთვე სხვა მხრითაც, ძრიელ გააოცა „შეხედულობა პესტალოცს, ამბობს ჰერბარტი, აქვს გამხდარი, სხეული ცოტათი მოკუზული; მკერდი მისი ფართოა და გამობერილი; წელი მოხრილი; სახე პირველ შეხედვით ულაზათო, ყვავილისაგან დაკენკილი, დაღმეჭილი, შავგვრემანი და რაღაც განსხვავებული.

შავ თმის ქვეშ, რომელიც ზოგან აბურძგვნილი აქვს, ზოგან ბანჯვლებივითა ჰკიდია, გამოსჩანს გადაშლილი, ძლიერი და რგვალი შუბლი. შუბლზე დაინახავთ ღრმა ნაოჭებს, ესენი არიან კვალნი სიყრმიდან დაწყებულის მტანჯველი ზრუნვისა და გონებითის დიდის შრომისა: ხოლო თვალები მისი ცეცხლს აფრქვევენ, ისინი ამტკიცებენ მის დაუთრგუნველს სულის ძლიერებას. გამომეტყველი სახე მისი იყო სურათი უუწრფელესის სიკეთისა და სიმშვიდისა; ცხადადა სჩანდა, რომ ამ კაცს ერთი ბეწვის ოდენი სიცრუე არა აქვს, რაც გულში აქვს ის ენაზე.“ ამ დროს პესტალოცი 54 წლისა იყო. ყმაწვილებმა დიდის სიხარულით მიჰმართეს პესტალოცის სასწავლებელს. ჰერბარტის სიტყვით, ყველა მოსწავლენი სიტყვებს გამოსთქმიდნენ ერთად, მტკიცედ, სწორედ, რიგზე და მკაფიოდ; ყურადღება მათი ყო-

ველთვის მიმართული იყო სასწავლო საგნებზე: მათი ბაგენი და ხელები ყოველთვის საქმობდენ; სასწავლებელში ვერ გაიგონებდით უმნიშვნელო სიტყვას; სწავლის საქმის მიმდინარეობა არაოდეს არ ირღვეოდა და ყოველი წამი წინ წევდა მათს გონებრივს ნაბიჯს.

ექვსის წლის ბავშები უკვე ლამაზად ჰხაზვენ და ასპიდის დაფა განუწყვეტლივ ტრიალებს მათს პატარა ხელებში. ახალგაზდა გერბარტი გაოცებული იყო პესტალოცის წარმატებით. 1800 წელს ეს წარმატება ბურგდორფის მთავრობამაც ცხადათ დაინახა და გადიყვანა იგი სხვა უფრო მაღალ სასწავლებელში. მალე აქ პესტალოცმა მოიპოვა საქმისათვის თავგანწირული თანამშრომელნი, რომელთაც უკვე კარგად ესმოდათ ის გარემოება, რომ პესტალოცს არა აქვს სწავლების მტკიცე სისტემა, რომ იგი ერთობ ცხაროზს და მალე იქანცავს თავსა.

თუმცა სასწავლო საქმე ისაზღვრებოდა მხოლოდ ვარჯიშობით საუბარსა, თვალსაჩინო სწავლასა, კითხვასა და ანგარიშში, მაგრამ პესტალოცის ენერგიის შედეგი საკვირველება რამ იყო. ბევრს აოცებდა პესტალოცის სწავლების მეთოდა, რადგან არ ესმოდათ ამ მეთოდის მიზანი, რომელიც მხოლოდ შემდეგ აიხსნებოდა და გამოჩნდებოდა. მთავრობა მტკიცედ დარწმუნდა, რომ პესტალოცის შრომა დიდად ნაყოფიერია და ღირს შესანიშნავი; ამიტომ საშუალება აღარ დაზოგა მისთვის, ასე რომ 1800 წელს პესტალოცს შეეძლო გაემართნა ბურგდორფის ერთს ძველს ციხე-დარბაზში თავისი სასწავლებელი; ეს ციხე-დარბაზი იყო უწინ სასახლე ლანდფოხტებისა. ამ ინსტიტუტს მალე მოაწყდა მრავალი მოსწავლე; მოსწავლეთა შორის იყვენ როგორც დიდ-კაცის და მდიდრის შვილები, ისე მდაბიო

და ღარიბის ხალხისაც. ზოგი ამ მოსწავლეთაგანი სწავლის ფულს იხდიდა, ზოგი უფასოდ სწავლობდა.

ამ გვარად სასწავლებელში ოთხმოცამდის ყმაწვილი შეიკრიბა და, რასაკვირველია, ამოდენა ოჯახის გაძღოლა დიასახლისს მოითხოვდა. ამიტომ სასწავლებელში მალე გადმოსახლდა პესტალოტის მთელი ოჯახი. მოსამსახურეების რიცხვი ძრიელ მცირე იყო; თვითონ ყმაწვილების ცხოვრებაში მეფობდა საოცარი სიმარტივე და გულწრფელობა. სასწავლო საგნებად ითვლებოდნენ შემდეგნი: სამშობლო და ფრანგული ენა, გეომეტრია, არითმეტიკა, სამშობლოს ისტორია და მუსიკა. ძველი ენები სრულებით არ ისწავლებოდნენ. მთელი პირველდაწყებითი სწავლება იყო ელემენტარული, მოსამზადებელი, დაფუძნებული თვალსაჩინობაზე. რიცხვი, სიდიდე, ფორმა, ენა აი ესენი ითვლებოდნენ უმთავრესს საშუალებად, რომ ადამიანი აღზრდილიყო და განვითარებულიყო რიგიანად.

მოსწავლეები ხნოვანობის მიხედვით გაყოფილ იყვნენ ექვს კლასად. ყოველ დღე მოსწავლეებს ჰქონდათ შვიდ-შვიდი გაკვეთილი, რომელიც განაწილებული იყო ჭამის, თავისუფალ დროსა და თამაშობის შუა. თამაშობაში მონაწილეობას იღებდნენ აღმზრდელნიც. დღე იწყებოდა დილის ლოცვით შვიდ საათზე და თავდებოდა საღამოს ლოცვით ათს საათზედ. კვირაობით სუყველანი დაიარებოდნენ ეკლესიაში, წირვის შემდეგ მიდიოდნენ ქალაქს გარეთ და მინდვრებსა და ველებში დასეირნობდნენ, ადი-ჩამოდიოდნენ ტყიანს მთებზე, ბანაობდენ და ცურვაობასა სწავლობდენ; ზამთარში კიდევ მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც ფარიკაობდნენ და გიმნასტიურ ვარჯიშობაში ატარებდნენ თავისუფალ დროსა.

პესტალოცი სული იყო სასწავლებლისა: ყველა მამას ეძახოდა მას. პესტალოცს საკვირველი ნიჭი ჰქონდა: ის მოსიყვარულე მამასავით და მეგობარივით ჩაიხედავდა ყმაწვილების გულის სიღრმეში და უკებ მიხვდებოდა ამ გულის პასუხს და მოთხოვნილებასა. ამ გვარადვე ექცეოდა ის თავის თანამშრომელებსაც, რომელთაც ულვივებდა სიყვარულს და მხნეობას საზოგადო საქმისადმი. „როდესაც მე ვუცქერ ჩემ მიერ გაკეთებულს საქმეს,—სწერდა ის ამ დროს შტაპფერს, „და ვხედამ,-რა ნაირად იგი მომდინარეობს ახლა ჩემს ხელში, ვგრძნობ, რომ ყველას შეეძლო ეს საქმე ჩემსავით გაეკეთებინა. იგი მოითხოვდა დიდს ხარჯს: მე კი გროში არასოდეს მომეძევებოდა; იგი ითხოვდა დინჯს, მშვიდობიანს განსჯას: მე რაღაც საწყალი დაუწყნარებელი კაცი ვიყავი- თავი მე ისე მიხურდა, რომ ჩემს ნაცნობებს ეგონათ, თუ ის იწვოდა: მაგრამ მე ვიშოვე იმისთანა ერთგულნი თანამშრომელნი, რომელნიც დიდის სიდინჯით და სიწყნარით იყვნენ შემკულნი; იგი ითხოვდა ენის და სასწავლებლის გარემოების ცოდნას, ითხოვდა წესიერებას და განკარგულებას ოჯახში: მე არც ერთისა და არც მეორის პატრონი არ ვიყავი, მაგრამ მე ჩემი ლელო მაინც გავიტანე. ამ სასწაულთა ჰბადავს მხოლოდ სიყვარული საქმისადმი; ამ გრძნობას ღვთაებრივი ძალა აქვს და არ ეშინიან ჯვარცმისა, თუ იგი ნამდვილი და ჭეშმარიტი გრძნობაა.“

შემდეგ 1801 წელს გამოიცა ახალი თხუზულება პესტალოცისა: „როგორ ასწავლის გერტრუდა თავის შვილებსა“. ეს თხუზულება წერილების მსგავსად იყო დაწერილი გესნერისადმი. ამ თხუზულებამ მკითხველებში, რომელნიც დიდად თანაუგრძნობდნენ პესტალოცის მიმართულებას, გამოიწვია რაღაც შფოთის მსგავსი მოქმედება, გაუვანტა ხალხს ჩვეულებრივი სიზარ-

მაცე და მცონარეობა და აღუგზნო აღზრდის სიყვარული. 1802 წელს პესტალოცი ამორჩეულ იქმნა წევრად იმ დეპუტაციისა, რომელიც გაგზავნეს პარიზში შვეიცარიისათვის ახალ კონსტიტუციის შესადგენად. ბურგდორფის სასწავლებელი დარჩა პესტალოცის მეუღლისა და ახალ გაზდა თანაშრომელთაა მარა პარიზში პესტალოცმა ბონაპარტეს, რომელმაც მოხიბლა იგი, მიართვა წერილი, რითაც უმტკიცებდა, რომ ფრიად საჭიროა გაუმჯობესდეს ხალხის აღზრდა მის სამშობლოში, მაგრამ ამ საქმეს არავითარი შედეგი არ მოჰყვა . . . . ამ დროს პესტალოცის ინსტიტუტს უყვეს ახალი რევიზია, და რევიზიის შემდეგ ეს სასწავლებელი ისეთ ნაირად მოეწონა მთავრობას, რომ მან პესტალოცს 1500 ფრანკამდის აუწია ჯამაგირი და მის ორს თანამშრომელს თითოს ოთხას—ოთხას ფრანკამდის. ამ რევიზიის ანგარიში დაიბეჭდა და მოსდო პესტალოცის ინსტიტუტის ქება მთელს ევროპას. ევროპის ყველა კუთხიდამ მოდიოდა აქ მრავალა მნახველი, მეტადრე 1803 წელს: რუსები, პოლონელები, გერმანელები, ფრანგები, ესპანელნი და სხ. ერთის სიტყვით ყველას, განურჩეველად წოდებისა, სარწმუნოებისა და ხნოვანობისა, მოსწონდა ეს სასწავლებელი. ზოგი მთავრობის ხარჯითაც მოდიოდა, რომ პესტალოცის სწავლების მეთოდა შეესწავლა. ყველა მათთვის მოხუცს მზად ჰქონდა მხურვალე სიტყვა და მაგალითი. თანამგრძნობნი მისნი საოცრად მრავლდებოდნენ. რასაკვირველია ამ დროს იგი კაბინეთურ შრომასაც თავს არ ანებებდა: 1803 წელს გამოიცა მისი ,,წიგნი დედათა,‘‘ რომლის შემდეგ მოჰყვა მრავალი სასწავლო წიგნი მასწავლებელთა სახელმძღვანელოდ. საუბედუროთ პესტალოცის ბედს მოელოდა ახალი განსაცდელი: ეს ციხე-დარბაზი საჭირო შეიქნა ადგილობრივ მთავრობისათვის, რომელმაც უბრძანა

პესტალოცს დაუყონებლივ გაენთავისუფლებინა, თუმცა მთელი ბურგდორფის მცხოვრებნი იხვეწებოდნენ მთავრობას, არ დაეხურვინებია სასწავლებელი. ინსტიტუტი უნდა დამორჩილებოდა მდიდარ მემამულის ფალენბერგის ზედამხედველობას. ეს უკანასკნელი ძრიელ ავიწროებდა სასწავლებლის მსვლელობას. ბევრი ქალაქი შვეიცარიისა ცდილობდა მოეწვია სახელოვანი, მაგრამ უბედური პედაგოგი; ბოლოს პესტალოცმა ამოირჩია ივერდუნი, სადაც თავის უერთგულეს თანამშრომელებიანათ და რამოდენიმე მოსწავლითურთ გადმოსახლდა. ბერგუნდიის ბნელს ციხედარბაზში დიდის გაჭირვებით და ვაივაგლახით მოაწყო სასწავლებელი, ამ გვარად სასწავლებელი წესიერებაში მოვიდა და მასწავლებლებმა ერთგულად მოჰკიდეს ხელი საქმეს.

,,მასწავლებლების უმრავლესობა,—სწერდა პესტალოცი სკოლის ანგარიშში 1808 წელს,—განუშორებლივ მთელი დღე ცხოვრობს მოსწავლეებთან, როგორც თავის ტოლ—ამხანაგთან. ჩვენს აღზრდას ამ მხრით ის ღირსება აქვს, რომ იგი მიემსგავსება კარგს ოჯახურს აღზრდას. საყვარელნო ჩემო მოსწავლეების მშობელნო! მობრძანდით სუყველანი და ინახულეთ სასწავლებელი: ჩემი სახლის კარი ღიაა თქვენთვის; რასაც ჩვენ ემოიმედობთ, ამას ყველა ხედავს, თუ რამე შეცთომა მოგვდის, იგი დაუფარავია ყველასათვის; ჩვენ არ გვინდა არც იმისთანა ჩვენდამი ნდობა თქვენის მხრით და არც გაკითხვა ანუ ქება, რომელიც ჩვენ არ დაგვიმსახურებია. ნუ დაგვიფ[illegible]თ ჭეშმარიტებას, გვითხარით პირდაპირ ყოველი ჩვენი ნაკლულევანობა, მოგვთხოვეთ ასრულება ყოველნაირის მოვალეობისა. ჩემს სასწავლებელს უყურეთ, როგორც თქვენს საკუთრებას: მართლაც იგი თქვენი უფროა, ვიდრე ჩემი'' ივერდიუნის ინსტიტუტის სახელი შორს გაითქვა მთელს ევროპაში, ამიტომ აქ დიდის

სურვილით მოისწრაფოდნენ არამც თუ გერმანიიდან, საფრანგეთიდან და იტალიიდან, არამედ რუსეთიდან, ესპანიიდან და ჩრდილო-ამერიკიდანაც. პესტალოცის აზრები მოეფინა მთელს ქვეყნიერებას, ყველას ძვალსა და რბილში გაუჯდა, ამიტომ ყველა სახელმწიფოს მთავრობა და კერძო პირნიც ცდილობდნენ გაეხსნათ თავიანთ ქვეყნებში იმ გვარი სასწავლებლები, როგორიც იყო პესტალოცის ინსტიტუტი. აღზრდის ფასი ივერდიუნში ისეთი მცირე იყო, რომ ხშირად ამ სასწავლებლის დირექტორს გროში არა ჰქონდა ჯიბეში. ის აივსო ვალით, უკვე დაღუპულ კაცად სთვლიდა თავის თავს და უიმედომ, ძალ მიხდილმა, ამოდენა ზრუნვით დაჩაგრულმა კუბო დაამზადებინა თავისთვის; მაგრამ მეგობრებმა, და განსაკუთრებით გამოჩენილმა ფიხტემ, რომელმაც პესტალოცის დიდება მთელს გერმანიას მოჰფინა, მხარი მისცეს პესტალოცს და საქმე ისევ ფეხზე დააყენეს. ამ დროს გამოსცეს პესტალოცის თხუზულებათა კრებული მისი თანამშრომელნი თავგანწირულად მუშაობდნენ მისთვის. უცხო ქვეყნების მთავრობათაც კი აღმოუჩინეს ამ დროს პესტალოცს საკმაო ნივთიერი დახმარება: ბავარიის მეფემ ხელი მოაწერა 700 გულდენზე, პრუსიისამ 400 ტალერზე, იმპერატორმა ალექსანდრემ 500 მანეთზე, ასე რომ 1818 წელს პესტალოცს შეეძლო ვალები მოეშორებინა.

ალექსანდრე იმპერატორის გაცნობით პესტალოცი გაბედნიერდა 1814 წელსა, როდესაც ავსტრიელ კომისარიეტს უნდოდა პესტალოცის სასწავლებლის შენობა სამკურნალოდ გადაექცია, რომ გადაერჩინა თავის საყვარელი სასწავლებელი, პესტალოცი წავიდა იმპერატორ ალექსანდრესთან ბაზელში; ამ დროს იგი ძრიელ აღელვებული იყო, რადგან ემზადებოდა წარსადგომად სახელოვან რუსეთის მფლობელის წინაშე. იმპე-

რატორის ალერსიანმა და თავაზიანმა ქცევამ განუფანტა პესტალოცს მისი ბუნებრივი სიმკრთალე. საყვარელ საქმით გატაცებულს პესტალოცს დაავიწყდა ხარისხი, მანძილი და ვინაობა: მოუყვა საუბარს იმაზე, რომ უმრავლესობა ხალხისა იმყოფება გონებითს სიბნელეში და მონობაში, რომ მას სწყურიან განათლება და თავისუფლება; პესტალოცს ჩვეულებადა ჰქონდა, მოსაუბრესთან პირდაპირ ელაპარაკნა, ამ გვარად მოიქცა იგი იმპერატორ ალექსანდრეს წინაშეც; ლაპარაკის დროს პესტალოცი თანდათან უახლოვდებოდა იმპერატორს და ავიწროებდა მას, იმპერატორი უკან-უკან იწევდა. ამ გვარად, პესტალოცმა კედლამდის მიიყვანა იგი და თითქმის ღილზე ხელის მოვლება დააპირა, მაგრამ უცებ იმპერატორის უნებლიემა მოძრაობამ მოაგონა მას თავისი მდგომარეობა და გააწვდევინა ხელი რუსეთის მბრძანებლის ხელისაკენ, მაგრამ ალექსანდრემ დაასწრო მას: იგი გარდაეხვია პესტალოცს და სიყვარულით აკოცა. ინსტიტუტი, რასაკვირველია, გადარჩა. იმავე წელიწადს პესტალოცმა მიიღო მეოთხე ხარისხის ორდენი სტანისლავისა. თუმცა იმ დროს გადარჩა, მაგრამ რამოდენიმე წლის შემდეგ ივერდიუნის ინსტიტუტი მიატოვა თვითონ პესტალოცმა და რამოდენიმე მოსწავლითურთ გადასახლდა მშვენიერის ნევშატელის ტბის მახლობლად, დაბა Elinqu. აქ მასთან გამოგზავნეს ინგლისიდან ოცდა ოთხი ყმაწვილი; 1814 წელს ამით ზედამხედველად გამოგზავნილ იქმნა ინგლისელი მღვდელი, რომელმაც პირველად შემოიღო ინგლისში პესტალოცის სწავლების მეთოდა.

სიცოცხლის უკანასკნელი წელიწადნიც კი პესტალოცს სიმწარეში გაატარებინეს მისმა უწინდელმა თანამშრომელებმა,

რომელნიც რაღაცაებს უჩივოდნენ მას სასამართროში. თუმცა მისი ერთგულნი თანამშრომელნი დიდ-ხანს ეხმარებოდნენ და ესარჩლებოდნენ; მაგრამ მტრების მცბიერებამ იძულებული გახდა ის, მოშორებოდა თავის თანამშრომელთა, ასე რომ 1825 სელსა ეს შესანიშნავი ინსტიტუტიც სამუდამოთ უნდა დაკეტილიყო. პესტალოცი გადასახლდა ნეიგოფში, სადაც უ-წინ განატარა მან თავისი სიჭაბუკე და სადაც იგი ოცნებობდა გაენათლებინა ადამიანი და აღეზარდნა ხალხი.

აქედან იგი გაემგზავრებოდა ხოლმე ობლების თავშესაფართა და შვეიცარიის სასწავლებელთა და სათვალიერებლად და ყველ-გან დიდის ალტაცებით იყო მიღებული. სიკეთე, რომელსაც იგი თავის სიცოცხლეში უხვადა სთესდა, ღირსეულად იყო და ფასებული შვეიცარიელთა მიერ. 1826 წელს „შვეიცარიის კაცთ-მოყვარე საზოგადოებამ“ ამოირჩია მოხუცი გმირი თავის თავს მჯდომარედ. სამადლობო სიტყვაში, რომელიც იმან ამ შემთხვევისათვის წარმოსთქვა, გამოხატა ის აზრი, რომ იგი ამ მისთვის საყვარელ საზოგადოებაში უთუოდ უკანასკნელად ეს-წრება. მართლაც, მისი აქ ყოფნა უკანასკნელი იყო: 1827 წლის ახალ-წელიწადს იგი უიმედოდ ავათ—გახდა, უბრძანა ვადაეყვანათ იგი ბრიუგეში და აქ ხან—მოკლე, მაგრამ სას-ტიკის წვალების შემდეგ გარდაიცვალა 17 თებერვალს. ამ დროს უკვე ოთხმოცი წლის მოხუცი იყო. ორი დღის შემდეგ მისი გვამი წაასვენეს ბირრის ეკლესიაში, რომლის მრევლსაც ეკუთვნოდა ნეიჰოფი და აქ, შკოლის შენობის წინ, დამარხეს იგი. თუმცა ამ დროს შუა ზამთარი იყო და საოცარი სიცივე, მაგრამ, მახლობელ სოფლებიდან მასწავლებლები და მოსწავ-

ლეები ბლომად დაესწრნენ და ტირილითა და გალობით მია-
ბარეს მისი პატიოსანი გვამი სამარეს. შემდეგ აქ აღიმართა
ძეგლი მის გამოქანდაკებულის სახით და სედ——წარწერით:
,,ჩვენს მამას პესტალოცს."

თომა მთავრიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართული

# „ალექსანდრიანი"

(ბიბლიოგრაფიული მოხილვა)

გაგიგონია მკითხველო ძველი ქართული ხელთნაწერი წიგნი ამ სახელით „ალექსანდრიანი?"—არა მგონია, და თუ გაგიგონიათ, წაკითხული მაინც არ გექმნება. წაკითხვაც რო მოგენდომებინა, ძნელი საშოვნელი იქნებოდა.—ერთი ცალი დაცულია წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთსაცავში, მაგრამ თავში სამი ფურცელი აკლია და ბოლოში კიდევ მეტი. მეორეც ქბ. ხოშტარიას აქვს სამეგრელოში. მესამეც იქითგან გადმოღებული ასლი მე მქავს. იქნებ კიდევ სადმე მოიპოვებოდეს, მაგრამ რათ გინდა? მსურველს ხელი არ მიუწვდება წასაკითხათ. დიდი მოთმინებაც ხომ უნდა ამოდენა ხელთნაწერის წიკითხვას. მაშ არ დამემდურები, რომ გაგაცნო ეს შუა საუკუნოების დამახასიათებელი პოემა. შორითგან კი უნდა დავიწყო.

დიდებულმა მაკიდონელმა გმირმა, ალექსანდრემ, ერთობ ღრმა კვალი დააჩინა მთელს კაცობრიობას. მის დროს ყველაზედ უძლიერესი სახელმწიფო იყო სპარსეთი. სპარსთაგან დამონებული ხალხები ყველანი სპარსეთის თვითმპყრობელთათვის მუშაობდენ-იჭირვოდენ. ამათ მეტათ შეიტკბეს ქვეშევრდომთ მეფეთა და მთავართ სიმდიდრესთან ამ უკანასკნელთა ფუფუნე-

ლი და დიდრაჯული ცხოვრება. ამისგამო შიგნითგან დაფუყებულმა სპარსეთის მონარქიამ ერთბაშათ იგრიალა და დაემხო მაკედონელის გმირის ძლიერებას ქვეშე და ელინთ სულის ძალმა და განათლებამ განაფრთხო მთელი აღმოსავლეთი ახალ ცხოვრებისათვის. ალექსანდრემდე ელინთ შეტაკება აზიის ხალხებთან ისეთი უგავლენო და შემთხვევითი იყო, რომ ამათზე ლაპარაკი აქ არც კი ღირს.

რაკი ალექსანდრემ შემუსრა აზიის უზენაესი მფლობელი დარიოსი, თვითონ მალე ეთავა მთელს აზიასაც. მაგრამ ალექსანდრეს—დაპყრობა მარტო როდი უნდოდა ამ ქვეყნების. ეს იყო მხოლოდ საშუალება და პირველი ნაბიჯი. მისი უმთავრესი საგანი—ეგებ მართლა არისტოტელისგან მისს გულში ჩანერგული—ის იყო, რომ გაევრცელებინა ელინთ კულტურა „ბარბაროსთ“ შორის. ამ განზრახვით ალექსანდრემ დააფუძნა ბერძენთ ახალშენები მდინარე ინდამდე. ამ ახალშენების საშუალობით მოეფინა მთელს აზიას არათუ მრეწველობა და ვაჭრობა, თან მოყვა ელინთ ზნე—ჩვეულებათა გავრცელება. გაიხსნა ფართო შარა, აღმოსავლეთის და დასავლეთის მკვიდრთა შორის, აზრების ალებ—მიცემობაც და იდეების გაზიარება. მართალია ალექსანდეს შემდეგ დაირღვა მისგან დაფუძნებული უშველებელი მონარქია, მაგრამ კულტურამ ძირ—ფესვი უკვე გაიდგა და ელინთ გავლენა მაინც არ შეწყვეტილა.

ასერიგათ ალექსანდრემ პირველმა გადო გზა და ხიდი ევროპასა და აზიას შუა და დააკავშირა ეს ოდითგან ერთმანერთთან მოწყვეტილი ორი მონათესავე (არიის ტომისანი) კაცობრიობის ნახევარი. იულიოს კეისარს იმისოდენი ღვაწლი დიახ არ მიუძღვის ამ დიდი საქმის განხორციელებაში, თუმცა ცხადია,

ალექსანდრესგან შემართული საქმე მან, იულიოსმა, და საერთოთ რომაელებმა დაამთავრეს.

შემდეგ ამისა რათ უნდა გაეიკვიროთ, რომ ალექსანდრეს ასეთი მწვე შთაბეჭდილება დაუტოებია კაცობრიობის მეხსიერებაში. მაშ არც ის უნდა გეიკვირდეს, რომ იმდენი ისტორიული თქმულება და ზეპირგადმოცემა, რამდენიც ალექსანდრეზე დარჩენილა, ჯერ ერთს გმირზე არ ყოფილა გავრცელებული საერთოთ აღმოსავლეთისა და დასავლეთის მკვიდრთა შორის. არათუ ზეპირგადმოცემით, წერილობითაც ჯერ იმდენი გომერი არა რომელსამე გმირს რგუნებია წილად. ვის არ უწერია მასზედ რომანები, პოემები და მოთხრობანი?—ალექსანდრიელს ბერძნებს, სპარსელებს, ებრაელებს, რომანელ ერებს, გერმანელებს, ინგლისელებს, სლოვენებს და თვით ქართველებსაც კი. ყველაში კი ერთი და იგივე იდეა არის გატარებული: რომ საქაო დიდება ფუჭია და წარმავალი, რომ საუნჯე ცათაშინა უნდა შეიკრიბოო და მისთანები.

ყოველს ერს, და მათ შორის თვითეულ ავტორს, ეს აზრები თავისებურათ დაუხატავს „ალექსანდრიანში" თავისის დროების და მიდამოს შესაფერათ. არც ისტორიულ სინამდვილეს დაგიდევს ვინმე იმათგანი, არც ქრონოლოგიას და არც გეოგრაფიას, ოღონ თავისი გულსნადები გამოაქვეყნოს. მათი წადილი ის არის, რომ სახელოვანის ვმირების გაელენით აღძრან ხალხის გულში და სულში თავანთი სანატრელი გრძნობები და იდეები. ამისათვის ავტორების ფანტაზიას ფრთა გაშლილი აქვს და ისტორიის მცოდნეს გიკვირს საით რა არ მოუგონიათ, სად არ უტარებიათ ეს სახელოვანი გმირი: ძაღლთაპირებთან არ

მიუყვანიათ, ამორძლებთან არ დაუკავშირებიათ, ჯოჯოხეთის სამეუფოში არ ურონებიათ; სამოთხის კარ—ბჭემდეც კი მიულწევინებიათ.

ყველა ავტორებს სუჟეტი ამოუღიათ ერთისა და მისივე წყაროთგან.—პტოლომეების დროს გაჩნდა და გავრცელდა ხალხში აუარებელი ისტორიულგვარი თქმულება ალექსანდრე მაკედონელის შესახებ. ამ თქმულებათა შეკრებას და დათხზვას ამისებენ ალექსანდრიელს ბერძენს კალისთენს ვისმე. თვითონ კალისთენის რომანშიაც ისტორიული მართალი შეფერადებულია პოეტური სამკაულებით და ზღაპართქმულობანით, მაგრამ ისე კი, რომ ცხადათ ჩანს ისტორიული ნაქვთები, სავსენი აზრით და მნიშვნელობითა. მისგან მოღებულ ალექსანდრიანებში კი ავტორების აზმნობას საზღვარი არ აქვს; ისტორიულ სიმართლეს ათასში ერთხელ თუ შეხვდები.

კალისთენის რომანისაგან ყველაზე ადრე მახმადს უვასხნია თავისი თქმულება უკვდაების წყაროს ძებნის შესახებ. ყორანითგან კიდევ დიდებულს ფირდუსს გადმოუღია ეს ზღაპართქულობა.

ევროპიულ ალექსანდრიანების ავტორები ჯერდაჯერ სულაც ვერ იცნობდენ კალისთენის რომანს; ფირდუსისა და სხვა სპარსელ პოეტებისგან იღებდენ შინაარსს თავანთის ალექსანდრიანებისთვის. ზანა ვინ იყო ეს ფირდუსი?

ქართველობისათვის არც ისე უცხო პირი უნდა იყოს ეს სპარსეთის (და ეგებ მთელის ქვეყნისთვის) უძვირფასესი პოეტი. მისის უკვდავი შახ-ნამეთგან ქართულადაც არის გადმოკეთებული, (თუ პირდაპირ გადმოღებული) ,,როსტომიანი‘‘ და

როსტომ გმირის ამბავი ჩვენს ხალხშიაც არის მრავალგვარათ გავრცელებული; რუსთველიც კი იხსენიებს მას „ვეფხისტყაოსანში:“ „ისრითა მოკლის ნადირი როსტომის მკვლავ-უგრძესითა.“ ფირდუსის შახ—ნამეს მეორე ნაწილში არის აღწერილი ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრება. ახლა ვიკითხოთ: რა გარემოებამ დააწერინა ფირდუსს ან „შახ—ნამე“ ან მისი მეორე ნაწილი?

ძველის ძველითგანვე ზეპირგადმოცემა გმირებსა და ფალავნებზე გაუწყვეტლივ გადადიოდა ნათესავითი ნათესავამდე და ამ თქმულებათა სარწმუნოებასთან კავშირი ცოცხლად შენახული იყო. მხოლოდ ორიოდე საუკუნით ქრისტეს წინ და მას შემდეგ კაცობრიობის სულის კვეთება ისეთნაირათ მოეგო, რომ ყველა ამ გვარნი თქმულებანი მიყრუვდა და მიიმალა, თითქო კაცობრიობა რაცლა მზადებაშიაო. შემდეგ კი ამ ზეპირგადმოცემებმა ისევ თავი იჩინა პირველათ სპარსეთში, სასანიდების დროს. იქ ხელახლა აღინთო სალვთო ცეცხლის ალი. არათუ განახლდა ეს ზეპირგადმოცემანი, თან აღიწერა კიდეც და ეს ნაწერები შერებოდა ისტორიის მაგივრობას. უკანასკნელნი სპარსეთის მეფეები, ალექსანდრე მაკედონელის წინათნი, და თვითონ ალექსანდრე, სპარსეთის ზეპირგადმოცემით პირდაპირ დაკავშირებულნი არიან ძველს ირონელ გმირებთან და ყოველსავე ამას მიეცა სასანიდების დროის რაინდული ხასიათი (თითქო აღმოსავლეთის შუა საუკუნოებიაო, რაინდობის დღესასწაულობა). ასეთნი ეროვნული ზეპირგადმოცემანი დაცული იყო მახმადიანობის გაძლიერების დროსაც. საფარიდები თავათ დარწმუნდენ, რა ძლიერ საჭირო იყო იმათ ტახტზე დასამაგრებლათ ძველი სპარსეთის ეროვნულთ გრძნობათა აღძრვა ქვეშევრდომთ გულ—გონებაში. ამ განზრახვით გაზნის მბრძანებლი

მახმუდი (977—1030 წ.) სრულის გულმოდგინებით იწვევდა პოეტებს თავისს სასახლეში და გასცა ბრძანება—მოეგროვებინათ, შეემუშავებინათ და აღეწერათ მთელ საბრძანებელში, რაცა სად ძველნი თქმულებანი მოიპოებოდა. მან მოინდომა მათგან ერთის მთლიანი თხზულების შედგენა და ამ საქმისთვის თვალი ეჭირა პოეტს ანსარზე, რომელსაც პოეტთა მეფედ რაცხდენ. ანსარმა ეს საქმე ვერ დაამთავრა და ბევრით ჩამოურჩა მეორე პოეტს აბდულ კასიმ მანსურს ტუსელს. ამ უკანასკნელს თავისი საკუთარი ზემთაგონებით ოცის წლის წინეთ მიეყო ხელი ამ დიდი საქმისათვის. წარადგინეს იგი მახმუდის წინაშე და, როცა მან მეფეს წაუკითხა ერთი კარი თავისის უკვდავი შახნამესაგან, განზის მბრძანებელი ისეთ აღტაცებაში მოვიდა, რომ პოეტს უწოდა „ფირდუსი"—ვითომ სამოთხისაგანი ხარო.

მალე დაასრულა ფირდუსმა თავისი შეუდარებელი თხზულება, რაშიაც თითქო მკვდრეთით აღადგინა ისეთი ძველთა ძველი ისტორიული დრო—ჟამი, რასაც ქვეყნის ძირზე ჯერ ასეთი ძეგლი არ აღგებია. მან თითქო შთაბერა თავისი უკვდავი სული ნორჩ კაცობრიობას და ამეტყველა იგი შუასაუკუნოების ენით. მთელის თხზულების იდეა და პოეტის გული და გონება დამყარებულია იმაზე, რომ ეს ქვეყანა წარმავალია და ყოველსავე ბოლო აქვსო; მაგრამ კაცად-კაცს შეუძლია თავისი სიბრძნე—სიქველით სამარადისო სახელი მოიხვეჭოსო,—აი თუნდ როგორც ამ გმირებმაო.

აი, ამ შახ-ნამეს მეორე ნაწილში არის ძველი სპარსეთის გმირებ-ფალავნებთან მიერთებული ალექსანდრე მაკედონელიცა (რათგან, როგორც ქვევით ვნახავთ, ალექსანდრე სპარსელიაო-

შთამომავლობით). მერე ისევ აღწერილია არშაკიდები და სასნიდები, ვიდრე მახმადიანთ წამოსვლამდე.

ეს შახ-ნამეს მეორე ნაწილი შედარებით პირველთან ერთობ სუსტია. ამის მიზეზი, სხვათა შორის, ის არის, რომ პოეტი თავისს ნაწარმოებში თანდათან უახლოვდება არა სანუგეშო, თანადროებითს ცხოვრებას; თანდა-თან იღრუბლება Iრონის ბრწყინვალე მეფობის ნათლოვანი დღეები. ამისდა მიხედვით პოეტიც დაღვრემილობას ეძლევა, როგორც კაცი ცხოვრებისაგანაც მოტყუებული და სასოწარკვეთილი . . . .

შემდეგ, რაკი დაიმხო სპარსეთის ძლიერება და შეიმუსრა სპარსთა მეფეების მაღლობა ჩინგის-ყეენის ურდოთა მოზღვავებისგან და სპარსეთიც მოყვა კირთებას ქვეშ,—მას შემდეგ მეთქი, სპარსეთის გონებითი მოძრაობა ნელნელა შეიხიზნა უფრო შირაზში. პოეტებიც მიუბრუნდენ გარეითადომითგან შინაგნობას, როგორც უანდერძა მათ ფირდუსმა თავისის ბოლონდელი მიმართულობით. ყველანი მიეცენ განმსჭვრეტელობითს ცხოვრებას; შეიყუჟენ თავანთს არსებაში და მიატოვეს მსაქმობითი ცხოვრება. მათი საქმე იყო მხოლოდ ფიქრი და ფიქრი, აღმაფრენი ყოველ ქვეყნიურთა ზე და ჩაღრმავება ღვთაებაში. ფირდუსის მომდევნო შესანიშნავი პოეტები ერთიც არაა, რომ ალექსანდრეს ცხოვრება არ აღეწეროს, თავისებურათ რასაკვირველია.—ნიზამი, ჯამმი, მაჯამი და ჯალალ—ედინი—თვითეული მადლიანს ნიადაგს პოებს ალექსანდრეს ცხოვრების აღწერაში. სულყველას ერთი და იგივე იდეა ახელმძღვანელებს. ჯალალ—ედინის პოეზია მაინც სულ იმ აზრს დასტრიალებს, რომ ყოველივე ამაო არისო; ზრუნვა არა რაზე ღირსო; ჭეშმარიტი არსებობა არის მხოლოდ ღმერთი და

თვითეული ჩვენთაგანი მიწყივ მას უნდა აზრობდეს...

აი ამ მიმართულებისა იყო სპარსეთის ლიტერატურა, როცა მას პირველათ გაეცვნენ ევროპელები და ყველაზედ უწინ ალექსანდრეს ცხოვრების აღწერაებს ჩაკიდეს ხელი. ამის მიზეზი რთულია და განმარტება უნდა.

ზევით ნათქომია თუ, ალექსანდრე მაკედონელმა და შემდეგ რომაელებმა როგორ მოშალეს ყოველი ხალხთაშორისი საზრ-კმელი და დაუდეს საფუძველი საყოვლიერო განათლებას, აღმოსავლეთის და დასავლეთის კულტურის შეზავებას. მაგრამ ეს იყო უფრო გარეგანი კავშირი. ხიდი გაიდო, გამსვლელი კი მაგდენი არავინ და არა რა გასულა. ნამდვილი ურთიერთობა და მრავალმხრივი პირისპირ შეხლა დასავლეთის ერებისა აღმოსავლეთისასთან მოახდინა ჯვაროსნების ომებმა. მანა რა გარემოებით?

— უნდა მოვიგონოთ, რა სულის კვეთებაში იყო ევროპა ამ დიადის შემმართებულობის წინათ და როგორში ჩადგა მას შემდეგ. მულადობა და გულის აყოლა—ეს იყო შუა საუკუნოების საცხოვარი საუნჯე. მაგრამ, რაც ევროპელები კლასიკურ ყოფა—ცხოვრებას, საბერძნეთს და რომს დაუახლოვდენ და შეეკეთენ, გრძნობა იჩენს თავს მხოლოდ გარეგანს ფორმაში. ყოველ საქმეში უფრო და უფრო დაიწყეს გულის და გრძნობის წინ წამოყენება. გარეგნობა დადგა პირველ ხარისხზე, ზნეობითი იდეა კი მისგან დამოკიდებული და დაქვეითებული შეიქმნა. გარეგანი ხატება ჩამოეფარა შინაგანს მნიშვნელობას; მხოლოდ გარეგანი სახოვნებისადმი თაყვანისცემას დაედო ფასი; ფორმას დაეკარგა თავისი სიმბოლური მნიშვნელობა.—ერთი

სიტყვით: ჭკუა თვალში წამოვიდა. ამასთანავე გამეფდა გარეგნულის ღვთისმსახურების წესთა სიმკაცრე. აქეთგან ერთი ნაბიჯილა დარჩა იმ დაუჯერებელს გარყვნილებამდე, რაშიაც ტოპავდა მაშინდელი სასულიერო წოდება (ჩვენში ამის მიზეზი სხვა იყო და დავით აღმაშენებლის მეცადინეობით ეგ სენი მალეც მოისპო). რაკი სარწმუნოება გარეგნობის ამრა გახდება; რაკი სარწმუნოება მხოლოდ ტიბიკონის გარეგნულის წესების აღსრულებად გახდება, მაშინ იგი, სარწმუნოება, მდაბიო ხალხში ცრუმორწმუნებაში გამოიხატვის და დაწინაურებულს წოდებაში—ფარისევლობად, ლიქნად და ქვენა გრძნობების იარაღად.

ასეთს მდგომარეობაში იყო ევროპა ჯვაროსანთა ომების წინა დროებში. სულის ცხოვნების გზებს ეძებდენ კაცის გულში და სულში კი არა, როგორც ასწავლიდა სახარება „სასუფეველი ღვთისა შინაგან თქვენსა არსო“, არამედ ეძებდენ მოწამეთა საფლავებში და ნაწილებში, რომში, იერუსალემში . . . ყველგან, საცა იესო ქრისტე მოასპარეზობდა და სადაც აწამეს იგი, ან სხვა ქრისტიანები. ამისთვის ევროპითგან ერთი მეორეს ასწრებს და მიეშურება ურიასტანს მოსალოცავათ და სულიერის წყურვილის დასაურვებლათ. უფრო ბევრი კი მიისწრაფის რაინდულის მიზნით: სხვა და სხვა შემთხვეულების და საოცრების საძებრათ.

შინ დაბრუნებულს მომლოცველებს თავანთ ქრისტიანე მოძმეებთან მოქონდათ ურიასტანითგან გულსაკლავი ამბები მოსლემინთაგან შევიწროებაზე და ქრისტეს საფლავის შებღალვაზე. ბოლოს ისე საქმე მოიწიფა, რომ აიყარა ეს ულოურსი ჯვა-

როსანთა ჯარები და შეერია ურიასტნს წინათვე დარწმუნებულნი თავანთს გამარჯვებაში. თვითეული რაინდი ამაყათ გაიძახდა:

«ერთი ვნახო, ვინ გაჩნდება ჩემი მაჩხუბარი კაცი!
«რომ ვეჩხუბო და მეჩხუბოს, მხარი მიბას საჩხუბარში.
«ქრისტეს საფლავის გაყიდვას ვინ გაბედავს ამ დრო-ჟამში,
«თათრის ფაშებს ავატირებ, ლეჩაქს დავახურავ თავში."

აღარ იცოდენ, რომელი რომელს ასწრებდა სახელის მოსაპოებელათ. განა მარტო რუსთველი ქადაგებდა იმ დროსა „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსაო?" ეკლესია და სახელმწიფო მტკიცეთ შეკავშირდენ, გამსჭვალულნი ერთის აზრით, ე. ი. ქრისტეს საფლავის გამოსახსნელათ. ეს იყო ამ ეპოქის უზენაესი წერტილი. საქრისტიანო გულის ღელვამ დაიპყრო ყველანი, აზმნობამ ჭკუა კი ზანითგან აქერინა. საზოგადოება რომ არ ყოფილიყო ასე ატკრეცილი, ერთის ღაღადისის, ვინცლა მეუდაბნოეს ქადაგებით ამოდენა საქმე არ მოხდებოდა.

თუმცა პირველ და პირველ გაიმარჯვეს კიდეც ჯვაროსნებმა დააფუძნეს კიდეც „იერუსალიმის სამეფო." მაგრამ თავითგანვე ატყობდენ, რომ საქმე მკვიდრათ ვერ იდგა და ამისთვის არც ერთმა გამოჩენილმა პირმა მეფობა არ იკისრა. მეფობა ერგო ვანცლა გოთფრიდ ბულიონელს, პირს არაფრით გამოჩენილს, თუმცა შემდეგ ხალხმა მას ათასი საგმირო საქმე დააჩემა. ბოლოსდაბოლოს მართლაც ბედმა უმტყუნათ ჯვაროსნებს.—ქუშტი ნურედინი და მისი ბრწყინვალე მოადგილე სალადინი წინ-წინ წაიდენ და ერთ საუკუნესაც არ გაუვლია, იერუსალიმის სამეფო „განქრა სიზმარებრ ჩქარათ." მასუკან ყოველმა თავგამომეტებულმა საცადმა უქმათ ჩაუარა ფრიდერიკო წვერ-ქერასაც და რიჩარდე ლომ-გულასაც. დარჩენ გაცბუნებულნი სახელოვანი ჯვაროსნები და იმდენმა ღვაწლმა ფუჭათ ჩაიარა.

გერმანელის და კელტის მჩქეფარე სისხლი დალაგდა, —აღტაცება განელდა, მარჯვე მკლავი მოდუნდა და მთელი ევროპა მიეცა სხვაგვარ სულის კვეთებას, სრულიად წინააღმდეგს იმისას, რაშიაც ომების მიდგმა—ქამში იყო. ყოველივე ამ ქვეყნიური წუთიერათ დაისახეს, ამაოთ მიიჩნიეს დიდებაც, სახელიც, წმიდა საფლავიც. ჭეშმარიტი და შეურყეველი არისო მხოლოდ ერთი ღმერთი, რომელსაც, საცა უნდა ვადიდებდეთ, —სულ ერთიაო, იერუსალიმში თუ სხვაგან. ამავე დროს ქუხდა გაცხარებული ქადაგება არნოლდ რეიშელისა და ბენგრად კლერველისა, რომელთაც საგნად ქონდათ იგივე და შემდეგი: ჭეშმარიტი ქრისტიანი სარკინოზებს კი არ უნდა ეჩხუბებოდეს და შორს ქვეყნებში კი არ უნდა ლაშქრობდესო, არამედ თავისს ვნებათღელვას უნდა ებრძოდეს და თავისს ცოდვილიან სულის მიდრეკილებას ითრგუნავდესო; ჩვენც რომ იერუსალიმი დაგვემკვიდრებინაო, დიდს ვერას გავხდებოდითო; ქრისტე ღმერთი არ იყო, რომ ქადაგებდაო: მოვა დრო და აწვე არსო, როცა არც იერუსალიმში, არც გარიზინის მთაზე ადიდებენ ღმერთს-, არამედ თავანთ სულში და გულშიო. ერთი სიტყვით ევროპელებმა მიიღეს მიმართულება ანდაზისაებრ ,,არცა ძევს და არც მინდაო.''

ამ გზით ევროპელებმა იერუსალემი დაკარგეს, მაგრამ სამაგიეროთ მოიხვეჭეს მრავალგვარი სულიერი საუნჯე. ,,ცალიერ საფლავს'' მოაკლდენ და ნაცვლად უხილავი განძი პოვეს.— მათი მიმომხედველობა ერთბაშათ გაფართოვდა. გაჩაღდა ყოველგვარი ალებმიცემობა, ნივთიერი და გონებითი. ცარიელმა მისტიკურ ტრფიალებამ თანდათან გზა დაუთმო ჭეშმარიტს გონების ზრდას. იმ დროს, როცა სხვა ქვეყნებთან მისვლამოსვლა ისე საძნელო იყო ყველასთვის, ქრისტიანებმა, არათუ

ერთბაშათ გაიცნეს უცხო ხალხები, რომელთზედაც მანამდე ზღაპრული ცნობებიც კი ნაკლებათ ქონდათ, თან შეიძინეს თვითშეგნებულობა და ერთმანერთიც შეისწავლეს. ევროპიელები, საერთო ბანაკებში შემოკრებულნი, უნებურათ უზიარებდენ ერთმანერთს თავანთს გულსნადებს, გრძნობას, ხელოვნებას, ხელოსნობას და საერო თქმულებათა. ამ გარემობაში თვითეულმა ერმა შეიგნო და გამოირკვია თავთავისი ევროვნული სახიერება. ძველი ენები ვეღარ მიეგუა ახალთ ცნებათა-სისრულით გამოსახატავათ და გაირკვა—გასახიერდა ახალი ენები: ჯერ რომაულნი, მერე გერმანულნი და ბოლოს ინგლისური.

ამაზედ უმეტესი სარგებლობა მოუტანა ევროპელებს და გონება გაუფართოვა მათ აღმოსავლეთის ერთა ყოფა—ცხოვრების პირისპირ გაცნობამ, მათ მეტისმეტათ დაენუკათ ამ უკანასკნელთა საგმირო ამბები, ზღაპართქმულობანი, ზეპირ-გადმოცამანი და თვითონ წერილობითი ლიტერატურა დიადის და ფრთაგაშლილის პოეზიით აღსავსენი. ამ გაცნობას შემდეგ გავრცელდა ევროპაში და პირველათ აღიწერა რომაულს ენებზე არაბულ—ინდოური ზნეთმოძღვრებითი ზღაპრები და იგავ—არაკები. (ჩვენშიაც ეგრე იყო). მაგრამ ეს სულ სპარსულ ლიტერატურის საშუალობით. ევროპელები ყველაზედ უწინ გაეცნენ სპარსულს მდიდარ ლიტერატურას და პოეტთა შორის მათ ყველაზედ უფრო გულზედ მოხვდათ უკანასკნელის ეპოქის, ზემორე აღნიშნულის მიმართულების, პოეტები: ფირდუსი, ჯალალ—ედინი და სხვანი, რომელთაც სხვათა შორის ალექსანდრე მაკედონელის ამბავი მოეთხროთ. ყველაზედ უდიდესი მათგანი ხომ ფირდუსი არის და მისს შახ-ნამეს პირველი ნაწილი ხომ გაცილებით მაღლა დგას მეორეზე, მაგრამ ევროპე-

ლები ამ უკანასკნელს ნაწილს დაეწაფენ პირველათ (ქართველები კი—პირველსა), რაკი მასში იპოვეს გულის მოსაფხანი ამბები. მეორეთ—ეს პოეტები მოეწონათ მათ იმიტომ, რომ უფროს—ერთნი მათგანნი წერდენ სასანიდების ეპოქაზე და ეს ეპოქა ხომ რაინდობისა იყო. მესამე მიზეზი ამ მოწონებისა უნდა ვეძიოთ უფრო ღრმათ, ადრინდელ საუკუნოებში, ევროპიელთ წინანდელ ისტორიულ ცხოვრებაში.—მთელმა ევროპამ,—ჯერ რომაელებმა შინაბრძოლათა ქარ-ცეცხლში გამოვლილებმა, მერე ცალცალკე ერებმა: ფრანკებმა, გერმანელებმა, ბრიტებმა და სხვებმა თავისუფლების დაკარგვით რომაელთაგან,—საკმაოთ იწვნიეს მრავალგვარი მწუხარება და ამქვეყნიურთ კეთილთა უხანობა. ახლა კიდევ იერუსალიმიც ხელითგან გაუხსლიტათ . . . . რა თქმა უნდა, ევროპიელებს გულის მოსაფხანათ დაუშთათ სპარსელის პოეტების ბოლოინდელი მიმართულობა. ისინი (უფრო ფირდუსი) ხატავდენ ჯერ კულტურულთ ირონელთა ბრძოლას ველურს ტურანელებთან, რაც (ბოლოს) გადიქცა ნათლისა ბნელთან ბრძოლად, სულისა ხორცზე აღმატებულებად, ქვეყნაგრძნობათა ზენათაღმი მისწრაფებად. საუკეთესო ნიადაგი ამ აზრებისთვის ევროპიელებმა პოვეს ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრებაში, რაც სხვადასხვა ავტორს ფერადსახედ აღეწერა, თუმცა იდეა და საფუძველი ყველას ერთი და იგივე ქონდა. განზრახვა და იდეა მათი ხომ ვიცით, ახლა ეს ვიკითხოთ თუ, რანაირათ ყავთ მათ დახატული ალექსანდრე მაკედონელი?

აღმოსავლეთის მკვიდრთა მოუწადინებიათ, როგორმე თვისდა საკუთრებად გაეხადათ ეს უებარი და სახელოვანი გმირი და ამის გულისათვის შეუწმასნიათ სხვადასხვა რომანული კვანძი იმის შთამოების ასახსნელათ. სპარსელი პოეტები გულუბრყვი-

ლოთ დაფუძნებულნი ეროვნულს ზეპირგადმოცემაზე, ალექ-
სანდრე მაკედონელს სახვენ დარიოზის ძედ. ისინი ამბობენ,
მითომ დარიოზს ცოლად ყოლოდეს ფილიპე მაკედონელის
ასული და ბოლოს იგი უძეობისაგამო განეტევებიოს. ქალი
მამასთან დაბრუნებისას მითომ ფეხმძიმედ გამომდგარა და ყო-
ლია ძე ალექსანდრე. როცა ეს გაზრდილა, მემკვიდრეობის
რიხით მამის ტახტი მოუძიებია და დაუჭერია კიდეც. მერე
იწყება მისი ათასგვარი საგმირო საქმეები, უცხოდაუცხო
ხალხთა დაპყრობა და ლაშქრობისას უცხო და უცხო საკვირ-
ველების ნახულობა. ბოლოს და ბოლოს ალექსანდრე გაზვავ-
დება; უნდა რომ უკვდავი გახდეს და ჭეშმარიტი ღმერთი აღარ
ახსოვს. ერთხელ მისი ციერი მეგობარი, ანგელოზი რაფიელი უამ-
ბობს მას უკვდავების წყლის ვითარებას.—ვინც იმას დალევს,
აღარ მოკვდებაო, მაგრამ იქამდე მისვლას თორმეტი წელიწადი
უნდაო. გულმედგარი და ზედანხედის წარმატებით თავგასული
ალექსანდრე გაემართება უკვდავების წყაროსაკენ და თან იახ-
ლებს საუკეთესო მხედრებს. მიაღწევს კიდეც, მაგრამ აქ სხვა
და სხვა გარემოების წყალობით ისე ჩაგულისხმდება, რომ უკ-
ვდავების წყალს აღარ სომს. ფიქრობს: ვაი თუ ბოლოს სიცოც-
ხლე მომჰარბდეს და სიკვდილს დავნატრილდეო, საგმირო საქმე
ებ გამოლეული. ამისგამო მაკედონიაშივე ბრუნდება და ყუდრო
ცხოვრებას ეძლევა სიკვდილამდე.

როგორც ეს ზღაპართქმულობა, ისე ალექსანდრეს შთა-
მოების ამბავი და სხვა და სხვა ეპიზოდი ალექსანდრეს ცხოვ-
რებითვან სულ სხვაფრივ არის მოთხრობილი კალისთენის რო-
მანში, რომელიც არის პირველსხე წყარო, როგორც აღმოსავ-
ლეთის, ისე დასავლეთურის ალექსანდრიანებისა. ევროპიელები
ჯერ კალისთენის რომანს ვერ იცნობდენ და თავანთი ალექ-

სანდრიანები დაუმყარებიათ სპარსულს წყაროებზე. შემდეგში ეს წყაროები დაუტოვებიათ და დაუწყიათ სუჟეტების ამოღება პირდაპირ კალისთენისაგან. ეს მომხდარა მას შემდეგ, რაც ევროპიელებს დაუწყიათ აღმოსავლეთისაკენ მოგზაურობა და ალექსანდრიის ფილოსოფიის შესწავლა--გადმონერგვა ევროპიულ ნიადაგზე. ჩვენს დრომდე მოღწეულმა ალექსანდრიანებმა და მისგვარ თხზულებათა მხოლოდ 15—ე საუკუნეში მიიღეს ის ვრცელი ფორმა, როგორშიაც დღეს მათ ვხედავთ. 15—ე საუკუნის დამლევს ევროპაში შეწყდა ალექსანდრიანების წერა. დასავლეთ ევროპაში ინგლისური ალექსანდრიანი დაიწერა ყველაზე უკანასკნელათ მაშინ, როცა ინგლისურმა ენამ მიიღო თავისი საკუთარი სახე. 15—ე საუკუნემდე კი განათლებული ინგლისელები რომაულ ენებზე პაექრობ—მაევობდენ და კითხულობდენ ყოველგვარ სარაინდო ნაწერებს. ამ დროითგან წყდება წერა სარაინდო თხუზულებათა, და მათ შორის ალექსანდრიანების წერაც და კითხვაც. შემოანათა აღმოშობის ეპოქის სხივებმა. შემოვიდა სატირიკური მიმართულების მწერლობა. უკუაგდეს ზღაპარსიტყვაობითი მწერლობა, გაძლიერდა ნოველების წერა; დაიბადენ ბოკაჩიო, სერვანტესი, ბოლოს შექსპირი. დაივიწყეს სარაინდო მწერლობა და მასში მოყვა ალექსანდრიანებიცა.

გერმანულს, ინგლისურ და სლოვენურ ენებზე დაწერილი ალექსანდრიანები სულ რომაულის ენებითგან არის გადმოკეთებული, რომაული ალექსანდრიანები კი პირდაპირ კალისთენის რომანითგან. განა რა გარემოებამ გამოიწვია ყველა ალექსანდრიანების პირველსახე (პროტოტიპი) და ან ვინ იყო ეს კალისთენი.

სპარსელმა პოეტებმა და ევროპიელებმა ხომ გვიან მიმართეს

ადამიანის შინაგანს არსებას და მხოლოდ შუა საუკუნოებში დაისახეს „წუთი სოფლის ამაოება“. ალექსანდრიაში კი ქრის-ტიანობის პირველ საუკუნოებითგანვე სუფევდა ეს უკუთქმითი მიმართულება. აქაური ფილოსოფია სულ იმის ცდაში იყო —დაეხსნა კაცობრიობა ამ ქვეყნიურთ ზრუნვა-ფიქრთაგან და მისი გულ-გონება მიეპყრა ცისაკენ. ყოველსავე ამ ქვეყნიურს ეს ფილოსოფია აფასებდა მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც მას ხედავდა საუკუნო ცხოვრებისადმი მისაღწეველ საშუალებად. ზონების განვითარება საჭიროაო მხოლოდ იმისთვის, რომ ამან გაგვეხადოსო გულკეთილები და ლმობიერები. სოკრატეს და პლატონს ქრისტეს წინამორბედებად სახავდენ და ათასის ორმო ოცმაგობით ცდილობდენ, როგორმე სახარების მოძღვრება და იმათი ფილოსოფია ერთმანერთისთვის დაეკოწიწებინათ.

აი ამ ვანდევილობითის მიმართულებისა ყოფილა თვით კალისთენი, რომელიც ცხოვრებდა ქრისტეს შემდეგ 4-ე საუ-კუნეში, ე. ი. ქრისტიანობის დღესასწაულობის ჟამს. აი რაგ-ვარის სანატროებისთვის შეუწირავს კალისთენს ბევრი ისტო-რიული სინამდვილე, რაშიაც ხერხიანათ შეუწმახვნია არა ერთი ზღაპრული ამბავი.

ვისაც კი მისის რომანისგან ამოუღიათ სუჟეტი, მათ მეტათ გადაუჭარბებით მისთვის. ისინი მოგვაგონებენ არწივის და ყვა-ვის ამბავს ცხვრის მოტაცების შესახებ. აქ ავტორების ფანტაზიის აღვირუსხმელობა წრეს გადასულია. ამისი მიზეზიც ის საერთო მიმართულებაა, რაც სუფევდა მაშინ ევროპაში საერთოთ და კერძოთ მკითხველ საზოგადოების გემოვნებაში.

ათასგვარნი აღმოსავლეთის ზღაპარი და ისტორიული თქმუ-ლებანი გახდა ევროპელების სამკვიდროდ ჯვაროსანთა ომების მეოხებით. ომგადახდილ ჯვაროსნებს შინაურები და ნაცნო-

ბები კითხავდენ, რასაკვირველია, წარსულის ომების ამბებს, ნახულ-გაგონილებს. მაშინ ხომ აზმნობის და გრძნობის მეუფება იყო. ამას დავუმატოთ ჩვეულებრივი ჯარისკაცის ბობოქრული კილო და ადვილი წარმოსადგენია, რაებს მოუთხრობდენ ისინი და რაებს უსმენდენ ესენი სულგანაბულნი. საითგან სადაურ ხალხებთან არ ქონდათ ჯვაროსნებს საქმე! რა და რა მილეთის ხალხი არ ირეოდა ფუტკრებივით მტრის სამხედრო ბანაკებში. ამასთანავე, განა მარტო სულ ჩხუბობდენ მთელი საუკუნის განმავლობაში? მოპირისპირე ბანაკებში ყუდრო მისვლა-მოსვლაც ხშირი ქონდათ ურთიერთ შორის. დავუმატოთ ამას ისიცა თუ, რა საოცრებით სავსეა აღმოსავლეთის თქმულებანი, ნაყოფნი მხურვალის აღმოსავლეთურის ფანტაზიის და გაზვიადებული დიდებულის ბუნების ზედმოქმედებით. ვეფხის და ლომისტყაოსან მიჯნურების ამბები მრავალი გადმოვიდა მაშინ ევროპაში (და ერთი ჩვენშიაც ხომ). (*) ისინი გახდენ

---

*) პროფესორს ცაგარელს უნახავს პარიჟის საჯარო წიგნთსაცავში ერთი ხელთნაწერი რომანი, რომელსაც სწორედ იგივე სახელი აქვს, რაც შოთას პოემას — „ვეფხისტყაოსანი„. შინაარსითაც ამასა გავს თურმე. დაწერილიც სწორედ 12-ე საუკუნეშია. დაუწერია პროვანსალელ ტრუვერს. მაგრამ ეს პოემა ისე ვერ მიწვდება თურმე რუსთველს, როგორც დედა მიწა ცას. აქეთგან ის უნდა დავასკვნათ, რომ შოთას ლექსი: „ესე ამბავი სპარსული . . . . „პირწმინდათ მისაღებია. ნუთუ საჭიროა შევნიშნოთ, რომ ეს სრულიად არ ამცირებს პოეტს. პირიქით—ამაღლებს კიდეც ის ფაქტი, რომ ხალხურ ზეპირ გადმოცემაზე დაუმყარებია თავისი გენიალური ნაწარმოები. შექსპირის დრამები, გეთეს ფაუსტი და სხვები სულ ერე არიან აგებულნი ხალხურ თქმულებაზე! სარქის თმოგველის „ვისრამიანს„ შეგვიძლია თარგმანი ვუწოდოთ იმდენათ, რამდენაც „ვეფხვისტყაოსანს„ ვისრამიანშიც მხოლოდ სუჟეტია ნასესხები აღმოსავლეთის თქმულებიდგან. თორემ ისე ორიგინალური თხზულებაა ჩვენის აზრით. 1886-ს წელსა გამოცემულის „ვისრამიანის„ წინასიტყვაობაში, როგორც გავს, პატივცემულნი ავტორები უფრო იმ აზრს ეკედლებიან, ვითომც „ვისრამიანი თარგმანი იყოს! რამდენათაც შეგვიგნია ამ გვარის ნაწერების ხასიათი, ჩვენ ეს შეხედულება შემცდარი გვგონია.

ხელისხელ საგოგმანებლად და ათასჯერათ იცვალენ ახალს ნიადაგზე ხალხის პირში. ზეპირგადმოცემაში ყოველთვის ეგრე არის: ფაქტები ხალხის აზმნობის ბრძმედში გადახალისდება; სანიშნებელი წინწამოყენებულია და გაფანტული-შემოკრებილი. მოგონილი და ჩართულია მერე შიგ ისეთი შინაგანი ურთიერთობა და შენასკულობა, რაც ნამდვილათ არ ყოფილა. თვითეულს ერს იზიდავს მხოლოდ სხვილმანი რამ აწმყო ვითარება და იმას წამოაყენებს წინ. რაც არ მოწონს, ტოვებს უყურადღებოთ. ერის ფატანზიას გადააქვს თეისგან გამოხატული სურათები შორეულს წარსულზე, რათა აღიმაღლოს აწმყოს იდეალი. იგი ხორცს ასხამს იმ ჩონჩხს და იმ შთაბეჭდილებას, რასაც გმირი იჩენს თავისი საქმობით. ახალი გამოგონება არსებითათ არა არის რა, მხოლოდ ძველი თქმულება მიყენებულია ახალის ცხოვრებისათვის. წარსულის ამბებისა და ყოველგვარის თქმულებისაგან ხალხის მგოსანი აღადგენს ხოლმე მარტო იდეალურ შინაარს და სხვას არას დადევს.

ამ დროს იწერებოდა ევროპაში აურებელი რიცხვი ეპოსების, პოემების, მოთხრობა—რამონების აღმოსავლეთის თქმულებებზე დამყარებულნი და ყველანი გამოჭრილნი იყვენ მკითხველების გემოვნებაზე. მოდა იყო და გატაცებით კითხულობდენ მხოლოდ ისეთს ნაწერებს, საცა მოთხრობილი იყო დაუჯერებელი, რაინდული თავგადასავალი და უცხოდაუცხო ამბები, უცხოდაუცხო ქვეყნებისა; ისტორიულ სინამდვილეს, რეალურ ცხოვრებას მათში ტყუილათ ნუ ეძებთ. ზანახლების საუკუნეში ერთობ განიკიცხა ეს უმწვერვალესი მიმართულება სატირიკთაგან. ჩვენს დროს კი სულ სხვა მხრით უყურებენ საქმეს.—

ისტორია ხომ ვიცითო, როგორ და რას მოგვითხრობსო. ეს სარაინდო ძეგლები კი ძვირფასნი არიან მით, რომ ნათლათ ასურათებენ იმ დრო-ჟამის საზოგადოებას: რა ითვლებოდა მაშინ სათნოებად და რა—ბიწიერებად. ერის გონება და გული ქრონოლოგიას რას დადევს, გეოგრაფია რაში ეჭირვება, ისტორიულ სიმართლეს რას დაეძებს? იგი ყოველსავე გრძნობით [illegible]დება და აზმნობით. სხვის ამბავში გამოსთქვამს ხოლმე თავის საკუთარ საცნაურებს, თავისს მიმომხედველობას. მაშინდელს მოთხრობითს და ლირიკურ პოეზიაში, რაც ტრუბადურ—ტრუვერების პირით მთელს ხალხს ეფინებოდა, ერთად შექსულია იმ დროის ფილოსოფია, ისტორიული ცნობები, ზნეობითი სწავლა, ქრისტიანულ—საეკლესიო მითოლოგია, მამულის მოყვარება, იდეალური სიყვარული და მწვავე სატირა. ამ მხრით არიან საყურადღებონი შუა საუკუნოების ხელთნაწერი ძეგლები.

ჯვაროსნების ომებ შემდეგ მთელი ევროპა გაიტაცა ხომ აღმოსავლეთის ყოფა-ცხოვრებამ. პირველ და პირველ ევროპელები ნაამბობსაც ჯერდებოდენ. შემდეგ კი მოგზაურობაც გამართეს აღმოსავლეთისაკენ. მგზავრობათა აღწერებში ნახული და გაგონილი, მართალი და ზღაპარი ერთმანერთშია არეულ—დარეული. ვენეციელი მარკო პოლო თათრის ყეენთან იყო და ჩინეთშიაც იმგზავრა. მან პირველმა გააცნო ევროპას შიდა აზიის ცხოვრება, და სხვათა შორის, მან მოიტანა ევროპაში ყიბლანის და დენთის ამბავი. მოგზაურობა დაიწყეს მეცნიერულგვარის მიზნითაც, სალიტერატურო ნაწარმოებთა გასაცნობათ და გადმოსაღებათ. ცნობილია, რომ 12—ე საუკუნეში სენდენის აბატმა ოდონმა ალექსანდრიას გაგზავნა ერთი თავისი ხელქვეითი ნასწავლი ბერი, ბერძნულის ლიტერატურის სათარგმნელათ. შემდეგ დაიწყეს გადმოკეთება—ან უფრო ნამღვილი

იქნება, რომ ესთქვათ—დამახინჯება შესანიშნავის მწერლებისა, არისტოტელის და სხვათა. ამგვარათ შეცვლილნი თხზულებანი გადმოდიოდა აღმოსავლეთის მწერლების სახელებით. რაკი ფილოსოფიურ წიგნებს ამახინჯებდენ, პოეტურს ნაწარმოებს რაღას უზამდენ?—გადმომღებლებს ძველნი თქმულებანი მიუყენებიათ ახალი ცხოვრებისათვის, თანადროულთ გარემოებთათვის, რათა გაეტარებინათ თავანთი სანუკველი აზრები სხვისის ავტორიტეტით.

— შუა საუკუნოების ეპოქაში მხარდამხარ აღმართული იყო ორი ხმალი: სასულიერო და საერისკაცო. ჯვაროსნების ომებ შემდეგ პირველმა მეორე მთლათ ყურმოჭრილ ყმად გაიხადა. სარწმუნოებამ და იდეალურ მისწარვებამ განმსჭვალა მთელი ცხოვრება და სახელმწიფო. ნამდვილ სამშობლოს და ჭეშმარიტს დიდებას დაუწყეს ძებნა პირდაპირ ცაში და არა ქვეყანაზე. ამ აზრების გასავრცელებელათ გადმოქონდათ აუარებელი პოემა და მოთხრობა ინდოურისა და არაბელის, ბერძნულისა და სპარსულის წყაროებითგან. ყველა ეს ნაწერები ევროპელებისგან გადმოკეთებულნი განიყოფების ორ ჯგუფად. პირველს ჯგუფს ეკუთვნის; „ტროადის იგავი“ და „აქილეს და პოლიქსენა“—უცნობის ავტორებისა, „ელენე“ „რიზეიდი“ „ატისი და პორფირია“ თქმულნი ალექსანდრე პარისელისაგან და სხვანი, სადაც აღწერილია იდეალური სიყვარული და რაინდული ვაჟკაცობა. ამათ წყაროდ ყოფილიყო ერთი დიდი კრებული თხუთმეტს წიგნად გამოცემული ლათინურს ენაზე 1260 წელს გვიდო დე—კოლონასაგან. ამ კრებულს ქვიოდა „ტროადის ისტორია.“ იგი გადმოუკეთებია კოლონას, დარი ფრიგისაგან, რომლის ნაწერები დადიოდა კორნელი ნეპოტის სახელით. ფრიგის ნაწერებში ურევია ისტორია დიკტის კრიტელისა, სახე-

ლით დაწერილი. შიგ კიდევ ფრიგის ჩაურთავს ზოგი რამ ოვიდიისაგან, ტებაიტი სტაციისაგან და ვალერიუ ფლოკის ,,არგონავტიანისგან,,.—მთელი ეს დომხალი თარგმანში გამოსულა დიკტის კრიტელის სახელით, რომელიც სცხოვრებდა ნერონის დროს. ,,ტროადიანი'' ქართულადაც არის თარგმნილი, მაგრამ ეს ტროადიანი სულ სხვაა და გომერის ილიადა—სულ სხვა. ეს უკანასკნელი —,,ჰომიროსის ილიადა'' უთარგმნია რუსულითგან იესე გარსავანაშვილს ვისმე პეტერბურგს 1723-ს წელს. თარგმანია პროზად ,,გალობ—გალობად''. ეს წიგნიც დაცულია წ. კ. ს—ის წიგნთსაცავში.

მეორე წყობა რომანტიკურ რაინდულის ხასიათისა ეკუთ-ნის ალექსანდრიანების ჯგუფს. ესენი წარმოებენ აღმოსავლეთის ლეგენდებ—თქულებათაგან. მეთორმეტესა და შემდეგ საუკუნო-ებში დიდხანს მეფობდა კლასიკურის განათლების მიდევნა. ძვირათ ფასობენ განათლებული ბერძნები და მათ, მეტადრე იტულიაში, აქეთ—იქით ეპატიჟებოდენ ,,განარკვევზე'' (ლე-ქციებზე). ეს ბერძნები ბევრსა თარგმნიდენ არა მარტო ბერძნუ-ლითგან, არამედ სპარსულითგანაც. ქართულადაც ბევრი წიგნი ითარგმნებოდა ამ დროებში სპარსულითგან ,,სამამაცო ზნეთა'' აღსადგენათ, მაგ. ყარამანიანი, უთრუთიანი, ალლუზინი, დავრიშიანი, მარგალიტიანი და სხვა მრავალი ,,იანი''.

სპარსულ წყაროებზე დამყარებულის ალექსანდრიანების წერა მალე შეწყდა ევროპაში, როგორც ჩანს შლოსერის ისტორიითგან, და არც მაგდენათ გავრცელებული ყოფილა. მთელს ევროპაში გავრცელებული იყო ბერძნულის წყაროთგან წარმომდინარე ალექსანდრიანები და მათი ჯგუფი. ამ ჯგუფს ეკუთნიან; ,,იუსუფი და ზულეიკა'', რომელიც ქართულადაც

არის გადმოღებული ,,იოსებ და ზილიხანის'' სახელით; ,,წმინდა ფიალის'' ლეგენდა; ,,გზა ცად აღმოყვანებელი'' (ქართულათაც არის) და სხვანი. ალექსანდრიანების ჯგუფსავე ეკუთვნის იდეით და მიმართულობით ,,სიბრძნე ბალავარისა'', წიგნი, როგორც ამტკიცებენ, ქართულითგან ბერძნულათ გადაღებული და ევროპაში გავრცელებული ,,ბარლამ და იოსაფატის'' სახელით.

სპარსულითგან ლათინურათ ალექსანდრიანი გადმოუღია პირველათ სიმონ სოთს ვისმე 11—ე საუკუნეში, მიხეილ მეშვიდის დროს. მას სპარსელი პოეტებისაგან გამოუკრებია ,,ცხოვრება და მოქმედებანი ალექსანდრე მაკედონელისანი'' და კალისთენის სახელით გამოუქვეყნებია. მას ცოდნია კალისთენის რომნის არსებობა და ხელით კი არა ქონია. თანაც ქრისტიანის ბერძნის სახელით გამოცემულ წიგნს უფრო ნდობა ექმნებოდა ქრისტიანების თვალში. სითის თხზულებითგან გადაკეთებული ალექსანდრიანები უწევენ 12-ე საუკუნემდე—აქედამ იწყება ბერძნულის მიერი ალექსანდრიანები.

ამ ხასიათის ალექსანდრიანის გადმოთქმა დაიწყო ლამბერტ-ლი-ტორსმა და დაამთავრა ალექსანდრე პირიჟელმა (შატილიონმა). ამან მისცა ლიტორსის ალექსანდრიანს პოეტური დამატებანი და გალუქსა მთელს დიდ პოემად. ამბობენ, რომ ევროპაში ცნობილმა ლექსთაქმნილების ფორმამ ექვსასამაღლიანმა ამ პოემისა, თუ მისის ავტორისაგან მიიღო სახელი ,,ალექსანდრეული''. მას შემდეგ ალექსანდრიანი დაუწერია სამხრეთელს ფრანგს, ალბერიკ ობეზანსონელს ვისმე, რომელიც ბერად ყოფილა კლეუპაში. ამათ გარდა ალექსანდრიანების ავტორებად ცნობილნი არიან ესპანიელნი: ქუანლორენი, სეგურა-და-ასატორგა და ვალტერ ლილემი, მცხოვრებნი 12—ე საუკუნის გასულს. ამ უკანასკნელს ავტორს კალისთენის ნაცვლათ

ხელთ სამძღვანოთ ქონია კურციო. ესენი არიან რომაულის ენებზე უფრო ცნობილი ავტორები.

გერმანულს ენაზე ალექსანდრიანები დაუწერიათ: ულრიხ ფონ—ეშენბახს და რუდოლფ ფონ-გოენემსს. მაგრამ ამათგან გამოცემული კრებული ერთი დომხალი თურმე რამ არის. საზოგადოთ ავტორებს თითქო თანადროული ცხოვრება აუღიათო, ისე აქვთ ჩართული ალექსანდრეს ცხოვრებაში რაინდული ადათები, რომელნიც ალექსანდრეს დარიოზსა და პოროსთან ეხმაროს ვითომ. მერე დღეობანი და ტურნირები აქვთ თურმე ისე აღწერილი, როგორც ამბობს მორიც კარიერი, რომ სრულიად გავიწყდება წარმართობის დროის საუკუნე და თვალთ წინ ნათლათ გიდგას შუა საუკუნოების რაინდული გერმანია.

ეს ასეა, მაგრამ თუ ამ ძეგლებს შევხედავთ, როგორც დრო-ჟამის გამომხატველის, ეს ნაკლად კი არა, ღირსებად უნდა ჩაეთვალოს ალექსანდრიანების ავტორებს.

ინგლისურს ენაზე ერთათ ერთი ალექსანდრიანი დარჩენილა და მასში ცოცხლათ და პოეტურათ არის თურმე ალექსანდრეს ცხოვრება და გმირობა. მაგრამ შიგ ხშირათ შეხვდები ისეთ უგვანობას, როგორც მაგალითად ალექსანდრესაგან ცეცხლთ-ამტყორცის იარაღების ხმარებას.

სამხრეთელ სლოვენებს, სერბიელებს და ბოლგარებს, თავიანთი ალექსანდრიანები გადმოუღიათ რომაულის წყაროებითგან და არათუ ალექსანდრიანები და მისი ჯგუფი, არამედ ,,ტროადინიებიც'' და მისის ჯგუფის სარაინდო თხზულებანიც. აკადემიკის ვესოლოვსკის გამოკვლევით ეტყობილობთ, რომ სლოვენურის ალექსანდრიანების ავტორებს არა მარტო რომაული,

თან ბერძნული წყაროებიც ხელთა ქონიათ წერის დროს. ამას ამჟღავნობსო თარგმანთა აღნაქვსის კილო, განკუთნითი სახელთა წერის ხასიათი და სხვა წვლილები.

რუსული ალექსანდრიანები პირდაპირ გადმოღებულია ამ სერბიულ—ბოლგარულის ალექსანდრიანებითგან. არა მარტო ალექსანდრიანები, არამედ სხვა მისი გვარი სარაინდო ნაწერებიც. მაგრამ ალექსანდრიანისთანათ გავრცელებული ერთიც არ ყოფილა რუსეთში. ხელთნაწერებად ხომ 18—ე საუკუნემდე უწევს ალექსანდრიანები. მაგრამ ზეპირთქმულებად კიდევ უფრო გავრცელებული ყოფილა რუსეთში. იგივე ვესელოვსკი კვირობს თუ, როგორ გავრცელდა ასე აღმოსავლეთის სლოვენებში ეს სარაინდო რომანები, სადაც ქალი და სიყვარული ასეთნაირათ აღმკულნი არიან. ევროპაში, შუა საუკუნოების ასკეტიკურ მიმართულებას ძლიერ ანელებდა რაინდული სული, კლასიკური ცხოვრების და ლიტერატურის შესწავლა, მეტადრე ოვიდიუსისა რომელიც დიდს მოდაში იყო მაშინ. აღმოსავლეთის სლოვენები კი შორს იდგენ მაშინ იმ რაინდობისაგან და იმ კლასიციზმოსაგანაც. ევროპაში გარეგანი სიტურფისადმი თაყვანისცემამ და სიყვარულის გრძნობამ კაი ხნის ბრძოლის შემდეგ ძლია სასულიერო მწიგნობრების დარიგებითს და მოძღვრებითს მიმართულობას. რომ საერისკაცო და სასულიერო მწიგნობრობას შორის დიდი ბძროლა ყოფილა, სასიკვდილ—სიცოცხლო. ეს მკაცრათ გამოთქმულია ალექსანდრიანე—ტროადინების გავრცელებაში და მათ შინაარსში. პირველში როსკანას ერთს დღესაც აღარ სურს სიცოცხლე თვისი სატრფოს ალექსანდრეს შემდეგ და თავს იკლავს. მეორეა ტროადიანში: პოლიქსენას სიცოცხლე ჩალად უღირს აქილესის სიკვდილის შემდეგ. თვით ევროპაშიაც პირველ და პირველ ძნელი გამოსათ-

ქმელი იყო მაღალი სათნოების მითვისება ქალისადმი. რუსეთში ხომ სასტიკი ეკლესიურ—რიგორული შეხედულება იყო ამ ბოლოს დრომდე ქალზე. ქალი არსებითად ბოროტიაო, ცოდვის ჭურჭელი და ეშმაკის კერძი; ქალის წყალობით ადამი სამოთხითგან განიდევნაო; ბევრი დიდებული კაცი დაღუპაო ქალის აყოლამ და მისთანები. საზოგადოებაშიც ძლიერ გავრცელებული იყო ქალთ—მოძულე წიგნები, როგორც მაგალითად „поученія отца къ сыну“ „о злыхъ женщинахъ“ და, ბოლოს, ცნობილი „домострой“. მართლაც საკვირველია ამისთანა ტიბიკონურ წიგნებთან მხარდამხარ როგორ ვრცელდებოდა ალექსანდრიანისებური სარაინდო წიგნები. მაგრამ ცხადია აღმოსავლეთის სლოვენებშიაც დიდი ყოფილა ბრძოლა ორის ერთმანერთის მოპირისპირე მიმართულებას შუა. ხორცთამყოფის ადამიანის ბუნებას თავისი გაუტანია ამ ბრძოლაში და საცა ტიბიკონური წიგნები ვრცელდებოდა, იქვე ალაგი ქონდა ალექსანდრიანებსაც, კონტრაბანდულათ მაინც. შეიძლება ეს იყო მიზეზი იმ გარემოებისა, რომ სლოვენურის ალექსანდრიანების და მისგვართ თხზულებათა ავტორები არ უჩანან. ამ უჩინარობის მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ 18—ე საუკუნემდე რუსეთში კიდევ მეფობდა ზეპირსიტყვაობითი პოეზიის გავრცელების არქაიული ხარისხი. პირადობას ჯერ კიდევ იმდენი პატივდება არ ქონდა და მიღებული არ იყო პოეზიაში ავტორის ვინაობის გამოცხადება. საქართველოშიაც 12—ე საუკუნემდე არ იყო, ვგონებ, ავტორის ვინაობის გიმოცხადება მიღებული. მაშინაც კი და მერეც დიდხანს მხოლოდ აცხადე-

ბდენ ვინაობას თემისას (ან თემის საერო, თუ სასულიერო მმართველის ვინაობას), რომელსაც ეკუთნოდა ავტორი *).

რუსული ალექსანდრიანები, როგორც ვსთქვით, პირდაპირ გადმოღებულია სერბიულითგან. სერბიული კიდევ რომაულ-ბერძნულითგან. ასე რიგათ, ქართული ალექსანდრიანი, რომელიც გადმოთქულ-გალექსულია რუსულითგან, არის ბერძნულ რომაულის წარმოებისა. ეს მტკიცდება კიდევ იმითი, რომ ქართულს ალექსანდრიანში არ იპოება ორი ადგილი, რაც უკვე არის სპარსულსა და სპარსულის მიერს ალექსანდრიანებში. ეს ამბებია: ა) უკვდაების წყაროს ძებნა. ამის ნაცვლათ არის ალექსანდრეს გალაშქრება სამოთხისკენ). ბ) ქალწულთა გუნდის შეხვედრა.—ერთს ტურფა ველზედ ალექსანდრემ და მისმა მხედრებმა დაინახეს შვენიერი სურნელოვანი ყვავილები. უეცრათ ყვავილების უპეებითგან გადმოცქრიალდენ უშვენიერესთ ქალწულების გუნდნი. გამართეს გულის წარმტაცველი ცეკვა—სიმღერები. მათმა ყურებამ მხედრები გააშტერა. მაგრამ, რასაც წამს მათ ქალწულების შეპყრობა გაპირეს, ისინი მყის გაქრენ, როგორც მოჩვენება. ეს ამბავი, მორიც კარიერის აზრით, ინდოურის წარმოებისა უნდა იყოს და ეს ადგილი ყველაზედ უფრო პოეტურიაო მთელს ალექსანდრიანში.

გარდა ამ ორის ამბისა ქართულს ალექსანდრიანში არის მოქცეული ყოველივე ეპიზოდი, რაც კი რამ რომელსამე ევროპულს ალექსანდრიანში მოიპოვება. აქეთგან ის გამოდის,

---

*) ტყუილად ასწორებენ ახალი გამომცემლები რუსთველის ტექსტს: ,,ვსწერ მესხი ვინმე მელექსე მე რუსთველისა, დაბისა,, ასე: . . . ,,მე რუსთავისა დაბისაო,, დ. პირველს თავისი ისტორიული საფუძველი აქვს და გასწორებას ტექსტისას არ უნდა ვაღრულობდენ.

რომ სლოვენური ალექსანდრიანი, საითგანაც გადმოთქმულია, ქართულიც უნდა იყოს შემოკრებითი, ე. ი. ავტორს ხელთა ქონია მრავალგვარი რომაული ალექსანდრიანი.

ქართულს ალექსანდრიანს სრულებით არ ეტყობა რუსულის ენის გავლენა, რაც ყოვლად შეუძლებელია თარგმანში. პოემა იწყება ასე:

«ესე ამბავი ჩრდილოეთს, რუსთ ქვეყანათ იყო დებული»
«ჟამთა სიგრძისა ძველქმნითა ყოველს ქვეყანათ დავიწყებული.
«გადმოეთარგმნა ქართულად არჩილს, ვინ იყო ქებული.
«და მიბრძანეს-ლექსად გამოვთქვი, მსმენნო იყავით შვებული.

ცხადია რომ ეს წიგნი გადმოუთარგმნია რუსულითგან, თუ უამბნია გამლექსავისათვის არჩილ მეფესა, ,,არჩილიანის‘‘ ავტორს და მისის რჩევით გაულექსავს პეტრეს ვისმე. ეს პეტრე ვინცაღა არის, განათლებული პირი უნდა იყოს, რა კი მას მიანდო ეს საქმე არჩილმა, თავათ საქებურმა რიტორმა და მოშაირემ. წიგნსაც ატყვია, რომ გამლექსავი უნდა იყოს ფრიად დალალული სალვთო-საეკლესიო წიგნებში და საერთოთ ქართულს მწიგნობრობაში. რომ ის სასულიერო პირი ყოფილა და ბერი (ეგებ არჩილის მოძღვარიც), ეს ჩანს ერთი იმისგან, რომ თავისს ვინაობას მარტო სახელით აცხადებს. მეორეთ შემდეგის ლექსისგან:

«ღვთისსულიერთა სიტყვის თქმა მინდოდა არ ტყუილისა,
«არად მეწადა ლექსთწყობნა, მიჯობდა სინანულისა,
«დამორჩილება გულისა მოციქულთაებრ თქმულისა.

რომ ეს პეტრე ძლიერ თავისუფლათ მოჰკიდებია არჩილი-

საგან მიცემულს მასალას, ეს ჩანს, სხვათა შორის, პოემის ორი ადგილითგან. პირველი:

«მიწყე დამარხვად ლექსისა მობერვისაებრ სულისა,
«მსუროდა სიბრძნე დამეცა ამ ალექსანდრიანისა . . .

მეორე ადგილი არის ალექსანდრესა და როსკანას ქორწილის აღწერა. აქ უფრო ქართული და, თუ გნებავსთ, აზიური მეჯლიში და ასპარეზობაა, ვინემ ევროპული და სლოვენური. საკრავები და ვარჯიშობა—შექცევანი ქართულ—აზიურია და ბევრით მოგაგონებსთ თეიმურაზისაგან ვარჯიშობა—ასპარეზობის აღწერილობას.

ახლა ეს ვთქვათ—რათ მოუწადინებია არჩილს ამ წიგნის ქართულათ გადმოღება?—იგიც, რა თქმა უნდა ექვემდებარებოდა იმ დრო—ჟამის ზოგადს მიმართულობას, გარდა მაგისა მისი ცხოვრების აღწერილობითგან (გარდიცვალა 1710 წ. იხ. შარშან გამოცემულის „არჩილიანის" ჩემი წინასიტყვაობა, სხვათა შორის) ვიცით, რომ ამ მეფეს ძლიერ დასჩემდა „სიმუხთლე ბედისა". მას რომ რუსეთს მყოფობის დროს „ალექსანდრიანი" წაუკითხავს და მისი იგრე გავრცელებულობა უნახავს, თითონაც გულზე მოხვედრია მისი შინაარსი და იმისგამო განუზრახავს მისი მოქართულება. მაღალზნეობიანს და ღვთის მოსავ არჩილს როგორ არ მოეწონებოდა შემდეგის გვარის ადგილები:

«შუფუნებისა შემტკბობსა ბოლო აქვს გასამწარია.

---

«არდაინდობს კაცს სოფელი მზა აქვს საფრხე—სნეულობა. . .

«ბოლოდ მიწად დაიფარვის სიმაღლე და შენი ფლობა...

---

«პრომ თქვა: ესრეთ დადაბლდეს, ვინც სოფ. ამაღლდებიან,
«მერე სიბერე შემოვალს მყის და ანაზდათ კვდებიან,
«ფუფუნება და ვანცხრომა—შვება ერთმანერთს ებმიან,
«კაცნი ულეთონი ორთავე ცხოვრებას წააკლდებიან...

---

«არ დაგვრჩა კიდე ქვეყნისა, ჩვენ რომ არ დავიპყრენითა,
«არწივთა მსგავსათ მოვვლენით ქვეყნის კიდენი ფრენითა,
«ბანგრძობა ჩვენთა პატიჟთა არ დაითვლების ენითა,
«მუხლ მოყრით გკადრებთ: ჟამი არს, სახლშივე მივიქცევითა».

ამას ევედრებიან მხედრები ალექსანდრეს, რომელთაც ომი მოწყინდათ და შინ დაბრუნება უნდოდათ. შემდეგ!

«პირსა ლხინი, ლხინსა გლოვა ზედმოებმის თვალთა წინა...

---

«რა სარგებელ სულთა ვნება, ვინც სოფელი შეიძინა...

---

«ნავასხები მიწის, ხორცი მიწასავე მოიქცევის,
«სული ზეცად აღიყვანონ, ღვთის წინაშე აღიწევის,
«პირი შენი შვენიერი—მატლთა მიერ განილევის,
«შენზედაცა აღესრულოს თანამდები იგი წყევის....

---

«იტყვის: ჰოი, დიდებანო; კაცთა ზედან ამაოდა,

«მცირეთ წუთ ერთ გამოჩნდები, მსწრაფლ იქმნები უჩინოდა,
«ახლავს ლხინსა თან ტირილთ,-იტყვის საწყლ., ღრმათ კვნესიდა

---

«აჰა ვიხილე ხმელთ მპყრობი მწირ-წარმა ვალად მე მსჯემით,
«ხმელთ ფლობისა წილ ტილო და საფლავი განგვიწესე მით,
«ვერვინ განერა სიკვდილსა, აღმიწერია ესე მით...

ამ ბოლო ლექსში ავტორი აცხადებს, რა მიზნით დაუწერია.

გამლექსავს ისიც ვეტყობა, რომ ძლიერ ახლო იცნობს „ვეფხისტყაოსანს". ხშირია პოემაში ასეთი ლექსები: „საქმე რამე მიძს თავსაზე"—პოემა იწყება ასე: იყო ეგვიპტეს ნეფთალემ, მეფე დიდგამდიდრებელად....

ქართული ალექსანდრიანები, ერთი, რომელიც „წერაკითხვის გამარცელებელი საზოგადოების" წიგნთსაცავშია, მეორე რომელიც ქბ. ხოშტრიასა აქვს ოდიშს და მესამე მე რომ მაქვს,—ერთმანერთის ასლნი არიან და ერთსა და მასვე ავტორს (პეტრეს) ეკუთნიან. ეს პეტრე სულ სხვაა. და მეორე ალექსანდრიანის ავტორი ტერ-პეტროსი—სულ სხვა. ეს უკანასკნელი იყო იმერელ—კათოლიკების მთავარ—ღვდელი ქუთაისში დონ —ანტონის წინამოადგილე. ტერ—პეტროსს განათლება მიუღია ვენეციაში და ბევრი წიგნი უთარგმნია ქართულათ და მათ შორის ალექსანდრიანიცა —პროზად. ტერ—პეტროსს მუდმივ თანამშრომელ—გადამწერად ყოლია ბ. გრიგოლ აკოფაშვილი, კარგი ბიბლიოფილი, რომელიც ახლარელე გარდიცვალა.

ამ აკოფაშვილს დარჩენია ტერ—პეტროსის წიგნები და

თავათაც ქონია მრავალი ქართული ხელთნაწერი. მაგრამ აკოფაშვილის უკანასკნელ დღეებში ეს წიგნები სულ წაულ—წამოუღიათ მისს ნათესავებს. რომელს მათგანს აქვს ტერ—პეტროსის ალექსანდრიანი, ჯერ ვერ მივაკვლიეთ. მეტათ საჭირო კია შედარება ამ რომაულითგან პროზად თარგმნილის ალექსანდრიანისა სლოვენურითგან ლექსად გადმოთქმულს ალექსანდრიანთან.

ამ ზოგადის მიმოხილვისაგან ჩანს, რომ არ არის ისეთი კულტურული ერი, რომ ალექსანდრიანები არ ეწეროს. ამასთანავე. თუ ვიგულებთ იმ გარემოებასაც, რომ ბევრს ალექსანდრიანს ჩვენს დრომდე არ მოუღწევიათ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შუა საუკუნოებში ძნელათ თუ რომელიმე წიგნი ყოფილა მისებრ გავრცელებული, იგი ქსელივით ყოფილა მოდებული მთელს ევროპაში. ამრიგათ ეს წიგნია ერთი იმ უმთავრესთ ძეგლთაგანი, რომელთ საშუალობით წარმოობდა ლიტერატურულ—გონებითი ურთიერთობა შუა საუკუნოების ერთა შორის.

თვითეული (ბერძნულის მიერი) ალექსანდრიანი ორს ნაწილად არის გაყოფილი. პირველში აჭარბებს ისტორიული სინამდვილე ომებ—ლაშქრობათა შესახებ. მეორე ნაწილი კი თითქმის სულ ზღაპრულის მოამბეობისაგან არის აკინძული. ალექსანდრიელ ავტორს სპარსელებსავით მოუნდომია, რომ ალექსანდრე უთუოთ ეგვიპტელთა შთამოებისად გაეხადა. ამისათვის როგორც კალისთენი, ისე ყველა მისი მიმბაძველნი (და ქართულიც მათშია) ამბავს იწყებენ ნეფთალემ ფარაონის ცხოვრების აღწერით.

მითომც ნეფთალემი დიდი ბრძენი იყოო, დიდი ვარსკ-

ვლავთმკითხავი და მესრტოლაზე. მან ერთხელ დაგლდო თავისი სამეფო, იდმულ გაიქრა, „სამყოფთაგან იაზეზრა“ და სხვასხველით მწირ—მოგზაურობას შეუდგა. ბოლოს მივიდა მაკედონიას. იქ თავისის ხელოვნებით ისეთი სახელი გაითქვა, რომ ამბავი დედოფლამდე მივიდა. ფილიპეს ცოლი ოლიმპიადე უშვილო იყო და ამისათვის დიდ საყვედურში იყო ქმრისაგან. ოლიმპიადემ საჩქაროთ მიიწვია ნეფთალემი და მას შესჩივლა თავისი მწუხარება. ფილიპე ამ დროს სალაშქროთ იყო წარსული. საქმე იმითი გათავდა, რომ ნეფთულემისგან ოლიმპიადე დაორსულდა და შვა ძე ალექსანდრე . . . გაიზარდა და მემკვიდრეობის ძალით მამის ტახტი მოიძია. თორემ (გამოდის) დიდებულს ეგვიპტის სამეფოს ძალით ვინ დაიპყრობდაო. შემდეგ ალექსანდრე თანდათან გაძლიერდება და მთელს ქვეყანას დაიპყრობს . .

ძველს ალექსანდრიანებში ორი უძველესი თქმულობა ერთნაირათ არის მოთხრობილი. პირველი, დიოგენთან შეხვედრა ალექსანდრიანების აქტორებს აღმოსავლეთურათ გადაუკეთებიათ. —როცა ალექსანდრე ბრამანებს მიადგა დასაპყრობათ, ჯერ მათ იგავ—სიტყვა ჩამოუგდო, როგორც ჩვეულობა ქონდა, რომ შეეტყო მათი ჭკუის ძალა. მას ძლიერ მოეწონა მათი სიტყვა—პასუხი და სკეპტიკურ—-ასკეტური შეხედულობა ამ ცხოვრებაზე. ბოლოს წინადადება მისცა მათ: რაც გინდათ, მთხოვეთ და მოგანიჭებთო. მათ უკვდავება თხოვეს ამას. რათქმაუნდა, ვერ გაუპირდა ალექსანდრე და ბრამანებმა უპასუხეს: მაშ რაკი შენ თვითონ მოკვდავი ხარ, ამდენ ვაი ვაგლახს რაღათ სჩადიხარო. ალექსანდრე მაინც კიდევ უპასუხებს: განგების გან ვარ მოწოდებული მისის ნების აღმსრულებადაო. ქარიშხალი არხევს ზღვას, მე კიდევ სიზანტეს ვუფრთხობ ხალხებსაო

ველის შვილები ამაზე ეუბნებიან: როგორც გნებავდესო; ჩვენ ჩხუბი არ გვსურს და თუ მაინც და მაინც გვეომები, რას დავკარგავთო? საცხოვარი და სამარხი ორივე თან დაგვაქვო, ე. ი. არც ერთი გვაქვს, არც მეორე, მაგრამ ვნუგეშობთ მითი, რომ ცოცხლებს ცა გვფარავს და კვდრებს დედამიწა შეგვიტკბობსო, ჩვენებურათ რომ ვსთქვათ: ცა ქუდათ მიგვაჩნია და დედამიწა ქალამნადო. ამ გვარმა პასუხებმა ძლიერ ჩააფიქრა ქვეყნის მპყრობელი. ბოლოს მაინც თავისაზე დგას: სანამ ცოცხალვარ და მოსაზრება მაქვს, ის უნდა ვქნა, რასაც ეს მოსაზრება შთამაგონებსო.—სიცოცხლე იმათ არაღირს, თუ ჩვენი სურვილები მუდამ შეთოკილი გვექნებაო.—თვით განგებისაგან გვაქვს ჩვენ მისწრაფება ვავარჯიშოთ ჩვენი ძალებიო. . . .

მეორე ამბავი ისაა, რომ ვითომ ალექსანდრე თავისის ელჩის სახელით გამოეცხადა, თავათ, დარიოზს და მერე ზანგების დედოფალს კანდარკეს. ვერაგობას შეუტყობენ, იცნობენ და, როცა შეპყრობას დაუპირებენ, ალექსანდრე დაეღწევა მხოლოდ თავისას გამბედაობის და მიგნებულობის წყალობით.

ალექსანდრეს თვალხარბობა ასეა გამოხატული: როცა მან მთელის ქვეყნის ძირი დაიპყრა, ახლა ბედისაგან განებივრებულმა განიზრახა სამოთხის აღება და ანგელოზების გაბეგრვა. აჰყვება ევფრატს და მიაღწევს სამოთხეს. მაგრამ კარი დაკეტილი დახვდება. კართან ერთი თმათეთრი მოხუცი დგას და ჩააგდებს მას გულის ხმაში —მოხუცი აძლევს მას ხელში პატარა ქვას, რაშიაც კაცის თვალია გამოყვანილი. წონით ეს ქვა ერთი ბაზალლოს სიმძიმეა და თუ ზედ ცოტა მიწას დააყრიდი, ბურტყლის ოდენა გახდებოდა. ჩავარდა ალექსანდრე საგონებელში: რას ნიშნავს ეს ემბლემაო, სწორეთ დაუკრეფავში გადავდივარ

და ცუდი რამე მომელისო. ამისთვის მოიწვევს ბრძენ კაცებს, მაგრამ ვერავინ უხსნის. ბოლოს ერთმა ებრაელმა აუხსნა: კაცის თვალი რით გაძღებაო? და მხოლოდ შავის მიწითაო. ამას შემდეგ ზოგიერთის ალექსანდრიანის თქმით ალექსანდრე ომებს თავს ანებებს და ეძლევა ყუდრო ცხოვრებას. ქართულს ალექ-სანდრიანშიკი ალექსანდრეს სწამლავს თავისივე მხედარი ერთი და მით კვდება.

ამრიგათ პოება ადიდებს მამაცობასაც, მაგრამ უფრო სიმ-შვიდეს, სითავდაბლეს და თავდება ასე.

«სიბრძნესა შინა მეფის-ძე იტყვის სოლომონ ქებული:
«ამაღლებული დაეცეს, ზეაღდგეს დამდაბლებელი,
«ზეავნი იქმნების მოკლებულ, დიდმეტყველ დადუმებული,
«მიწა და ნაცარ-მტვერი ვართ ყოველი დაბადებული.,
რაიცა უნდა დამტკიცებულიყო.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაცა, რომ შუა საუკუნოების პოეზია და მწიგნობრობა მეტის მეტათ იზიდავს დღეს სწავლულთ მკვლევართა ყურადღებას ევროპაში. წინათ ამას ღირსად არ სთვლიდენ, დღეს კი სხვა თვალით უყურებენ ყოველსავე, რაც უწევს შუა საუკუნოებამდე. ამისგამო ეს აუარებელი ძეგლები ზედიზედ გამოდიან ხელთნაწერობის დავი-წყებისაგან. მეტი არ იქმნება, რომ დაიბეჭდოს ქართული ალექ-სანდრიანიცა. გარდა თავისის პირდაპირის მნიშვნელობისა, იგი ფრიად სასარგებლო არის სტილისტიკურის მხრით, შიგ დიდი სიტყვის მასალაა გაფანტული, რაიცა ძლიერ გააადვილებს ენის შესწავლას.

პოლიევქტოს ყ[illegible]არაძე.

# კორრექტურული შეცდომები

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | დაბეჭდილია: | უნდა იყოს: |
|---|---|---|
| 24 | გვ. მის | მამის |
| 35 | — აღებაზე | აღებამდე |
| 36 | — ფაზიანომიას | ფიზიონომიას |
| 42 | — გარამოებას | გარემოებას |
| — | — ყვალამ | ყველამ |
| 43 | — ცხენიდამ | ცხენოსანს |
| 46 | — 25 ივლის | 25 ივლისი |
| 148 | — განვითაებით | განვითარებით |
| 170 | — მიიცო | მიიღო |
| 173 | — გქავს | მაქვს |